წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა. № 192.

დავითონი.

მოთხრობები.

ტფილისი.
სახელმწიფო სტამბა.
1920.



არსენ ანტონის ძე მამულაიშვილი

(ლალიოზნი)

(მოკლე ბიოგრაფია)

ჯერ-ჯერობით არსენ მამულაიშვილის სრული ბიოგრაფიის დაწერა ყოველად შეუძლებელია სხვა და სხვა მიზეზების გამო... ამ ჯამად ჩვენ განვიზრახეთ, მის თხზულებათა კრებულის პირველ გამოცემას წაუმძღვაროთ ჩვენი ბელეტრისტის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები, რაც, უეჭველია, სიამოვნებით იქნება წაკითხული განსვენებული მწერლის პატივისმცემელთაგან.

არსენი დაიბადა სოფ. დვაბზუში (გურიაში) ოფიციალური ცნობით 1868 წ. 12 იანვარს, ხოლო ნამდვილად 1866 წ. 23 იანვარს. მამა მისი ანტონი იყო უსწავლელი ღარიბი აზნაური, რომელიც ფიზიკური შრომით გაჰირვებით არჩენდა თავის ცოლ-შვილს. მაგრამ ეს მარჩენალიც მალე გამოეცალა ოჯახს და პატარა არსენი თავის უფროსი ძმით და ორი დით დარჩა დედის ანაბარა.

წერა-კითხვა არსენს ასწავლა მისმა უფროსმა დამ. ამის შემდეგ ის მიაბარეს ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელში. პატარა არსენი თავის სახლიდან დადიოდა სკოლაში,—რომელიც სამი ვერსის მანძილზე მდებარეობდა,—ხშირად დაგლეჯილი წუღებით და ზამთარშიაც-კი ტილოს ბლუზით.

1883 წ. არ. მამულაიშვილმა გაათავა ოზურგეთის სასწავლებელი და უნდოდა იმავე წელს განეგრძო სწავლა, მაგრამ სიღარიბემ ხელი შეუშალა და ის იძულებული გახდა ერთი წლით სახლში დარჩენილიყო. მეორე წელიწადს კი მოახერხა ტფილისში ჩამოსვლა. აქ თავის-თავად მოემზადა და 1885 წ. შეეიდა ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში, სადაც სახელმწიფო ხარჯზე იქმნა მიღებული. ინსტიტუტში მასწავლებლებიცა და მოწაფეებიც სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ მას, როგორც პატიოსანსა და გულწრფელ ბაბუკს..

1889 წ. არსენმა ინსტიტუტი დაამთავრა და იმავე ზაფხულს გამწესებულ იქმნა ქ. შემახაში სამოქალაქო სკოლის მასწავლებლის თანაშემწედ. ძნელი იყო მისთვის სამშობლოს მოშორება და სადღაც მივარდნილ ქალაქში გადავარდნა, მაგრამ, როგორც სახელმწიფო ხარჯზე აღზრდილს, არ შეეძლო წასვლაზე უარი ეთქვა და ისიც დამორჩილდა თავის ბედს.

ქ. შემახაში არსენი ორ წელიწადს იყო მასწავლებლის თანაშემწედ, ხოლო შემდეგ ჩარიცხულ იქმნა შტატის მასწავლებლად. იქნება კიდევ დიდხანს დარჩენილიყო ამ ქალაქში, მაგრამ სკოლის ინსპექტორი, რომელსაც ვერაფრად ეპიტნავებოდა არსენას პირიმთქმელობა, ეცადა თავიდან მოეშორებინა, და მართლაც მთავრობამ არსენი 1893 წ. „სამსახურის სარგებლობისათვის“, მის დაუკითხავათ გადაიყვანა ამავე თანამდებობაზე ქალ. ნახჩევანში, ერევნის გუბერნიაში, სადაც ოდესღაც ჩვენი დიდებული პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო მაზრის უფროსის თანაშემწედ.

თუმცა არსენი მოაშორეს სამშობლოს, მის საყვარელ გურიას, მაგრამ სულითა და გულით მუდამ მასთან იყო, ზაფხულ-კი ყოველთვის გურიაში ატარებდა... უხმაუროთ, უფართი-ფურთოთ სწავლობდა ჩვენს ცხოვრებას და ამის შედეგი კი იყო ის, რომ შემახაში ყოფნის დროს მან დასწერა და 1896 წ. ჟურნალ „მოამბე-ში“ გამოაქვეყნა თავისი პირველი მოთხრობა „ფირალი დავლაძე“, რამაც მიიქცია მთელი ქართველი საზოგადოების ყურადღება, ხოლო გურიამ დაინახა მასში ახლად დაკარგულის, ძვირფასი ბელეტრისტის ეგ. ნინოშვილის მოადგილე.

ქ. ნახჩევანში ყოფნის დროს იმდენათ დაავადმყოფდა ჩვენი არსენი, რომ იძულებულ გახდა სამსახურისათვის თავი დაენებებინა, და 1897 წ. გადმობარგდა ტფილისში... წამლობდა არსენი, მაგრამ, რადგანაც სიღარიბე ნებას არ აძლევდა ერთ წელიწადს მაინც დაესვენა, იმავე წელს შევიდა მასწავლებლად ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიაში, სადაც დარჩა 1900 წლამდის. ამ წლის ზაფხულს-კი იმასაც თავი მიანება და მასწავლებელ ივ. გომელაურთან ერთად ტფილისში დააარსა კერძო სკოლა პანსიონით. თავის სკოლაში არსენმა სათანადო ადგილი დაუთმო ქართულ ენას ქართველ ბავშვებისათვის. ამ გარემოებამ-კი საბაბი მისცა სკოლის მტრებსა და მეტოქეებს საზოგადოებაში გაევრცელებინათ ხმები, რომ არ. მამულაიშვილის პანსიონში ყველაფერს ქართულად ასწავლიან და აბა იქ მომზადებული მოწაფე როგორ ჩააბარებს გამოცდას მთავრობის სკოლაშიო... მიუხედავათ იმისა, რომ სამი წლის განმავ-

ლობაში ვინც-კი ემზადებოდა იმის პანსიონში, თითქმის ყველა შევიდა გიმნაზიაში თუ მთავრობის სხვა რომელსამე სკოლაში, მოწაფეთა რიცხვმა მაინც ვერ იმატა, რის გამო სკოლა-პანსიონი განიცდიდა დიდ ეკონომიურ გაჭირვებას... 1903 წ. არსენმა ოფიციალურად დახურა თავისი სკოლა, თუმცა კერძოთ მაინც განაგრძობდა ბავშვების მზადებას, რადგანაც ცხოვრების სხვა გზა არა ჰქონდა... ამ ხანებში არ. მამულაიშვილი ქონებრივად აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდა (ხშირად წამლის ფულიც-კი არა ჰქონდა), მაგრამ მთავრობისათვის მაინც ადგილი არ უთხოვნია, იმდენად სძაგდა მაშინდელი მთავრობა და მისი დაწესებულებანი...

1905 წ. პოლიტიკურმა ქარიშხალმა ცოტათ თუ ბევრად გასწმინდა მოშხამული ჰაერი და მაშინ არსენამაც გადასწყვიტა დაბრუნებოდა მთავრობის სკოლას. თუმცა მას გული უფრო სათავად-აზნაურო გიმნაზიისკენ უწევდა, მაგრამ ამ ხანებში ავტონომიურად მოწყობილ პედაგოგიური საბჭოს უმეტესობამ არ ისურვა მისი თანამშრომლობა.

სკოლების მაშინდელმა მზრუნველმა ზავადსკიმ ყურადღებით მოისმინა მისი განცხადება და შესთავაზა ფოთის გიმნაზიის მოსამზადებელი კლასის მასწავლებლობა, მაგრამ არსენმა ქალაქში დარჩენა ამჯობინა და ამიტომ სთხოვა, რომ ის გაემწესებინათ ტფილისის პირველ (ვერის) უმაღლეს დაწყებითი სკოლის მასწავლებლად, და რადგანაც ამისთანა თავისუფალი ადგილი არ აღმოჩნდა ხსენებულ სკოლაში, ის გამწესებულ იქმნა იმავე სკოლაში მასწავლებლის თანაშემწედ 1906 წ. 1 აგვისტოდან, ხოლო სამი წლის შემდეგ დაამტკიცეს იქვე შტატის მასწავლებლად. ამ სკოლას და თანამდებობას არსენი აღარ მოსცილებია სიკვდილამდის.

ქალაქის საღმა ჰაერმა და მუდამ ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნამ კარგად იმოქმედა არსენის დაავადებულ ჯან-ღონეზე, მაგრამ მისი საბოლოოდ გამომთელება ვერ მოხერხდა, მიუხედავად იმისა, რომ განსვენებული მეტის-მეტად უფრთხილდებოდა თავს და, რამდენათაც შეეძლო; ხელს უწყობდა.

არ. მამულაიშვილი თუმცა სუსტი და დაავადმყოფებული ადამიანი იყო, მაგრამ ყოველთვის მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყველა საზოგადო დაწესებულებაში, სადაც-კი მას უხდებოდა მუშაობა... დრო-გამოშვებით სწერდა თავის მოთხრობებს და, როგორც იტყვიან, „ცხრაკლიტულში“ ინახავდა... დიდათ პატივსა სცემდა ბეჭვდით სიტყვას, ესმოდა მწერლის პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე...

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ სიცოცხლის ახალი ძალა შთაბერა ფიზიკურად მოუძლურებულ არსენს. დაავიწყდა თავისი თავის ნებივრობა და ჩაება ყოველგვარ მუშაობაში... საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ, სხვებთან ერთად, არსენიც აირჩია საბჭოს წევრად, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადების შემდეგ ისიც შეიქმნა ჩვენი პარლამენტის წევრი.

არსენის აღფრთოვანებას ფრთები შეაკვეცა ოსმალთა ჯარების მიერ გურიის ერთი ნაწილის აკლებამ. გულმხურვალე მონაწილეობა მიიღო ტფილისში დაარსებულ გურიის დამხმარე კომიტეტის მუშაობაში, სადაც ის თავმჯდომარედ იყო არჩეული...

ამავე ხანებში მიწვეულ იქმნა ხმოსნად ქალაქის თვით-მმართველობაში...

არსენის სუსტმა აგებულებამ ვერ აიტანა ამდენი შრომა. მით უმეტეს, რომ ბოლო ხანებში, ხელმოკლეობის გამო, ველარც საკარაკოდ დადიოდა და ველარც შესაფერი ჭამა-სმა ჰქონდა... ყველამან-კი იმდენად მოაუძლურა ჭეშმარიტი ადამიანი, რომ 1918 წ. გავრცელებული ინფლუენციის („ისპანკის“) ერთი ხელის წამოკვრით დაეცა და სამი დღის ავადმყოფობის შემდეგ კიდევაც განუტევა თავისი წრფელი სული. ეს მოხდა 1918 წლ. 17 სექტემბერს. ის დაკრძალეს დიდუბეში, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

ჩვენ ძვირფას არსენს დაეჩა მეუღლე და ერთი ქალიშვილი.

ი. გ—რი.

ფირალი დავლაძე.

I

188... წ. მთელი მაისი სოფ. ს—ში გავატარე. კვირა დღე იყო. საუაძოს ასე ხუთ საათზე დაირის ხმა და სიმღერა გაისმა სოფელში. „ეე, დღეს თამაშობაა მინდორში! გზას ქვედაი და გზას ზედაი თამაშობენ!“ დაიძახა ჩემი მასპინძლის შვილმა, პატარა გიგომ და მოჰკურცხლა მინდვრისაკენ. დაირის გაგონებამ გული შემიტოკა: მომაგონდა ჩემი წარსული ბავშვობა, ის ნეტარი დრო, როდესაც მეც, პატარა ვიგოსაებრ, მოუთმენლად გავრბოდი „სათამაშოში“ გულმა ალარ მომითმინა, ავდექ და გავსწრე იქით, საიდანაც სიმღერის ხმა მოდიოდა. ორღობეში დამეწია რამდენიმე ახალგაზრდა ყმაწვილი ბიჭი, „სათამაშოში“ მიმავალი. ტკბილი „ხელხვავი“ სიცოცხლით სავსე ახალგაზრდებისა გულს მტაცებდა... აი, „სათამაშოსაც“ მიუახლოვდით. მწვანით მოსილი მინდორი საამურად ბიბინებდა. ამ მინდორს ერთი მხრით ჩაუდის სასოფლო გზა, რომელიც ოზურგეთისაკენ მიიმართება, მეორე მხრით-კი ჯაგნარი აკრავს. იქვე მშვენიერი, ანკარა წყარო ამოჩუხჩუხებს მიწიდან. მინდორში, თითქმის შუა ალაგას, სდგას ვეებერთელა კაკლის ხე, ცოტა მოშორებით—პატარა თხმელა. ხალხს ბლომად მოეყარა თავი. აგერ პაწია ბიჭები ბურთაობენ: ერთ მათგანს ბურთი მოუტაცნია და ძალზე გარბის, დანარჩენნი ჟივილ-ხივილით უკან გამოსდგომიან. „არიქა, კოწიელავ, ჰა, ჰა, ჰა!“ გაიძახის ოფლში გაწურული პატარა ბიჭი. ის საშინლად დაქანცულია, მაგრამ, გამარჯვების იმედით გატაცებული, მაინც გარბის რაც ძალი და ღონე აქვს, რომ ამხანაგს დროზე მიეშველოს, თუ საჭირო იქნება... თხმელის

ჩრდილში რამდენიმე გლეხი რაღაცაზე გაცხარებით ლაპარაკობს. კაკლის ქვეშ ახალგაზრდობა მოგროვილა. ერთი მხრით სდგანან ქალები. ამათ პირდაპირ ყმაწვილი ბიჭები გატაცებით სიმღერას ამბობენ. სასიამოვნო კრიმანჭული ცამდის ადის. სიმღერა გათავდა. „აგაშენათ ღმერთმა! კაი ხანია აღარ გამიგონია!“ სთქვა ერთმა აზნაურიშვილის მეუღლემ. ყმაწვილებმა თავაზიანათ მადლობა გადაუხადეს. ჩქარა შესდგა მოცეკვავეთა წრე. ერთმა ახალგაზრდა, მეტად შნოიანმა ქალმა აიღო ხელში დაირა. გაიმართა ლეკური. პირველად იცეკვეს პატარა ბიჭებმა; ამათ შემდეგ კოხტათ გამოსრიალდა გურულად გამოწყობილი 20—21 წლის ალექსი სანდომიძე, სწრაფად ჩამოიარა წრე, მიცურდა მოდაირე ქალთან და მოხდენილად თავი დაუკრა. ქალი არ გაჰყვა. ყმაწვილი კაცი მკვირცხლად შემოტრიალდა, მეორედ შემოუარა წრეს, ისევ იმ ადგილზე მიფრინდა და ნაზად თავი დახარა. ამ დროს ქალს რაღაცა წასჩურჩულეს ამხანაგებმა; მან დაირა სხვას გადასცა, გაისწორა თავზე აბრეშუმის ქსოვილი „ცახოცი“ და კეკლუცად გამოცურდა მწვანეზე. სწორედ საუცხოვო სანახავი იყო ეს ორი ახალგაზრდა. მე გატაცებით ვადევნებდი თვალს მათს მოხდენილ მოძრაობას, მაგრამ ამ დროს ერთმა სხვა მოულოდნელმა სანახავმა უეცრათ ბოლო მოუღო ჩემს სიამოვნებას: გზაზე გამოჩნდა ოთხი კაცი, ოზურგეთისკენ მიმავალი; სამი მათგანი თოფით შეიარაღებული გლეხები იყვნენ, ხოლო მეოთხე თეთრ-ყირმიზა 22—23 წლის ახალგაზრდა იყო. ეს უკანასკნელი კარგად გამოწყობილი იყო ჩოხაში. მის ლამაზ სახეზე სიამაყე და გამბედაობა იხატებოდა. ამათ დანახვაზე რამდენმამე გლეხმა და ახალგაზრდა ბიჭმა აჩქარებით გზისაკენ იწიეს, რომ ეცნათ პატიმარი. უკანასკნელს ეს არ ესიამოვნა და პირზე ყაბალახი შემოიხვია. გაბრიელა გლეხმა სულ ახლოს ჩაუარა და თვალებში ჩახედა პატიმარს, რომელიც ამით მეტად გაბრაზდა; „რას კრეჭ, ყაძახო, კბილებს!“ თვალების დაბრიალებით უთხრა მან გაბრიელას და გზას გაეშურა.

— კაცი რომ გადირევა და ვეღარ დიეტევა ღვთის გა-

ჩენილ ქვეყანაზე, აბა კაი რავა დაემართება იმას!—სთქვა გაბრიელამ და თვალები მე შემომაჭყიტა.

— ვინ არის ეს ყმაწვილი?—დაეეკითხე მე.

— მაი, ბატონო, ივანე დავლაძე გახლავს, გიორგი დავლაძე, მოგხსენდება, შვილია იმის. მეზობელია, აქანაი დგანა, აგერ, ყურის ძირში.

ამ პასუხმა დამაფიქრა. მე ვიცნობდი დავლაძეს, პატარაობისას მის ოჯახშიაც ვყოფილვარ. მენახა მისი პირმშო, ერთად-ერთი შვილი, პატარა ვანო. ეხლა-კი ეს ვანო, უკვე ახალ წვერ-ულვაშ აშლილი, სიცოცხლით სავსე ჭაბუკი, სატუსაღოში მიჰყავდათ...

ეხლა, როდესაც მე ამ ამბავს ვიწყებ, ივანე აღარ არის ამ ქვეყნად. მისი მოუსვენარი სიცოცხლე მეტად მოკლე იყო, მაგრამ ამ მოკლე დროშიაც ბევრი რამ მოხდა საყურადღებო.

სოფ. ნ—ი მას შემდეგ, რაც მე იქ ვიყავი, შესამჩნევად გამოიცვალა. თითქმის თვითეულს ოჯახს სხვა ფერი დაედო ამ ხნის განმავლობაში. გიორგი დავლაძის კარ-მიდამო ხომ სულ ერთიანად განადგურებულია ამ ჟამად. გამვლელს აქ აღარა მოაგონებს-რა ამ ადგილის უწინდელს დროს, არც ერთი შენობა აქ აღარ მოიპოვება. ოდესღაც ამ ადგილს მრავალი სხვა და სხვა ხეხილი ამშვენებდა, მაგრამ დღეს არც ერთი მათგანი არ მოსჩანს, ყველა გადაუჩეხიათ. თვით ის ოუც, რომელიც დავლაძის ოდას გვერდით ჩაურბოდა და აქაურობას აცოცხლებდა, ეხლა სრულიად ამომხმარა. როცა უყურებ ამ გაპარტახებულ კარ-მიდამოს, მე მაგონდება მისი წარსული, მაგონდება თვით გ. დ—ძე მისი ცოლ-შვილით და ამიტომ მსურს შეძლებისამებრ გავაცნო მკითხველს ეს ოჯახი და მისი თავგადასავალი, ვუამბო ის, რაც ჩვენ მეხსიერებას შერჩენია.

187... წელს გურიაში ცხელი ზაფხული იყო. მარიამობისთვე იდგა. მე მაშინ სკოლის შეგირდი ვიყავი. სწავლის დაწყებამდის ჯერ კიდევ ორი კვირა დარჩენილიყო და ეს

დრო უნდა გამეტარებინა ჩემი მოყვარე ქალისას. სოფ. ს—ში, რადგან იქ უფრო გრილა და საუცხოო ჰავაც არის. მეორე დღე იყო, რაც ს—ში ამოვსულიყავ ოზურგეთიდან. მე დავალებული მქონდა გიორგი დავლაძისას მისვლა და მისდა წერილის გადაცემა, რომელიც ერთმა ჩვენმა ნაცნობმა გამომატანა. ს—დან სოფ. ნ—მდის, სადაც გიორგი დავლაძე ცხოვრობდა, დიდი მანძილი არ იყო, ამიტომ დაუყოვნებლივ ფეხით გზას გავუდექი და გზის მაჩვენებლად ერთი პატარა ბიჭი წავიყვანე. მზე კარგა გადახრილიყო, როდესაც ჩვენ ნ—ის სასოფლო შუკაში შევედით. ჩემს თანამგზავრს გზა დაებნა და აღარ ვიცოდით, საით წავსულიყავით. ამ დროს წინ შეგვეხეჩა მხარზე თოხ-გადებული ერთი გლეხი, რომელიც სადღაც მიეშურებოდა.

— გამარჯობა შენი!—მივაძახე მე.

— გაგზარდა დმერთმა!

— გიორგი დავლაძე სად დგას?

— გიორგი დავლაძე აგერაა აქანაი. ამ შუკას რაეაც გაათავებ, მაღალ ჭიშკარს დეინახავ და იმაში ჩადით. მარა ძაღლმა არ გიკბინოს, ჯოხი დეიკავე ხელში.

ჩვენ ჯოხები მოვიმზადეთ, მადლობა ვუთხარით და წავედით. მართლაც, იმ შუკის თავში ერთი პატარა მინდორი გამოჩნდა და იქვე, მარჯვნივ, ყავრით დახურული ჭიშკარი. ჯერ ჭიშკარში არცკი ჩავსულიყავით, რომ ძაღლებმა შეგვამჩნიეს და ყეფით ჩვენსკენ გამოიქცნენ. ჩვენ შეგვეშინდა და ღობეზე ავედით.

— ე, ბიჭო, ვინცხა ბაღნებია ეგერ, ძაღლებმა არ დაჭამოს!—ბოხის ხმით დაიძახა ვიღამაც. მსახური ჩქარა მოგვეშველა და ძაღლები გარეკა. ჩვენ ეზოში ჩავედით. აქ იდგა ერთი სამ-ოთახიანი ოდა, სამზარეულო სახლი, სიმინდის ნალია და ბეღელი. ეზო სუფთა იყო, მწვანე ბალახით შემოსილი. ოდის აივანზე იჯდა მასპინძელი, ასე 45 წლის, ცოტა ქაღარა შერთული კაცი. მას წვერი მოპარსული ჰქონდა და გძელი ულვაშები რაღაც თავისებურ გამომეტყველებას

აძლევდნენ მისს პირისახეს. იჯდა მოაჯირზე ნიდაყვ-დაყრდნობილი, ცალს ხელში ჩიბუხი ეჭირა და თამბაქოს აბოლებდა. მე აივანზე ავედი, სალამი მივეცი და მისვლის მიზეზიც ავუხსენი.

— ვისი ხარ, ბიძია, შენ?—დამეკითხა მასპინძელი.

მე ჩემი ვინაობა ვუთხარი.

— საწყალი სიმონ!—განაგრძო მან.—მამა შენი კაი მეგობარი კაცი იყო ჩემი.—ამ სიტყვებით წერილი ჩამომართვა და ოთახში შეეიდა. მე აივანზე დავრჩი.

— აა, სოფიო, ნესტორს აგერ რაცხა წიგნი გამუუგზანია, წეიკითხე ერთი!—უთხრა გიორგიმ ცოლს და წერილი მიაწოდა.

— რა მინდაო აწი ნეტაი!—გაიკვირვა სოფიომ.

— რა ვიცი მე! რაცხა უნდა, წიგნში იქნება.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— უი, რაცხა მოცლილი ყოფილა იგი!—დაიწყო სოფიომ.

— რა იყო?

— მოჯამაგირე ბიჭი მიშოვნეო, შამუუთვლია.

— ბიჭი ჩემდა ვერ მიშონია მე,—წაილუღლუღა უკმაყოფილოდ გიორგიმ.—მისწერე მაინც, რომ საცდელს არ დავაკლებ[1]) და თუ გამოჩთა რამე ხეირიანი, გამოგიგზანი-თქვა.

— სად იშონი ახლა ბიჭს ასთე უცბად?—შეეკითხა ცოლი.

— მისწერე, ოჯო, ვიშონი თუ არა, მაინც ასე სჯობს.

— ვინ მეიტანა აი წიგნი?

— აგერ ბაღანაია. შამოდი, ბიძია, აგერ ოთახში,—გამომძახა მასპინძელმა.

მე შეეედი.

— აი ბაღანაი საწყალი სიმონ ა—ლის შვილია, —დაიწყო გიორგიმ.

— დასტურ, რავა, რაფერ გაბედა ამხელა ბაღანამ

ოზურგეთიდან წამოსლა. მარტუაი ხარ, თუ გახლავს ვინმე? —დამეკითხა სოფიო.

მე მინდოდა პასუხი მიმეცა, მაგრამ ამ დროს ეზოდან ბავშვის ტირილი მოისმა. ოდის კიბეზე ამოვიდა მოსამსახურე, ყმაწვილი ბიჭი, მას მოსდევდა 4-5 წლის თმა-ხუჭუჭა, მშვენიერის სახის ბავშვი, რომელიც ბიჭს ებღაუჭებოდა და ტირილით ეუბნებოდა:

— მომეცი, ბიჭო!

მსახური ოთახში შემოვიდა. ხელში დიდი დანა ჰქონდა.

— რას ატირებ, ბიჭო, ამ ბაღანას?—გაუჯავრდა გიორგი.

— ა, ბატონო, დაუკავებია ხელში ამხელა დანა და უჩახუნებს ყოლიფერს,—დაიწყო მოსამსახურემ:—რომ რამე იტკინოს, მერე მე გამიწყრებით, რეი...

— უი, შე დილენჯო, შენ!—გააწყვეტინა სოფიომ.—ამიზა ააატირე მერე? ჩელტაძის მუნიანი ყაზილარი ხომ არ გგონია!

— ბატონო, რავა, დანა გამუართვი ბაღანას, სხვაი არაფერი დამიშავებია, მგონია. აგერაა აი დანა და რავაც გინდებიენ, ისე ქენით.

— ნუ ტლიკინობ ბევრს!—შეუტია სოფიომ მოსამსახურეს.—მოდი, ნენა, შენი ჭირიმე, ვინ გაგიბედა შენ ატირება,—მიუალერსა შვილს და მიაწოდა მას დანა.—მაგ გადათრეულს ვინ კითხავს, ნენა!

— აა, შენ... გლახავ...—ბუტბუტებდა ბავშვი, დედის სიტყვებით წაქეზებული, და დანით ხელში მოსამსახურისაკენ იწევდა, დარტყმით ემუქრებოდა. ბავშვის ასეთის საქციელით კმაყოფილი სოფიო მივარდა შვილს, ხელში აიყვანა და დაჟინებით კოცნა დაუწყო, შემდეგ, როცა გული იჯერა, ტახტზე დასო და მზრუნველობით შუბლზე ხელი გადაუსვა.

— დედავ, ცხელია ბაღანაი, რა დიემართა, ღმერთო მომკალი! ლა ტივა, ნენა, შენი ჭირიმე?—მოქცეულის კილოთი დაეკითხა დედა.

— რავა, ბაღანაი ამ დღეი სად დეიარება, ღმერთის მეტმა

კაცმა არ იცის და ავათ გახდება, აბა კაი რაება დიემართება ვი-
თამ!—უკმაყოფილოდ შენიშნა გიორგიმ

— ნეტაი ახირებული ლაპარაკი არ იცოდე! · გაჯავრე-
ბით წამოიძახა სოფიომ, ბავშვი აიყვანა ისევ ხელში და ოთახ-
ში სიარულს მოჰყვა.—ე, ნენა, ძამიეი აგერ,—ანიშნა შვილს
ჩემზე.

— ერთი დასწერე წიგნი ბარემ, აი ბალანაი იცდის,—
მიუბრუნდა ცოლს გიორგი.

— ბიჭო, დამიძახე ერთი ციცას!—უბრძანა სოფიომ.
მოსამსახურე გოგოც შემოვიდა.

— წადი, ცავ, ბესარიონისას, ერთი საწერ-ყალამი
მათხუეთქვა ელანძე,—უთხრა სოფიომ.

გოგო კარებისაკენ გაბრუნდა, მაგრამ პატარა ვანომაც
მასთან წასვლა მოინდომა.

— მე წავყობი, ნენა! იქინეი პაწაი კეკულებია.

— არა, ნენა, შენ ავათ ხარ, შენი ჭირიმე,—დაუყვავა
შვილს სოფიომ.

— აბა, მე მინდა,—ტირილით ამბობდა ბავშვი და თავის
განთავისუფლებას ცდილობდა.

— კი, ნენა, ბატონო, კეკულას აქანაი მუაყვანიებ,
შენი ჭირიმე. კამფეტი გინდა, ნენა, კამფეტი?

მაგრამ ბავშვს აღარა ესმოდა-რა დედისა, ის გაანჩხლე-
ბული ჰყვიროდა, ხელებს ასავსავებდა.

— აბა... აბა, არ მინდა... წავყობი!—სულ ამას გაიძა-
ხოდა. დედ-მამა ვერას გახდნენ: ბავშვმა თავისი გაიტანა.

მე იმ ღამესვე დავბრუნდი ს—ში.

II

გიორგი დავლაძემ თითქმის მთელი თავისი ყმაწვილობა
მილიციის დრუჟინაში გაატარა. ის ჯერ კიდევ 22 წლის
ახალგაზდა იყო, როდესაც სამხედრო სამსახური დაიწყო.
რამდენისამე წლის შემდეგ გიორგი „ვახმეისტარი“ შეიქმნა
და წმ. გიორგის ჯვარიც გულს უმშვენებდა. გიორგი ფიქრობ-

და ამით დაესრულებინა თავისი სამხედრო მოღვაწეობა, რადგან ახლა ცოლი შეირთო და ოჯახში ცხოვრება განიზრახა, მაგრამ მისი მეუღლე, სოფიო, ამის წინააღმდეგი იყო: „სანამდი ჩინს არ იშონი, სახლში მოსელა არ იფიქრო“-ო, ასე ეუბნებოდა ის თავის ქმარს. მართალი რომ ვთქვათ, გიორგი თითონაც ხშირად ოცნებობდა „ჩინზე“; ამიტომ ცოლს დაეთანხმა და ჯერ კიდევ სამსახური ამჯობინა. ამ დროს რუს-ოსმალთა ომი ასტყდა. გიორგი, როგორც იყო, ეღირსა პრაპორშჩიკის ეპოლეტებს და, ომის გათავების შემდეგ, სრულიად დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან. გიორგი პირველად თავის უფროს ძმასთან თევდორესთან ერთად დასახლდა. მაგრამ რძლები ვერ მოეწყვნენ ერთმანეთს. სოფიოს უნდოდა ოჯახში უპირატესობა ჰქონოდა. უფროსი ძმის ცოლმა დიდხანს ითმინა, ბევრი შეურაცყობა აიტანა, მაგრამ ბოლოს ამასაც დაეკარგა მოთმინება... სოფიო მუდამ იმას ჩასჩიჩინებდა ქმარს, რომ „ჩვენ წილი უნდა გვეკუთნოდეს საზიარო ქონებიდან; შენი სამსახურში ყოფნის დროს თედორე სულ თავიზა ხარჯავდა ყოლიფერსო.“ გიორგი ყოყმანში იყო: არ იცოდა, გაჰყროდა ძმას, თუ არა. „რა მენაღვლება, მე კი ბატონსავით უნდა მარჩინო და შენ, თუ გინდა, რაც გაქ, იგიც გააჩუქეო,“ ხშირად განუმეორებდა ქმარს გაბრაზებული სოფიო.

ბოლოს ძმათა შორისაც უსიამოვნება ჩამოვარდა. ამის შემდეგ ერთად ცხოვრება შეუძლებელი იყო. ძმებმა გაიყვეს საზიარო ქონება და სამუდამოდ გაიყარნენ. მამა-პაპეული ოდა უფროსმა ძმამ დაინარჩუნა: გიორგიმ თავის წილში ფული მიიღო, ამას ცოლის მზითევიც დაუმატა და ამ ნაირად ლამაზად მოაწყო ოჯახი. მამულიც გვარიანად ჰქონდა, ასე რომ ერთს დროს გიორგი ღარიბ აზნაურად არ ჩაითვლებოდა გურიაში. მეზობლები ჰფიქრობდნენ, რომ ომიანობამ ძალიან უშველა გიორგისაო: „პაპოთობა არ შამოსწრობოდა, ნახავდა მის სეირსო,“ ამბობდნენ ზოგიერთნი. სოფიოს ერთი შვილის მეტი არ გასჩენია. მშობლები თავს ევლე-

ბოდნენ პატარა ვანოს და ნებივრობაში ზრდიდნენ მას. ბავშვს რომ თავი წარმოსტკენოდა, ერთს ალიაქოთს ასტეხდნენ, ათასს რამეს „შემოარებდნენ თავზე“, წირვას გადაუხდიდნენ, „ნაბრალევი არ იყოსო“. როცა ვანო რვა წლისა გახდა, მამას უნდოდა დროებით სასოფლო სკოლაში მიეგზავნინა, მაგრამ სოფიო ამის წინააღმდეგი შეიქნა: „რა დროის მაგის სტავლაა ჯერ, ბაღანამ ერთცახე წამეიზარდოსო“.

დავლაძეებს უყვარდათ სტუმრობა; მათი ოჯახი ყოველთვის გულუხვი იყო სტუმრისათვის. 15 აგვისტოს, ნ—ის ეკლესიის დღეობას, გიორგის მუდამ დიდი წვეულობა ჰქონდა. მეუღლენი ამ დღისათვის დიდს სამზადისში იყვნენ და ცდილობდნენ უფრო რჩეული სტუმრები მიეწვიათ სადილზე. ამით სოფიოს დიდად მოჰქონდა თავი; იმას უნდოდა ყველაფერში პირველობა დასჩემებოდა, ამისთვის, რასაკვირველია, ხარჯსაც იმდენად არ ერიდებოდა. „ძალიანიც რომ მიჭირდეს, მტერის ჯინზე, მაინც არაფერს მევიკლებო,“ ფიქრობდა სოფიო.

ამასობაში ოჯახი თან-და-თან უკან მიდიოდა. გიორგის რაც ფული გააჩნდა, სულ შემოეხარჯა და მარტო მამულის ანაბარა დარჩა. მამულს პატრონობა უნდოდა, მოვლა ეჭირვებოდა; გიორგი-კი მუშაობას ჩვეული არ იყო ის მუდამ „პახოთობაზე“ ოცნებობდა, იმით აპირებდა გამდიდრებას. „ნეტაი ჩხუბის თუ რამე იყურება?“ ეკითხებოდა ის ყველას, ვისაც-კი ევროპიულად ჩაცმულს შეხვდებოდა. საყანედ გაცემული მამული ვერ აკმაყოფილებდა ცოლ-ქმრის ყოველ სურვილს. ამიტომ მამა-პაპეულს მიწას მიჰყვეს ხელი და ცოტ-ცოტაობით ჰყიდდნენ მას...

გიორგი ცოლ-შვილს მუდამ პატივით ეპყრობოდა, მათი სურვილის წინააღმდეგობას როგორლაც ვერ ახერხებდა. სოფიომ კარგად იცოდა ქმრის ხასიათი და ამით ხშირად სარგებლობდა თავის ჟინის ასასრულებლად. მე თავის დღეში არ დამავიწყდება ის უსიამოვნო შემთხვევა, რომელიც გიორგის

ცოლის მიზეზით მოუვიდა. ამ შემთხვევამ დიდი მითქმა-მოთქმა და ჭორები აღძრა ნ—ში.

სულ უბრალო გარემოებამ-კი გამოიწვია ეს უსიამოვნება. გიორგის მეზობლად ცხოვრობდა გლეხი, ტიმოთე კანლაძე. სოფიოს ძალიან ეჯავრებოდა ტიმოთე, რადგან ის თევდორეს მეზობლობდა და იმისი მხარე ეჭირა. „დედა-მისის შვილია, დააბიჯოს ჩემს ადგილში ფეხი, მტერობა რავა უნდა, ვაჩვენებ მე იმასო,“ ამბობდა სოფიო. მართლაც, ტიმოთე მეტად შეეიწროვებული იყო გიორგის მიერ: საურმე გზა დაკავებული ჰქონდა მისგან; ამაზე საჩივარი სწარმოებდა სამსჯავროში. შინაური პირუტყვი, თუ-კი რამ გააჩნდა, სიმშილით ეხოცებოდა ტიმოთეს: საძოვარი ადგილი მას თავისი არ ჰქონდა და ეზოს იქით-კი ვერ გაუშვებდა საქონელს, რადგან გიორგი ყველაფერს დაიქერდა, რასაც-კი თავის მიწაზე მოახელებდა. სოფიო გულზე სკდებოდა, რომ ტიმოთე, ეს ღარიბი და მეტად შეეიწროვებული გლეხი, წელებზე ფეხს ადგამდა და შვილს-კი სკოლაში ზრდიდა. „ქვეყანა რავა არ დეიქცევა, რომ კიმოთაის შვილიც კლასში დეიარებაო,“ ხშირად იტყოდა ბრაზმორეული სოფიო.

ერთ დღეს პატარა ვანო მეზობლის ბავშვებთან თამაშობდა. საღამოზე ის მივიდა ტალახში ამოსვრილი და ტირილით დედას შესჩივლა: „კიმოთაის ნიკოიამ გამლახა და ტალახში ჩამაგდოო.“ გიორგი შინ არ იყო. სოფიო ცეცხლივით ადგა, გაბორკოტებული გარეულ გამოვარდა, ტიმოთეს ეზოსთან მიიჭრა და ლანძღვა-გინება დაიწყო. ამას ტიმოთეს ცოლის პასუხიც მოჰყვა. რაღა საჭიროა იმისი განმეორება, რაც აქ ითქვა... ვიტყვი მხოლოდ, რომ სოფიო ამის შემდეგ კიდევ უფრო გაწიწმატდა. სწორედ ეზოში ჩაუვარდებოდა, ხელ და ხელ ეცემოდა ის თავის მოწინააღმდეგეს, რომლისაგანაც ასეთ კადნიერებას არ მოელოდა, რომ იქვე ტიმოთე არ შეემჩნია.

ამასობაში გიორგიც მოვიდა შინ. სოფიო ოდის წინ

იდგა და გაკაპასებული კიდევ ილანძღებოდა. ქმრის მოსვლა არ გაუგია მას.

— რა ამბავია?—იკითხა გაოცებულმა გიორგიმ.

— ოი, რეიზა ჩამაგდო ღმერთმა შენს ხელში, რეიზა დამსაჯა!—მიუბრუნდა ქმარს სოფიო.

— რა ამბავია-მეთქი, აღარ მეტყვი?

— წუწკმა მოჯალაბე ყაძახმა რომ თავი ეიგდო და...

— შენი მოჯალაბე შენ შინ გიგდია, შენ დასტურ წუწკო!—მოისმა მოთბინებიდან გამოსულის ტიმოთეს ხმა.

— ხომ გეყურება შენი დასავსები ყურებით!—მივარდა სოფიო ისევ ქმარს,—რაღა სასიცოცხლო ხარ ამის იქით, რომ ყაძახი გლანძღავს და შენ გაჩუმებული უყურებ!—ამბობდა გაცოფებული და თან ქმარს ანჯღრევდა.

— თუ არ გადირია აი ქალი! ყაძახს ეზოში რაფერ ჩაუვარდე?— ამბობდა დაბნეული გიორგი.

— ოი, გამოგწყვეტს ღმერთი, გამოგწყვეტს!—გააწყვეტინა ცოლმა.—შენ თუ დაგაგლახებს შენი გამჩენი, მაშინ მე ვიცი, რაც უნდა!

ამ სიტყვებით სოფიომ ხელი წამოავლო დიდ ქვას და გაექანა ტიმოთესაკენ, რომელიც თავის ეზოში ლობესთან იდგა. გიორგიმ აქ-კი ვეღარ შეიკავა თავი. ცოლის ასეთმა საქციელმა მასზე დიდად იმოქმედა. ერთ წამს მან თავისი თავი შეუარცხყოფილად იგრძნო, სისხლი თავში აუვარდა და მთლად აირია. როგორღაც, თავისდა შეუმჩნევლად, მან იძრო ხმალი და თვალის ღახამხამებაში ტიმოთეს ეზოსთან გაჩნდა, სადაც ამ დროს ერთი ალიაქოთი იყო: ცოლი ემუდარებოდა ქმარს.

— ერთი ცახე უკან დეიწიე, მაგ შეჩვენებულს ნუ აყობი, რა ვიცი, ეშმაკს არ სძინავს!..

შეშინებული ბავშვები საზარლად ჰყვიროდნენ, მაგრამ ტიმოთე არავის ყურს აღარ უგდებდა, ის უძრავად ერთ ადგილზე იდგა. გიორგი მიუახლოვდა ტიმოთეს, ხმალი მოიმარჯვა და ის იყო გულში უნდა ეძგერებინა მისთვის, მაგრამ ამ დროს

დიდმა როკის სარმა შეითამაშა ჰაერში და თავ-გატეხილი გიორგი თხრილში ჩაგორდა. მეზობლებმა დიდის გაჭირვებით მოაშორეს ამ ადგილს გაფითრებული ტიპოთე. „აა. შე... სიცოცხლე ხომ გამიმწარე და ახლა ჩემს ეზოშიც აღარ მაყენებ?“ ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოსთქვა მან, როდესაც სახლისკენ მიჰყავდათ.

ამ შემთხვევის შემდეგ გიორგი მთელი თვე გარეულ აღარ გამოსულა. „გათავებულია, ერთ დღეს მაინც შამომაკტეს მაი ყაძახიო“, იტყოდა ის ხშირად.

ვანო ათი წლის გახდა. ჯერ კიდევ შინაობაში „ანბანს“ სწავლობდა. ერთხელ გიორგისას სტუმრად ამოვიდა ოზურგეთიდან ერთი შორეული მოყვარე ქალი. ამ მანდილოსანმა მეტად გაიკვირვა, რომ ამოდენა ბავშვი მშობლებს აქამდე სკოლაში არ მიებარებინათ.

— ვაი, მესი ჭირიმე, რამხელა გაზდილა!—დაყვავებით უთხრა მან ვანოს.—კი, მარა აი ბალანაი კლასში რეიზა არ შეიყვანეთ აქამდი? რას უყურებთ ნეტაი?—იკითხა სტუმარმა

— სოფიოს რომ კითხო, ჯერ ადრეაო. რავა დაგიჯერებს რამეს, თუ რა გინდა!—სთქვა გიორგიმ.

— ჩემს მტერს დიემართა აი, ბატონო!—განაგრძო სტუმარმა.—ამხელა ბაღნები ახლა მეორე და მესამე ადანალიაში არიან და თქვენ კიდო ადრეაო, იძახით. ახლავე მიეცი თხოვნა და ენკენისთვეში მიიღებენ,—მიუბრუნდა ის გიორგის:—მაგას ჩემს იქით არსად არ გუუშობ და ხარჯსაც არ გამოგართუმ. ნეტაი მაგისი სტავლა-კი მეღირსებოდეს და რავა დავზოგავ რამეს! ხომ-კი ისტავლი, ნენა, კლასში?—დაეკითხა ვანოს.

როგორც იყო, მშობლებმა გადასწყვიტეს შვილის ოზურგეთში გასტუმრება. ენკენისთვეში ვანო მიღებულ იქნა სამოქალაქო სასწავლებელში. საცხოვრებლად ბავშვი, რასაკვირველია, დააყენეს მოყვარე ქალისას, რომელმაც, რაკი სიტყვა საქმეზე მიდგა, ერთიორად მოითხოვა ხარჯის ფასი, თითქო სრულიად დააეიწყდა თავისი დაპირებაო. გიორგიმ

ყველაფერი აღუთქვა, ოღონდ „ბაღანას კარგად მოხედეო.“ ვერიჩკამ (ასე ეძახდნენ მოყვარე ქალს), თუმცა დიდად დაეიმედა გიორგი, მაგრამ თავისი მოვალეობა სრულიადაც არ შეასრულა. ბავშვი ხეირიან საკმელსაც-კი მოკლებული იყო. მასპინძელი ხშირად გზავნიდა პატარა მოსწავლეს თავის საქიროებისათვის: ხან დუქანში და ხან „საპარასკეოზე“. აქ ვანომ ჩქარა გაიცნო ხილით მოვაჭრე ბიჭები, რომლებთანაც ის ხშირად მოდიოდა, მათთან თამაშობით ერთობოდა. აქ მას მოჰქონდა სხვა და სხვა სახელმძღვანელო ნივთები და ხილეულობაში სცვლიდა.

ვანო ბუნებით ნიჭიერი ყმაწვილი იყო, მაგრამ სკოლა იმ თავიდანვე შეიძულა. გაკვეთილებს ხშირად აკლდებოდა, ხან რას მოიმიზეზებდა და ხან რას. სამი წელიწადი დაჰყო მან ერთსა და იმავე კლასში. ბოლოს დედ-მამას გამოუცხადა: „მე სასულიერო კლასი მირჩონია, იქინეი უფრო ვისწავლიო.“ ამაზე მშობლებიც დასთანხმდნენ და ვანო სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს.

— ჩემი ბატონი, რეიზა გამეიყვანეთ ვანო სახორციელო კლასიდან? — ჰკითხა სოფიოს ერთმა გლეხის ცოლმა, რომელიც შვილის გაგზავნას აპირებდა ოზურგეთში, სასწავლებელში მისაბარებლად.

— ბეჩა, სახორციელო კლასი რათ ვარგა! — მიუგო სოფიომ: — კლასების მაგიორად იქინეი ადანალიებია, პაწაი სტავლაა. ჩვენ იქინეი-კი არ შევიყვანდით ბაღანას, მარა იმ დაწყეველილმა ვერიჩკამ მოგვატყუა. კლასი ხუცის კლასია! ოთხი კლასია და ძალიან დიდი სტავლაც არის; იქინეი ლათინურს ასტავლიან და სახორციელოში სადაა რამე!

მშობლების იმედი არ გამართლდა: სასწავლებლის გამოცვლამ საქმეს ვერ უშველა. ვანომ ვერიჩკას თავი დაანება და რამდენიმე ამხანაგთან ერთად ცალკე სადგომი დაიქირა ერთს მახლობელს სოფელში და თავის ნებაზე დაიწყო ცხოვრება. ამ დროს ვანომ ბევრი უკეთესობა ჩაიდინა. მეზობლები არ ემადლიერებოდნენ მას, სასწავლებელშიაც ცუდის თვალით უყუ-

რებდნენ. არა ერთი და ორი გლეხი მისულა სასწავლებლის უფროსთან და შეუჩივლია მისთვის: „თქვენმა უჩენიკებმა ძალიან შეგვაწუხეს, ერთის სიტყვით, ყანაში სიმინდი აღარ შეგვარჩინეს და ხეზე ყურძენიო.“ დამნაშავეთა მოთავედ უფრო ხშირად დავლაძეს ასახელებდნენ. არც ერთი ბურთის თამაშობა „ღანველის“ მინდორში ისე არ გათავდებოდა, რომ ვანოს ვისმესთვის ჩხუბი არ აეტეხნა. ამასობაში მან მთლად აიკრუვა გული სწავლაზე.

— რაა, ბაბა, ვუშინდელმა შესულმა ბაღნებმა რომ წინ გაგისწრეს! აღარ გცხონია?—უსაყვედურა ერთხელ შვილს გიორგიმ.

— უჩიტლები მემტერებიან და მე რა ვქნა! ყოლიფერი ვიცი, მარა მაინც არ გადამიყვანეს,—მიუგო ვანომ.

სამოსწავლო წელიწადი გათავებული იყო, ზაფხული იწყებოდა. კვირა დღეს სასწავლებელში შეკრებილს მოსწავლეებს საპედაგოგიო სიბჭოს დადგენილება წაუკითხეს და ნიშნებიც დაურიგეს. ვანო უკმაყოფილო დარჩა ცუდის ნიშნებით. მან მასწავლებელს შეურაცხყოფა მიაყენა სიტყვით, თანაც დაემუქრა და ქუჩაში გამოვარდა. ამის შემდეგ მეორე კლასის მოსწავლე, 18 წლის ვანო დავლაძე, დათხოვნილ იქმნა სასწავლებლიდან, როგორც „უნიჭო“ და ცუდის ყოფა-ქცევის შეგირდი. სოფიო და გიორგი სრულიად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იმათს შვილს მასწავლებლები ემტერებოდნენ და ამიტომ ვანოს საქციელი არაფრად გაჰკვირვებიათ.

— მე ქე ვთქვი, ხუცის კლასი არ ივარგებს-მეთქი, მარა შენ დუუჯერებ კაცს! — უსაყვედურა ცოლს გიორგიმ.—სახორციელო კლასში რომ ყოფილიყო ბაღანაი, იგი არ ჯობდა? სტაელა არააო, დეიჩემა!

— ასეი იცი შენ! თუ რამე წახდა, მე დამაბრალებ მაშვინათე! მაშვინ სად იყავი, თუ ყოლიფერი იცოდი? ვერ შეიტყვე კარგად, რაფერ იყო!—გაჯავრდა სოფიო.

III

გავიდა სამი წელიწადი. ვანომ, სასწავლებლიდან გაჰო-

სოფლის შემდეგ, ბათომში წასვლა მოისურვა. აქ ის რამდენიმე თვე უსაქმოდ ცხოვრობდა. თითონაც არ იცოდა, რისთვის ჩამოსულიყო ბათუმში. შრომა და სამსახური მას არა სურდა. მშობლებს-კი სწერდა: „ამ პატარა ხანში სამსახურში მიმიღებენ, მარა ჯერ ფული მჭირია და რაცხაფერაი ადრე გამომიგზანეთ, თვარა საქმე დამიკბოლდება.“ გიორგის და სოფიოს სჯეროდათ შვილის სიტყვები. თავის სარჩო-საბადებელს ჰყიდნენ ცოტ-ცოტაობით და ვანოს ფულს უგზავნიდნენ. „ღმერთმა თუ იმის ჩინონიკობა-კი მომასწრა, მერე რაღა მიჭირს, ადგილსაც-კი იყიდის და ყოლიფერს,“ ამბობდა სოფიო. მაგრამ ვანო ამაზე სრულიადაც არა ჰფიქრობდა; ის მხოლოდ იმის ცდაში იყო, რომ დღე და ღამე ლხინსა და ქეიფში გაეტარებინა ახლად გაცნობილ ამხანაგებთან ერთად.

ვინ იცის, რა მოუვიდოდა ვანოს ბათუმში (იქნება საპყრობილეშიაც-კი შებრძანებულიყო), რომ ამ დროს, მოულოდნელად, დეპეშა არ მიეღო მამისაგან, რომელიც აუწყებდა მას დედის ავადმყოფობას და საჩქაროდ სახლში იწვევდა. ვანომ დედას ვეღარ მოუსწრო ცოცხალს. სოფიომ სიკვდილის წინად მოიხმო ქმარი და უთხრა: „შენ იცი, რავა მიხედავ იმ ბალანას, კარგა შუუწყვე ხელი და კაი მზითვიანი ქალი შერთე, ფუტი არ გააცივო.“

ვანო, მამის თხოვნით, სახლში დარჩა და ვითომ ოჯახობას მიჰყო ხელი, მაგრამ უფრო დასაძინებლად თუ მოდიოდა შინ, დანარჩენ დროს-კი მეზობლებში ატარებდა. ხშირად ოზურგეთში მიდიოდა და ხან-და-ხან მთელის კვირაობით. იქ რჩებოდა...

ერთს კვირა დღეს გლეხს სამსონ ტარაძეს ნათლობა ჰქონდა. სამსონ კარგათ შეძლებული გლეხი იყო: საკმაოდ მოზრდილი ოდა, ორი სამზარეულო სახლი, ბეღელი და ნალია ეზოს უმშვენებდნენ. სამსონი წინედ ვაჭრობდა ოზურგეთში და ერთს დროს შეძლებულ ვაჭრადაც ითვლებოდა. ამ დროს მან შეირთო აზნაურის ქალი, მაკრინე. მაგრამ ვაჭრობაში სამსონს ბედმა მალე ულალატა; ის ერთობ გაღარიბდა. მაშინ ვაჭრო-

ბას თავი დაანება და ოჯახს მიუბრუნდა. მერე სოფლის მამასახლისად იქმნა არჩეული. ამ თანამდებობაში კარგად მოითბო ხელი, მაგრამ ადრე გაუგეს ეშმაკობა და გამოცვალეს. ახლა ის იჯარებს იღებდა, გზებსა და ბოგირებს აკეთებდა. ამისთვის საჭირო იყო ვინმე „ფულიანი კაცი", რომელსაც გაჭირვებაში დახმარება შესძლებოდა. ამისთანა კაცად სამსონმა აირჩია ნიკო კანლაძე, შვილი ტიმოთე-კანლაძისა.

ტიმოთემ თავისი უფროსი შვილი, 12 წლის ნიკო სასოფლო სკოლიდან გამოიყვანა და ოზურგეთში ერთს ვაჭარს მიაბარა.

— შენი ღვთის გულიზა აი ბალანაი გამიზარდე, ვაჭრობაში გამოაჩვიე და ხუთი-ექვსი წელიწადი ტყუილაი იმსახურე; ეგება რამე დროში კაცი შეიქნეს,—შეევედრა ვაჭარს ტიმოთე.

ვაჭარმა მიიღო ბავშვი და დაჰპირდა ტიმოთეს, თუ ყოჩაღად იქნება და ბეჯითობას გამოიჩენს, სამი წლის შემდეგ ჯამაგირსაც დაუნიშნავო.

— შენ იცი და შენმა ღმერთმა! მე ერთი საწყალი კაცი ვარ და მაგ სიკეთეს ღმერთი თუ გადაგიხდის, თვარა მე სად შეშიძლია!—უთხრა გახარებულმა ტიმოთემ.

ნიკომ ჩქარა შეისწავლა ვაჭრობის წეს-რიგი; ის ყოველთვის მკვირცხლად, ბეჯითად და დაუზარებლად ასრულებდა ბატონის ბრძანებას. ნიკო ვაჭრობაში კარგად გაეარჯიშდა, მაგრამ ამასთან ბევრი არა-სასიამოვნო თვისებაც დასჩემდა. ამხანაგების წახედვით მან კარგად შეამჩნია, ვისგან შეიძლებოდა უვარგისს საქონელში მეტი ფასის აღება. მან იცოდა, რომ სოფლელი ვერ არის დახელოვნებული ვაჭრობაში და სწორედ ამით სარგებლობდა ჩვენი პატარა მოვაჭრე და სრულიად უბრალო ნიეთსაც კი მამასისხლად ასაღებდა. ამ ხერხს ხშირად ხმარობდა ის, რომ თავის „ხაზეინის" ყურადღება მიეპყრა. ამ უკანასკნელსაც მოეწონა ნიკო და ორი წლის შემდეგ ჯამაგირი გაუჩინა. ნიკო სულ იმაზე ოცნებობდა, რომ „ფულიანი კაცი" გამხდარიყო როგორმე. ის შეეჩვია

უფროსებთან თავის მოკატუნებას, მათდა სასიამოვნოდ არაფერს არ დაიშურებდა. წერა-კითხვა ნიკომ სასოფლო სკოლაში შეისწავლა, მაგრამ ახლა ამაზე აღარ ფიქრობდა, წიგნს ხელშიაც არ აიღებდა. ხუთის წლის შემდეგ ნიკო, უკვე ვაჭრობაში დახელოვნებული ახალგაზდა, ბათუმში გადავიდა. იქ ერთ მდიდარ ვაჭართან კარგს ჯამაგირში დადგა და შემდეგ მასვე გაუამხანაგდა. დღეს ნიკო 27—28 წლის ახალგაზდა კაცია და თავის საკუთარი ვაჭრობა აქვს ბათუმში. იმას ჯერ დიდი შეძლება არა ჰქონდა, მაგრამ თავის გამოჩენა კი დიდად სურდა. ბავშვობიდანვე შესისხლხორცებული ჰქონდა ის აზრი, რომ „მტერის ჯინზე კაცი“ გამხდარიყო და ეხლა ცდილობდა ქვეყნისთვის დაენახვებინა, თუ რამდენად მდიდარი და შეძლებული იყო. ამიტომ ნიკო, შინაობაში თითქმის ძუნწი კაცი, გარეგ, „ქვეყნის შესახედავად,“ ყოველთვის თავმომწონედ გამოდიოდა. ის უფრო ევროპულ ტანსაცმელს ხმარობდა.

აი, სწორედ ეს ნიკო გახლდათ ნათლია ს. ტარაძისა. სტუმრები აივანზე ისხდნენ და ნიკოს მოსვლას ელოდნენ. შეკრებილ საზოგადოების ყურადღებას იქცევდა ახალგაზდა ქალი. ნინო ბედაძისა. მართლაც სასიამოვნო სანახავი იყო ეს ტურფა, მშვენიერი სახის ქალი; მისი მიმზიდველი, კეთილი თვალები გონიერად გამოიყურებოდნენ და რაღაც სანეტარო სინათლეს აბნევდნენ გარშემო. გიშრის თმის ნაწნავი ბეჭს უმშვენებდა. მას ეცვა სადათ, თითქმის ღარიბად, მაგრამ ისეთის მოხდენით, რომ სხვა, უფრო მდიდრულად ჩაცმული მანდილოსნები უნებლიედ რაღაც უხერხულობას გრძნობდნენ. ნინო იყო დისწული სამსონის ცოლის მაკრინესი. ნინოს მამა, მაქსიმე, ერთ დროს კარგა შეძლებული აზნაურიშვილი იყო, მაგრამ სხვა და-სხვა გარემოებათა წყალობით, უმეტესი ნაწილი იმის მამულისა ვალში გაიყიდა. ეხლა მაქსიმე სოფლად, თავის პატარა მამულში, ღარიბად ცხოვრობდა. ის ადრე დაქვრივდა, მაგრამ, ცოტა ხნის შემდეგ, ისევ დაქორწინდა. პირველ ცოლისაგან მას დარჩა ქალ-

ვაჟი: ნინო და იმისი უმცროსი ძმა. ნინომ ჩინებულად დაამთავრა ოზურგეთის საქალებო სკოლა.

სამსონის სტუმართა შორის ჩვენი ნაცნობი ივანე დაველაძეც იყო, რომელსაც დღეს არაჩვეულებრივი აღელვება ეტყობოდა: ის მოუსვენრად ადევნებდა თვალს ნინოს, ყოველ მის მოძრაობას. ვანო კარგად იცნობდა ნინოს. იყო დრო, როდესაც მას ეს ქალი მარტო ჟინის მოსაკლავად უნდოდა, მაგრამ ნინოს რამდენიმე შეხვედრამ, მისმა წყნარმა, მშვიდობიანმა სახემ და ღირსებით სავსე მიხვრა-მოხვრამ სულ სხვანაირად შესცალეს ივანეს გული. ერთ დღეს „სათამაშოში“ ვანო საცეკვავად გამოვიდა და იქვე მდგომი ნინოც გამოიწვია; ესეც გამოჰყვა და თავისი მომხიბლავი თვალები ყმაწვილ კაცს მიაპყრა. ვანო უნებლივ შეკრთა, მას თითქოს შერცხვა თავისის უწინდელ განზრახვისათვის და უცბად რაღაც უცნობი გრძნობა დაებადა... ამ დღიდან მან გადასწყვიტა ნინოს შერთვა, მაგრამ როგორ? მაინც არ იცოდა, როგორ მოეხერხებინა ეს საქმე. ეჭვი არ იყო, რომ მაქსიმე ისეთს კაცს მიათხოვებდა თავის ქალს, რომლისაგანაც გაჭირვებაში დახმარების იმედი ექნებოდა. რასაკვირველია, უპირატესობას მისცემდა მდიდარს კაცს, თუ გინდ ეს კაცი მოხუცებული ან გლეხიც ყოფილიყო. მაშ რა ექნა ივანეს? ძალა ეხმარა? ამაზედ წინად იქნება არც კი დაფიქრებულიყო: „ქალი, ვინც უნდა იყოს, რავა ვერ ჩვიგდებ ხელშიო,“ არა ერთხელ უთქვამს მას, მაგრამ დღეს ამაზე ფიქრსაც კი ერიდებოდა. საკვირველი იყო ამ კაცის მდგომარეობა: ყოველთვის და ყველაფერში გაბედული და შეუპოვარი ამ ჟამად სრულ უღონობას და, ასე გასინჯეთ, რაღაც დამცირებასაც კი გრძნობდა. „ვინ იცის, როგორ შეხვდავს დღეს ნინო ნიკო კანლაძეს; იგი ხომ მდიდარი კაცია და კიდეევაც ეცდება მოაწონოს თავი ყველას,“ ჰფიქრობდა ვანო. მას სძულდა და ეჯავრებოდა ნიკო, რომელიც ბათუმშიაც ბევრჯერ ენახა. ასეთის იქვეებით იტანჯებოდა ვანო. ის დადუმებული იჯდა, თუმცა სხვა სტუმრებს ამ დროს გაცხარებული ბაასი ჰქონდათ. „ფული! მე საჩქაროდ ფული უნდა ეიშოვო

და მაშინ ყოლიფერს ვიზამ,“ გაუელვა მას უეცრად. ამასობაში ნიკოც მოვიდა, მის დანახვაზე ივანე შეკრთა და უსიამოვნოდ შეკრეულდა, მაგრამ თავი შეიკავა. მასპინძელი მიეგება ნიკოს. ივანეზე სტუმარს ნათლიდედა შეხვდა.

— ჩემს სტუმრებს ყველას ვერც ქე იცნობ შენ!—ჭილალოების შემდეგ უთხრა მან ნიკოს.

— ვისაც ვერ ვიცნობ, იმასთან რეკომანდაციას გამიწევთ, იმედია,—მიუგო ნიკომ.

— კი, ბატონო, შენი ჭირიმე!—წარმოსთქვა მაკრინემ და სტუმარი ნინოსთან მიიყვანა:—ეს ჩემი დისწული გახლავს.

ნიკომ თავი დაუკრა და ხელი ჩამოართვა ნინოს. ვერც სხვებსაც სალამი მისცა

— რა ამბავია, კაცო, ამდენს ხანს რომ გვაცთიე! ბაწია ადრე არ გეკადრებოდა მოსვლა, სიდოური დიდი კაცი ხარ შენ!—ძალ-დატანებულის ხუმრობის კილოთი უთხრა ნიკოს ივანემ.

— შენთან კი ვარ უკაცრავად!—მიუგო მას ნიკომ ისეთი მედიდურის ღიმილით, რომელსაც ზოგიერთები ხმარობენ, როცა უნდათ ვისიმე დამცირება. ეს ღიმილი კარგად შეამჩნია ვანომ და აენთო.

— უკაცრავად კი ხარ, ყაძახო, მეტი თუ არაფერი!—წარმოსთქვა ივანემ გაბრაზებით. ნიკომ ოთახისაკენ გასწია, თითქო არც კი გაუგონია ივანეს უკანასკნელი სიტყვები. ბატარა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი უხერხულებას გრძნობდნენ.

— აბა ჩვენ ქე შევუდგეთ აწი საქმეს! ნეტაი წყალი თუა მზად? – იკითხა მღვდელმა.

— კი, ბატონო, რახანია მზათაა ყოლიფერი!—მიუგო სამსონმა.

ბავშვი მოწათლეს. ნიკომ მშვენიერი ოქროს ჯვარი დააბნათლა ყრმას და ნათლიდედასაც კარგი საჩუქრები მიართვა. „ნეტაი რა დაანათლა?“ წასჩურჩულა ერთმა მანდილოსანმა მეორეს. „რა ვიცი, რაცხა კი შეინახეს შეხოული და არ ჩინახავს,“ მიუგო მეორემ.

ამასობაში სუფრაც გაშალეს და სტუმრები სადილზე მიიწვიეს.

— აგერ მობძანდი, ნიკო! — წარმოსთქვა მასპინძელმა და საპატიო ადგილი ანიშნა ნათლიას.

— მობძანდი, მობძანდი! — დაუმატა მღვდელმა, რომელსაც სახეზე კმაყოფილება ემჩნეოდა. — შენ პატივსაცემი კაცი ხარ

ყველანი რიგ-რიგად დასხდნენ. სადილი მხიარულად დაიწყო. ჩქარა გაისმა მწყობრი „მრავალ-ჟამიერ".

— ერთი მოყვარე კაცი მყავს ბათომში, თუ იცნობ, ივლიანე მ—ძე, ნეტაი რას შობა? — დაეკითხა ნიკოს ერთი სტუმართაგანი.

— რა უჭირს, ქია კარგათ, — მიუგო ნიკომ.

— მაგინი რეიზა არ იქნებიან კარგათ, თუ ღმერთი გწამს! ფული მაგენს არ აკლია, თეთრი და საქონელი, რა ენატრებიან ღვთის გაჩენილი! — დაიწყო სამსონმა.

— ახლანდელ დროში ფული ვისაც აქ, კაციც იგია, — დაემოწმა მასპინძელს მეორე სტუმარი.

— ოჯო, ცარიელი ფულიც აფერი არაა, თუ კაცი თვითონ არ ვარგა და პაწია განათლება არ ახლავს! — შენიშნა მესამემ.

— ნეუჟელი შენ უფულოდ გააკეთებ რამეს, კაი განათლებულიც რომ იყო? — თავმომწონედ დაიწყო ნიკომ: — შეძლება თუ გაქ, განათლებულიც მაშინ ხარ. რავა, რას უძახი შენ განათლებას? იგი კაცი კას ჭამს, კას სვამს, კარგად ეცვია და ახურავს, მტერს რიგიანად დაუხვდება და მოყვარეს, ერთის სიტყვით, განათლებული ცხოვრება აქ. ფული რომ არ ქონდეს, ამას ხომ ვერცეთს ვერ იზამს? ბევრი ვიცი მე ამისთანა კაცი, რომ განათლებულად მოაქ თავი და მჭადი ქვე ენატრება!

— აბა მე გეტყვი შენ, — დაიწყო ივანემ ათრთოლებულის ხმით: — კაცი თუ ჩამომავლობით ჯალაბია, იმას ვერც

ფული მუარჯულებს და ვერც ვერაფერი. კისრამდი ოქროში რომ ჩასვა იმისთანაი კაცი, მაინც თავის ზნეს არ მეიშლის.

— კი, მარა ამ ცარიელმა, გაფხეკილმა აზნაურიშვილობამ რა მოუტანა ვინმეს? ვინ უყურებს ახლა ჩამომავლობას! რამდენია იმისთანაი აზნაური, რომ მუადს არ წაუტეხს კაცი, ორი კაპეიკიზა ცოლ-შვილს დააწინდრებს. კაი ხანია წ�უწინდელი დროი! ახლა კაცი იგია, ვინც თითონ ვარგა, ვისაც რამე გააჩნია. მარტუაი აზნაურიშვილობა სულ აფერი არაა, იგი ტყულაი არ თქვას ვინმემ! — ცხარობდა ნიკო.

ამ სიტყვების გაგონებაზე ივანეს ფერი ეცვალა და თვალებმა ბოროტად გაუელვეს. მღვდელმა შეამჩნია ეს და, ლაპარაკი რომ უფრო არ გამწვავებულიყო, სთქვა:

— ბატონებო, კმარა ამაზე ლაპარაკი! კაი კაცი აზნაურიც ბევრია და მსახურიც. დღეს ნათლობაა და მხიარულებაც გვმართებს!

— შენ დაგლოცა ღმერთმა, მამაო! ამას არ ვჩივი მეც! — შენიშნა სამსონმა. — აბა, მომეხმარეთ, თქვით ერთი სიმღერა! — მიმართა მან ახალგაზდა ბიჭებს, რომელნიც სუფრის ბოლოში ისხდნენ და პირველი ხმა თითონვე დაიწყო.

სიმღერა გაჩაღდა, კიჟინაც ზედ დაერთო. სტუმრები კარგა შეზარხოშდნენ. თამადამ ხუთი მოზრდილი ჭიქა დაამწკრივა თეფშზე, სუყველა ღვინით გაავსო. ჯერ თითონ დაცალა, მერე ისევ გაავსო და ივანეს მიაწოდა. ივანემ ღვინო დალია.

— მე ნიკო კანლაძესთან ვარ ალაეერდი, — სთქვა მან და ღვინით სავსე ჭიქები მას გაუგზავნა.

— მე ვერ გიახლები მაგ ღვინოს, ტყულაი ირჯები! ახლა აღარ მწყურია! — სთქვა ნიკომ.

— მე კი მწყუროდა, რომ დავლიე?

— იგი არ ვიცი მე! ალბად გინდოდა და იმიზა დალიე. მე ხვალეც ვიშონი ღვინოს და ვისაც ენატრება, იმან ჩვენ ჩვეს შით!

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, თვარა მაგ ჭიქებს დაგაფჩენი თავზე! — შეუტია ბრაზ-მორეულმა ივანემ.

— რა საკადრისია, ივანე, მაგისთანაი პასუხი, ღმერთმა ჩემს მტერს დამართოს აი! — შენიშნა წყენით მაკრინემ.

— დედიშენის შვილი ხარ და გაბედავ რამ...

ნიკომ სიტყვა ველარ დაასრულა: თვალის დახამხამებაში ივანემ ღვინით სავსე ბოთლი შიგ თავში მიარტყა. ნიკო იქვე, სკამზე, გადაიქცა და თავ-პირი სისხლით შეეღება. ერთი ალიაქოთი შეიქნა. ივანეს მისცვივდნენ, მაგრამ ის რევოლვერით ხელში იდგა და გააფთრებული ჰყვიროდა: „არ მოგეკაროთ სიახლოვეს, თვარა სულს გაგაგდებინებ, ვინც მოხვალ, მაგ წუწკს გავათავებ ბარამლაი!“ ნიკო გამოერკვა, ფეხზე წამოდგა და ივანესაკენ გაიწია, ვითომ სამაგიეროს გადახდას უპირებდა. ივანე ისევ გაშმაგებული ჰყვიროდა: „გამუუშვით ერთი, გამუუშვით, გავაპობ შვაზე მაგ ძაღლს!“ ნიკო მეორე ოთახში გაიყვანეს, იარა შეუხვიეს და დააწვინეს. ყველანი სწუხდნენ, თავზე ადგნენ მას. ამით ისარგებლა ნინომ და, მიუახლოვდა რა ივანეს, დაყვავებით უთხრა მას:

— ჩემო ივანე, თუ ღმერთი გწამს, ამ წუთში წადი სახლში, აქ ნუ მოიცდი, ჩხუბი რა საჭიროა!

ივანე ერთბაშად მოლბა.

— აბა მაგისთანა ყაძახს რაება შევარჩენ თავის აგდებას! — სთქვა მან.

— კიდევ გთხოვ, ეხლავე სახლში წახვიდე, — განუმეორა ნინომ.

— მე წავალ, ნინო, შენი თხონით, მარა შენც უნდა წახვიდე აქედან და შენ თუ მეიცადე, მაშინ მეც აქანაი დავრჩები, იცოდე, და ვინცხას კი მოვკლავ დღეს! — წარმოსთქვა ივანემ მღელვარებით.

ნინო დასთანხმდა, მაგრამ მათი ერთად წასვლა მოუხერხებელი იყო, ამიტომ ივანე პირველი უნდა წასულიყო. ამასობაში ოთახიდან სამსონიც გამოვიდა.

— უმადური გამყოფა ღმერთმა, ივანე დაველაძეე, რაფერ

შენ წამამწარე დღემანდელი დღეი! თუ დალიე ორი ჭიქა ღვინო, ქე გადირეეი, გახელდები, უჩხუბრად და უდავიდარა-ბოდ ვეღარ გაჩერდები! რა ღმერთი გამიწყრა მე, შენ რომ დაგპატიჟე!—უსაყვედურა მან ივანეს.

— დეიკარგა საცხა შენი დაპატიჟება და შენი თავი, შე ჯალაბ გადათრეულო! ძალიანიც რომ შემეხვეწო, მე კი მოვალ აწი შენსას? შენ შენისთანაი მუტაკეი. გინდა! ყაძახი ღორის ჭყანში ხარ ყვალაი მონათლული. აქანაი აფერს გიჩეი და სხოგან მე ვიცი!—სთქვა ეს ივანემ და შინისაკენ გასწია.

ივანეს წასვლის შემდეგ სამსონ ლანძღვა-გინებას და მუქარას მოჰყვა:

— მაგისთანა ნადირს რავა ჩამუშობს კაცი ეზოში! მარა მაცალოს, მაგიორი თუ ვერ უქნა, მაშინ მისი ფეხები დამაბანიოს და ახლა რაღაი!

— ღმერთი დაღუპავს და შიაჩვენებს იმ გადათრეულს, იმ ნუნკს იმას! დედო კვესკნელი რომაა, იქინეი წევიდა იგი დღეისწორამდი, ღმერთის წყალობით, მე თუ იგი ამას არ მემართლებოდეს!—ბანს ეუბნებოდა ქმარს გაკაპასებული მა-კრინე, რომელიც ის იყო აივანზე გამოვიდა სისხლში მოს-ვრილ პირსახოცით ხელში და წყლისკენ გაეშურა.

— რომ თქვას კაცმა, არც იგი თქვენი ნიკო ყოფილა თლა წმინდა წყალი! აუშვია თავი და რას ლაპარაკობს, არ იცის! ვითამ ვინ მუუთმენდა, რაც იმან დღეს იუბედა? ახიც იყო იმაზე!—სთქვა ნინომ და სახეზე ოდნავ წამოწითლდა.

სამსონ სახტად დარჩა: ის არ მოელოდა ნინოსაგან ივა-ნესადმი თანაგრძნობას. „მაგენს რაცხა კი აქ ერთმანეთში,“ გაიფიქრა მან.

— ტყუილი იყო, რაც უთხრა, თუ?—დაბნეულად წარ-მოსთქვა სამსონმა და სახლში შებრუნდა.

IV

ივანემ დამე მოუსვენრად გაატარა, იმას ეეეი არჩობდა: ნინო და ნიკო ფიქრისაგან არ გაშორებიან მას.

— რა ქენი, გუშინ, რავაი მაინძელი იყო სამსონაი? — დაეკითხა შვილს გიორგი მეორე დილით.

—რავაი და იგი! ყაძახის მაინძლობა კაი შვილია!—სთქვა უგუნებოდ ივანემ,—ჯალაბი მისდღემჩი ჯალაბია! მარა იმის დარდი არ მაქ, რაც იყო-იყო, და ერთი რაცხა უნდა გითხრა.

— რაა, ბაბა?

— რაა და ნასახლევზე რომ მიწაა, იგი უნდა გავყიდოთ. ახლა რომ ერთი ოცდახუთი თუმანი არ ვიშოვნო, არ იქნება, იმისთანაი საქმე მაქ!

— რა საქმეა ახლა იმისთანაი, ოჯო? აი ადგილი ამასობაში ქე ჩაგელია ხელში! საქმელი მჭადი აღარ გვექნება, თვარა სხვას ვინ ჩივა!—სასოწარკვეთილებით შენიშნა გიორგიმ.

— მჭადი თვარა გაგაკეთებს იგი მჭადი, მე ვიცი! მეტი რაღა გინდა ქვეყანაზე! ~~ღლობა~~-კი წაიკტა ამისთანა სიცოცხლეს! ერთი თუმანი რომ გინდოდეს, იმას ვერ იშონი, ქვეყანა რომ დეიქცეს!—წამოიძახა გაჯავრებულმა ივანემ და ეზოდან გავიდა...

ათი დღის შემდეგ გურიის ერთს სოფელში შემაძრწუნებელი ავაზაკობა მოხდა: საკუთარ სახლში მოჰკლეს ერთი მემამულეთაგანი, რომელსაც ფულიანი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ეს საზიზღარი კაცის-კვლა მოხდა ღამით, როცა მთელ სოფელს ეძინა. სახლის პატრონის გარდა სასიკვდილოდ დაჭრეს მისი მსახური ბიჭი, რომელიც გზაზე გადაეღობა ბოროტგანმზრახველთ და სახლში არ უშვებდა მათ. მსუბუქად დაჭრილნი იყვნენ აგრეთვე მემამულის ცოლი და მისი ორი ქალი. ამ აღშფოთებელმა ავაზაკობამ მთელი სამაზრო ადმინისტრაცია შესძრა. დაპატიმრებულ იქმნა რამოდენიმე კაცი და მათ შორის, ივანე დავლაძეც. ეს უკანასკნელი, როგორც ამბობდენ, სამსონ ტარაძის „დანოსით“ შეიპყრეს. ივანე თავის გასამართლებლად ამბობდა: „მართალია მე იმ ღამეს შინ არ ვყოფილვარ, მარა საქმე მქონდა, სხოგან ვიყავი“. აქ ის ერთ კაცს ასახელებდა: „მე იგი ღამე იმასთან გავათიე, იგიც შინ იყოვო“. მაგრამ გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ დასახელე-

ბული კაცი სწორედ იმ ღამეს, როცა კაცის-კვლა მოხდა, ქუთაისში იმყოფებოდა. აშკარა იყო, რომ ივანე სტყუოდა. ეს გარემოება, რაღა თქმა უნდა, უფრო საეჭვოდ ხდიდა მისს დანაშაულობას. საპყრობილეში ივანე პირველად ძალიან დაღონებული იყო; იჯდა მუდამ თავ-ჩაქინდრული, დაღვრემილი და რაღაც ფიქრებში გართული. რაც დრო მიდიოდა, მას უფრო მოუსვენრობა და სიბრაზე ემატებოდა. თითქმის არავის არ ელაპარაკებოდა. გამომძიებელთან ხშირად დაჰყავდათ ის ჩვენების ჩამოსართმევად. ამას მოთმინებიდან გამოჰყავდა ივანე. როდესაც ის უკანასკნელად კიდევ მიიყვანეს გამომძიებელთან, ველარ მოითმინა და ჭკვახედ უთხრა მას:

— რა ამბავია, რომ აღარ მომასვენეთ? ერთს და იმავეს ათასჯერ მკითხავთ და მაინც აფერი გეშველა თქვენ!

— მე თქვენ გირჩევთ, მოთმინება იქონიოთ და თავდაჭერილად მოიქცეთ! — მიუგო გამომძიებელმა.

— თავდაჭერილად, თვარა თავი არ გამაგდებია აქანაი! რას მიზამ, თუ იცი? შენ ღმერთი ბგონია შენი თავი! შენისთანაი ათასი ჩამოთრ...

— მოწყალეო ხელმწიფევ! — შეჰყვირა მოთმინებისაგან გამოსულმა გამომძიებელმა, — ნუ დაივიწყებთ, რომ გამომძიებლის კამერაში ხართ და ვალდებულობა გადევთ, ყოველს კითხვაზე დამშვიდებით მოიგოთ პასუხი!

— სრულებით არაფერის ვალდებული არ ვარ ქვეყანაზე! ისე, თუ მაინდამაინც გინდა, ამ ერთი გზობა კიდო მკითხე, მარა მეტს ველარ გიახლები სწორეთ! რაც გინდებიან, იგი ქენით!

— აქ არის ერთი კაცი, — განაგრძო გამომძიებელმა, — რომელიც უკვე გამოტყდა, რომ თქვენთან ერთად მონაწილეობა მიუღია იმ ბოროტ-მოქმედებაში.

ივანე გაფითრდა.

— მაგისთანაი კაცი ჯერ არ დაბადებულა ქვეყანაზე! — წარმოსთქვა მან დაბნეულად.

— ეხლავე გიჩვენებთ იმ კაცს, — სთქვა გამომძიებელმა

და თავის მწერალს რაღაც ანიშნა. ამ უკანასკნელმა მაშინვე მეორე ოთახიდან ერთი ახალგაზდა პატიმარი შემოიყვანა, რომელსაც სამი თოფიანი ჯარის-კაცი შემოჰყვა.

ივანე ამაოდ ცდილობდა გულგრილად დახვედროდა მოპირდაპირეს და თავისი აღელვება როგორმე დაეფარა.

— ამ კაცს იცნობთ თქვენ?—დაეკითხა მას გამომძიებელი და ახალ-მოსულზე მიუთითა.

— სულაც ვერა, მის დღემჩი არ მინახავს!

— ჰაი გიდი, ბიჭო!?—დაიწყო ახალ-მოსულმა პატიმარმა,—ახლა ვეღარ მიცნობ და როიცხა მგზანიდი, შენიტყვე, შინ როის იქნება და რომელ ოთახში სძინავსო, მაშინ ხომ კარგათ იცნობდი გოგია ზა—ძეს! ვინ დეიწყო უწინ მაი საქმე, ვინ მუუყარა ბიჭებს თავი, ვინ დაღუპა ამდენი კაცი? შენ არ იყავი, რომ ჩიოდი, მაგას ვერაფერი კაცი ვერ შეგვიტყობს, მაინც ფირალს დააბრალებენო? ფულები ყველაზე მეტი შენ ჩეიჩხრიალე ჯიბეში და ახლა მე დეეიკარგო და შენ აქანაი ბრძანდებოდე! ვეღარ მოგართვი სწორეთ!

ივანე სულ აირია.

— ჩემთან კიდო გაქ თქვენ რამე საქმე?—დაეკითხა ის გამომძიებელს.

— რას იტყვით ამაზე?

— მაი ყაძახი... გალახული მყავს მე... სხვაი რომ ვეფერი მაწყინა, ახლა ამით უნდა გადამიხადოს... მარა... მაგას არ შერჩება მაი!..—ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოსთქვა ბრაზმორეულმა ივანემ და მრისხანედ გადახედა თავის მოპირდაპირეს.

გამომძიებელმა ჯარის-კაცთ ანიშნა და ივანე ისევ საპყრობილეში წაიყვანეს.

სამსონმა დიდი კავშირი დაიქირა ნიკოსთან. ნათლიამ მიიპატიჟა მოყვრები ბათუმში, კარგად გაუმასპინძლდა მათ და შემდეგ პატივისცემით გამოისტუმრა შინ. მაკრინეს ძალიან მოეწონა ბათუმი: „ვისაც იგი არ უნახავს, იმას ცოცხალი ვარო, არ ეთქმის სწორედ: რა და რა სანახაები იქი-

ნეია, იმას ენა და პირი რავა გამოთქვამს!“ ამბობდა ის კმაკოფილებით. გავიდა ორი თვე. ივანე სატუსაღოში იჯდა. ერთს საღამოს ტარაძეებს ნიკო ეწვია. სამსონ შინ არ იყო.

— რაა, ასეი ძვირი სტუმარი რომ ხარ ჩვენი? ასე უნდა მოყვრობა?—უსაყვედურა ნიკოს ნათლიდედამ.

— რა ვქნა, მე-კი მინდა სულ აქანაი ვიყო, მარა რომ არ მცალია, რა ვქნა?

— ოჯო! გული-გულობდეს, თვარა მოცლა აფერია!— განაგრძო მაკრინემ.

— რომ ვერ ვახერხებ! ახლაც აგერ ტფილისიდან გამეეიარე, თვარა სადაა მოცლა!

ჩაის შემდეგ ნიკომ დაიწყო:

— ჩვენ რომ რაცხა ვიცით, იმის-რა ქენი შენ დასტურ?

— რა ვიცი,—სთქვა მაკრინემ და ეშმაკურად ჩაიცინა,— ჯერ აფერია, მარა იმას-კი მუაწყობთ ჩვენ, რავარც იქნება.

— ახლა იმაზე ხომ არაა! ქალი ათასი მეძლევა მე აზნაურის და თავადისაც, ერთი-ერთმანეთზე უკეთესი, მაგრამ მაი რაცხა უფრო ჩამივარდა გულში. შენ რომ არ გეთქვა, მე მაგას არ ვიფიქრებდი...

— აბა მე გეტყვი შენ, ნიკო! ოღონ ღარიბია, ღარიბია, გეზიზი არაფერი აქ, თვარა მაგისთანაი ქალი არაა ახლა ამ გურიაში. იგი არ ვიცი სწორედ, ეგება ქე განაზდენ, მარა ისეი უნდა მუვაწყოთ საქმე, რომ უარის თქმაი აღარ მოხერხდეს. სხვებს რომ დეევითანხმებდეთ რამე ნაირათ, მარტუაი ციცაი ვეფერს გახდება.

— აბა შენ იცი ეხლა, ჩემი ლაპარაკი რაღად გინდა! ეგება ფული დარჩეს საჭირო და შემატყობიე, ნუ მომერიდები. სსვაფერ ახლა რა ვიცი, თუ თლა აბდალი არაა ქალი, რეიზა უნდა თქვას უარი: ვის წაყობა იმისთანას, რომ ჩემსავით არჩინოს იგი?

— ესეა, მარა, ხომ იცი, პაწია ნასტავლი ქალია და თუ გაჯინიანდა, არაფერს დეიჯერებს. მარა რაც უნდა ქნას, მე იმისთანა საქმეს მუუხერხებ, რომ მერე თვითონ შამომეხვეწოს.

მაკრინემ მეორე დღესვე გაუგზავნა კაცი ნინოს და შეუთვალა: „ჩემო ნინო, საჩქარო საკერავი მაქ და ხვალ რაცხა ფერაი მომეხმარეო.“

ნინო მოვიდა. მაკრინე მოეხვია მას, ჩაჰკოცნა და ალერსით უთხრა:

— შენ დაგაცალა ღმერთმა, ჩემო ნინო! შენ რომ ახლა არ მოსულიყავი, საკერავი ქე დამირჩებოდა.

— ოჯო, რა დიდი საქმეა მაი, დეიდა, მეტი რა სიკეთე შეგიძლია! აბა, რა გაქ საკერავი?

— რაცხა სამსონის ახალოხი მაქ; ბათუმში აპირობს კვირიზა და მეჩქარება.

კერვა დაიწყეს.

— ერთ რაცხას გკითხავ, ნინო, და თუ ღმერთი გწამს, მართალი მითხარი,—დაიწყო მაკრინემ სადილის შემდეგ, როცა ორივენი მარტო დარჩნენ.—მე ნუფერს დამიმალავ, ღმერთმა-კი იცის, მე რომ შენდა სიკეთე მინდა, ჩემს შვილებში არ გამომერჩევი.

— რა იყო, დეიდა, თქვი, რავა დაგიმალავ, თუ-კი სათქმელია!

— რა ვიცი, ბაღანაი ქალი ხარ, ეგება შეგრცხვეს.

— თქვი, ბატონო, რაცხაა და...

— გათხოვას არ აპირობ აწი?

ნინო ჭარხალივით წამოწითლდა.

— დამეთხუე, ჩემი დეიდაი!

— დედავ, შენი ჭირიმე, აბა რას შობი, ბატონო? რა გიჭირს, ვითომ დრო არაა თუ? მამა-შენი ლარიბი კაცია, შვილები, ღმერთის წყალობა, სხვაიც ბევრი ყავს, ყველას გაზდა და პატრონობა უნდა. ხომ იცი, რა ძნელია ახლანდელ დროში გასათხოვარი ქალის შენახვა. მოვნახოთ ერთი კაი კაცი, პატიოსნად რომ თავი გერჩინებოდეს განათლებულ ადგილზე, იმისთანაი. მე მყავს ეგერ ერთი კაცი გამორჩეული და მაი საქმე რომ მოხერხდებოდეს, შენ მერე ჩემი ლოცვის მეტს აფერს არ იზამ სწორედ!

— ვინ არის, მაინც შევიტყო?

— ხომ იცი, რომ შენდა გლახას აფერს ვიფიქრებ. საწყალმა ჩემმა დამაც ისეი ჩამაბარა შენი თავი და სიცოცხლეშიაც სულ იმას მელაპარაკებოდა, რომ ჩემი ნინო ვინმე ხეირიანი კაციზა მიმაცემიეო. ჩემიანი რომ ხარ და შენდა კაი მინდა, იმიზა გეტყვი, თვარა ქალი ათასი ეძლევა იმას, ზოგი თავადის და ზოგი აზნაურის, მარა იგი ყველას ვარს უჩივა. შენ-კი იცნობ იმას.

— არ ვიცი სწორედ, ვის ჩივი.

— ნიკო კალაძეს.

— იმას მაინც არ წავყვები, სულ რომ საშველი არ ქონდეს ჩემს საქმეს!—წარმოსთქვა ნინომ აღელვებით.

— დედავ! რა აქ იმას დასაწუნარი, ღმერთო, კი მომკალი!—გაიკვირვა მაკრინემ.—უი, რაცხა, შე დალოცვილო, იზამდეს, თვარა...

— ქვეყნის უკეთესიც რომ იყოს, მე მაინც არ მინდა!

— მე ძალიანი მიკვირს შენი საქმე სწორედ! ნიკო კალაძეს ვინ ეტყვის ვარს, აღარ ვიცი მე! რა აკლია ღვთის გაჩენილი ქვეყანაზე? ისე განათლებულად შეინახავს იგი ქალს, რომ მეორე არ ეყოლება ტოლი. მის ბედს ძაღლი არ დაყეფს, ვინცხას იგი შეხთება. მე გეტყვი შენ, მდიდარი არაა თუ! მარტუაი ბათუმში ცხოვრება რად ღირს? ახლა ჩივი ასეი, თვარა მერე შენც ბევრს ინანებ!

ნინო საშინლად აღელდა, ზეზე წამოდგა და ათრთოლებულის ხმით უსაყვედურა მაკრინეს:

— დეიდა, ამიზა არ მოესულვარ მე აქანაი! რაა, რომ დამიჩემე აი ნიკო კალაძე და საშველს აღარ მაძლევ? ბაბას მჭადი-კი ეშონება, მე ხმელაი მჭადს ვჭამ და იმისთანა კაცს არ წავყობი, რაც უნდა დამემართოს. ვისაც უნდა, იმას ყავდეს იგი!

— ჯვარი გწერია, ბატონო, შენი ნებაა! მე ვითამ კაი მინდოდა,—გულ-ნაკლულად წარმოსთქვა მაკრინემ.

ნინოს იმ ღამესვე უნდოდა სახლში წასვლა, მაგრამ მა-

კრინემ არ გაუშვა: „რა გეჩქარება ამ შუალამეზე. ამეღამ დარჩი აგერ და ხვალ დილას, გრილის სულზე, ქე წახვალ, თუ მაინცადამაინც საშველი არაა აქ. ციცას გაგატან."

ნინო დასთანხმდა. ვახშმის შემდეგ მაკრინემ ცალკე ოთახში გაუშალა ლოგინი ნინოს. ყმაწვილი ქალი მარტოდ დარჩა და რაღაც ფიქრებში გაერთო. ამ დროს კარები გაიღო და ნინოს ოთახში, სრულიად მოულოდნელად, ნიკო შემოვიდა. ამის დანახვაზე ნინო სულ ერთიანათ გაფითრდა, შიშისაგან კანკალი დააწყებინა.

— უკაცრავად! მგონია არ მელოდით ახლა თქვენ! საღამო მშვიდობის, ბატონო ნინო! — ურცხვად წარმოსთქვა ნიკომ. ნინო შიშისაგან გამოერკვა და გული მოიბრუნა.

— ეშმაკმა წაგიღოს შენც და შენი მშვიდობაც! — ზიზღით წარმოსთქვა მან და კარში გასვლა დააპირა, მაგრამ კარები დაკეტილი დაუხვდა

— ვაიმე! დეიდამ მიქნა აი! — წამოიკივლა ნინომ სასოწარკვეთილებით. ის კვლავ შიშმა შეიპყრა.

— სსს... ჩუმათ! ტყუილაი ირჯები,, ვერსად წახვალ! ნუ ყვირი, შენდა ჯობს! აქ რომ ვინმე მოვიდეს ახლა — შენთვის უარესია, შენ გეილანძღები, თვარა მე რა მიჭირს. ჩვენს მეტი ამ სახლში ახლა არავინ არაა.

ნინომ სკამს ხელი სტაცა და კუთხეში გაჩერდა. ტანი სულ ერთიანად უცახცახებდა.

— რა გნებავს თქვენ ჩემთან? — ძლივს წარმოსთქვა ნინ.

— რაა, დასტურ, ასთეი რომ მ.ჯავრდები, რა დავაშავე. რომ არ ვიცი! — სთქვა ნიკომ და ნინოსაკენ წავიდა.

— არ მოხვიდე, თვარა თავს გაგიტეხ, იცოდე! — წამოიძახა ნინომ განწირულებით და სკამი მოიმარჯვა ხელში.

— რა იქნა, მართლა, კაცის მჭამელი ხომ არა ვარ! მე საჩხუბრად კი არ მოვსულვარ შენთან, მოსალაპარაკებლად მოვედი, თვარა ჩემზე რაცხა რომ გითხრეს, იმისას რას იტყვი?

— რა მაქ შენთან სალაპარაკო ნე? შენ საძაგელი კაცი

ხარ, საშინლად მეზიზღები! თავი დამანებე, შენდა წადი!— მიუგო ქალმა.

ამ პასუხმა ნიკო დიდად გააბოროტა. მას სიბრაზისაგან სახე ერთიანად გაუყვითლდა „რადგანაც ასეა, მაგას მაინც ჩეკიგდებ ხელში, თუ გინდა რაც დამეართოს!“ გაიფიქრა და რაღაც მხეცური გრძნობა აღეძრა, გრძნობა შურის-ძიებისა, ძალ-მომრეობისა, მაგრამ თავი შეიმაგრა, ვითომც აქ არაფერიაო და წყნარის ხმით წარმოსთქვა:

— რა გიეწყობა! თუ არ გინდებვარ, ძალით ხომ არ იქნება! მარა ერთს-კი გთხოვ: ამ ამბავს ნურაფერ კაცს ნუ შეატყობიებ, თუ ღმერთი გწამს!

ნინომ თავისუფლად ამოისუნთქა და სკამი ძირს დაუშვა. მაგრამ ამ დროს, უეცრად, მას მიეარდა ნიკო და ხელები დიუჭირა. გულ-გახეთქილმა ნინომ ერთი დაიკივლა და გაბრძოლება დააპირა.

— ახლა რაღას იტყვი, ქალბატონო!—დაიწყო ნიკომ და პირზე ბოროტი ღიმილი შეუთამაშდა.

გამწარებულმა ნინომ კვლავ გაიბრძოლა, ხელების განთავისუფლებას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ: ნიკომ ისე მძლავრად დაუჭირა მას ხელები, რომ ქალს ტკივილისაგან კინაღამ გული წაუვიდა. ბრძოლა შეუძლებელი იყო.

— რა საკადრისია მაი, მოწიფულმა კაცმა მომერიე სუსტ ქალს, დამიჯაბნე! გამიშვი ხელი, თუ ღმერთი გწამს! —შეევედრა ნინო აკანკალებულის ხმით.

— ხომ ხედავ, ჩემს ხელში ხარ? ახლა რაც მინდა, იმას გიზამ, მარა მაგას კიდო არ ვკადრებ ჩემს თავს. მომეცი პატიოსანი სიტყვა, რომ ცოლად წამყობი, შენი შერთვა მინდა, თვარა რა მენაღვლება: თავი შენ მოგეკრება, მეიჯაყები, ქვეყანას შევატყობიებ, რომ მე შენთან ღამე გავათიე.

— ხელი გამიშვი! ლაპარაკი ისეიც კი შეიძლება.

— ყოლიფერს ვიზამ, თუ ჩემ სიტყვას დეიჯერებ.—ამ სიტყვებით ნიკომ სკამზე დახო ნინო, თითონაც ახლო მიუჯდა და ტკბილად განაგრძო:

— შენისთანაი ცხოვრება ერთს ქალს არ ექნება გურიაში: სადაც შენ ამოიჩრეე, იქინეი გაცხოვრებ. ღვთისგან გაჩენილი არაფერი არ მოგაკლდება ქვეყანაზე: საქმელი კაი გექნება და სასმელი, ჭასლა და მოსლა. მამა-შენიც მადლიერი იქნება: მე კაცი ვარ ქვეყანაზე, იმის პატივის-ცემას-კი შეეიძლებ.

— დამეთხუე ამაღამ და ხვალ ყოლიფერს გეტყვი.

— აბა დაუფიქრდი კარგა მაგ საქმეს! უარის თქმაი შენდა უარესია, იცოდე! თლა გეილანძღები, ვეღარსა ვერ გამოჩთები. მერე-კი ინანებ, მარა გვიან იქნება! მე ასეი გეუბნები და სხვაი შენ იცი,—სთქვა ნიკომ და მეორე ოთახში გაეიდა.

ზიზღით გააყოლა ნინომ თვალები მიმავალს ნიკოს. შუაღამე იყო. ყმაწვილი ქალი დაჯდა ლოგინზე; მას გული ამოუჯდა, ტირილი დაიწყო.

მეორე დღეს გაშმაგებული მაქსიმე სამსონისკენ მირბოდა.

— რას მიპირობ ახლა, რას, შე ქრისტეს ფეხის მჭამელო?—შეჰყვირა გაბრაზებულმა მაქსიმემ მაკრინეს, რომელიც მას აივანზე შემოეგება,—შენ ჩემს გალანძღვას შეგარჩენ, თუ რავა გგონია?

— თუ არ გაღირიე შენ? პირჯვარი დეიწერე, რა გალანძღვა

ისასთან, ხელი ჩამოერთმია და ლაპარაკი დეიწყო, ცოლად წამყვეიო, ეთქვა. ახლა ასეა მიღებული ყოლგან განათლებულ ადგილებზე, მარა ქვეყანა-კი არ დაქცეულა. ქალს თუ უნდა, პირობას მისცემს, თუ არა და უარს ეტყვის და გათავდა. ამის არც შუამავალი უნდა, არც არაფერი. ამიზა გადირია, გაბელდა, ღამე ძვილაი მოვაცთიე და დღეს გათენებამდი გამეიქცა. აგი იყო ასე! რა ვქნა მე სასიკვტილემ? კისერი მომტეხოდა ნეტაი და მაგი არ დამმართოდა, იგი არ მერჩია! შენ ქე დამემდურე, იგი, მგონია, საუკუნოდ დამეკარგა. რა მიწაში წევიდე, რომ არ ვიცი! — მღელვარებით დააბოლოვა სიტყვა მაკრინემ და თვალებიდან ცრემლები ამოიწმინდა.

— მაგას ვერ გამიბედავდა მე იგი ყაძახი, შენ რომ არ გექნა! — წყნარის ხმით უსაყვედურა მაქსიმემ.

— რა მექნა, შენი ჭირიმე? ასე იყო, აი რომ გითხარი!

— კი, მარა ჯერე ჩემგან არ უნდა შიეტყო ამბავი? ჩემდა უკითხავად რავა გაბედა იმასთან ლაპარაკი ვითამ?

მაქსიმე ახლა უფრო დამშვიდებით ლაპარაკობდა. ეს გარეშოება მაკრინეს არ გამოეპარა.

— მე ერთი ქე მითხრა, სულო ცოდვილო, მოციქულობა მიქენია, — დაიწყო მან, - მარა შენ ეეღარ გნახე სალაპარაკოდ. ისეი ციცას ტყუილაი, გამოსაცთელად, ქე ვუთხარი გუშინ აქანაი. იმას რავა ვიფიქრებდი, თუ ნიკო თვითონ ეტყოდა რამეს.

— კი, მარა ახლა ხომ მომეპრა თავი ქვეყანაში, ხომ გეეილანძღე!

— ვინ შეიტყობს, ბატონო, იგი რავა იტყვის რამეს! აბა მე გეტყვი შენ, მაქსიმელ, — განაგრძო მაკრინემ: — სიტყვამ მეიტანა აგერ და ქე ვიტყვი. ისეი რავა გამიწყრება მე ღმერთი, რომ ჩემი დისულიზა რამე გლახა ვიფიქრო. ვითომ რომ ვქნათ მაი საქმე, ურიგო იქნება თუ? მოგეცა ღვთის წყალობა. იგი შეძლებული კაცი იყოს! ვინაა მაგის ბადალი ახლა ამ გურიაში? მე გეტყვი შენ, ქალს ვერ შეინახავს განათლებულად, თუ რა გინდა!

— ყაძახს რაფერ მივსცე ქალი და იგიც კიმოთაი კაჯ-ლაძის შვილს! ქვეყანა რას იტყვის?

— შენ დალოცვილო, ახლანდელ დროში ვიღან უყურებს აზნაურიშვილობას! ყოლი კაცი კაი ცხოვრებიზა იკლავს თავს. მე გეტყვი, ბიჭად დეიწუნებს ვინმე! ჩემო მაქსიმელ! ხომ იცი, ქვეყნის უკეთესი თუ ვინმეა, იგი გზითვსაც ბევრს ითხოვს და ზოგიერთი აზნაურის და თავადის მიცემას, მაგის მიცემა ჯობია ათასწილაი: შეძლებული კაცია, ქალს კარგად არჩენს და შენც პატივს გცემს. შვილები გამოსაზარდი გყავს, რომ დაგჭირდეს, დღეს ათას მანათს გიშონის.

- ციცამ რა თქვა, თუ ჰკითხე?

— ციცაი უარზეა, მარა იმას რას უყურებ შენ, ბატონო! ქალი მის დღემჩი არ იტყვის, კი მინდაო. ახლა იგი არ ვიცი ვე, ევები სხვაი რამეც ქე ქონდეს მას გულში. ვინ იცის, რას არ იფიქრებს ყვაწვილი ქალი. ამას წინეთაც კი გითხარი, მაქსიმე, თუ გახსოვს, ივანე დავლაძეს სხვანაირად უპირავს თვალი-მეთქი. ახლა გვმართებს დაფაცურება, მოწიფულ ქალს დროზე უნდა პატრონობა. ვინ იცის, ის შეჩვენებულმა რომ გეიშვას თავი და ქალი გაგვილანძღოს, რაღა გვეშველება მაშინ? ახლა გვაქ აგერ დროი, ბედი კარზე მოგვადგა და ჩვენც ნუ გაეაბრუნებთ. ერთი სიტყვით, მაი ძალიან კაი საქმეა და რაცხაფერაი ნუღარ დაეკარგავთ.

— თუ დეეითანხმეთ, კი, მარა, რა ვიცი.

— ოჯო, რავა ვერ დეითანხმებ, თუ-კი მეინდომებ, შენი ნება არაა! შენ რომ ეტყვი, იმას დეიჯერებს, აბა რას იზამს!

ამით გათავდა ლაპარაკი. მაქსიმე დამშვიდებული დაბრუნდა სახლში. მან გადასწყვიტა თავისის ქალის ბედი და ეს გადაწყვეტილება ნინოსაც გამოუცხადა.

— რა გიჭირს, ბაბა,—უთხრა მაქსიმემ შვილს დაყვავებით:—კაი ბიჭია და ძალიანი მდიდარი, ბატონსაეით გაცხოვრებს, შენმა გაზდამ, ერთი ქალი ვერ იქნება შენსავით. მამაშვილობამ, ვეც-კი მინდოდა ერთი კაი ნასტავლი ჩინონიკი მომენახა შენდა, მარა, თუ ვინმე ხეირიანია, იმას დიდი გზი-

თი დასჭირდა და ჩვენ, ხომ იცი, არაფერი არ გვაქ. ღარიბ აზნაურს ისევე მაგი ჯობს.

ნინომ პასუხის მაგიერად ტირილი დაიწყო.

— საცოდაო ბაბავ, გაგიჭირდა და მყიდი!—ბოლოს ქვითინით წარმოსთქვა მან.—არაფერს არ გთხოვ ქვეყანაზე. ამელაი მჭადი მაკამე და იმას ნუ მიმცემ! მე რომ ნაკაბეები დამჭირდება, იმისას რაცხას კი გავაკეთებ შინ!

— ნუ დეიჩემებ რაცხა ახირებულს!—წყრომით უთხრა მამამ.—გასაჭირალი აფერია და ძალათაი იქივრებ! ქვეყანაში ხომ თავი მოგვეჭრა, ხომ თლა გევილანძღეთ, რომ ახლა მაი საქმე არ იქნას! მერე მაგისთანაი კი არა, უკანასკნელი ბუტაკეიეც ალარ წაგიყვანს!

— მე აფერი კაცი არ მინდა ქვეყანაზე, მარა, თუ ჩემი დაკარგვით გაკეთდებით, იმასაც შევიტყობ!..

ნინოს კიდეე უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ ახერხებდა: ცრემლები არჩობდა.

მოლაპარაკება გათავდა. ამბობდნენ, მაქსიმეს ნიკოსაგან ორმოცი თუმანი მიიღო. ჯვარის წერის დღეც დანიშნეს. საქმრომ ძვირფასი საქორწილო ტანსაცმელი გამოუგზავნა საცოლოს. ყველანი მზადებაში იყვნენ. ნინო-კი ჩუმად იმდუღრეპოდა, ის ერთ კვირაში საშინლად გახდა. ეკლესიაში, ჯვარის-წერის დროს, ნინო ფერ-მიხდილი იდგა ნიკოს გვერდით. როდესაც მღვდელმა ჰკითხა: „ხომ შენის სურვილით მიჰყვები ნიკოსაო“, ნინომ პასუხი არ გასცა. მღვდელმა განუმეორა კითხვა, მაგრამ პასუხი ვერც ეხლა მიიღო. მესამე კითხვაზე ნინომ ბწუხარედ შეხედა მღვდელს და პირზე მწარე ღიმილმა გადაურბინა...

VI

სოფ. ნ—ში ეკზეკუცია დგას. მკვიდრთა ვაი-ვაგლახით და მწარე ოფლით მოპოებული სარჩო-საბადებელი დღეს ჯარის-კაცთა ხვედრად გამხდარა. სოფელი დრტვინავს, სასოწარკვეთილებას ეძლევა. ის ემუდარება ხან მაზრის უფროსს

და ხან გუბერნატორს: „თქვენი ღვთის გულიზა, გვიშველეთ რამე, ამოგვაგდეს, დაგვეღუპა ოჯახი, ცოლშვილი. ჩვენ აფერ შუაში არ ვართ, ღმერთმა მოჰკითხოს იმას, ვისი მიზეზითაც ჩვენ ამ ყოფაში ვართ! ან რამე საშველი მოგვეცით და ან გადაგვასახლეთ მაინც აქედან სადმეო.“ მაგრამ სოფლელთა ამგვარი თხოვნა-ვედრება უყურადღებოდ რჩება, რადგან მათ, მთავრობის აზრით, დიდი დანაშაული აქვთ: ამ სოფლის შვილი, ივანე დავლაძე, ყაჩაღად გავარდნილა, ის დღეს მეთაურობს ერთს საშინელს ბრბოს ავაზაკებისას, რომელთაც თავაზრი დასცეს არამც თუ მარტო გურიას, არამედ მთელს გუბერნიასაც-კი. საკვირველის სისწრაფით გადადის ეს ბრბო ერთის ადგილიდან მეორეში, დაუსჯელად სძარცვავს და ანადგურებს ყველაფერს, რაც-კი სადმე საკბილო შეხვდება. ამ ავაზაკთა შეუპოვარ მოქმედებას განცვიფრებაში მოჰყავს ადმინისტრაცია, რომელიც სხვა-და-სხვა „განსაკუთრებულ ზომებს“ იგონებს ამ ბოროტების მოსასპობად. სხვათა შორის მან საკიროდ სცნო სასტიკად დაესაჯა ნ—რი, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ეს სოფელი ინახავდა ბვლად ფირალს დავლაძეს... ივანეს საქმის შესახებ დანიშნული გამოძიება უკვე გათავდა. სულ რვა შეწამებულნი იყვნენ, ამათში სამი სრულიად გამართლდა. ამ სახით, დანაშაულობა ხუთ კაცს ბრალდებოდა. მათ შორის დავლაძე საქმის მოთავედ იყო მიჩნეული. აღმოჩნდა, რომ ბოროტ-განმზრახველთ ფულად 1900 მან. წაეღოთ. ამ ფულიდან ივანეს 800 მ. აეღო. ის იყო ივანე ოზურგეთიდან ქუთაისს საპყრობილეში უნდა გაეგზავნათ, მაგრამ ამასობაში იმან გაქცევაც-კი მოახერხა.

ნ—ის სასოფლო სამმართველოს ეზოში ყრილობაა, ხალხი გუნდ-გუნდად დაყოფილა და გაცხარებული ლაპარაკი აქვს.

— ოჯო, რა გევიკლიო, იმ სტრაჟმა უარესი ქნა კიდო!—სთქვა ერთმა ჭალარა-შერეულმა გლეხმა.

— მე თუ მკითხავ, იგენმა ამუაგდო თლა ქვეყანა! სტრაჟი ვართ და ვეფერს შეგვწამებს კაციო და რას შობიან, ღმერთის მეტმა კაცმა არ იცის!—დაუმატა მეორემ.

— ასეა ხო და ფულს ქე გვახთიებენ ჩვენ და იგენს ჯამაგირად აძლევენ! ქვეყანაში სამართალი ჯერ არ დალეულლა, ვითხუოთ, ამის ფულს მაინც ნულარ გვახთიებენ, სხვაი შეწუხება აღარ გვეყოფა თუ?!—ცხარობდა მესამე.

— ითხუე, თვარა მაშვინათვე დაგიჯერებენ, არ გინდა! შენი გაპივრება ძალიანი კი ენაღლება ვინმეს!?—მწუხარედ შენიშნა მეოთხემ.

— დაგვიჯერებენ, თუ არა, მაინც ეცადოთ და სამართალი თუ მეიწობა ჩვენი გულიზა, მადლობა ღმერთს, იმასაც შეიტყობს კაცი!—წარმოსთქვა მესამემ.

ამასობაში ბოქაულიც გამოჩნდა. ყველანი ფეხზე წამოდგნენ და სალამი მისცეს მას. ბოქაულმა ლაპარაკი დაიწყო:

— მე თქვენ შეგყარეთ აქ დღეს, რომ კიდეე იმ ფირალების შესახებ მოგელაპარაკოთ. თქვენ სჩივით, რომ თქვენი დღეანდელი მდგომარეობა მეტად სამძიმოა, აუტანელიაო. თუ გინდათ ამ გაჭირვებიდან გამოხვიდეთ და თავი განითავისუფლოთ, ისევ თქვენვე უნდა ეცადოთ. მთავრობა თქვენს თხოვნას არ შეიწყნარებს, სანამ თქვენ დავლაძეს არ ჩაგვაბარებთ. იგი ამ სოფელში ბუდობს, თქვენ არჩენთ მას. ხელს აფარებთ. თქვენ ყველაფერი იცით. მოგვეცით ეს ავაზაკი და მისი თანაშემწენი და მაშინ თქვენც საშველი მოგეცემათ. თუ ამას არ იზამთ, მაშვინ, იცოდეთ, კიდეე უარესი დაგემართებათ! ამიერიდან, თუ ვინმე მოკლულ იქნება, ან სხვა რაღე დაშავდება, ყველაფერში თქვენ აგებთ პასუხს, თქვენ უნდა ზღოთ!—დააბოლოვა სიტყვა ბოქაულმა. ხალხში ჩოჩქოლი შეიქმნა. ერთმა დამსწრეთაგანმა საპასუხოდ რაღაც ჩაილაპარაკა თავისთვის, მაგრამ იმისი ხმა გარკვეეით არ ისმოდა.

— კაცო, თუ რამეის თქმაი გინდა, გეიწეიი წინ და ისეი თქვი ბარამღაი, რომ ყველამ გეიგონოს!—შენიშნა მოლაპარაკეს ვიღამაც, მაგრამ ამ დროს მეორე ჰხარეს ხალხი გაიპო და წინ წამოდგა ალექსი სანდომიძე. ალექსი იყო შვილი ქვრიეის მარინესი, მისი ერთად-ერთი ნუგეში და იმედი. ნახევრის წლის იქნებოდა ალექსი, როცა მისი მამა გარ-

დაიცვალა. დაბეჩავებულმა მარინემ შვილი გიორგი დავლაძეს მოანათლინა, „აზნაურიშვილია და მფარველობას გამიწევსო.“ მარინე თავის შვილს შეეხაროდა, მხოლოდ მის ბედნიერებაზედ-ღა ოცნებობდა. ახლა ის სასძლოსაც ეძებდა. „ღმერთი რომ ჩემი ალექსას ცოლ-შვილს მომასწრობდეს, მერე თუ მოვკტები, აღარ ვჩივიო,“ ხშირად იტყოდა მარინე. მეზობლები დიდს პატივსა სცემდნენ ალექსის. ეს იყო პატიოსანი, გულკეთილი და შრომის მოყვარე ახალგაზდა. მარად მკვირცხლს და მხიარულს მას სიმღერაში და ცეკვა-თამაშში ბადალი არა ჰყვანდა მთელს სოფელში. დღევანდელ ყრილობაზე ალექსის მოულოდნელმა საქციელმა, მისმა მღელვარებამ და არაჩვეულებრივად მოელვარე თვალებმა მთელი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ყველამ ხმა გაკმინდა. ალექსი ფერმკრთალი იდგა, სიბრაზე არჩობდა მას. აზღვავებული გრძნობა გულს მოაწვა და გადმოხეთქა...

— ჩვენ რაც გვეპირს, იგიც გვეყოფა! მეტი რა უნდა გვიქნათ, რაღა შეგვრჩენია, რომ წაგვართვათ და გაგვიყიდოთ? ჩვენ შიმშილით ვიხოცებით, არაფერი აღარ შეგვარჩენს ქვეყანაზე! ახლა მუშაობასაც აღარ გვანებებთ! ერთი კვირეა აგერ, შინ არ ვყოფილვარ, ხან აქეთ მათრიეთ, ხან იქით. წუხელის მოვედი რავარც იყო შინ და ჩემი მარჩენალი ხარები აღარ დამხვეთენია! ვინ წამართვა მე იგინი? ფირალი ამიზა არ მოვიდოდა, ფირალი იმდონს ვერაფერს გვაწყენს, რასაც სხვაი გვიშობა ჩვენ! მე კი ვიცი, ვინცხამ მიქნა მაი, ჰარა ჩემს დაქცევას იგენს არ შევარჩენ, თუ ალექსაი ვარ! ასეი ვილუპებით ჩვენ და კიდო დაგიჩემებიენ, ფირალები მოგვეცითო! საიდან მოგცეთ, თქვენ ვერ დეიჭირეთ, თუ ასთეი ადვილია? მარა რა გენაღვლებიენ, რასაც იტყვით, ქე გაგივათ და! აი ტრაკი რაღას აკეთებს აბა? ტყულაი ჭამენ მაგენი ჩვენს ნაოფლარს! თლა იგენი უწყობენ ხელს ფირალს! ჩვენ არ გვინდა იგინი, არა! იგენის ჯამაგირს აწე ვეღარ გადვიხდით!—თვალების დაბრიალებით დაასრულა სიტყვა ალექსიმ და ირგვლივ მიმოიხედა.

ამ პასუხმა ბოქაული მოთმინებიდან გამოიყვანა. მან წარბი შეიკრა და მრისხანედ იკითხა:

— ვინ არის ეს თავხედი, ასე შეუპოვრად რომ ლაპარაკობს?

— მაგი, მე რომ ამას წინეთ მოგახსენე, იგი გახლავს,— მიუგო მამასახლისმა.

— ახლავე დაიჭირეთ და ოზურგეთში გამოგზავნეთ!— ბრძანა ბოქაულმა.

— ვეღარ მოგართვი სწორედ! ძალიანი უკაცრავად ბძანდები, მე ხელს ვერ მახლებს კაცი!—დაიძახა ალექსიმ. მარდად შემოტრიალდა, გაარღვია ხალხი და გაიქცა.

— დაიჭირეთ მაგი ბრიყვი!—ჰყვიროდა გააფთრებული ბოქაული.

მამასახლისი, მისი თანაშემწე და ერთი ვიღაც კიდეც გამოუდგნენ გაქცეულს, ჩქარა ცხენოსანი ყაძახებიც დაედევნენ, მაგრამ გვიან-ღა იყო: ალექსიმ ამასობაში სიმინდის ყანაში გადირბინა და თვალის დახამხამებაში გაჰქრა. დამსწრე საზოგადოება მღელვარებამ შეიპყრა: ალექსის სიტყვები ყველას გულს მოხვდა...

გულ-გახეთქილმა მარინემ დიდხანს ეძება შვილი. ბოლოს, როგორც იყო, სადღაც შეხვდა მას, მუხლებზე მოეხვია და შეევედრა:

— ნენა, შენი პირიმე! ნუ დამღუპავ, ნუ გამომქრი ყელს, წამოდი იმ ნაჩანიკთან, შევეხვეწოთ ორივემ, მუხლზე ვაკოცოთ და ეგება გვაპატიოს.

— არა, ნენა, იქინეი მისელა მე არ შემიძლია! იგენს რომ კაცი ჩაუვარდება ხელში, მერე რაღა დროისაა! იგენთან ცოცხალი არ მივალ, თავს ვერ გავალახვინებ, მაინც ქე დამკარგვენ და ისევე ასე ჯობს. საწყალო ნენავ! ძალიანი კი მეცოდვები, მარა რა ექნა! თუ რამეა შინ, იგი შენ ქე მეიხმარე სიცოცხლეში და მე ვითომ მკტარი ვყოფილვარ, ან სულ არ დავბადებულვარ, ისე იფიქრე!—ალექსიმ საშინელის

მღელვარებით სთქვა ეს სიტყვები. შემდეგ გადაეხვია დედას, მხურვალედ ჩაჰკოცნა, გამოემშვიდობა და წავიდა.

VII

ბათუმის ერთს განაპირა ქუჩაზე, ზღვის პირას, პატარა სახლი სდგას. ამ სახლში ცხოვრობს ნიკო კალაძე თავის შეულლით ნინოთი. შვიდი თვეა მას შემდეგ, რაც ნიკომ ჯვარი დაიწერა. შემოდგომის გრილი საღამოა. გაღებულ სარკმელთან ზის ნინო და ზღვისკენ გაიყურება. ამ შვიდი თვის განმავლობაში ის შესამჩნევად გამოცვლილა. მისი ოდესღაც მშვენიერი თვალები ჩაღრმავებულა. გამხდარი, სევდა-ვნუხარებით მოცული სახე აშკარად ჰმოწმობდა, რომ ცხოვრება ამ ქალისთვის აუტანელი ტანჯვა-ვაება იყო. ნინო ფიქრებში გართულიყო. ვინ იცის, რა აგონდებოდა მას ამ დროს. ღამის ათი საათი დაჰკრა. ნინო ისევ უძრავად იჯდა და თვალს ადევნებდა ზღვის ტალღების მოძრაობას. ამასობაში ნიკო მოვიდა.

— რა ამბავია, რომ გაგიფითქავს მაი აკოშკა და გადაყუდებულხარ ზეთ, სიცივე რომ არის, ველარ შეიტყვე?— უსაყვედურა მან ცოლს.

ნინომ ხმა არ გასცა.

— შეგცივდება და ავად გახდები, რეიზა შობი ამას. გენაცვალე?—მიუალერსა ნიკომ და ხელები მოხვია ნინოს. ქალმა თავი გაინთავისუფლა და ზიზღით წარმოსთქვა:

— გამეცალე იქით!

— ვის უჩივი მაგას?—მე ვინ ვარ?—ჰკითხა გულმოსულმა ქმარმა.

— ვინა ხარ და ერთი მოჯალაბე, გადათრეული! აბა კაცი ბგონია ვითომ შენი თავი?

— გაჩერდი, თვარა მე შენ წაგაკენტიებ მაგ ენას ერთ დღეს! რომ წაგეკიდები თმაში, სულ შემოგათრევ ამ ეზოს!— შეუტია ცოლს გაბრაზებულმა ნიკომ.

— მეტი რა სიკეთე შეგიძლია აბა შენ, კაცის საჯაყვო! —

სთქვა ნინომ და მეორე ოთახში გავიდა. ნიკო იქვე დარჩა, სტოლს მიუჯდა, ამოიღო ჯიბიდან ფულები და ანგარიში დაუწყო. ამ დროს, უეცრად, კარები გაიღო და ნიკოს ოთახში შევიდა თავით ფეხამდე შეიარაღებული ივანე. მას ორი სხვა თოფიანი კაციც შემოჰყვა. ხმაურობაზედ ნინომ გამოიხედა, მაგრამ შეამჩნია რა ივანე, ერთი შეჰკივლა და გულ-შემოყრილი იქვე კარებთან ჩაიკეცა. ნიკო შიშისაგან ერთიანად გაფითრდა, ტანში კანკალი აუვარდა.

— უკაცრავად, მგონი საქმე შეგიშალეთ! — დაიწყო ივანემ. — მგონია, კი უნდა მიცნობდე. კაი ხანია შენი ნახვა მინდოდა, მარა აქამდე ვერ მოვახერხე.

— დაბრძანდით! — ძლივსღა წაილუღლუღა ნიკომ და სკამის მოსატანად წამოიწია.

— არ გიექანო მაქიდან, თვარა ამ წუთში გაგაქრე! — დასჭყივლა ივანემ.

ზარ-დაცემული ნიკო ხელებ-გაწვდილი გაშეშდა.

— ვინ ხარ შენ, მამა შენი ვინ იყო, ხომ კი გახსოვს? — მკაცრად ჰკითხა ივანემ.

— მე... კი... უნდა მიცნობდე თქვენ. — ძლივს წარმოსთქვა ნიკომ.

— შენ კიმოთაი კალაძის შვილი ხარ, გლახა კიმოთაი რომ იყო, სამოწყალო, იმის! შენ გუურეცხელი ყაძახი ხარ. მოჯალაბე, ხომ კი?

— ბატ...

— ახლა მიძახი ბატონს, შენ წუნკერო, შენ? — გააწყვეტინა სიტყვა გამძვინვარებულმა ივანემ. — შენი ბატონი ყოველთვის ვიყავი მე, მარა ორი კაპეიკი რომ იშონე, მერე კაცი აღარ გიჩთა თვალში, ქვეყანა შენი იყო, გეგონა!

— მომიტევე, თუ...

— მე მაშვინათე დამკარგავდენ, გეგონა, აღარ ფიქრობდი, თუ სადმე კიდო შეგთხებოდი და მაგიორს გიზამდი, თავი ეიგდე თლა, იმისთანაი საქმე გაბედე, მარა ახლა კი წაგანკალებ ყოველიფერს ერთათ, ჩაგაძაღლებ!

სინათლის შუქზე უეცრად ხანჯალმა გაიელვა, მოისმა ყრუ გმინვა და რაღაცა მძიმედ იატაკზე დაეშვა. ივანე მაშინვე ნინოს მივარდა, რომელიც ამ დროს გაფითრებული კედელს მიყრდნობოდა, ხელი მოხვია მას და თავისკენ მიიზიდა; მაგრამ ქალი გამოუსხლტა, ხელი ჰკრა ივანეს და წყროლით წარმოსთქვა:

— გეიწი იქით! კაცის მკვლელი მე არ მინდა!

ივანე გველ-ნაკბენივით ნინოსაკენ გაექანა.

— შენც მომატყუე ხომ?—წამოიძახა მან გააფთრებულმა, ხანჯალი ჩასცა ქალს ზურგში და გარედ გავარდა.

ნიკოს შემაძრწუნებელმა სიკვდილმა მთელი ბათუმი შეაშფოთა. ნინო, როგორც იყო, ჭრილობას გადურჩა. მკვლელებს სახლიდან არაფერი არ წაეღოთ, არც ფულად და არც რაიმე ნივთიერება. ეს გარემოება აშკარად ამტკიცებდა, რომ ნიკო შურის-ძიების მსხვერპლი იყო და სხვა განზრახვას ამ ბოროტმოქმედებაში ადგილი არ ჰქონდა, მაგრამ ვინ იყო ეს შურის მაძიებელი? გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ნინო თვისის სურვილით არ გათხოვილა, რომ ვითომც ის ერთხელ კიდევაც დაჰმუქრებოდეს ნიკოს: „თავი დამანებე, ნუ გადამკიდებიხარ, თვარა არ შეგრჩება მაგი შენო.“ ცოლ-ქმარი თანხმობით ვერ სცხოვრობდნენ, მუდამ უსიამოვნება მოსდიოდათ. აღმოჩნდა, რომ ნიკო კარგად იცნობდა წინად ივანეს. ყველა ამ გარემოებათა წყალობით ნინოზე ეჭვი მიიტანეს: უთუოდ მას ნიკოს ჯავრი ჰქონდა, მისი სიკვდილი სწყუროდა, ეხლა შემთხვევა მიეცა და ივანეს შემწეობით თავისი განზრახვა კიდევაც შეასრულაო. ამ აზრს ის გარემოებაც ეთანხმებოდა, რომ ნინო მსუბუქად დაჭრილი აღმოჩნდა. ნიკოს მოსამსახურე ბიჭმა განაცხადა გამომძიებელთან: „ქალბატონმა ერთი გზობა რაცხა დაწერილი წიგნი მომცა და მითხრა, თუ შეგიძლია მაი წიგნი ნაობახში მიიტანეო, მარა მერე ისევე გამომართვა, და მგონი დახია; მას აქეთ ქე იქნება ერთი ხუთი თვეი; მაშვინ სოფელში ვიყავით.“ მოსამსახურე გოგომ სთქვა: „ფირალები რომ მოვიდნენ, მე მაშვინ სამ-

ზარეულო სახლში დავრჩი. ორი შეიარაღებული კაცი დამადგა თავზე და მითხრეს, აქედგან არ გიექანო და აფერი თქვაო. მე არ დამინახავს, რანაირათ მოკლეს ბატონი, მარა აი კი ვიცი, რომ ქალბატონი მაშვინ მეორე ოთახში გაჩუმებული იყო.“ ნინო ამბობდა: „მე, თუ დამიჯერებთ, მაგ საქმეში აფერი დანაშაული არ მაქ. მართალია, მე სიცოცხლე არ მინდოდა, ხუთი-ექვსი გზობა კი ვიფიქრე, ზღვაში დეევირჩობ თავს-მეთქინ, მარა ვეღარ გავბედე. ქმარი კი მძულდა სწორეთ, მაგას რეიზა გამიმტყუნებს ეინმე: მე ძალითაი გამათხუეს. ასე იყო, მარა მისი სიკვტილი მაინც არ მიფიქრია. რაც იყო, იმას არ დავმალავ. ივანე დავლაძეს კი ვიცნობდი გათხოვებამდი, მარა იმასთან აფერი თვისება არ მქონებია და არც რაზე შემითლია მისდღემჩი! მართალი თუ გინდებიენ, აგია და სხვაი თქვენ იცით.“

ნინო დააპატიმრეს. მან გადასწყვიტა ბედს დამორჩილებოდა, გულგრილად შეხვედროდა ყოველ გაჭირვებას, მაგრამ ვერ შესძლო. როდესაც ნინოს წინ საპყრობილის კარები გაიღო, მან ცრემლები ვეღარ შეიკავა. ღამე ნინოს ძილი არ მიჰკარებია. საშინელმა მწარე ფიქრებმა გაიტაცა ის, მოაგონდა ბავშვობა, სკოლა, თავისი ცქრიალა ამხანაგები, რომელთა შორის ბევრნი დღეს ბედნიერნი და კმაყოფილნი იყვნენ. შემდეგ წარმოუდგა თავისი ტანჯული ცხოვრება, გაცრუებული იმედები და ვეღარ გასძლო: „ღვერთო, რეიზა გამაჩინე, თუ ამისთანაი ბედი მელოდა!“ ამოიკვნესა საწყალმა, მას გული ამოუჯდა, იატაკზე დაეცა და მწარედ ქვითინი დაიწყო...

დილით ნინოს ოთახიდან რაღაც ახირებული სიცილი მოისმა. საპატიმროს მსახური ბიჭი მივიდა კარებთან. ნინომ დაინახა თუ არა ის, მაშინვე წამოვარდა ზეზე და მიაძახა:

— მომიყვანეთ ცხენი, მომიყვანეთ, რავა, რა იქნა ელანძე! ციცას დამიძახეთ მაინც, ციცას! გამიგზანეთ ჩქარა, რავა ქე დამაგვიანდა, ჩემს მტერს დიემართა აი!

— რას ჩიი, შენ, რას?—ჩასძახა მსახურმა. ნინომ ხმა

არ გასცა. გაკვირვებული მსახური გაიქცა საპატიმროს უფროსთან და მოახსენა:

— ბატონო, იი ქალი რომაა ნაობახში, ქმარის მოკლაზე დაჭირული, იგი ქე გადირია! ჯერ სიცილი დეიწყო ტყუილაი და ახლა რაცხას ლაპარიკობს, ვეფერი ვერ მიეხთი, რას ჩივა!

მეორე დღეს მოსამსახურეებმა ცოცხალ-მკვდარი ნინო იატაკიდან აიღეს და საავადმყოფოში წაიყვანეს.

საწყალს ტვინის ანთება მოსვლოდა. ოთხი დღე-ღამე საშინლად იტანჯა ავადმყოფი. ვერავის ვერ სცნობდა. ხშირად წამოიკივლებდა: „არ ვიცი მე, არა, დამეთხუეთ!“ ბოლოს ნინო საშინლად დასუსტდა, გრძნობა სულ მთლად დაჰკარგა და მეხუთე დღეს სულიც განუტევა.

„ვაიმე, შვილო, ჩემო კაო ნინო, ჩემი ხელით დაგღუბე,“ მე უბედურმა!“ საცოდავად ბღაოდა მაქსიმე და თმებს იგლეჯდა.

VIII

ბახვის წყლის პირზედ ამართულია ერთი გორაკი, რომელიც დაბურულის ტყით შემოსილა. შემოდგომაა. არე-მარე ღამის წყვდიადს მოუცავს. ყველაფერი მშვიდობიან მოსვენებას მისცემია. მხოლოდ ბახვის წყლის მოუსვენარი შხუილი და ზოგჯერ ბუს ყრუ ხმა არღვევდნენ ბუნების მდუმარებას. ამ დროს ტყეში, ერთის ხის ძირას, მიწოლილა ნაბდებში გახვეული ორი კაცი. მარჯვენა ხელი ორთავეს თოფებისთვის ჩაუვლიათ. აგერ რაღაც შრიალი მოისმა: მახლობელ წიფელზე ფრინველებმა ფრთხიალი შექმნეს. ერთი მწოლარეთაგანი ფიცხლავ, დაჭრილ ნადირივით, წამოვარდა ზეზე, თოფი მოიმარჯვა და ბნელ სივრცეს დააცქერდა, საიდგანაც საეჭვო ხმაურობა შემოესმა. ბოლოს, რაკი დარწმუნდა, რომ საიმისო არა იყო-რა, ისევ თავის ნაბდისაკენ მიბრუნდა.

— ალექსავ, ალექსავ! ადექი ბიჭო, ზეთ! რაფერ დაგე-

ბინება ისეი, რომ კაცმა თავი მოგჭრას, ვერ შეიტყობ?—გა-
ბოეხმაურა ის მწოლარეს.

— ამის დარდი არ მაქ! თუ ვინმე მომკლავს, უკეთესია, ბარალმაი გადავრჩები ამ ბელას და იგი იქნება!—მოისმა ნაღ-
ვლიანი ხმა მეორე ამხანაგისა, რომელიც ამასთანავე წამოჯდა
და ხეს მიეყრდნო.

მკითხველი მიხვდება, რომ ამ ფირალთა შორის ერთი
ივანე იყო, მეორე—ალექსი სანდღომიძე.

— შენ სახლში უნდა ეგდო, ნაცარს უნდა ქექდე, ფი-
რალობა რა შენი საქმეა! ჯერ ერთი თვე არაა აგერ და ასეი
რომ წახდი, ყაძახო, აწე რაღას იზამ შენ?—განაგრძო ლაპა-
რაკი გულ-მოსულმა ივანემ.

— ჩემი ჯავრი ნუ გაქ შენ! მე არა კაცს არ ვეკიდები
ზღურგში! მაინც და მაინც აფერი ყაძახობაა ღამ-ღამე ძუნძუ-
ლი და თოფის ჩახმახის გამოშლა. მე ბიჭობის გამოსაჩენად არ
გავმდგარვარ. ჩემდა ჯერ წკიპურტი არ წუუკარებია კაცს და
ვერც წამაკარებს, სანამდი სული მიდგანა! თავს არ დავაჭირ-
ვიებ იგენს, ცოცხალი მაინც არ ჩუუვარდები ხელში და
კტარს რაც უნდა, იგი მიქნას!—წარმოსთქვა ალექსიმ.

— რას ჩურჩუტობ, თუ იცი? ასე რა შეგინახავს შენ?
ჯერ არ იცი, რამდენი ფული უნდა ფირალს. ფირალად ვიქ-
ნები და კაცს აფერს ვაწყენო—არ იქნება. ვითამ რეიზა უნდა
შევიბრალო ვინმე, ერთი მითხარი? რა კაი მიქნა მე სხვამ? მე
კარგათ მომემყრენ თუ? მარა არა კაცს არ შევარჩენ მე ამას,
თუ ივანე დავლაძე ვარ! არავის არ დევინდობ ქვეყანაზე,
ეისი ჯინიც კი მაქ! ჯერ სადაა, ბარე ორის დედა ატირდება!
მე ვიცი, ბევრი ჩემი მტერი გახარებულია ახლა, იგინი ლხინ-
ში და ქეიფში ატარებენ დროს, მარა ყველას წავანკალებ და
ჩავაშხამებ, თუ ბიჭი ვარ: გავსპრი, გავაპობ და ისე გევიარ
შუაში!—სჭექდა და ჰქუხდა გაბოლრტებული ივანე.

— ახირებული კი იცი, ივანე, ღმერთმანი! სიმართლე
ნუ გეწყინება! კაცს ღმერთის უნდა ეშინოდეს მაინც! ვინაა

დანაშაული შენს საქმეში? შენი ხელით წეიხთინე თავი და ვის რას ემართლები, რომ არ ვიცი?

— ნუ ბეუტეურობ რაცხას! იგი მე ვიცი, ვინცხაა დანაშაული! მე არაფერს ვემართლებოდი ნიკოია კალაძეს? აფერს ვემართლებოდი სამსონა ტარაძეს და სხვებს კიდო? არა კაცს არა აქ ბრალი? ა? ქვეყანას არ შევარჩენ მე ჩემს ვაფუქებას! ვინც მევინელე, მევინელე და ვინც არა, იგენსაც მალე დეუბნელებ მზეს!—კბილების კრაჭუნით დააბოლოვა ივანემ.

— შენ არა კაცი აღარ გენაღლება ახლა!—ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ დაიწყო ალექსიმ ათრთოლებულის ხმით,— ბრუნდს და მართალს აღარ არჩევ, იმიზა რომ თვითონ არ გამოგიცდია მაი შეწუხება! რას ვერჩი სოფელს, ვინ რა დამიშავა? არაფერი არ მინდა ქვეყანაზე! სანამდე ცოცხალი ვარ, ორ ლუკმა მჭადს ისეიც კი ვიშოვნი, ამიზა აფერ კაცს არ ვაწუხებ!

— დეიკარგე საცხა! გულ-ჩვილობა დამიწყო ახლა აკანაი! ამიზა რალა გაფირალებდა, თავს შენი ხელითაც კი მეიკლავდი, თუ გინდოდა!

ალექსი მოთმინებიდან გამოვიდა.

— თვითონ შენ დააქციე ჩემი ოჯახი, შენ გამაუბედურე მე და ახლა მიჩივი ჩემგას?—შეჰყვირა მან.—ნუ მათქმიეს ყოლიფერს! ნენაის ცოდვა კაის არ გიზამს შენ! რა მოხვიდოდი ჩვენსას იმ ღამეს, რა გინდოდა? ხომ იცოდი, რომ სხვაეც შეიტყობდა მაგას? მარა არაფერი კაცი არ გენაღლება შენ, არც მტერი და არც მოყვარე! იცოდი, არ გიღალატებდი და ქე დამღუპე!.. მე წკიპურტი არ წამიკარებია კაციზა მის ღღემჩი! ოღონდ ახლა გამიწყრა აგერ ღმერთი, თვარა! მე ღღეს კაცის მკვლელი შევიქენი! ღმერთმა ჰკითხოს. ვინცხაის ბრალი მაგია! გადამრიეს, ოჯახი ამომიგდეს და ქე დამილია ეშმაკმა! კაცი რომ განადირდება, მერე რას არ იზამს იგი? მარა მეტი აღარ შემიძლია, არა! მე თავი მოვძულდა, არაფერს არ ვეძებ ქვეყანაზე, საცხა ერთი ტყვია რავა ვერ მომკლავს!

ივანე გაბრაზდა:

— რა თავს იგდებ შენ, ყაძახო! გაჩუმდი, თვარა... კი-სერიც მოგიტეხია, მე იმის დარდი არ მქონდეს! — მრისხანედ შესძახა მან.

ეს ლაპარაკი მოულოდნელმა ხმაურობამ შესწყვიტა: განთიადმა მოაწია, შორიდგან მოისმა სიმინდით დატვირთულ ურმების ჭრიალი და მშვენიერი „ხელხვავი". ალექსის გული ამოუჯდა. „ვაიმე ჩემო დალუპულო ოჯახო!" წაილუღლუღა მან და თვალებზე ცრემლი მოადგა.

უმეტესი ნაწილი გურიისა დიდად შეწუხებული იყო. ავაზაკობა ისევ მძვინვარებდა. თავ-გასული ფირალები არავის აღარ ერიდებოდნენ. კაცის-კვლა და ძარცვა-გლეჯა ხშირი იყო. ვინ იცის, ამ ავაზაკობის წყალობით რამდენმა ულირსმა კაცმა შეისრულა თავისი საზიზღარი განზრახვა, ვინ მოსთვლის რამდენ აღმაშფოთებელ ბოროტებას ჩაუვლია სრულიად შეუმჩნევლად, დაუსჯელად!.. ამ სენის მოსასპობად ბევრს ცდილობდნენ, სასოფლო გზებში ღამის დარაჯნი, „სტრაჟები" და ყაზახები იყვნენ ჩასაფრებულნი, სამაზრო ადმინისტრაციას ხან-და-ხან მოსდიოდა ცნობები: „ფირალები ამა და ამ კაცისას ათევენ ღამესო", ოზურგეთიდან ხშირად იგზავნებოდნენ ჯარის-კაცთა რაზმები სხვა-და-სხვა სოფლებისაკენ ავაზაკების შესაპყრობად, მაგრამ ეს უკანასკნელნი ყოველთვის ახერხებდნენ ხიფათისაგან უვნებლად თავის დახწევას.

დეკემბრის სუსხიანი ღამე იყო. ხან-გრძლივი წვიმების შემდეგ პირველი თოვლი მოდიოდა. ხეები თეთრად შემოსილიყო. თოვლს დედამიწაც დაეფარა, მხოლოდ სასოფლო ატალახებული გზა აქა-იქ შავად გამოიყურებოდა, ჯერ კიდევ აქ ვერ მოეკიდებინა ფეხი თოვლს. სოფ. ...-ს კარგა ხანია ჩასძინებოდა. ხან-და-ხან, კანტი-კუნტად, ძაღლის ყეფა თუ მოისმოდა. აგერ მამალმაც იყივლა, განთიადი მოახლოვდა. ამ დროს ხსენებულს სოფელში, ერთი აზნაურის სამზარეულო სახლში, ცეცხლის პირას, იდგნენ ივანე და ალექსი. ამათ გარდა

ჰკრთალად განათებულს სახლში მოსჩანდა თვით მასპინ-ძელიც.

— ჰასპინძელმაც ღამე ჩემთან უნდა გაათიოს, ვერ მომ-ცილდება. მეც დაიმედებული უნდა ვიყო, ღალატის აღარ უნდა შეფიქრებოდეს!—დაიწყო ივანემ.

— მადლობა ღმერთს, პირველად არ ხარ ჩემს ოჯახში!— რავა რაფერ ჩივი, ივანე, თუ ღალატი მდომებოდა, ამდენ ხანს ვერ გიღალატებდი, თუ იკი? აგერ წუხანდელი უძინარი ვარ და პაწას წვეიძინებ-მეთქი ოდაში, თვარა ისე სულ ერთი არაა, საცხა ვიქნები!—წარმოსთქვა მასპინძელმა, რომელსაც თან-და-თან მოუსვენრობა ეტყობოდა.

— ვეფერ კაცს ვერ ვენდობი ახლა, ვერა! ამაღამ აქი-დან ვერ გაებანდალები ტყუილაი!—წამოიძახა განრისხებულ-მა ივანემ.—აფერი სალაპარაკო არ გაქ ახლა აქანაი! ფულს იღებ და ღამეც ისეთი უნდა გამათევინო, რავაც მე მინდა, თვა...

ივანეს რაღაც კიდევ უნდა ეთქვა, მაგრამ დაუსრულე-ბელი სიტყვა პირში შერჩა: ამ დროს აჩქარებული ბაგა-ბუგი მოისმა. ამის გაგონებაზე ივანე თვალის დასამხამებაში მიეარ-და მასპინძელს და გულში ხანჯალი აძგერა. „ჩემი... ღალა-ტით... გაკეთება თუ გინდოდა... აბა ნახე რავაია ღალატი... შენ მაინც აღარ დაგტიებ ცოცხალს!“ ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოისროლა გამძვინვარებულმა ივანემ. ალექსი იმ დროს კარს მისდგომოდა და ჯურჯუტანაში იყურებოდა.

ამასობაში ორმოც-და-ათი შეიარაღებული კაცი გარს შემოერტყა სახლს. „სახლში ვინც ხართ, დაგვნებდით, გი-ჩვენიენ, თვარა რავაც გაქცევას მეინდომებთ, მაშინათვე გა-გათავებთ, იცოდეთ! თქვენი წასვლა არ იქნება!“—მოისმა ხმა გარედან.—თქვენ ვინც შეგიშინებიან, იგი შიაშინეთ კი-დო! სანამდი ალექსაი ცოცხალია, თქვენ იმას ვერ იშონით!— წამოიძახა მღელვარებით ალექსიმ, ჰკრა კარს წიხლი, გადააქ-ცია და შურდულივით გარეთ გავარდა. სწრაფად მიმოიხედა ხან გარშემო, ეტყობოდა, თვალით, ვიღაცას ეძებდა, მაგრამ ვერ შეამჩნია. „ვაი შენს ტყავს და რაღა დროისაა ახლა!“—

მწუხარედ წაიჩურჩულა მან თავისთვის და თოფი მიწას დაა-ხალა. ამ დროს თოფებმა დაიგრიალეს. „ნენავ, საცოდავო ნენავ!“—ამოიკვნესა ალექსიმ და გულ-გახვრეტილი მიწაზე დაეცა.

იმ დროს, როდესაც ალექსი სიკვდილს ებრძოდა, ივანე უკან კარიდან ფრთხილად გარეთ გავიდა და უეცრად გაჰქრა. დღემდის გამორკვეული არ არის, როგორ მოახერხა მან გაქცევა. მართალია, თოფები კი გაისროლეს, მაგრამ ივანე მაინც უვნებლად წავიდა. ამ გარემოებამ სხვა-და-სხვა მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამბობდნენ: „სტრაჟებს რომ მიენდომე-ბიენ, რავა წეეიდოდა დავლაძე ცოცხალი, მარა იგი განგე-ბაი გაუშვესო.“ ზოგიც იმ აზრისა იყო, რომ „იმას იმისთა-ნა წამალი აქ, ტყვია არ მიეკარებაო.“ მეორე დღეს ტფი-ლისის გაზეთებში შემდეგი ცნობა იყო ოზურგეთიდან: „გუ-შინ, დილის სამ საათზე ს. ...-ში მოკლეს ფირალი სანდო-მიძე. დავლაძე მძიმედ დაჭრილია. ადმინისტრაცია ენერგიულად სდევნის მას.“

IX

სოფიოს სიკვდილმა დიდს მწუხარებაში ჩააგდო გიორგი. ის ერთობ ძლიერ მოხუცდა, მოტყდა. სოფიო, როგორც იყო, ოჯახს უძღვებოდა, მეთაურობდა, მაგრამ ეხლა ალარა-ვინ იყო თადარიგის დამჭერი. შვილის უბედურებამ მთლად გაამწარა საწყალი მოხუცი, ვინ იცის, რა საშუალება არ იხ-მარა, რომ შვილი დაეხსნა როგორმე. უმეტესი ნაწილი მიწა-მამულისა და ოდა ამ საქმეს მოახმარა. ჯერ კიდევ საპყრო-ბილეში იჯდა ივანე, რომ გიორგიმ მთავრობას მიმართა და ითხოვა: „მაგი ერთი შვილი მაჩუქეთ, მოხუცებული კაცი ვარ, მეტი არაფერი გამაჩნია ქვეყანაზე, იგია ჩემი მარჩენალი და მანუგეშებელიო,“ მაგრამ ვერას გახდა. პირველად გიორ-გის არ უშლიდნენ საპყრობილეში შვილის ნახვას, მაგრამ როდესაც ივანეს დანაშაულობა საბოლოოდ დამტკიცდა, მა-

შინ გასჭირდა საქმე. მოხუცი ყოველთვის, როცა შვილის სანახავად წასვლას დააპირებდა, გულ-მოდგინეთ იკეთებდა ჩოხაზე თავისს ძველ პრაპორკიჩის ეპოლეტებს და ისე მიადგებოდა საპყრობილეს კარებს, „ეგება მომერიდონ და ერთი გზობა მაინც მაჩვენონ ჩემი ივანე ციმბირში გაგზავნამდიო“, მაგრამ ამაოდ. ბოლო დროს ყოველთვის ერთსა და იმავე პასუხს აძლევდნენ: „შენი შვილი „სეკრეტშია“ და იმისი ნახვა არ იქნებაო“. „ღმერთო, დიდება შენს სახელს, რა შეგცოდე იმისთანაი, რომ ასთე გამამწარე ამ მოხუცებაში? აღარც ცოლის ვარ და აღარც შვილის! სიკვტილი რეიზა გაგიპირდა მაინც ჩემდა, რომ ამდენ უბედურებას შემასწარი?“ ამბობდა სასოწარკვეთილი გიორგი. იგი დასნეულდა და ბოლოს ლოგინადაც ჩავარდა. არავინ არ ეკარებოდა მოხუცს. მეზობლებმა შეიძულეს ის: ყველანი წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ დაელაძის ოჯახს; რომლის მიზეზითაც მათ ამდენი შეწუხება და მწარე დღეები გამოეცლოთ... ავადმყოფს მოვლა აკლდა; თავს ადგა ერთი მოხუცი დედაკაცი, რომელსაც გიორგი ხუთ ფუთ სიმინდს დაჰპირდა თვეში. ორი თვე იავადმყოფა მოხუცმა და შემდეგ გარდიცვალა. მიცვალებულის დასაფლავება მისმა ძმამ, თეოდორემ, იკისრა... გავიდა ერთი კვირა. იანვრის საღამო იყო. გარეთ მძაფრი ყინვა ქარს ებრძოდა. ამ დროს, სწორედ სახლიდან, სადაც რამდენისამე დღის წინად გიორგიმ სული დალია, რაღაც გაურკვეველი ხმაურობა და სიმღერის ხმა ისმოდა. ადმინისტრაციის განკარგულებით აქ რამდენიმე ყაზახი იდგა. ბოლოს ხმაურობა შესწყდა. ერთი ყაზახთაგანი თოფით ხელში გარეთ გამოვიდა. ეზო დაათვალიერა და იმ სახლისაკენ მიბრუნდა, სადაც ცხენი ეგულებოდა. უეცრად თოფმა დაიგრიალა და უსულო გვამი ყაზახისა მიწაზე დაეცა... მესამე დღეს სამსონ ტარაძეც მოჰკლეს...

ამის შემდეგ ბევრი აღარც ივანეს დასცლია. ბოლოს დროს ის ძალიან ფრთხილად იქცეოდა, იშვიათად თუ ვისმეს ენდობოდა. ჯერ კიდევ ზამთარი მეფობდა. შუა ღამე იქნე-

ბოდა. ამ დროს ტყის განაპირას, სოფლისკენ მიმავალს, ერთ ვიწრო ბილიკზე გამოჩნდა ივანე. სწორედ სანახევად ღირდა ეს ახოვანი, თავით ფეხამდე იარაღში ჩამჯდარი ვაჟკაცი. კავკავის მშვენიერი ნაბადი გვერდზე მოეგდო და ფრთხილად წინ მიდიოდა. მისს მოძრაობაში მედიდურობა და ამპარტავნობა ისახებოდა. აი გაუსწორდა ერთ საყანე ადგილს, რომელსაც გარს ერტყა მაღალი თხრილი. ამასობაში მთვარემ ოდნავ გამოაშუქა. უეცრად თოფების გრიალი მოისმა თხრილიდან. ივანემ ერთი საზარლად დასჭყივლა, სწრაფად გაისროლა თოფი და წინ გაექანა, მაგრამ გაქცევა შეუძლებელი იყო. მაშინ, უკვე მძიმედ დაჭრილი, ერთს მოხერხებულს ალაგს მივარდა და ხეს მოეფარა. აქ ჩქარა გაჩნდა რამდენიმე ჯარის-კაცი. ასტყდა სროლა, ივანე განწირულებით იბრძოლა და თან შემარყეველის ხმით კიჟინას სცემდა. ორი ჯარის კაცი მოკვდა, ერთიც დაიჭრა. „მოდით აბა პირდაპირ, დედა თქვენის შვილი ხართ... ახლო მოდი ვინმემ, თუ გულს გერჩის, თუ აი ბიჭები ხართ... ძვირად დაგიჯენ მე თქვენ ჩემ-თავს, ძვირად!..“

დიდხანს ისმოდა ჩახლეჩილი ხმა ყაჩაღისა. ბოლოს მარჯვენა ხელში მოჰხვდა და თოფი ხელიდან გავარდა. ძალღონე ჰღალატობდა. მაგრამ მაინც არა სცხრებოდა; ახლა რევოლვერის ამოღებას ცდილობდა. კვლავ გაისმა თოფების გრიალი და ივანე საუკუნოდ დადუმდა...

X

განვლო რამდენიმე თვემ. ქვეყანა მოსვენებას მისცემოდა. ფირალების შიში ღარავის ძილს არ უფრთხობდა. შემთხვევით ნ—ში წასვლა მომიხდა. მაისის მშვენიერი საღამო იყო. ჩამავალი მზის სხივები ქვეყანას უკანასკნელად ეალერსებოდნენ. სადღაც შორს „ელესა“-ს გასძახოდნენ. ამ დროს ეკლესიის ზარის მშვიდი ღუღუნიც გაისმა—მწუხრის ლოცვა იწყებოდა. ამასობაში ნ—ს მიუახლოვდი. ის იყო პატარა

ბუჩქნარში შევედი, რომელიც ამ სოფელს დასავლეთით აკრავს. უეცრად გულსაკლავი ქვითინი შემომესმა. მე შევკრთი, ცხენი შევაყენე და დავაყურე. ახლა უფრო გარკვევით მოდიოდა ხმა. გზა გადუხვიე, ცხენი დავაბი და გავსწიე იქით, საიდანაც გულის ამღვრევი ხმა მოისმოდა. ფეხაკრებით, სულგანაბული მივდიოდი წინ. ბოლოს შემდეგი სურათი წარმოვიდგა: ერთის ხის ძირას, მიწაზე, პირქვე ჩამხობილი ეგდო ფეხ-შიშველა, შავს ძაძში გახვეული დედაბერი და საცოდავად ბღაოდა: „შვილო, ალექსავ, მომენატრე, ერთი მეჩვენე არაფერი გიჭირს, ნუ მემალები!“ მე მიუახლოვდი მოხუცს და დავაცქერდი მისს ჭალარა, გაწეწილს თმებს.

— დედი, რა იყო, რა დაგმართნია?—გაუბედავად წარმოვსთქვი მე.

მოხუცმა, რომელსაც ვერ გაეგო ჩემი მისვლა, მოიბრუნა ჩემსკენ დაოსებული, მწუხარე სახე და ანთებულის თვალებით დამაშტერდა. ქვებით მოფენილი და ცოტად ამაღლებული ფხვიერი მიწა, რომელზედაც მოხუცი დამხობილიყო, ამტკიცებდა, რომ აქ სამარე იყო ადამიანისა.

— რავა რა იყო, ბატონო! აქანაი ჩემი ალექსაი არის განზრახული, ჩემი მარჩენალი შვილი, ჩემი!—შემომბღავლა საცოდავმა დედა-კაცმა და ისე ძლიერად დაახეთქა თავი მიწას, რომ მეგონა ტვინი დაანთხია-მეთქი.

— შვილო, შვილო, ჩემო კოკობ-ულვაშა ალექსავ, ჩემო ნენავ, რეიზა მომიძულე, რეიზა დამტიე ძაღლის საჭმელად? ამას მპირდებოდი, ნენა, შენი ჭირიმე, ჩემო ძუძუავ?!— განწირულებით მოსთქვამდა საცოდავი მარინე და თან გულმკერდს იგლეჯდა. ამ გულ-ჩამთუთქველმა სანახაობამ მე სულ ამრია. მინდოდა სანუგეშო რამ მეთქვა, მაგრამ სიტყვა ყელში შემრჩა. შეწუხებული, თვალცრემლიანი უყურებდი უბედურს და ვერას ვახერხებდი.

რაქვიანა

(ამბავი)

სოფ. ჯინჭრიანში, სადაც თურმე დაუნდობელი და ლაზღანდარა ხალხი ბუდობს, ერთი აღმაშფოთებელი ურიგობა მოხდა. ამ სოფლის მკვიდრს გლახუნა უნდილაშვილს სულ უბრალო გაუფრთხილებლობისათვის „რაქვიანა“ დაარქვეს „სიგელად“. ეს სწორეთ იმ დროს მოხდა, როდესაც გლახუნს არაჩვეულებრივი თავისებურობა დასჩემდა ლაპარაკში. ეს „თავისებურობა“ იმაში გამოიხატა, რომ გლახუნის საგარეო საუბარს საფანელად დაედვა ჯინჭრიანელებისთვის უცხო სიტყვა „რაქვიანა“. „უმცროს-უმფროსობა, რაქვიანა. ღმერთმა გააჩინა და კაცს რეიზა არ უნდა, რაქვიანა, ახსოვდეს აგი“... დაახლოვებით ამ გვარად შეზავებულ სიტყვა-პასუხის წყალობით გლახუნი მალე გამოსარჩევი კაცი შეიქნა მთელ კუთხეში. რასაკვირველია, ამისთანა იშვიათი მოვლენა შეუმჩნეველად ვერ დარჩებოდა ჯინჭრიანში და კიდეც ამიტომ მონათლეს გლახუნი უცნაურის სახელით. ასეთი არა სასიამოვნო გარემოება, გლახუნის შეხედულებით, ჩირქს სცხებდა მის კეთილ სახელს და თავმოყვარეობას. მეტად ამცირებდა ქვეყნის თვალში. საიდან და როგორ შეიძინა ამ კაცმა ეს „უცხო“ სიტყვა—ნამდვილად არავინ იცის. ამბობენ, უნდილაშვილის ერთ შორეულ ნათესავს, რომელიც თურმე სადღაც თვალ-საჩინო კაცად ითვლება, ძალიან ეხერხება „რაქვიანობით“ ლაპარაკი; ამიტომ ზოგიერთები ფიქრობენ, ეითომ ამ პატივცემულ გვამის წყალობით აიჩემა გლახუნმა მისთვის საჭირ-ბოროტოთ გამხდარი სიტყვა „რაქვიანა“. რა მოგახსენოთ...

ასე იყო, თუ ისე, გლახუნს ნათლად დაეტყო სხვა-ფერობა ლაპარაკში. პირველ ხანებში საქმე მშვიდობიანად მიდიოდა, გლახუნს ცუდი მაინც არაფერი შეუნიშნავს, პირიქით, დიდ კმაყოფილებასაც გრძნობდა თურმე... მარა ხანგრძლივი არ გამოდგა გლახუნის ნეტარება. ბოლოს და ბოლოს იგი უსიამოვნოდ ამჩნევდა, რომ „რაქვიანას“ გაგონებაზე მსმენელნი იღიმებოდნენ და ზოგი ხარხარსაც ვეღარ იმაგრებდა. საცოდავი სანახავი იყო გლახუნი, როდესაც ერთმა თავხედმა ახალგაზდამ ხუმრობით წასძახა მას შეკრებულებაში: „ა, შე რაქვიანა!“ საზოგადოთ წყნარი და მშვიდი გლახუნი საშინლად აღელდა, დაიბნა; იმან იგრძნო, რომ ამ დაცინვით უზომოდ შეურაცყყვეს ის, დაამცირეს საზოგადოებაში და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო იმ წუთში, რა მოექმედნა. „დამშვიდებით ვეტყვი, რომ არ არის წესი და რიგი“ და

ლი ამოსდის სიღარიბეში. არავითარ შრომას აღარ ერიდება გლახუნი, მარა, რაც უნდა იყოს, იგი მაინც ვერ დაივიწყებს, ვერ უარყოფს თავისს გვარიშვილობას... თუმცა მას ერთხელაც არ ამოუღია ხმა ამის შესახებ, არაფერი გაუმხელია, მაგრამ გულის სიღრმეში ის შეძრწუნებულია და მწუხარებით გრძნობს სიღარიბის გამო ათას გვარ დამცირებას, შეურაცყოფას. ამ ყოფის გამო გლახუნი სრულიად მოწყდა იმ წრეს, რომელსაც იგი ჩამომავლობით ეკუთვნის; მაგრამ სულით და გულით მაინც იქით არის. „რა ტყულაი ვაცთენ კეთილშობილებასო“ არა ერთხელ კვნესით გაუტარებია გუნებაში გამწარებულ გლახუნს, როდესაც თავის მდგომარეობაზე დაფიქრებულა. რასაკვირველია, იგი გულის ტკივილით შენატრის იმათ ბედს, ვინც ბრწყინვალე წოდების ღირსეულ წევრად ითვლება: მათ ხომ ყველგან შესაფერის პატივისცემით ეპყრობიან. გლახუნი კი ჯინჯრიანშიაც სრულიად უმნიშვნელო კაცია, მას აქაც კი არაფრად აგდებენ, არც პატივისცემა, არავითარი მოიდება. ლამის მთლად წაიშალოს, სამუდამოთ გაქრეს მისი აზნაურშვილობა მეზობლების თვალში...

ეს საკვირველიც არ იყო: ოჯახისთვის თავდადებული გლახუნი თავის თავზე საკმაოდ ვეღარ ზრუნავდა; თუ მის გარეგნობას ოდნავ მაინც კიდევ ემჩნეოდა რაიმე თავისებურობა, ეს უფრო ცისფერი ჩოხის მიზეზით იყო, იმ ჩოხის, რომლის მსგავსს მთელი იმ მიდამოზე გლახუნის გარდა სხვა არავინ ატარებდა. უკულმართ გარემოებათა წყალობით, გლახუნი უკან ჩამორჩა შესაფერ საზოგადოებას. მასთან კავშირის შეწყვეტით, ბევრ რამეს მოაკლდა. ამიტომ როგორღაც გულში ჩაუვარდა მას ბედნიერ შემთხვევით გაგონილი „უცხო“ სიტყვა, მძლავრათ ჩაეჭედა იგი გონებაში, რის გამო მის მეტყველებას, ცოტად თუ ბევრად, განსაკუთრებული ელფერი დაეტყო; მაგრამ მეზობლებმა ეს მეტად იუცხოვეს და მოხდა ის, რასაც გლახუნი სულაც არ მოელოდა...

„ქვეყანამ ჩემდა მეიცალა,“ — ფიქრობდა ბრაზ-მორეული გლახუნი. მას ათას გვარი ფიქრი აეშალა. ვინ იცის, რა აზ-

რით ეძახიან მას „რაქვიანას“? ალბად, მის უსახსრობას, გაჭირვებას დასცინიან... გლახუნ უნდილაშვილი რაქვიანაა, ე. ი. რა არის გლახუნაი, რა კაცია, რის მაქნისია მისი აზნაურიშვილობაო... ამ დაცინვაში გლახუნი გრძნობს, თითქო ესმის კიდეც ვილაცების ხარხარი, გაურკვეველი სიხარული... ახლა ყველა მისი მოსისხლე მტერია, ყველა, ვინც მის დანახვაზე იღიმება. ქვეყანას მოედვა მისი ამბავი...

ცოლის შერთვაზე ოცნებობდა, მარა დღევანდელ ყოფაში განა შესაძლებელია ამ განზრახვის სასურველად განხორციელება!..

აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდა გლახუნი. იგი რომ შეძლებული და გავლენიანი ყოფილიყო, ხომ ვერაფერს გაუბედავდნენ, მარა, რადგან ღარიბი, უმნიშვნელო კაცია, აღარავინ მოერიდა მას, გათელეს, მიწასთან გაასწორეს... ამას ვერ შეურიგდება გლახუნი, მან უთუოდ თავი უნდა დაახწიოს ამ ყოფას, წელში გაიმართოს, აიწიოს ზევით, ისეთ მიუწდომელ სიმაღლემდე ავიდეს, რომ ყველა განაცვიფროს, შიში და მორიდება აგრძნობინოს...

ამ სურვილის შესრულებაზეა ახლა დამყარებული გლახუნის მთელი მომავალი, მისი ბედი. ეს მისთვის „ყოფნა არ ყოფნის“ კითხვაა... „მაგრამ ნუთუ შეუძლებელია ამ სურვილის განხორციელება, ნუთუ ეს ოცნებად უნდა დარჩეს? გლახუნი მარტო არ არის, მას ყავს უმცროსი ძმა, რომელიც ახლა სწავლაშია.

ეასო ისეთის „მონაქნეევისაა“, რომ გლახუნი ჯერ ეხლაც კრძალვით ეპყრობა მას. „იმას ახირებულათ ვერ შებედავს კაცი,“ ფიქრობს გლახუნი: „იმან თუ სტავლა გაათავა, სადაც უმაღლესია იქინეი, იმისთანაი ნასტავლი დიდ ადგილს იშონის იოლათ, რა იქნება მაშვინ?.. ვთქვათ, ინჯილერათ გამოვიდა ან სუდიათ“... მაშინ ხომ გლახუნიც ამაღლდება, ფასი მოემატება ქვეყნის თვალში, ოჯახსაც, რასაკვირველია, სულ სხვანაირად მოაწყობს, გავლენას, პატივისცემას მოიპო-

ვებს მეზობლებში. ამ რიგად, თავის თავად მოისპობა ის, რაც დღეს მას მოსვენებას უფრთხობს, სიცოცხლეს უშხამავს...

იყო დრო, როდესაც გლახუნს, ცოტა არ იყოს, სწყინდა, რომ მისი უბეროსი ძმა შინაურობაში გამორჩეული ჰყავდათ, მასზე განსაკუთრებით ზრუნავდნენ და მამის სიცოცხლეშივე სასწავლებელშიც მიაბარეს, მაგრამ დრო გავიდა და გლახუნი შეეჩვია თავისს ხვედრს...

ვასო სახელმწიფო ხარჯზე მიიღეს. სახლიდან მას ბევრი არაფერი დასჭირებია. გლახუნი ოჯახში ტრიალებდა, როგორც შეეძლო. ათასნაირი სიმწარე და გაჭირვება გამოსცადა მან, მაგრამ როგორც იყო, დღემდე სული მოიტანა და „ფუტი არ გააცივა“ ამასობაში ძლიერ დაქვეითდა გლახუნი და დღეს მეტად დაჯაბნებული კაცი შეიქნა. „დაბალ ღობეთ“ გაიხადეს... მაგრამ, საბედნიეროდ, ძმაც ხომ მალე მოესწრება მას და ამ იმედით გლახუნს სჯერა მომავალი, უკეთესი მერმისი... როგორმე მოითმენს, დროებით კიდევ გაუძლებს ამ ყოფას... სამაგიეროდ, მერე, როდესაც სასურველად შეიცვლება ცხოვრება, დადგება სხვა ხანა, სანეტარო დრო... რა უშავს, გლახუნი ჯერ ახალგაზდა კაცია, კიდევ მოესწრება ბედნიერებას... „ღმერთო შენით, მტერს არ გავახარებო,“ გადაწყვიტა გლახუნმა და თავისუფლად ამოისუნთქა...

დრო გადიოდა. ვასომ სწავლა დაასრულა. გლახუნი სიხარულით ცას ეწეოდა. წინეთ თუ არაფრად ეხალისებოდა მას მეზობლებთან ლაპარაკი. ახლა თითონვე თამამად იწვევდა მათ სამუსაიფოდ და, როდესაც სიტყვა მოიტანდა, სიამოვნებით მოუყვებოდა ყველას ძმის შესახებ. ღმერთო! რას არ ლაპარაკობდა თურმე მაშინ გამხნევებული გლახუნი!..

— როის ელი ვასოს აქეთ?—ეკითხებოდნენ გლახუნს აქეთ-იქიდან.

— ჯერ ვერ მიიცლის მგონი. ამას წინეთ მომწერა, საცხა, გრანიცაში, ევროპიაში, უნდა წევიდეო, სტავლულებმა თავი უნდა შევიყაროთო, რაცხა უნდა გამეიკვლიონ და დაადგინონ თურმე. ყვავილა სახელმწიფოიდან მივა თითო-ოროლა

კაცი და აქედან მე მგზავნიანო. ათი ათასი მანათი მუუც�miin ხაზინიდან სახარჯავათ.

— რა თანამდებობაში უნდა შევიდეს ახლა?

— ჯერ თლათ არა აქ გადაწყვეტილი: ათასპოტიკი გზაი გამუუჩითა მაინც; იქინეიც კი ეხვეწებიენ, დარჩი აქანაიო, მარა ვარი უთხრა ყველას. სხვაი ადგილი აქ...

— აქეთ რომ ითხუოს სადმე, არ იქნება?

— იგი სათხონელათ აღარაა... აძლევენ კიდევაც... რაც რომ ახლა მაგის ნაწილი ქი არაა მთელ კავკასიაში, იმის უფროსათ ნიშნავენ...

— გაკეთებულხარ კაცი, გლახუნ, ამფერი ძმაი მოგესწრა. აწე რაღა გიჭირს, მაგისთანა ადგილს თუ კი აძლევენ...

— რავა, შე დალოცვილო, რაი მერე, რომ მიცენ?.. ოცდა ოთხი კლასი გაათავა, აღარაფერი დუუტიებია უსტაველელი...—ღიმილით დაასრულა სიტყვა გლახუნმა.

ვასო სამსახურში შევიდა და მალე ცოლიც შეირთო. ეს უკანასკნელი გარემოება არაფრად ეპიტნავა გლახუნს: „რა დროის იმის ცოლი იყო ჯერ, რა აჩქარებდაო,“ უსიამოვნოდ გაიფიქრა მან. მაგრამ, ქვეყნის შესახედავად, მაინც არ შეიფერა ეს.

— სიდოური ქალია შენი რძალი?—შეეკითხნენ გლახუნს.

— იქოურია ისთევე. არ უნდოდა ჯერ ცოლის შერთვა, მარა საშველი არ გაართვეს თურმე.

— შენ აღარაფერი იფიქრე შენდა, მარა ვასომ ხომ მოგასწრო, უმცროსმა გაჯობა!—გაეხუმრა გლახუნს ვილაცა.

— მაჯობა რავა... ისევე ჩემმა ძმამ მაჯობა, თუ მაჯობა... იმან რომ შეირთო, სხვას სიზმარშიაც არ მიელანდება იმისთანაი: სტაელული ქალია და ბარე ოცი ათასი მანათი აქ შამოსავალი წელიწადში...—ძლივს შეიკავა თავი შეჭარხლებულმა გლახუნმა.

დიდს ფაცა-ფუცში-იყო გლახუნი: ძმასა და რძალს მოელოდა. პირველი შთაბეჭდილების მნიშვნელობა კარგად ესმოდა გლახუნს და ამიტომ ცდილობდა შესაფერად მოწყო-

ბილი დახვედროდა მათ. წინეთ ის ფიქრობდა, ძმა ჯერ საჭირო ფულს გამომიგზავნის და, ოჯახს რომ რიგიანად მოვაწყობ, მერე ჩამოიყვანს ცოლსაო, მაგრამ შესცდა: ვასოს საიმისო არაფერი გამოუგზავნია; მოკლე წერილით ატყობინებდა იგი გლახუნს: სახლი და ეზო გაასუფთავე, მაქ ჩამოსვლას ვფიქრობთ ამ ზაფხულს, ზინას უნდა ნახოს მაქაურობაო. დატრიალდა გლახუნი: „ფულს რომ ვიშოვნიდე სასესხებლათ ვასოს ჩამოსელამდი, ბარაღმაი დავახვედრებდი ახალ ოდას, მაინც ხომ უნდა ვიყიდოთო," ერთი გაიფიქრა მან, მაგრამ ვერაფერი მოახერხა და ბოლოს ისევ ხმა გააერცელა მეზობლებში: „ვასომ მომწერა, სახლი ჩემ გემოზე უნდა ავაშენებიო საგანგებოთ, პლანს ჩამევიტან, ნაუცფათევათ გაკეთებული არ ივარგებსო. დაჩათ უნდებიენ გააკეთონო..."

გლახუნმა სადღესასწაულოდ მოაწყო კარ-მიდამო. დიდი მზადება ჰქონდა იმ დღისთვის, როდესაც ვასო უნდა ჩამოსულიყო; გლახუნს დაპატიჟებული ჰყავდა შემთხვევის შესაფერი რჩეული სტუმრები, ვინც კი ეგულებოდა ახლო-მახლო საპატიო და ვისაც კი „შესტვა," აღარავინ დაუტოვებია... საღამოს ჯინჭრიანის გზაზე გამოჩნდა ეტლი, რომელსაც გლახუნი გულის ფანცქალით ელოდა. ეტლი ეზოს პირდაპირ გაჩერდა. ვასო გადმოხტა და ხელი მიაშველა ცოლს ეტლიდან გადმოსელაზე. ამის დანახვაზე სტუმრები წამოიშალნენ, დაიძრნენ. გლახუნი წინ-და-წინვე გაიქცა მისაგებებლად, მაგრამ ამ დროს ერთი ისეთი გარემოება მოხდა, რომელმაც მთლად აურია მას კვალი: იმ დროს, როდესაც გაქანებული გლახუნი უახლოვდებოდა სასურველ მგზავრებს, ვასომ მას ხმა მიაგება: „მიხედე იქ, არაფერი გაფუჭდეს, აჩვენე, სად დაალაგონ." და ხელით ანიშნა ბარგი, რომელიც მოსამსახურეებმა მეორე ეტლიდან გადმოიღეს და ეზოსკენ წაიღეს. გლახუნმა თუმცა გაიგონა გაურკვევლად ხმა, მაგრამ ატაცებულმა ვეღარ მიაქცია საკმაო ყურადღება, ვერ მიხედა ძმის განზრახვას; იგი ინსტიქტიურად მიისწრაფოდა... ის იყო ვლახუნი კიდეც უნდა დაძგერებოდა უცნობ რძალს, მაგრამ

ზოთმინებიდან გამოსულმა ვასომ კელავ მიაძახა: „არ გესმის, რა გითხარი, ხომ არ დაყრუები, ჩქარა გაყევი!“ ახლა კი შეკრთა გლახუნი, შეჩერდა, სირცხვილის ოფლში გაიწურა და გაშტერებული უკან გაბრუნდა. „რა იყო აი, რეიზა მიქნა?..“ გულის ტკენით ეკითხებოდა იგი თავის თავს. დიდი ხნის უნახავი ძმა, უცნობი რძლის პირველი ჩამოსვლა და ამნაირი შეყრა... როგორ წარმოიდგენდა ამას გლახუნი... „სტუმრების შესახედავად მაინც არ მომხდარიყო, რას იტყვიან... ეგები ნამგზავრზე დაღალული არიან და იმიზა...“ ინუგეშა მან თავი.

უნდილაშვილის ოჯახმა ერთბაშად სულ სხვა სახე მიიღო. ეზოში უცხო ხალხი ამოძრავდა. ძველი ოდა ხალიჩებით მოკაზმეს და შესაფერად მოაწყვეს. წინანდელი „მორთულობა“ სადღაც გაქრა. როცა ვასო კედელზე გაკრულ სურათს ფხრეწდა, გლახუნმა თვალი შეასწრო ამას და ღრეჭით შეეკითხა: „იყოს, რას აშავებსო,“ მაგრამ ვერას გახდა.

გლახუნს ეშვი აღარ ჰქონდა, რომ მის ოჯახში დღეს „განათლებული ცხოვრება“ დაფუძნდა. თავის მხრით იგი, რაღა თქმა უნდა, ცდილობდა ამ გარემოებისთვის ანგარიში გაეწია. მაგრამ მეტად შეუფერებელ პირობებში ჩავარდა გლახუნი: ყველაფერი, რაც დღეს მის გარშემო ხდებოდა, თავბრუს ახვევდა მას. ერთბაშად მოვარდნილმა ტალღამ ნიადაგი გამოაცალა, გააერეტიანა, მთლად დაებნია. ყოველ დღე ანგარიშ მიუცემლად ფუსფუსებდა გლახუნი, აქეთ იქით ეხეთქებოდა...

მეუღლენი უფრო ეზოში მდებარე პატარა გორაკზე დასეირნობდნენ, რადგან ამ ადგილს გრილი ნიავი ხვდებოდა და საკმაოდ დაჩრდილულიც იყო იგი. კარგს დარში აქ შეექცეოდნენ ისინი სადილს და ჩაის. ამიტომ საპირო შეიქნა გორაკის უკეთ მოწყობა, გამშვენიერება. ბევრი შრომა დაიხარჯა ამ საქმეზე: უვარგისი ბალახი გადათოხნეს, გაწმინდეს, ოღროჩოღრო ადგილები გასწორეს, სახლიდან ამოსასვლელი გზა გააკეთეს და, ბოლოს, მახლობელ წყაროდან ანკარა, ცივი

ნაკაღულიც გამოიყვანეს. გლახუნს ძლიერ მოსწონდა ეს ადგილი, ახლო მომავალში სწორედ აქ აპირებდა ახალი ოდის აშენებას; ამის შესახებ კიდეც გადუკრა მან ვასოს სიტყვა: „ამ მუხურაში არაა ამისთანაი სამოსახლო. ერთი კაი სიხლი ჭალიან დაშვენდება ამ კუნტრუკას, ისეი დაყლიპავს თვალს, რომ სანახავად მადლი იქნება: საწყალი ბაბაიც, რომ დასცლოდა, აქანაი ფიქრობდა დასახლებასო,“ მაგრამ ამ სიტყვებმა მარტო უგემური ღიმილი გამოიწვია... გათენდა კვირა. გლახუნი ალიონზე მღვდელთან გაიქცა.

— იმდონი სიკეთე მიქენი, მამაო, რომ წირვა დღეს სხოვინდელზე მოგვიანებით დაიწყე რაცხაფერაი,—ქაქანით დაიწყო გლახუნმა: გვიან დგებიენ და ნამეტარი კაი იქნება, თუ შუეცთი...

— კი, მარა მაშინ რომ გითხარი, გახსოვს?.. ამ მრევლის კაცი, სადაც უნდა წევიდეს, მაინც ჩემია. საცხა ჯვარი დეიწერა. მე რა მხთა მეოე! მე მაინც მერგება... მაგისაგან თუ ალაფერი მომიწია, ვიღაისაგან შემხთება... ერთ ათ თუმნიანს მუუგრიხოს კისერი...—ჩაიცინა მოხუცმა.

— შენ არაფერზე შეგაკლებიებს გულს, ფიქრი ნუ გაქ. ოღონდ იგინის მოსლამდი არ დეიწყო...

— დასურ ვიხუმრე აგერ, თვარა რავაც მას ენებოს, ხულაც რომ არაფერი მომცეს, მაინც მისი მლოცველი ვიქნები ჩემ სიცოცხლეში, ამისთანაი კაცი რომ გამეიზარდა...

ივნისის დილა იყო. ხის ფოთლებიდან ჩამონადენი ცვარი აქა-იქ კიდევ ეპკურებოდა დედამიწას. აცრემლებული ბალახი მხიარულად უღიმოდა მაცოცხლებელ მნათობს. ზინაზ ქარი გააღო. ოთახში გრილი ნიავი შემოიჭრა.

— Ну и дача же у тебя! Какая страшная сырость!..— შეეშმუხვნით წარმოსთქვა ქალმა.

ამ დროს გლახუნი შემოვიდა.

— სახტარზე ხომ კი წაბძანდებით დღეს?—ღიმილით მიმართა მან რძალს.

ქალმა გაკვირვებით ქმარს შეხედა.

— ვინ გითხრა მივდივართო?—მიუბრუნდა ძმას ვასო.

— რეიზა, ოჯო? ერთს აღარ გახვალ შენ სალოცავზე? ამდენი ხანია აგეკ აღ ყოფილხარ. ჩემს მტერს დიემართა აი! ერთი შეგხედოს კაცმა...

— კარგი ერთი შენ, მოყობი...

ვასო პირველად უარზე იყო, მაგრამ ვერე დათანხმდა, რადგან ზინამ მოისურვა ჯინჭრიანელ საზოგადოების ნახვა.

— შენ ისევე, თვარა აგი წუუკარებელია, რომ ვეფერს მიგახთენ. იგია ჩემი უბედურობა... ქართული ისტავლე აწე, ქართული!—გამოეხუმრა რძალს გლახუნი.

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს, ნუ ილრიჯები უხეიროთ!..—უსიამოვნოდ მოუჭრა ვასომ. გლახუნი წამოწითლდა; თვალები მას ისევ გაბრწყინებული დაურჩა, მაგრამ სახეზ რალაც საცოდავი, შესაბრალისი გამომეტყველება მიიღო.

„Какой онъ странный!..“ შენიშნა ზინამ. იმ დღეს ჯინჭრიანის ეკლესიამ ჩვეულებრივზე გაცილებით მეტი მლოცველი მიიზიდა. ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილი ხალხი ნაძვების ჩრდილს შეფარებოდა და წირვის დაწყების ჭოლოდინში, ბაასობდა. ბევრი უკმაყოფილებას აცხადებდა, რომ ამდენს აცდევინებდნენ. მზე კარგად წამოწეული იყო, როდესაც უნდილაშვილები საყდრის გალავანში ჩავიდნენ. ძნელია იმის თქმა, თუ რას გრძნობდა გლახუნი იმ დროს, როდესაც ვასოსთან ერთად შედიდურად ჩაუარა მეზობლებს; ვინ იცის, რას ნიშნავდა იმ წუთში თითო მისი გამოხედვა... გლახუნი არ შორდებოდა ძმასა და რძალს, უნდოდა თადარიგი დაეჭირა საყდარში შესვლის დროს, თუ ეს საჭირო აღმოჩნდებოდა; ამიტომ ლაზათიანად შეამკო მან თავის გუნებაში ერთი ნაცნობი, რომელიც წინ შეეხეჩა მას იმ დროს და შეაჩერა. როგორც კი თავი დაახწია ამ დაბრკოლებას, მაშინვე გაექანა გლახუნი, მაგრამ გვიანღა იყო: ვასო და ზინა იქვე, შესავალში გაჩერებულიყვნენ. უმრავლესობა მათ წინ იდგა. აქ, ამ უკანასკნელ ადგილზე, გლახუნიც არ გაჩერებულა თავის დღეში; მას აჩემებული ჰქონდა ალაგი წინ, მარჯვენა კუთ-

ხეში; შეიღოდა თუ არა საყდარში, მაშინვე იქით გასწევდა. სწუხდა გლახუნი: ასეთ უხერხულ ადგილზე გაჩერება, მისი აზრით, თუ მთლად არ გააქარწყლებდა, შესაძინეად მაინც შეასუსტებდა დღევანდელ შთაბეჭდილებას. „იფიქრებენ: ალბათ ვერაფერი ბედაურები არიან, თვარა უკან დგომას რეიზა არ თაკილობენ," გაუელვა გლახუნს. მოუსვენრად მოავლო მან ანთებული თვალები გარშემო მდგომ ხალხს და სადღაც მობღიმარი სახეც კი შენიშნა. „ე, უთუოთ"... შეძრწუნდა გლახუნი: ის მთლად შეიპყრო ერთმა გრძნობამ, ეველარ გაუძლო ამ ყოფას; თავდავიწყებამდე მისულმა სტაცა ძმას ხელი და ბულის წყრომით წარმოსთქვა:

— რა დაგემართენ. თქვენი შესაფერი ადგილი ეველარ მოინახეთ!?

სიბრაზისაგან გაფითრებულმა ვასომ მრავალ მნიშვნელოვანიც გადაბედა გლახუნს და ჰიახალა:

— დაიკარგე აქედან! რა ლმერთი უწყრება!..

გლახუნი უცბად გამოერკვა და სიმწარისაგან მთლად დაილია. „ყველამ დეინახა". სასოწარკვეთილებით გაიფიქრა მან და სახეს ალმურო მოედვა. მეტად ჭწვავე იყო მისთვის ეს წუთი... ვინ იცის, რას არ გამოიღებდა მაშინ გლახუნი, რომ ამ დღეს წირვა როგორმე გაგრძელებულიყო, დიდხანს არ გათავებულიყო: იქნება როგორმე მოვახერხო და გამოვაკეთო საქმე, ისეთი რამ მოვახდინო, რომ ცოტა რამ მაინც მოეიგო ხალხის თვალშიო... ამ ფიქრებში წასულმა გლახუნმა ვერც კი შენიშნა, როგორ გათავდა წირვა...

სოფელში დაუსრულებელი ჭითქმა-ბოთქმა ატყდა უნდილაშვილებზე:

„თურმე ვასო უჩივა ცოლს. გლახუნაი მამა ჩემის უკანონო შვილიაო: ასე გააცნო თურმე..."

„საცოდავი რაქვიანაი სულ ალაფერი გამოჩნა იგენთან, კაცი არაფრათ არ აგდებს: იგი არა, ისეი ეიგდეს ბოსამსახურეებმაც. რომ წამ და უწუმ აქეთ-იქით გზანიან, ბალანასავით აჩანჩალებენო." „დასურ ნამეტარი უკადრისი ყოფილა

იგი ვასო, თვარა რეიზა უფრო მიღებული არ ყავს ძმაი, რაცხაა, აეია თუ კაი, მაინც ძმაია მისი; ღმერთმა რომ კაცს სიკეთე მიცეს, იმიზა კი არ უნდა გადირიოსო.“ „ვინ იფიქრებს, მაი რაქვიანაი—გლახუნაის ძმაიაო; დასუტ-თლათ გასამტყუნარიც არაა კაცი: რა უნდა უყოს გლახუნას, ხომ ვერ გაზდის ახლა; რაცხა შინაურობაში თუ წუულაპარაკებს, თვარა სადმე საზოგადოებაში რომ წაყენოს, რას მეიხმაროს თავს, ან რას შეიღირსიებსო,“ უმატებდნენ ზოგიერთები.

გლახუნს ადრეევ განზრახული ჰქონდა სადღესასწაულო წვეულობა. ეს უნდა ყოფილიყო ერთი არაჩვეულებრივი, ბრწყინვალე ნადიმი, რომელსაც დიდი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ჯინჭრიანელებზე, დიდხანს არ უნდა წაშლილიყო მათ ხსოვნაში, მაგრამ ვერ ახერხებდა...

— ვითამ ისე წახვალთ აქედან, რომ აქოურ დიდკაცობას არ გეიცნობთ? რა უნდა იყოს ქალაქში ჩასლა, არც ისე შორაა... ერთი დაგეპატიჟებიენ იმ დღიზა...—სცადა გლახუნმა.

— მერე შენ რა?..—შუბლის შეკვრით დაეკითხა ვასო.

— რეიზა, ოჯო... რავაც დაგშვენდება, ისე უნდა ქნა; ჩვენ ოჯახს აწე სხვანაირი... იგი მართებს... ქვეყანა თვალითაა...

პასუხის ნაცვლად ვასომ პირი მიიბრუნა და ნელნელა სტვენას მოჰყვა. ამ დროს გლახუნმა თვალი მოჰკრა ეზოში შემოსულ მანდილოსნებს, რომელთაც ერთი კოხტათ გამოწყობილი ყმაწვილი კაციც ახლდა.

— პაწია სტუმრებს დიენახვეთ და გამიელაპარაკეთ, მოვლიენ აგერ...—გაუბედავად განაგრძო გლახუნმა.

— ვინ სტუმრებია? კიდევ მომაყენე, ალბათ ვინმე...— უსიამოვნოდ დაიწყო ვასომ.

— იმისთანაი არა კაცია! ტყუილაი, სანახავათ არიან მოსული...

— რა დროს ნახვაა!.. თავს აბეზრებენ ადამიანს უდროო დროს... მოსვენება არ არის!.. 'იმისი არ იყოს, შეგიყრია ვილაც ბიჭ-ბუჭები, დღე და ღამ აქ ტრიალებენ, რის

მაქნისი არიან!.. მაგისთანა ხალხთან სალაპარაკო არაფერი მაქვს.

— რავა გეკადრებიენ მაი?—იწყინა გლახუნმა: ურიგო არაკაცი მომიყვანია. აბა ვინ უნდა დამეპატიჟებია? ნასტავლი და გარეთ გამოსული კაცები, სიტყვა-პასუხი და განათლება რომ გიეგება აგენია; ყოლგან მიღებული არიან იგინი... არ ივარგებს ასთეი, კაცს რომ არაფრათ ჩააგდებთ!..

— თუ არა მსურს ყურის გდება, მაინც უნდა ილაპარაკო?..—მკაცრად შენიშვნა ვასომ.

— იმას ვჩივი, რომ ასთეი თუ დეიწყეთ, მევიჯაყებით ქვეყანაში. სოფელია აქანაი, ვინ იცის, რას არ იტყვიან... მე თუ პაწია მაინც გიყვარდე და რამეთ მიგაჩთეთ, გეიგონეთ...

— რათ ხარ შენ ახლა აქ? როდის დაგიძახე?—გაცხარებით გააწყვეტინა ვასომ:—არ გნახო აქ მოსული დაუკითხავად! ვეღარ გადავრჩი ამის გლახურ ქცევას!.. ყველაფერში, ყოველ სიტყვაზე, უბრალო მიხვრა-მოხვრაშიც კი ეტყობა რაღაცნაირი... აბა გამოიხედე აქეთ, პირდაპირ!.. სასირცხო არ უნდა იყოს კაცი... რატომ ასე ლულლულებ? კაცსავით თქვი აბა სიტყვა, თუ შეგიძლია? თავი მაღლა აიღე, წელში გასწორდი, აბა... დაიწყე ჰო: „მევიჯაყებით“...—გამოაჯავრა ვასომ—ჰაა?.. შენი შეხედულება ვის რათ უნდა! როდის იყო, რჩევას გთხოვდი? უნდა იცოდე, რაც შენთვის რიგიანი და მოსაწონია, იმას ჩვენ სხვანაირად ვუყურებთ. შენ შენი თავის გრცხვენოდეს მუდამ, ჩემ მაგიერ ნუ შეგრცხვება... შენთვის იყავი შენი სტუმრებით, გესმის, შენთვის! რომ წავალთ, მაშინ ვინც გინდა, ის მიიღე, როგორც გსურდეს, ახლა კი ნუ გვაწუხებ. ჩვენი საქმე შენ არ გეხება და ნურც ეჩხირები!..

— კაი, კაი, მეყოფა!—ყრუთ წაიდუდუნა გლახუნმა.

— სხვა დროს, სხვა დროს!—მიაძახა ვასომ კიბეზე ამოშავალ სტუმრებს:—უდროო დროს მოსვლით გვაწუხებთ! ეს კაცის გლახა გაგაბრიყვებდათ, ალბათ,—მიუთითა მან გლახუნზე.—სულ ამის ბრალია!.. სწორეთ ისე მომაბეზრა თავი,

რომ სამუდამოდ შემაძულა აქ ჩამოსვლა! არ ვიცი, თუ როდისმე ვიფიქრებ...—მკვახედ დააბოლოვა ვასომ და კარები გაიხურა.

ყველა შეკრთა... გლახუნი სულ მთლად ჩაიფუფქა და ველარაფერი მოახერხა...

ვასომ და მისმა მეუღლემ იმ თავიდანვე აიცრუეს გული ჯინჯრიანზე: არც ხალხი, არც ადგილის მდებარეობა მათ არ მოსწონდათ. ძლიერ აბრაზებდათ ის გარემოება, რომ ადგილობრივ სასოფლო დუქანში მათთვის საჭირო სანოვაგე არ მოიპოვებოდა. ზინა კიდევ თავის ტკივილს და ათასს სხვა მიზეზს ასახელებდა, რის გამოც აქ გაჩერება, მისი აზრით, შეუძლებელი იყო. თავისი უკმაყოფილება, რასაკვირველია, გლახუნსაც არა ერთხელ აგრძნობინეს.

— ამაზე მეტი თუ არაფერი იშოვებოდა აქ, რატომ დროზე არ შემატყობინე, რათ მოიწერე—ყველაფერი არისო? —წყრებოდა ვასო.

— რა ვიცი. რავა, სხომის ყოლიფერი იშონებოდ იმ დასაქცევში... ქვეყანა იქიდან ხარჯულობს...

— კიდევ ლაპარაკობს! რა იშონებოდა?..

ერთი კვირის შემდეგ ცოლ-ქმარს ბორჯომისკენ მიაქროლებდა მატარებელი.

უნდილაშვილის ოჯახი კვლავ დაცარიელდა. გლახუნი როგორღაც მოეშვა. ეხლა, როდესაც ცხოვრება ისევ ძველ კალაპოტში ჩავარდა, გლახუნმა იგრძნო, რომ ვასო სრულიად „უცხო", „ვიგინდარაია" მისთვის, რომ ძმის ჩამოსვლამ სულაც არ გაუმართლა მას იმედი: იგი არამც თუ ვერ ამაღლდა, პირიქით, კიდეც დამცირდა ქვეყნის თვალში. არას დროს არ ყოფილა გლახუნი ისე ყბად აღებული მეზობლებისაგან, როგორც ღლეს. ბევრ რამეს ლაპარაკობდნენ სოფელში მასზე. მაგრამ იმან, რასაც გლახუნმა ბოლო დროს ყური მოჰკრა, მთელი მისი არსება შეარყია: „ძალიანი სანახავი იყო რაქციანაი, პადრუჩკით რომ დასეირნობდა რძალთან ეზოშიო." „რეიზა უნდა დამემართოს მაი?.."—ეკითხებოდა თავის თავს

გახელებული გლახუნი. ახლა სრულიად გამოერკვა იგი; დღეს ყველაფერი ცხადია... მისი ძმობა ეთაკილება ვასოს... ეს საჯაროდ გამოაშკარავა მან კიდეც და ამით საბაბი მისცა ქვეყანას... „აი მიქნა მე იმან... ვაი მის ტყავს და რაღაი ახლა, რომ ვერ დაეხთი საკადრისათ! ყოლიფერი რომ შერჩა, იმიზა ეიგდო თავი... რომ გვეიბატონე აქანაი, კი მემართლება!.. ძლიერ წყურია ახლა ძმის ნახვა გლახუნს... იგი ახლა უკან აღარ დაიხევს, დაინახავს თუ არა ვასოს, მაშინვე მიახლის პირში ყველაფერს მოურიდებლად; ის კი არა, სასტიკად, შეუბრალებლად მოექცევა... ეს გადაწყვეტილი აქვს გლახუნს. ამასთანავე მტკიცედ მოსთხოვს ძმას იმას, რის ვალდებულიც არის იგი... ამ მოსაზრებით გლახუნმა გადაწყვიტა ქ. №-ში წასვლა, სადაც ვასო მსახურებდა. მთელ საუკუნეო ეჩვენა გლახუნს ზაფხული. მოუთმენლად ელოდა შემოდგომას. როგორც იყო, მიალაგა მოსავალი და გასწია...

ერთ საღამოს №-ში ვასო უნდილაშვილის სადგომის კარებიდან არა ჩვეულებრივი რახუნი მოისმა. მსახური შურდულივით გაექანა კიბისაკენ.

— რა კაცი ხარ შენ, კარებს რომ ამტროვ? ზვანოკს ვერ ხედავ აქანა, რომ არახუნებ?—შეუტია მან გახუნებულ ჩოხიანს, ჭალარა შერთულ კაცს.

— ჩემი ძმაი დგანა აქანაი!..—იყო პასუხი.

— ვინ შენი ძმაი?

— ვასო უნდილაშვილი არაა ამ სახლში?

— შერე?..

— შერე და იგია, სხვაი შე ვიცი!—მტკიცედ წარმოსთქვა გლახუნმა და კიბეს შეყვა.

— სად მიხვალ მაგ ტალახიანი ფეხებით, არ შეიძლება!—გამოუდგა გაკვირვებული მსახური, რომელსაც გლახუნი საეკვო კაცად ეჩვენა.

— აბა ახლა ფეხებს ვერ დავიკრი! შენ მიმიყვანე იმასთან, აფერია იგი...

— არ იქნება ახლა, სტუმრებია!

გლახუნი უკვე დერეფანში იდგა.

— სეითაა?

— კაცო, არ შეიძლება მეთქი, ვერ გეიგონე, ამ დროს არ ილებენ!..

— რეიზა არ შეიძლება აწი! მე უცხო არ ვარ!...— შეუტია გლახუნმა. იქვე, ოთახიდან ლაპარაკისა და სიცილის ხმა მოისმა. „შევამტროვ კარს და მაშვინ გეიცინონ“ ერთი გაიფიქრა გლახუნმა გაბოროტებით და ანგარიშ მიუცემლად შეეხო კარს. კარმა გაიკრიალა, ოდნავ გაიღო. გლახუნი დაიბნა, უკან დაიხია: „მერე კი ჯობდა, პაწას სულს მეეითქვა-მდი“... გაუელვა მას. „ვინ არის?“ მოისმა ოთახიდან. შეჭ-ირთალმა გლახუნმა უკან მიიხედა, მსახური იქვე იდგა...

ფრთხილად ჩაახველა გლახუნმა, აკანკალებულის ხელით კარი შეაღო და შეეიდა ლამაზად მორთულ დიდს ოთახში, სადაც, მასპინძლებს გარდა, ორი უცხო კაცი და ერთი ქალი იყვნენ. ვასო გაოცდა. ცოტა ხანს იგი უსიტყვოდ შეყურებდა ძმას, მაგრამ მალე მოვიდა გონს, აჩქარებით წამოდგა, გლახუნი უკანა ოთახში გაიყვანა და ისევ მალე დაბრუნდა.

— რა ამბავია, რამ მოგიყვანა აქ?.. დაფეთიანებული რომ შემოვარდი წუხელ სტუმრებთან გათხუპნილი, ტალა-ხიანი!.. ყველაფერი სასირცხვო უნდა მოახდინო...—უგემურად ეკითხებოდა დილით ვასო ძმას, როდესაც ეს უკანას-კნელი თავს წაადგა მას. „კაბინეთში.“

— შენი ძმაი ასე უნდა დეიარებოდეს აბა რა...—ყრუთ ჩაილაპარაკა გლახუნმა:—ალბათ საქმე მაქ, თვარა ისე აღო-ლებული არ ვარ, რომ...

— რა საქმე?

— ასე ელანძე არ ითქმება იგი, რაცხაიზა მოვედი... ბოსისხლე მტერი არ უზამს კაცს, რაც თქვენ მიქენით... სხვასაც კი ყოლია ძმაი... თქვენი წყალობით თაეი მომეკრა ქვეყანაში, გამობახებული კაცი შევიქენი... მარა მინდა შეეი-ტყო, დასურ...—ველარ დაასრულა გლახუნმა.

— რას როშავ, არ მესმის?..

— როშვა რომელია!.. მეყოფა რაც ვითმინე!..

გლახუნს მღელვარება ემატებოდა.

— კიდევ რას იტყვი?

— კი უნახავს კაცს თქვენისთანაი... თქვენს დიდკაცობას კაცი არ ყიდულობს... რას მამადლით ამ თქვენს თავს, ვერ გევიკლიე! სტავლული ვარო, თუ ჩივი, შენი სტავლა შენდა ვაქ შენ... რა გენაღლებოდა! ნუ გეშინია, ოჯახიზა თავი არ შეგიწუხებია მისდღემჩი, ტყუილაი ამბავი არ გიკითხავს და ისტაელიდი. აბა რას იზამდი... მარა აქამდი სხვაი იყო... დღემდე ქე ვუპატრონე ოჯახს, საცთელი არ დამიკლია. ღმერთმა იცის, თავი არ დამიზოგავს... ძნელია ერთ კაცს რომ ყოლიფერი დააწობა... აი ქორწილი, აი ტირილი, მტერი. ბოყვარე—ყოლიფერს პასუხის გაცემა უნდოდა და სირცხვილი არსა მიჭამია, მარა ამას ფული დაქირდა. ოჯახმა ვერ ეიტანა აი. "ულალოთ და უვახშოთ არ იქნა... შენ აგენი აოც ერთი აო შეგიტყვია. არაფერზე შემიწუხებიხარ, სტავლაში ხელი არ შეიშალოს და კაცი გამეიდეს მეთქი. იმას კი ვფიქრობდი სტორეთ, გამეიზდება და მეც ძმობას გამიწევს მეთქი, მაოა ახლა ქე ვხედავ, რაც არის. რადგანაც ასეა, ღმერთმა შვიდობა მოგცეს ყველას, ბრძანდებოდეთ თქვენდა, რავა ღმერთი გამიწყრება აწე... მარა ჩემი ამდენი ნაკტავი უნდა დამისტავლოთ... მე თუ საერთო საქმეს კი ჩავაკალი წელი და გული, დააფესე... იი ვალი მომაცილე და ერთი ხეირიანი ოდა იყიდე. აი კი შეგიძლია შენ ახლა, არ გაგიჭირდება... შენც დაგშვენდება კაი ოჯახი...

— ოჰოო! კაი საქმე გქონია!.. ჩინებული აზრია!..

— აი ქენი ასე!...

— არაფერი არ ვიცი!... მკაცრად გააწყვეტინა ვასომ: ვალები მაქვსო! რა ჩემი საქმეა მერე? რაში შეკითხება შენი ვალები? ჩემთვის აიღეთ თუ? ვის შეუძლია რამე დამამადლოს მე? სწავლა და წარჩინება თუ მივიღე—ეს ჩემი ნიჭის საქმეა: დახმარება, შემწეენობა არავისგან არ დამქირებია!.. ყველაფერი ჩემი ნიჭით შევიძინე... ცხოვრებაშიაც ამიტომ მაქ

წარმატება... შენ რა გაქვს ჩემთან სალაპარაკო? მმართებს რამე? იმისი მადლობელი არ ხარ, რომ ქონებით საკუთრად სარგებლობ?.. თითქო მოვალე ვიყო გარჩინო... ჩვენი შემოსავალი ჩვენვე გვინდა! ამოდენა ხარჯია... ვერაფერს მოვიკლებთ!.. შენსავით ხომ ვერ ვიქნებით... კარგი სახლიც რომ მომთხოვა! რა შეიტყე? მოგემატა რამე? არა, შენ ისევითვე ხარ, როგორიც წინეთ იყავი!.. შენთვის ისიც მეტია, რაც იქ არის... ჩემი წილით სარგებლობას არ გიშლიდი შენს სიცოცხლეში: თუ რამეს გაჩუქებდი კიდეე ხან და ხან, ეს ჩემი ნება და სურვილი იქნებოდა, მაგრამ თუ შენ გგონია, მე ვალდებული ვარ, მაშინ...

— რა საკადრისია ასე ლაპარაკი!..—წამოიძახა აღელვებით გლახუნმა:—სამოწყალოს კი არ ვთხონილობ მე! მე ჩემი მინდა, რაც მერგება იგი!.. მე რავა, ვისი მუშა ვიყავი ამდენს?.. მეც რომ ოჯახი დამეტიებია, წავსულიყავი სადმე და ჩემდა დამეწყო ფოთიალი, ეგება ასე არ ვყოფილიყავი ახლა, მარა ლამაზი იქნებოდა მაი, თუ იცი? მტერის გასახარელი არ დაგვემართოს, ფუტი არ გაცივდეს ოჯახში და სირცხვილი არ ეჭამოთ მეთქი... რაცხა ისე მოვაწყო ყოლიფერი, რომ ჩამოსლა ესიამოვნოს მეთქი... ამიზა ვიკლავდი თავს ჩემ სიცოცხლეში და ახლა ამას მიჩივი... შენ შენი თავის მეტი აფერი გახსოვს, მარა აწე მეც ქე უნდა მივხედო ჩემ თავს! მეც მინდა შევიტყო პაწაი სიცოცხლე!.. აგერ კაცი გავთეთრდი და აქამდე ცოლის არ ვარ და შვილის! მისდღემჩი ასე ხომ არ ვიქნები?

— წასულიყავი და კისერიც მოგეტეხა, რა მენაღვლებოდა!—გაჯავრდა ვასო:—რას ვჩიოდი!... შენისთანები ათასობით დაწანწალობენ მშივრები. სად წახვიდოდი? შიმშილით სული ამოგხდებოდა!.. სასაცილო ისაა, ცოლის შერთვასაც რომ აპირებს თურმე... რა შენი საქმეა, აბა ერთი მითხარი. ცოლ-შვილი? მერე, შეგიძლია უპატრონო ცოლ-შვილს?.. თავი ვერ შეგინახავს... ამისთანა უბადრუკიც რომ ცოლ-შვილზე ფიქრობს!.. არა, არა, ამ საქმეში მე კი არ უნდა

დაგეხმარო, პირიქით, ხელი უნდა შეგიშალო და ასეც მოვიქცევი უთუოდ!.. საჭირო არ არის გლახების გამრავლება! მათხოვრები ისეც ბევრია... რაღაც სასაცილო სახელს გეძახიან თურმე შენ სოფელში, მართალია? რას გეძახიან, როგორ დაგცინიან მაინც?...

გლახუნი ერთიანად აენთო, ძმის სიტყვა გესლად და შხამად მოედვა მის გულს...

— შე უსვინდისო... შე უნამუსო... შე... დასურ თავს ივლებ შენ!..—ყვიროდა სახე შეშლილი გლახუნი.

— შენ ნუ გავიწყდება... თორემ გაბაწრულს გაგგზავნი აქედან!.. იცი, თუ არა?..—შენიშნა სიბრაზისაგან აკანკალებულმა ვასომ.

— მოდი, მოდი, შემკარი, გამბაწრე... რაღას უყურებ?—ღრიალებდა გაცოფებული გლახუნი და თან დამჯიღული ხელებით ძმისკენ იწევდა. უცებ ხანჯალმაც გაიელვა. გლახუნის სულის მოძრაობას აშკრად ამხელდნენ იმ წუთში მისი თვალები. მაგრამ ვასო გადახტა და თვალის დახამხამებაში მეორე ოთახში შეეარდა.

— აა, შე წამხთარო! ფუი შენს კაცობას!—გააყოლა გლახუნმა და კარებს მიაფურთხა.—ხელები მოკლე დაგირჩა, ბგონია, შე დასურ გლახავ!.. რეიზა არ სცადე?... ...მაშვინ ვაცხონებდი ბარაღმაი დედ-მამის სულს... აფერი არ მინდა თქვენი ქვეყანაზე!.. დეიკარგა საცხა შენი ძმობა, შე წუნკერო, გადათრეულო!.. ძმარი და შხამი გადაგეროს გულზე და იმან მოგწამლოს!..—შურდულივით გავარდა გლახუნი გარეთ, კიბეზე დაეშვა და ქუჩაში გაირბინა... ახლა მას მთელ დედამიწაზე ერთად ერთი მტერი ჰყავდა, მაგრამ მტერი საშინელი, ულმობელი; ეს იყო მისი ღვიძლი ძმა ვასო უნდილაშვილი... გლახუნი ახლა ნათლად გრძნობდა, რომ ის სამუდამოდ განშორდა ვასოს, რომ მათ შორის ყველაფერი გათავდა...

კვირა დღე იყო. შემოდგომის მზე სუსტად ათბობდა დედამიწას. ჯინჭრიანის სასოფლო დუქნის წინ ჩამწკრივებულიყო ათიოდე გლეხი, ზურგი მზისთვის მიეშვირათ და მუ-

საიფით ერთობოდნენ... ამ დროს შუკაში შენიშნეს დუქნის-კენ მომავალი გლახუნი. ყველამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მის გარეგნობას. ის გლახუნი, რომელიც კვირა-უქმეებში აუცილებლად ცისფერი ჩოხით და ბოხოხით გამოდიოდა სახლიდან, დღეს ძლიერ „ჩალინჩათ“ ჩაცმული ეჩვენათ: დაფლეთილ ახალოხზე დაკონკილი „აქლემის ყელის პალტო“ ჰქონდა გადაცმული, მხრებზე წამოდებულ სრულიად გახუნებულ ყაბალახის ერთი ყური თითქმის მიწას სწვდებოდა. მარჯვენა ხელში ეჭირა ბაწარზე ჩამობმული პატარა „სანაფთე ბოთლი.“ გაჭაღარებული თმა აბურძგნოდა და ღრმად ჩაფიქრებული მოდიოდა. მის მიახლოებაზე ერთმა ყმაწვილმა დაიფხუტუნა, პირი მიიბრუნა და სხვებს ამოეფარა. ეს გლახუნმაც შენიშნა, აუჩქარებლად ბოთლი დუქნის იატაკზე დაუშვა. და წელში გასწორდა.

— რას მარიდებ, ბიძია, პირს? გეიცინე, რამდენიც გინდა! —წყნარად შენიშნა მან.—ძმამ არ გამიტანა მე, არაფერში დამინდო და სხვა რეიზა მომინაღლის ვითამ...

— რავა იკადრებს მაგას ვასო...—სცადა ვიღაცამ.

ოჯო, უი რაცხა!.. იმისთანაი იკადრეს, რომ... სხვისგან რალა უნდა მეწყინოს! ჩემმა რომ არ დაეზოგა... აღარ მიკადრა, მე დიდი კაცი ვარო... მემართლება ყოლიფერს... თქვენ მცინოდით მე... მაშინ ძალუანი მწყინდა აი. რომ შემძლებოდა, მგონი, არაფრით არ დაგზოგავდით... მარა, ახლა რომ ვუყურებ. ღირსი ყოფილა თურმე ყოლიფერის მაშვინდელი გამოთაყვანებული გლახუნაი... დღეს მივხვდი მე, ვინაა ჩემი მტერი და მოყვარე... აქამდი სტორეთ სიზმარში ვიყავი. მგონია... რაცხას იმთერ ვეპოტინებოდი, რომ... უიმე, უიმე! მომკალი ვინცხამ! სიხარულით ფეხს არ ვაკარებდი მიწას. აია გავბედნიერდი, გავკეთდი მეთქი, ვფიქრობდი; ბიკო. თურმე თლა იმტროვი. უსაშველოთ იტეხ კისერს! აი რა ვიცი... იმაზე ვარესი რალა იქნება, რომ კაცი სხვას უყურებდეს თვალებში ძუნკალაი ძაღლივით, ძალათი ეტოლოშინებოდეს და ამით ამაყობდეს!.. ამფერი ვიყავი მე აქამდი!..

მარა, იცოდეთ, უწინდელი გლახუნაი ალარ არის!.. იგი ტყუილაი არ იფიქროთ!.. ვინც ცარიელი სხვისი იმედით ცხოვრობს, იგი შიარცხვინა ღმერთმა!.. ნუფერი ნუ გინდა იმისთანა კაცის, ვინც შენ ადამიანათ არ გაგდებს, ზეიდან გიყურებს... ამისთანაი კაცისაგან საჩუქრის მიღება—მოწყალების გამორთმეეაა და აი სიკვტილი არაა, თუ რავა ბგონია? კიდეეაც რომ გამეიღოს მან რამე, ამას თავის მოსაწონებლათ და შენდა დასამცირებლათ იზამს!.. თვარა შენი სატკივარის დარდი აქ იმას!.. ეგება გაგიკვირდენ ჩემი სიტყვა, გადარეულაო იფიქროთ, მარა თქვენ რომ იგი გამოცადოთ, რაც მე გადამწყდა. მაშინ კი დამეთანხმებით... შენი ტოლი ნუ მოგიშალოს ღმერთმა ჭირში და ლხინშიც! მარტუაი მას შეუძლია შენს გულში ჩამეიხედოს, შენი სიხარული და გაჭირვება იგრძნოს... სისხლი და ხორცია, რომ იტყვიან, სულ ტყუილია! ძმაი და მოკეთეც იგია და შენც იმას უნდა ამოუდგე გვერდში, ვისაც შენსავით ეწვის ზურგი... ჩემ გამაკეთებელ ძმას და იმისთანებს სულ არ უჩანს თვალში ჩვენისთანაი კაცი... რომ კითხო, ქვეყანა მარტუაი იგენიზაა გაჩენილი... იგენს ყოლიფერი უნდა ქონდეს, შენ არაფერი... ჩვენი მხოლოდ შინაყმობა უნდა იგენს, თვარა კაცსავით მოშეპყრობა და რამეთ ჩამაგდებსო, იგი არ იფიქრო ტყულათაი... ყოლიფერი რომ ქე გოუვათ და შერჩება, იმიზა არიან თავგასული ამისთანაი კაცები... ჩვენი მიუხთენელობა და სიძაბუნეა, თვარა ვერ უნდა ეიგდონ ასე თავი... მარა დღეის ამას იქით თუ რამეთ ჩავაგდო, მაშინ დეიქადნოს!.. ეგდოს თავისთვის!.. სული რომ მხთებოდეს, რავა მინდა იგი რამეში!.. იგი კტარია ჩემდა!.. აწე აგება ქე ვუპატრონო ჩემ თავს...

გლახუნმა გაათავა. დამსწრენი სულ-განაბული ისმენდნენ მის სიტყვას. ყველას დაფიქრებული სახე ჰქონდა იმ წუთში. სიჩუმე ჩამოვარდა. გლახუნს მღელვარება ეტყობოდა.

— სამი კაპეიკის ნაეთი ჩუეშვი ამაში,—წარმოსთქვა მან და აკანკალებულის ხელით ბოთლი მიაწოდა მედუქნეს: შემდეგ ყაბალახი შემოიხვია და ზინისკენ გასწია...

— მე და ჩემმა ღმერთმა, გლახუნაი მართალია ყოლიფერში!...—გულიანად შენიშნა ერთმა შუა ხნის კაცმა.

— იმისთანაი ძმაი ნურამც ყოფილა!..—დაუმატა მეორემ.

მალე სოფელში ხმა გავარდა—„გლახუნამ თავისი წილი ყოლიფერი მეეალეს დაუწინდრა, ბაშფორთი ეიღო და საცხა წევიდაო“. სად და რა განზრახვით წავიდა გლახუნი, მეზობლებმა არ იცოდნენ ნამდვილად, თუმცა ზოგიერთები ირწმუნებოდნენ: იგი უთუოდ სადმე საშუარზე წევიდაო...



ეფემიას ოცნება

I

ღვთისმშობლობა დილით ერთ პატარა ძველებურ ოდაში იჯდა ახალგაზდა ქალი ეფემია ბეერდელიშვილი და ჩამოშლილ თმას ივარცხნიდა.

— ნეტაი, თუ დარეკეს სახტარზე?—შეეკითხა ეფემია თავისს დედას, თეკლეს.

— არ გამიგონია, მარა, სანამდი ჩვენ მოვეხაზირდებოდეთ, ქე იქნება დროი,—მიუგო დედამ.

— ვარდის ფერი კაბა ჩეიცვი, ნენა. დღეს, პირზე უფრო გიხთება,—დაუმატა თეკლემ.

— შენც ხეირიანათ ჩეიცვი რამე, ოჯო, დღეს უცხოც ბევრი იქნება იქინეი.

— ჩემი ჯავრი ნუ გაქ! მე რავაც ჩეეიცვამ, სულერთია, რაცხა შენ იყავი ლამაზათ მეთქი, თვარა...

თეკლე გახლდათ ერთი ლარიბი აზნაურიშვილის ქვრიეი. თეკლეს ქმარს, ჯამლეთ ბეერდელიშვილს, ძალიან მოჰქონდა თავი ჩამომავლობით, გვარიშვილობით. თუმცა შეძლება არ შესწევდა, მაგრამ ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ თავი არ დაემცირებინა, „გვარი არ შეერცხვინა", როგორც თითონ ამბობდა. რასაკვირველია, ჯამლეთს თავისებურად ესმოდა „თავის დამცირება" და „გვარის შერცხვენაც". პატიოსნებასა და კეთილშობილებაზე მას ახირებული წარმოდგენა ჰქონდა. სასირცხოდ მიაჩნდა, მაგალითად, მას, თუ სტუმარს კარგად ვერ გამოათრობდა, ხოლო ცხოვრებისათვის საჭირო საშუალებას რა გზითაც მოიპოვებდა.—სულ ერთი იყო.

ბეერდელიშვილების უფროსი შვილი ეფემია იყო. თორმეტი წლის განმავლობაში მათ ამის მეტი შვილი არ შერჩათ.

ჯამლეთს ძლიერ ენატრებოდა ვაჟი, მაგრამ იმითაც კმაყოფილი იყო, რომ მისი ეფემია მეტად ლამაზი, ცელქი და ცქრიალა ბავშვი შეიქნა. ჯამლეთ ერთობ ახირებული ხასიათის კაცი იყო და პატარა ქალსაც თავისებურად ზრდიდა. მოსიყვარულე მამა ხშირად აცქვევდა ეფემიას ვაჟის ტანისამოსს, შემოისვამდა ცხენზე და ისე დააქროლებდა.

სწორედ ამნაირი აღზრდის შედეგი იყო ის, რომ ეფემია გაბედული ქალი შეიქნა. ჯამლეთ გარდაიცვალა, როდესაც ეფემია თხუთმეტი წლის გახდა. ამ დროს მას სამი წლის ძმაც ჰყავდა. ბეერი გაჭირვება და შიში გამოირარა თეკლემ ქვრივობაში. მცირე მამულის შემოსავლით თავის შენახვა მას მეტად უძნელდებოდა: გასათხოვარი ქალის პატრონობა და უმცროსი შვილის გამოზრდა ხომ თავში საცემად გახდომოდა.

გარეგანი სიმშვენიერით ეფემიას ბადალი არ ჰყავდა იმ მიდამოში. მარტო ამ გარეგნობაზე იყო დამყარებული მთელი იმედი დედა-შვილისა, რადგან მათ მზითვის არაფერი გააჩნდათ. ეს უკანასკნელი გარემოება ძლიერ აბრკოლებდა ანალგაზდა ქალის საქმეს: ცოტაოდნად შეძლებული ყმაწვილი კაცი აუცილებლად კარგ მზითევს თხოულობდა, უქრთამოდ შერთვის მსურველნი კი ყოვლად ღატაკნი იყვნენ და მათი წინადადება ეფემიას სულაც არ ეპიტნავებოდა. „თლათ რომ გუუთხუარი დავრჩე, ღარიბ კაცს მაინც არ წაეყვები. გაჭირვება რაც გამოვცადე, იგიც მეყოფაო“, ფიქრობდა ის. ერთხელ მისი მოტაცებაც კი მოინდომეს. რამდენიმე კაცი თავს დაესხა ამ განზრახვით დედა-შვილს ღამით, მაგრამ ეფემია არ შეშინდა, კედლიდან თოფი ჩამოგლიჯა და რამდენჯერმე გაისროლა სახლიდან. შეშინებული რაინდები გაიფანტნენ და ამის შემდეგ აღარ უცდიათ ბედი.

წირვა უკვე დაწყებული იყო, როდესაც თეკლე და ეფემია შეიდნენ საყდარში.

სოფ. გვიმბრიანის ეკლესიის დღესასწაული იყო და ბალხს ბლომად მოეყარა თავი ახლო-მახლო სოფლებიდან. ჩვეულებრივად, უკან ქალები იდგნენ, წინ — კაცები.

ეფემიამ ბოინდომა წინ წასელა, მაგრამ ეს ადვილი არ იყო: ბალხი ძალიან მჭიდროთ იდგა. შეუმჩნეველად გაჩერება ამისთანა შემთხვევაში ახალგაზდა გასათხოვარ ქალისთვის სრულიად არ იყო სასურველი და ამიტომ ეფემიამ მტკიცედ გადაწყვიტა წინ გასვლა. ის მხნედ შეებრძოლა დაბრკოლებას. კიდევ ორი-სამი ნაბიჯი და ეფემია მიზანსაც მიაღწევდა, მაგრამ ის ამ დროს დაეჯახა ერთს კარგა შეძლებულ გლეხის ჩხირაძის ცოლს, რომელსაც წინ გასათხოვარი ქალი ედგა. ეს ქალები თითონ ცდილობდნენ უფრო თვალსაჩინო ალაგის დაჭერას, ამიტომ მედგრად წინააღუდგნენ ეფემიას სურვილს და გზა შეუკრეს მას.

— კი. მარა მაინ-და-მაინც შენ უნდა წახვიდე წინ? რეიზა იქნას აი?—შენიშნა გლეხის ცოლმა.

— შემფერის და კიდევაც წავალ! დიდი საქმეა სწორედ შენ თუ დაგიდექი წინ!—წყრომით შეუტია ეფემიამ.

— შენზე უარესს რაღა უთხრა!.. გინდა ყველამ შენ გიყურეს ახლა დღეს...

— აი შლაპკა რომ წამოგიკორკოტებია თავზე, იმიზა აღარ გიჩანს კაცი თვალში?—მიუბრუნდა ეფემია ჩხირაძის ქალიშვილს.

— გქონდეს, თვარა კი წაჰვიკორკოტებ. რომ არ გაქ, იგია შენი უბედურობა. თვარა!—დაცინვით შენიშნა ახალგაზდა ქალმა.

ეს კი მეტის-მეტი იყო. ეფემია გაწიწმატდა. სიბრაზისაგან სულ აირია. ვინ იცის, რით გათავდებოდა, ეს ახირებული შეტაკება მანდილოსნებისა, რომ ღვდელი არ გამოსულიყო საკურთხეველიდან.

— რა საკადრისია მაი! ეკლესიაში ჩხუბი ვის გაუგონია?! სადაც ადგები, სულ ერთია. აქანაი. ლოცვა ყოლგან შეიძლება!—უსაყვედურა მოძღვარმა მოჩხუბართ.

სწორეთ ამ დროს საყდარში შემოვიდა საკმაოდ ჩამკერვილებული ასე 30 წლის ახალგაზდა კაცი. მის დანახვაზე ერთბაშად შეწყდა მანდილოსნებში ჩოჩქოლი. ყველას დაა-

ვიწყდა ეფემია და შლიაპიანი ქალიც. რადგან ახლა მთელი საზოგადოების ყურადღება ახალმოსულმა მიიქცია, ისე მდიდრულად იყო იგი მორთული: გაქათქათებული გახამებული პერანგი ოქროს ღილებით და ლამაზი ყელსახვევით, მშვენიერი ევროპული ტანისამოსი, ორგნით ჟილეტის ჯიბეებში ჩაშვებული ვეებერთელა ოქროს ძეწკვი, ხელებზე მთელი გროვა ბეჭდებისა,—ერთი სიტყვით, ყველაფერი. მთელი მორთულობა მეტად განსხვავებულ ელფერს სდებდა ამ კაცს და. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ იქ მდგომი. დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი, ყველა მას მისჩერებოდა და გაოცებით ერთმანეთს ეკითხებოდა: „ნეტაი ვინ არის, საიდან მოსულაო?“

ახალმოსულმა კარგად შეამჩნია ის შთაბეჭდილება, რომელიც მან მოახდინა საზოგადოებაზე, უკეთ ესთქვათ. ადრეე იცოდა, რომ ეს ასე მოხდებოდა და ამიტომ თავ-მომწონედ გადაავლო თვალი მიეარდნილ სოფლის მცხოვრებლებს, თითქო ამით ეუბნებოდა მათ: „თქვენც ამბობთ, ვცხოვრობთ ქვეყანაზეო“

უცნობმა ეკლესიაში შესვლისთანავე მოითხოვა ერთი მანეთის სანთელი და თუმნიანი გადასცა.

— ამის ნაშალი არ გახლავს... ჭარა მედუქნეს დავახურდავებიებ და მერე მოგვართმევთ!—მორიდებით უთხრა ბნათემ.

— დარჩეს ეკლესიის სასარგებლოდ.—სთქვა ახალმოსულმა.

ამ არაჩვეულებრივმა შემოწირულებამ აღტაცებაში მოიყვანა დამსწრენი. საყდარში ჩურჩული შეიქნა. რასაკვირველია, მაშინვე გზა დაუცალეს ასეთ მოულოდნელ სტუმარს, ოდელიც წინ წავიდა ყელმოღერებით და გაჩერდა. მის წინ ახლა ერთი მოხუცებული აზნაური იდგა. ამ უკანასკნელმა, შეამჩნია რა საპატიო პირის მოახლოვება, მორიდებით ხელები ჩააელო მას მხარში და თავისი ალაგი შესთავაზა. სტუმარმა ოდნავ თავი დახარა და ერთი ნაბიჯი კიდევ წინ გაგასდგა.

II

გიორგი პინტილიანი, რომელმაც ასე მოხიბლა სოფლის მკვიდრნი, იყო ერთი გვიმბრიანელი აზნაურის დისწული. გიორგის დედა ღარიბი ოჯახის შვილი იყო და, რადგან ამასთან გარეგნობასაც უწუნებდნენ, ამიტომ ის მიათხოვეს ერთ მორეულ გლეხს. 13—14 წლის გიორგი ერთმა ნათესავმა ტფილისში წაიყვანა. მას შემდეგ გიორგი ქალაქს აღარ მოშორებია. ვინ იცის, რა არ გამოსცადა ღარიბმა სოფლის შვილმა ამ ხნის განმავლობაში. პირველად იგი მზარეულს მიაბარეს, ცოტა ხანს სტამბაშიც მუშაობდა. მერე ხან მეკარეთ იყო, ხან ლაქიად. ბოლო დროს გიორგიმ ერთი ამხანაგის საზიაროდ „სასტუმრო ოთახები“ გამართა ტფილისში და ამ სახით თითონ ბატონი და მბრძანებელი შეიქნა. თუმცა გიორგის თავისი ფული არ ჰქონდა, მაგრამ მან მომავლის იმედით დაიწყო ეს საქმე, უფრო „ქვეყნის შესახედავად“, რადგან მას „სახელი“ სწყუროდა...

წირვა გათავდა. ხალხი საყდრის გალავანში გამოიშალა და ვეებერთელა ეაცხვის ძირში, ტოგონთან, მოგროვდა. გიორგიც გამოვიდა გარეთ. ყველა მოწიწებით თავს უკრავდა მას. უფრო გაბედულნი ხელსაც ართმევდნენ სტუმარს. თუმცა არ იცნობდნენ მას. ამ დროს გიორგის მიუახლოვდა გაბრწყინებული სახით მისი პიძაშვილი. ახალგაზდა ქერივი ქალი, ელენე. და ღიმილით უთხრა:

— ერთი აქეთ წევიდეთ, თუ ღმერთი გწამს! ქალები იცდიან აგერ, მოსელა უნდოდენ, მარა ვერ გაბედეს.

— ახირებული ცერემონიები გცოდნიათ ამ სოფელში! — ღიმილითვე მიუგო გიორგიმ და ელენეს გაჰყვა.

ეკლესიის დასავლეთის კარებთან იდგნენ გვიმბრიანის რჩეული მანდილოსნები, რომელთა შორის ეფემიაც იყო. სტუმარს მიესალმნენ და ხელი ჩამოართვეს.

— რას აწუხებდი, ოჯო, ამ პატიოსანს. ვის ეკადრება! — შენიშნა ელენეს ერთმა მანდილოსანმა.

— ძალიანი სასიამოვნოა...—დაიწყო გიორგიმ.

— ელენეს ბრალია, თვარა ჩვენ რავა გავბედავდით, ბატონო!—დაუმატა მეორემ.

— ძალიანი კარგათ! რეიზა არა? ამდენი ხანია აგერ გვპირდება და ახლა ძლივათაი ჩამუუცთა ფეხი. მაგას რომ სოფელი არ მოსწონდეს, რა გასაკვირალია, მარა არ უნდა დეივიწყოს! ვითამ ჩვენ რა დავაშავეთ, ტფილისში რომ არ ვართ, იმიზა თუ?—ღიმილით წარმოსთქვა ელენემ.

— ამას არ დაუჯეროთ, ბატონო, ძალიან სტრეგი ქალია!—იხუმრა გიორგიმ.

ყველანი ცაცხვისკენ წავიდნენ. აქ ისხდნენ აზნაურები და უფრო თავმომწონე გლეხები. გიორგის მისვლაზე ფეხზე წამოდგნენ და დასაჯდომი ალაგი დაუცალეს მას. გიორგი ჩამოჯდა.

— როის მობძანდი, ბატონო?—ჰკითხეს სტუმარს.

— ერთი კვირაა სოფელში ვარ, აქ გუშინ ჩამოვედი,—მიუგო გიორგიმ.

— კაია, რომ გამობრძანებულხარ სახტარზე! რაცხაიზა ამ სტავლულ კაცებს არ გიყვალარიან წირვა-ლოცვა და რაფერაა არ ვიცი!—მხიარულად შენიშნა ერთმა დამსწრეთაგანმა.

— <u>სკუჩნალბაა</u> სოფელში...

აქანაი რაცხა შეჩოული კაცი თუ გაძლებს, თვარა თქვენისთანა განათლებულს კი გუუკირდება, მე შენ გეტყვი!—დაიწყო ვიღაცამ.

— კაი, კაი, ბატონო, რომ არ გავიწყტება სამშობლო! რაც უნდა იყოს, შენი ქვეყანა არ უნდა შეიძულო კაცმა. ზოგიერთმა, ორ დღეს რომ გარეთ გევიდა, თლა დეივიწყა ყოლიფერი! რათ მინდა შენი სტავლა და განათლება, თუ თვალით ვერ დაგინახავ? საცხა, გადაფთიას, სხვაიც ბევრია, მარა ვინ მისტობა!—წარმოსთქვა ერთმა ხანში შესულმა აზნაურმა, ბეჟანმა.

— მართალია!—დაეთანხმა გიორგი:—რა ნაირად შეიძლება კაცმა დაივიწყოს თავისი ქვეყანა?! მე სწორეთ ჩვენე-

ბური კაცის მუდამ პატივის მცემელი ვარ, სადაც უნდა შემხვდეს.

— შენი ოჯახი აკურთხა ქრისტემ! დაგლოცა ღმერთმა! — შოისმა აქეთ-იქიდან.

— რა სამსახურში ხარ, ბატონო?—ჰკითხა აზნაურმა.

— მე... სადერეტატელი ვარ ზვეზდას... ზავედენიაა...— მცირე ყოყმანის შემდეგ მიუგო გიორგიმ.

— დელეხტორი, ბატონო? — დაეკითხა ისევ ბეჟანი, რომელსაც ვერ გაეგო გიორგის სიტყვები.

— სულ ერთია... ზოგი ასე ამბობს.

— ჯამაგირი დიდი გექნება!

— ვცხოვრობთ ასე! — წარმოსთქვა გიორგამ ზხრების აწევით.

ამ დროს საყდრიდან მღვდელიც გამოვიდა. მან მაშინვე ყურადღება მიაქცია ცაცხვის ძირში თავმოყრილ ხალხს და, განსაკუთრებით. გიორგის. მღვდელმა მოიხმო იქვე მდგომი გლეხი.

— ვინაა მაი, თუ იცი?—ჰკითხა მას ცნობის მოყვარე მოძღვარმა.

მაი ვინცხა პინტილიანი ყოფილა. რაცხა დიდი ადგილი უჭირავს თურმე ტფილისში. ანწლაძისას ყოფილა სტუმრათ.

მღვდელმა მაშინვე გასწია გიორგისკენ.

— ამ ეკლესიის მოძღვარი გახლავარ! — წარმოსთქვა ღვდელმა მისალმების შემდეგ.

— სასიამოვნოა თქვენი გაცნობა! დაბძანდით, მამაო! — სთქვა გიორგიმ და ხელით ანიშნა დასაჯდომი ალაგი თავის გვერდით.

— თქვენისთანა განათლებული კაცის სტუმრობა მეტათ ძვირფასია ჩვენთვის!

— ნამეტანი ღარიბი ყოფილა თქვენი ეკლესია, — შენიშნა გიორგიმ.

— ღარიბია, ბატონო, ხომ მოგეხსენება სოფლის ამ-

ბავი...—აღარ დასრულა ღვდელმა, რომელსაც ამ სიტყვებზე ოდნავ მღელვარება დაეტყო.

— ვიწროც არის, სული ეხუთება კაცს.

— ჩვენი სიძაბუნეა უთუოთ...

— ახლა ვფიქრობთ, ღვთის და თქვენი წყალობით, ქვის სახტრის აშენებას, თუ შეეიძელით,—სთქვა ბეჟანმა.

— დევიკიდო უნდა გულზე კრუშკა და ჩამოვიარო ქვეყანა. ჯერ ღვთის იმედით და მერე თქვენისთანა ღირსეული კაცების წყალობით გავბედავთ ამ საქმის დაწყებას,— წარმოსთქვა მღვდელმა.

— დიდი სიამოვნებით! თვე ისე არ გავა, რომ არ შევწიო სადმე ვისმე და თქვენ სხვაზე უფრო დაგეხმარებით. ამობძანდით მაშინ ტფილისში და ყველაფერს მოგიხერხებთ.

დაჰპირდა ბიორგი.

— საუკუნოთ თქვენი მლოცველი ვიქნები...—დაიწყო მღვდელმა ცმაყოფილებით.

— ქრისტემ ააშენა შენი ოჯახი! მოგვხედა ღმერთმა! თუ რამე საშველი დაადგა ჩვენ საქმეს ახლა!—წამოიძახა აღტაცებულმა ბეჟანმა.

ამის შემდეგ ხალხი ნელ-ნელა დაიშალა.

— რაც მე დღეს გადამწყტა სახტარზე, ერთი სიტყვით, სიკეტილი გამეეიარე! ჩემს გულს შეეასკტი, ოღონ რალა მეჭნა თვარა. კბილით რომ დამეგლიჯა, გული არ მომიშლიდა, გონია! რა წამომძახა მე იმან დღეს! ალაიაში გამაროგნია...—ამბობდა ეფემია გზაში.

— სილარიბეს დუუდგა თვალი, თვარა მაგას ვერ მიზამდა მე იგი.—დაიწყო თეკლემ.

— დაბალ ღობეთ რომ გნახავს, მაშვინ ყველაი დაგიჯაბნებს და წამოგძახებს, აი არ იცი?—გულნატკენად შენიშნა ახალგაზდა ქალმა.

— ასე რომ იცი, ნენა, ლაპარაკი, რავა, მაქ და არ ვყიდულობ თუ? რას მიკვეთ, თუ იცი?—უსაყვედურა დედამ.

— გიკვეთ იმას აგერ...

III

საღამოს ანწლაძისას მეზობლებს თავი მოეყარათ გიორგის პატივსაცემლად. თეკლე და ეფემიაც იქ მივიდნენ. ჯერ კიდევ სუფრაზე ისხდნენ. გიორგიმ სტუმრები ადღეგრძელა.

— არ გაწყინოს! მაგისთანა ღვინოზე არ ხარ შენ მიჩოული.— შენიშნა ელენემ.

— კახური და შაფანცკი უნდა მივართვათ, მარა სადაა, —სთქვა იქვე მჯდომმა ბეჟანმა.

— სოფლური შამპანსკი ესაა,—იოხუნჯა გიორგიმ და ხელში შეათამაშა ღვინიანი ჭიქა.

— ახალი ამბავი რაა ამ ზეით?—ჰკითხა ბეჟანმა გიორგის.

— იქ ამბები ბევრია, არ ვიცი, რომელი გითხრათ, დღე ისე არ გავა, რომ ისეთი რამე არ ნახო და ან არ გაიგონო.

— იქინეი კაცს რა მუაწყენს. უქმი და საქმი სულ ერთია ახლა თქვენდა!

— დროს გასატარებლათ საქმის დღე ჯობია კიდეც, პრანნიკებზე ვიზიტობას უნდება კაცი.

— რაა აი ვიზიტობა?

— ერთმანეთისას მისვლა, ნახვა. პატივისცემაა რალა...

— რაც დიდი კაცია. ყველაი უნდა ნახო, ვერ დატიებ ხომ?

— ისეა მიღებული. მაინც აღდგომა-ახალწელიწადს ერთ კვირას ვერ ვათავებთ ვიზიტებს. დილას რომ ფაიტონში ჩაჯდები, საღამომდი უნდა არბენიო.

— აი ახირებული ყოფილა! —სიცილით წარმოსთქვა ბეჟანმა,—ერთი კვირე რომ ფაიტონით მახათქუნო. ხომ გავთავდი...

— არ შეიძლება, რომ დაილალოს კაცი. ხათქუნი რას ქვია! თქვენ რომ გინახავს, იმნაირი ფაიტონები არ არის: რიზინის კალოსებზეა, უხეიროთ ერთს არ შეგანძრევს, ასე გგონია მიეფრინავო.

— ნუ მეტყვი რაცხას! ღმერთო, დეილოცა შენი სახელი! —გაიკვირვა ბეჟანმა.

— საცხა იქით ერთი იმფერი ქვეყანა ყოფილა, რომ წყალი ზეით მივა თურმე, იქინეი ხომ არ არის მაი?—იკითხა მან.

გიორგის გაეცინა.

— წყალი ალმა თავის-თავად როგორ წავა, ყოლგან დალმართში მიდის.

— რაფერ ზეით, ბეჟან?—ჩაერია ლაპარაკში შუა ხნის გლეხი, ბესო, რომელიც ტახტის ბოლოს იჯდა.

— რაფერ და აქანაი რომ ქვეით მივა წყალი, ისე არაა იქინეი.

— რაიზა მივა ზეით, რას მიყავს ნეტაი?

— ასე ყოფილა: და იქინეი ზეით რომ მიხვიდოდე, უნდა თქვა თურმე, ქვეით მივალო.

— რაფერ ვთქვა აი, ზეით თუ მივალ, ქვეით მივალ ვეთქი?

— ისე ჩივა ყველაი და შენც ისე უნდა თქვა, აბა რას იზამ!

— რა ყოფილა აი!—ღიმილით შენიშნა ბესომ.

— არ შეიძლება, ტყუილია,—სთქვა გიორგიმ.—იმას არ ცოდნია, ვისაც უთქვამს. მაშინებით რომ მიყავთ, მაშინებია იმნაირი, რომ წყალს საითაც გინდა, იქით წაიყვან, თუ გინდა მთაზე აიყვან. იმფერი ფანტანებია ბაღებში, რომ წყალი უშველებელი ხის სიმაღლეზე ვარდება მაღლა.

ბეჟანს, ცოტა არ იყოს, შერცხვა, რომ მისი ნათქვამი მართალი არ გამოდგა.

— რა ვიცი, ასე გამიგონია, მისით მივა ზეითო,— ცოტა უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მან.

— შენი სტუმარი წევიდა?—მიუბრუნდა ბეჟან ბესოს.

— აგია, ახლა გევისტუმრე და კიდეც გადმევიარე აქეთ, —მიუგო ბესომ.

— რა საქმეშია ახლა მაი ბიჟი?

— ვაჭრობს, დუქანი აქ სტანციაზე. ყარგათაა ძალიან. ბაგისთანაი შეძლებული კაცი არაა ახლა ამ მუსურაში.

— რამდენი მილიონი ეკნება მაინც?—დაცინვით ჰკითხა გიორგიმ.

— მილიონი არ ვიცი მე, ბატონო, და ისე, რაც შეიძლება, სოფლის პირობაზე, ძალიანი მდიდრათაა: კაი გაწყობილი ოჯახი აქ და დუქანი. წროულს აგერ ბარე ათი ქცევა მიწა იყიდა, ცარიელი დაყურსული მერე,—სთქვა ბესომ.

— მდიდარი! გინახავს შენ მდიდარი კაცი? რის მდიდარი! ვისაც მილიონობით აქვს აბაროტი, ხაზინას გაეჯიბრება, რომ დაჭირდეს, ისეთი ვაჭრები არიან.—ეს მითხარი სიმდიდრე, თვარა სოფლის მეწვრილმანე, ორი გირვანქა ქართოფილის სანთელი ეკნება და აბაზის სპიჩკა. მაგის სიმდიდრე რა საქმელია! ათი ქცევა მიწა! რა არის ათი ქცევა მიწა? მაგის ფასი და მეტიც რომ არ დავხარჯო თვეში, რალა კაცი ვიქნები!.. მდიდარ კაცს სოფელში რა გააჩერებს? ფული ქალაქში უნდა. აქ რაში უნდა დახარჯო ფული? არაფერი არ იშოვება, რომ გსურდეს, მჭადი და მონაყილი ადესი,—ამის მეტი რა არის სოფელში? ქალაქი სხვა საქმეა, ფულიც იქ არის და, ფული თუ აქ კაცს, ყველაფერი თავისია, არაფერი არ გაკლია. ყველგან დაეერია გაქ, სადაც კი მიხვალ. დაჩვეული კაცისთვის მაინც ნამეტანი მოსაწყენია სოფელი. წელიწადში ერთხელ ჩამოსვლა კარგია, გესიამოვნება, ნახავ ნათესავებს, ნაცნობებს, მაგრამ სოფელში მუდამ ვინ გაძლებს. დალოცვილია ქალაქი! იქ არ გენანება კაცს ფულის ხარჯვა: სხვა და სხვანაირი სანახავები, თავის შესაქცევი რამდენიც გინდა, მოსაწყენი დრო არ გაქ კაცს—ბაღები, პრესტავლენიები, ცირკი, თიატრი, კლუბები, ვეჩერები, ბალები, ათასნაირი საჩვენებელი ვისტავკები... სოფელში რა ყრია? ათი ქცევა კი არა, ათი მილიონისთვის არ გაეჩერდები აქ!—ვატაცებით ამბობდა გიორგი.

— შენ ჯვარი გწერია, ბატონო, მე რაცხა ჩემისთანაიზა ეჩივი აგერ...—დაიწყო ბესომ, რომელიც ამ დროს რალაც გამოურკვეველ სირცხვილს გრძნობდა და თითქმის მზად

იყო ბოდიშიც მოეხადა, როგორც დამნაშავეს. თუმცა თი-თონაც არ ესმოდა კარგად, რა იყო აქ საბოდიშო.

— არა, დაარწმუნე შენი გული, რომ ქვეყნიერობის ჩვენ არაფერი გვესმის. სოფლის კაცი ბრმაია!—შენიშნა ბეჟანმა.

გიორგი გამხიარულდა. ამასობაში ცხელი ხაჭაპურიც შემოიტანეს და სტუმრები მიიპატიჟეს... ბეჟანი სუფრის მიუჯდა.

— მოდი, ბესოიავ, აი ხაჭაპური მაინც ვჭამოთ, ამის მეტი რა შეგვრჩება ამ წუთის სოფელში,—გაიხუმრა მან.

— მადლობელი გახლავარ! ახლა ავდექი სუფრიდან. შაქარი არ მინდა, ისე ვარ...

ამ სიტყვებზე გიორგის სიცილი წასქდა.

— რა ძვირფასი რამე მოიგონა! შაქარი რაღაა, კაცო, რომ ასე ამბობ. სხვა რამე დესერტს მაინც იტყოდი. შაქარი ყველაფერს გირჩევნია ხომ?—სიცილით ჩაჰკითხა მან ბესოს.

— ასე ქვია, აბა რავიცი... ასე იტყვიან...—დაბნეულად ჩაილაპარაკა ბესომ.

გიორგი უფრო გამხიარულდა, საათს დახედა, მერე წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა და ბესოსთან გაჩერდა.

— აბა, ბესოჯან, თქვი რამე სოფლური სიმღერა,—თი-თქმის დაცინვით უთხრა მას გიორგიმ.

— რა უნდა ვთქვა, ბატონო, შენი საკადრისი და მო-საწონი.

— გეცოდინება რამე თქვენებური...

— დაღალული ხარ ახლა, შენ ნუ მომიკეტე და მოსვე-ნება კი ჯობს აწე,—მზრუნველობით შენიშნა ელენემ გიორგის.

სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ.

IV

ანწლაძის ოდის აივანზე წამოწოლილი გიორგი მოსვე-ნებას ეძლეოდა. იქვე, სკამზე, ელენე იჯდა და ჩონგურს უკ-რაედა.

— თლა დიეკარგა ამ შეჩვენებულს ხმაი რაცხაიზა,— სთქვა მან.

— რომელ კანცერტს უკრავდი, ახლა შენ?—იობუნჯა გიორგიმ.

– დამეთხუე, ჩემი ძამიეი!—ლიმილით შენიშნა ქალმა: კაცერტი არა, იგი არ შეყურება...

გიორგიმ დაღრეჯით შეხედა ელენეს და სთქვა:

— ესაა თქვენი დროის ტარება!.. ამით კმაყოფილი ხართ თქვენ, არა?..

— ჩემი სიკვტილი! მოგწყინდა ახლა შენ! კვირე მაინც იყოს, გადიარდა კაცი სადმე, სათამაშოში...

— სათამაშო, თვარა დიდი რამე სანახავია იქ, მე ვიცი! ძალიან მოგწონს თქვენი სათამაშო?—გაიცინა გიორგიმ.

— რეიზა ოჯო! გონჯია შეკრებულობა, იმდენი ქალი და კაცი რომ მეიყრის თავს? იმფერი სანახავია ქალიშვილები, სიმღერას და ცეკვას რომ დეიწყებენ, რომ...

— ვიცი, ვიცი ის თქვენი ქალიშვილებიც, ბარიშნები, გუშინ არ ვნახე...

— კი, მარა, ყოლისფერი ნუ მოგიკტება, მითხარი, იმ-დონ ქალში არავინ არ მოგეწონა?

— ხა, ხა, ხა!.. ვინაა სოფელში მოსაწონი ქალი? ვითომ ერთი გავდა კიდო რაცხას... მარა არც ის იყო..—ბოლოს დაუმატა გიორგიმ.

— ვინ იყო, თუ ღმერთი გწამს, რაფერი კაბა ეცვა?..— არ ეშვებოდა ელენე.

— აა, ამას მართლა გონია ყურადღება მივაქციე ახლა იმას... თვალში მომხდა რაღაცა, არც კი შემიხედავს...

— რაფერი ხარ, ა! რეიზა არ უნდა შეხედო, კაცო?— ვითომ წყენით დაიწყო ელენემ:—ყოლიფერით სრული ხარ, ღმერთის წყალობა ყოლიფერი გაქ, არაფერი არ გენატრება ქვეყანაზე, ოღონ ერთი რამე გინდა ახლა, სხვაი აღარაფერი გაკლია.

— რა მაკლია მაინც, მითხარი?

— რა გაკლია და ცოლი, ძამიავ, ცოლ-შვილი.

— ეჰეე,—გააგრძელა გიორგიმ და სიამოვნებით გაიღიმა.

— ხუმრობა იქით იყოს და რაღას უყურებ დასურ?

— არაფერს! საქმე გათავებულია, დანიშნული მყავს!...

— აბა, აბა!—გაიკვირვა ელენემ.

— ასეა, თუ დაიჯერებ.

— კი, კი! ვინ ნუ მოგიკტეს?

— რომ არ სჯერა!

— რეიზა დევიჯერებ მაგას!

— ვითომ რატომ?

— უჩემოთ კი გაბედავ შენ ქალის დანიშნვას!—იხუმრა ელენემ:—რა იცით თქვენ ქალის ცნობა! საცხა იმისთანას გადიეკიდები, რომ ბედს დაგაწყევლიებს. შენი საცოლე მე უნდა გამოვარჩიო, იგი გათავებულია. რავაც გინდა, იმისთანას გიშონი!

— აკი გითხარი, სტროგი ქალი ხარ მეთქი, აბა, შენ იცი!

— შენ ხუმრობ და მე დასტურ გიჩივი. ცოლშვილისთანაი ტკბილი არაფერი არაა ქვეყანაზე, იგი არ თქვას ტყუილაი კაცმა! ძმობას გეფიცები, რამდენსაც დეიგვიანებ ახლა, ყველას ინანებ მერე, თვარა დეიმახსონე აი ჩემი სიტყვა. შორს წასლაც არ გვინდა! იგი დასურ ბედაური ქალია, შენ რომ მოგწონებია...

— ხა, ხა, ხა! ვინ მომწონებია, რას ამბობ?

— კაი, ბატონო, ჯერ თუ არ მოგწონებია, აწე მოგეწონოს ეგება, რომ გეიცნობ კარგა. იმფერი ქალია იგი, რომ, სადაც უნდა წევიდეს, არ შეარცხვენს კაცს. რაც უნდა განათლებულ ადგილზე დარჩეს, ყოლგან თავს შეიხმარს.

— რომელ პენციონშია მაინც გაზდილი?

— ვითომ პენციონში თუ არ გეიზარდა, ისე ალარ ვარგა? იქინეი გაზდილი იმფერიც კი ენახე, რომ მჭადს არ წუუტეხდა კაცი!

— რაც უნდა იყოს, სოფლელი ქალი მაინც...

— იმისთანაი არაა სტორეთ! იგი ყოლიფერს შეიფე-

რებს. გუშინ აქანაი იყო იკი, ვარდის ფერი კაბა რომ ეცვა.

— აბა რა ვიცი, ვის რა ეცვა, იმას უყურებდი! —იცრუა გიორგიმ.

— დასურ, ჩიკი თუ ხუმრობ? თითით საჩვენებელი ქალია იგი და რავა ვერ შიამჩნევდი! რაც უნდა შეკრებილებაში იყოს, ამას კი იკითხავ, ვინაა აიო? ოჯო, ხუმრობ, თვარა კი იცი! სახტარზე არ გეიცანი ეფენიეი.. გვერდელიშვილის ქალი? სკამი რომ დუუცალე აქანაი გუშინ, იგი აღარ გახსოვს მაინც? ხომ კი იცი ახლა?—ეშმაკურად ჩაჰკითხა ელენემ.

— ჰოოო, მგონი ვიცი. ვისაც ამბობ.

— რავაი ქალია, ყოლისფერი ნუ მოგიკტება?

— ქალის უნახავი რომ ვიყო... ისეთი ქალები ვიცი, რომ...

— არა, მაინც ხომ საქები ქალია?

— არ ვიცი, რა გითხრა! სოფელში შეიძლება საქები იყოს, მაგრამ სხვა ადგილზე...

გიორგი პინტილიანმა ეკლესიაში შესვლისათანავე მოჰკრა თვალი ეფემიას. მისმა დანახვამ რაღაც გამოუთქმელი სიხარული და სიამოვნება აგრძნობინა გიორგის. ეს ძლიერი ჩაბეჭდილება იყო მიზეზი, რომ ის იმ დღეს ისე გატაცებით ლაპარაკობდა. ეს გარემოება არ გამოეპარა ელენეს. ამიტომ ჩამოაგდო მან ლაპარაკი ეფემიაზე და ეშმაკურის ღიმილით უგდებდა ყურს გიორგის, რომელიც ამაოდ ცდილობდა არ გამოემეღავნებინა თავისი გრძნობა. ელენე ძალიან აფასებდა გიორგის მოყვრობას და უნდოდა, რომ მას უსათუოდ სოფლელი ქალი შეერთო ცოლად. მაშინ გიორგი აღარ დაიკიწყებდა სოფელს, ხან და ხან ხომ მაინც ჩავიდოდა იქ და ელენესაც ეს სურდა, რადგან მდიდარი მოყვრის ნახვა სანატრელი იყო მისთვის. „მაგან რომ იქაური ქალი შეირთოს, ველარ მეიძევს კაცი მერეო“, ფიქრობდა ელენე. ის კარგად იცნობდა ეფემიას, მოსწონდა მისი გარეგანი სიმშვენიერე და ამიტომ უნდოდა, რომ გიორგის შეერთო ეს ქალი.

„ორივე მადლიერი მეყოლება; ხან და ხან კიდეც წავალ იგენთან ორი დღეი. სოფელია, ქვეყანას ვნახავ, ისე ვიქნები, რავაც შინო“,—ოცნებობდა ელენე. მან უარი აღარ უთხრა თეკლეს, რომელმაც მას დახმარება და შუამდგომლობა სთხოვა.

— ყმაწვილმა კაცმა არ უნდა გუუშვას ხელიდან მაგისთანაი ქალი სწორეთ!—განაგრძო ლაპარაკი ელენემ,—მარა ახლანდელ დროში ბრუნდს და მართალს ყველას გვზითვზე უჭირავს თვალი. რამდონი გლახა საღდება გვზითით, იმდონი სიკეთე აქ ჩემს თავს! შენ გვზითვს რეიზა გამუუდგები, ძამიავ, ღმერთის წყალობა ყოლიფერი ბეური გაქ. მაგას მისაცემი აფერი არა აქ და არც უნდა სწორეთ! ისე კაცს ძალიან არჩევს თითონ. იმისთანაი კაცები გააწპილა მაგან, რომ ყველაი სიხარულით წაყობოდა.

— მეც უარს მეტყვის, არა?—თავმომწონედ იკითხა გიორგიმ.

— შენ რეიზა გეტყვის ვარს, სხვაი და შენ ერთი ხარ? ვისაც ვარი უთხრა, იგი შენთან ვერ წამოწტის ჭოჭს სწორეთ! კაცის ცნობა რომ არ სცოდნოდა, აქამდი ორმოცჯერ დეიმტროვოდა!

— არა, მეც უარს მეტყვის და ტყუილად შევრცხვები, ვერ გავბედავ...

— ოჯო, შენ ხუმრობ! რაცხა იქნება, მე ვიცი, ოღონ შენგან იყოს სიტყვა თვარა. იმდონია ახლა მაგის მთხონელი, რომ წროულს არ დარჩება გუუთხუარი: ვინცხა ან ძალით და ან ნებით კი მუუხერხებს რაცხას! ერთი შენი სახელი დაათქვი და დაებორკოთ მაი რაცხაფერაი დროზე...

— რომ არ მიმიღონ და კაცი დავიჩაგრო...—მედიდურად სთქვა გიორგიმ და კმაყოფილებით გაიცინა.

— კაი, თუ ღმერთი გწამს!

— გეტყობა, მართლა ფიქრობ! სწორეთ გითხრა, მე ვერავინ გამაკვირვებს აქ კი არა, სადაც უნდა იყოს! არ დაგიმალავ, მსურველი განათლებული და მდიდარიც ბევრია,

მაგრამ, თუ ძალიანს შეგვეხვეწებიან, ვნახოთ, ვიფიქროთ, თუ მართლა ისეთი საქები ქალია...

ეფემიას ნახვა გიორგისთვის სრულიად მოულოდნელი იყო. ის სხვა ანგარიშით აპირებდა ცოლის შერთვას, მაგრამ ამ ჟამად გრძნობით გატაცებული გიორგი ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომელშიაც ადამიანს არ შეუძლია დამშვიდებით ასწონ-დასწონოს ყოველი თავისი მოქმედება. ახლა გიორგი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ ეფემია არ წასვლოდა მას ხელიდან. გიორგი კარგად ამჩნევდა, რა ყურადღებით ათვალიერებდნენ მას თეკლე და ეფემია, რა სიამოვნების ღიმი უქროდათ ამ მანდილოსნებს სახეზე, როდესაც მის ლაპარაკს ყურს უგდებდნენ და დღეს კმაყოფილებით ხედავდა, რომ საქმე თავის თავად კეთდებოდა.

გვერდელიშვილის ქვრივ-ობლებს. უკიდურესი ხელმოკლეობის გამო, ძლიერ უჭირდათ ცხოვრება. დღესასწაულებში, ქორწილში თუ ტირილში, ერთი სიტყვით, ყველგან და ყოველთვის მეტად საგრძნობელი იყო მათთვის ის საშინელი სიღარიბე, რომლისაგანაც თავს დამცირებულად სთვლიდნენ. თავმომწონე ეფემია მუდამ შეურაცყოფას გრძნობდა, როდესაც სადმე კარგად ჩაცმულ ქალს დაინახავდა...

ამისთანა გარემოებაში მათვის გიორგი პინტილიანი, ის გიორგი, რომელსაც დღეს მთელი გვიმბრიანი ქება-დიდებით იხსენიებდა, რომელსაც ყველა ასეთ პატივს სცემდა, როგორც მდიდარს და „განათლებულ“ კაცს,—ღვთისგან მოვლენილი ბედნიერება იყო... მაგრამ არ იცოდნენ, ისურვებდა გიორგი უმზითვო ქალის შერთვას, თუ არა. „მაგისთანაი კაცი ფულს არ უნდა დახარბდეს, თუ ღმერთმა ქნა და ქალი მიეწონა, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს! მაგისთანა პატრონს ჩვენ ვერსა ეიშონით! ღმერთო, ობლობის გამჩენო, მოიღე მოწყალება!..“ ოცნებობდა თეკლე. „მარა რომ არ იქნას და ტყულაი გვეილანძღოთ?“ შიშობდა ის და ამიტომ სთხოვდა ელენეს: „შენ შენობით უთხარი, მაგი ამბავი ჩვენში იყოს, თუ ღმერთი გწამს, საქვეყნოთ ნუ დარჩება.“

ადვილი წარმოსადგენია დედა-შვილის სიხარული, როდესაც ელენემ გადასცა მათ: „კარგათაა საქმე, მგონი კი დევითანხმებო.“

ეფემია ტკბილმა ინცებამ გაიტაცა. რა არ წარმოიდგინა, რა არ იფიქრა მან თავის მომავალ ცხოვრებაზე? ტფილისი, მდიდრული ცხოვრება, წასვლა, მოსვლა—ყველაფერი თავ-ბრუს ახვევდა მას და სასიამოვნოდ გულს უძგერებდა. „აბა, აწი გადამიდგეს წინ, აწი წამომძახოს რამე! ისე ვიცხოვრებ, რომ თვალს დოუბნელებ, გულზე გავსტალეც თლათ!“—ფიქრობდა ეფემია.

თეკლეს ეპვი ჰქონდა, „ვაი თუ ვინმე დაგვეცილოს, ან გადააფიქროსო.“

— აბა შენ იცი, ნენა, რაფერ იქნები, რავა აჩვენებ თავს. ვინცხა ოცია ღვთის მტერი და ათასს კი გადულაპარიკებენ რაცხას,—დაარიგა დედამ ეფემია.

— რაფერ ჩივა აი, ნენაი, რავა უნდა ვიყო?.—ჩაილაპარაკა ყმაწვილმა ქალმა და წამოწითლდა.

ეფემია დაინიშნა. ეს ამბავი მაშინვე მთელ სოფელს მოედვა. ყველა შენატრიდა ახალდანიშნულს. ბევრი შურის თვალით უყურებდა მას.

V

ჯვარის წერა ერთი თვით გადასდეს, რადგან გიორგიმ ტფილის ს̆წასვლა დააპირა. „ისეთი საჭირო საქმეა, რომ ახლა არ წავიდე, შეუძლებელია. მალე დავბრუნდები, საგვირგვინო მოართულობასაც ჩამოვიტან, აქ ნაყიდი ხომ მაინც არაფერი ვარგა ჯვარის წერისთვისო,“—დაარწმუნა მან ყველანი.

თეკლემ, სასიძოს პატივსაცემლად, სადილი გამართა და მიიწვია გვიმბრიანის საპატიო პირნი. გიორგისთან ერთად, რასაკვირველია, ანწლაძეებიც იყვნენ მიპატიჟებულნი. მათ გზაზე ყანა ჰქონდათ გასავლელი. ნაწვიმარი დილა იყო. წვიმისაგან დამძიმებული ღომის თავთავები თითქმის მიწამდის დახრილიყვნენ და შეეკრათ ისედაც ვიწრო საქვეითო გზა.

წყეროსფეხაც კარგა წამოზდილიყო ყანაში. დაუსველებლად გავლა შეუძლებელი იყო.

— მუაწიეთ რავაცხა, მარა პაწია კი დასოლდა აი ჩემი ძამიეი,—მხიარულად შენიშნა ელენემ, როდესაც მასპინძლები გამოეგებნენ სტუმრებს.

— ცოტა დაგვნამა ამ პრასპეკტზე,—იხუმრა გიორგიმ და ხელი ყანისკენ გაიშვირა.

— ჩემი სიკვტილი!—წამოიძახა ეფემიამ, როდესაც გიორგის დასველებულ ტანისამოსს შეხედა,—ქე გაფუჭებულა!

— ჯავრი არ მოვეცა! გაფუქდა—ახალი იშოეება!—დაუმატა გიორგიმ,—ფულის საქმე არ არის!..

— რომ გამხსენებოდა მე სასიკვტილეს, ქე გავათოხნიებდი გზას...—დაიწყო თეკლემ.

სტუმრები აივანზე ისხდნენ და სხვა და სხვა ხილეულობას შეექცეოდნენ. ამ დროს ეზოს ვიღაც ხანში შესული კაცი მოადგა.

— წადი, ცავ, შიეყარე!—გასძახა თეკლემ პატარა 9-10 წლის „მობარებულ“ ქალს. ბავშვი მალე დაბრუნდა და რაღაც წასჩურჩულა ყურში თეკლეს.

— ვაიმე, ღმერთო მომკალი!—ღიმილით სთქვა თეკლემ.—ლაზარაი ხმოებილობს თურმე გიორგის, რაცხა ქაღალდი მაქ წასაკითხავიო.

— რა ქაღალდი დიემართა ახლა იმას, რომ აღარ გაარჩნიან აღარც დროი და აღარც რამე! არაფერ კაცს არ მიერიდებიან, იმფერი არიან! - გაჯავრდა ეფემია.

— ჯერეთვე რომ ასე უფრთხილდები და გეცოდვება შენ მაი, მერე რაღას იზამ!—სიცილ-კასკასით შენიშნა ელენემ.

ამ სიტყვებზე სხვებსაც გაეცინათ.

— იმიზა არ ვჩივი, ოჯო... ასე იციან ყოლიფერზე...—წარმოსთქვა შეჭარხლებულმა ეფემიამ.

— ნეტავი არ მესწავლა ეს წიგნი! ხან და ხან დრო სულ არ გაქვს, მაგრამ მაინც გაცდენენ: ზოგი დაწერას გთხოვს, ზოგი წაკითხვას...—აღარ დაასრულა გიორგიმ და ლაზარესკენ წავიდა.

მოხუცმა მძიმედ თავი დაუკრა მას და რაღაც ბარათი გადასცა.

— ახირებულია ამ ყრუ ხალხის საქმე! — ღიმილით დაიწყო გიორგიმ დაბრუნების შემდეგ, — სულ უბრალო რაღაცას დიდ რამეთ თვლიან, გროშათ რომ არ ღირდეს, ძალიან ვაჟნი გონიათ და შეაწუხებენ ყველაფერს და მართლა საყურადღებო საქმე რომ იყოს, კი არ მიაქცევენ ყურადღებას, ვერ მიხვდებიან, არ აქვთ გარჩევა!

აღმოჩნდა, რომ ლაზარეს წერილი მიეღო შვილისაგან, რომელიც სადღაც შორეულ ქალაქში მუშაობდა. წერილის ბოლოს მას რუსულადაც მოეწერა თავისი გვარი და იმ ადგილის სახელი, სადაც თითონ სცხოვრობდა. სწორედ ამ ორი სიტყვის წაკითხვას და გადათარგმნას სთხოვდა გიორგის მოხუცი ლაზარე.

გიორგი მეორე დღესვე მოემზადა წასასვლელად. ეფემიამ და თეკლემ მოისურვეს მისი გაცილება. გიორგის ბიძაშვილებიც აღარ ჩამორჩნენ მათ. გემრიელი საუზმის შემდეგ, ცხენებით გასწიეს რკინის გზის მახლობელ სადგურისაკენ.

ახალ დანიშნულნი საგანგებოდ დაქირავებულ ცხენებზე ისხდნენ. ენკენისთვის მშვენიერი დილა იყო. მგზავრები სიამოვნებას გრძნობდნენ და მხიარულად მუსაიფობდნენ.

— როის მიხვალ იქინეი ამ საღამოს წასული? — ჰკითხა ვიღამაც გიორგის.

— ხვალ დილით.

— კი, მარა რაფერ გაძლებ მთელი ღამე მაშინაში უძინარი?

— რა დამიშლის ძილს?

— იქინეი ძილი კი არა, დასაჯდომი ადგილი თუ იშოვნება, არ მგონია, — შენიშნა ეფემიამ. — მერთი გზობა შევიხედე შით და ტევა არ იყო, ისე იყვნენ ამოშუშებული.

— სად? მესამე კლასში? ღმერთმა დაიფაროს! იაფ-ფასიანი ყველაფერი ასეა: ხალხი აწყდება, იმიტომ არც ებოდიშებიან — იმდენს შეყრიან შიგ, რომ ფეხზე დასადგომი

ადგილიც არ არის; ისეთი უსუფთაობა და გლახა სუნია... წაუსვლელი რომ ვრჩებოდე, იქ მაინც არ შევალ. პირველი კლასის ვაგონები რომ არ იყოს პოეზდში, არ ვიცი, რა ეშველებოდა კაცს! მოსვენებით მგზავრობა გინდა, ფულსაც არ დაინანებ, დაიჭერ მთელ კუპეს და ხარ თავისუფლად, არავინ არ გაწუხებს. იქ რბილი საჯდომებია, როგორც გინდა, ისე მოისვენებ.

ამასობაში ჩვენმა მგზავრებმა კაი მანძილი გაიარეს და შეუმჩნეველად მიუახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც მ-ს სასოფლო გზა თავდალმართში მიდის და დიდ მანძილზე გადაჰყურებს პატარა ღელის დაცემულ ხეობას. აქ, ნიგვზის ძირში, ცხენოსნებმა შენიშნეს რამდენიმე ქალი და კაცი. ერთი მანდილოსანი, მზეხა, მაშინვე წამოვარდა ზეზე.

— აგია სტორეთ! მისი ჭირიმე! —აღარ დააცალა მან ცხენოსნებს გაჩერება, მივარდა გიორგის და მოეხვია მას ფეხებზე.

— რა საჭიროა...—დაიწყო გიორგიმ.

— შენ გენაცვალე! რაფერი ბედნიერი ყოფილა ჩემი ეფენიეი! ღმერთს ვმადლობ, მოწყალეს!—არ ცხრებოდა აღტაცებული მზეხა.

მზეხა ეფემიას მამიდა იყო. ის ვერ დაესწრა ძმისწულის ნიშნობას, რადგან ეს საქმე ნაჩქარევად მოხდა. შემდეგ თეკლემ ყველაფერი შეატყობინა შულს.

— აბა გავყვეთ ახლა შინისკენ, შორს კი არ ვარ აქედან,—მიიწვია მზეხამ სტუმრები ფისალმების შემდეგ.

— გიორგიმ იცის,—ღიმილით შენიშნა ელენემ.

— რომ დრო მქონდეს, დიდი სიამოვნებით! ამაღამ რომ პოეზდით არ წავიდე, არ შეიძლება!—სთქვა გიორგიმ.

— თავს მევიკლავ, იცოდეთ! ღმერთმა ჩემი ეფენიეის დანიშნვა მალირსა და ერთ ღამეს აღარ მაჩუქებთ, აბა რას იზამთ! ხვალეც კი გამეიარს იგი მაშინა. შენ სთხუე, მამიდა, შენი ხათრიზა მაინც დათმინოს ერთი სადილი ჩემსას,—მიმართა მზეხამ ეფემიას.

ის დღე მხიარულად გაატარეს სტუმრებმა, ბევრი ისიამოვნეს. მასპინძლობაც საგანგებო იყო. შუალამემდე სუფრა გაშლილი იყო. ცეკვა-სიმღერა არ შეწყვეტილა, სანამ კარგა შეზარხოშებულ გიორგის არ ჩაეძინა.

მეორე დღეს, შუადღისას, რკინის გზის სადგურზე იყვნენ. ზარი დაირეკა. ხალხი კასას მიაწყდა. ყველა სცდილობს ადრე აიღოს ბილეთი და დროიანად მოემზადოს. მალე მატარებლის სტვენაც მოისმა. შეიქნა ფაცი-ფუცი. მგზავრებმა ბარგი ბაქანზე გამოალაგეს და გულის ძგერით მოელიან მატარებელს: ხუმრობა არ არის ვაგონში ბარგით შესვლა და მოხერხებული ალაგის დაჭერა. ეფემიას გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო. სადგურის უფროსიც გამოვიდა. მატარებელმა ახლა სულ ახლო დაიკივლა და ხვნეშით, აუჩქარებლად, ბაქანს მოადგა. ხალხი დაიძრა და ვაგონებისაკენ გაექანა. გიორგიმ პირველი კლასის ვაგონი მონახა.

— ჩვენ ხომ შამოგვიშობენ შით?—იკითხა ელენემ.

— მაშ! ჯერ არ წავა, ნუ გეშინიათ,—მიუგო გიორგიმ.

მანდილოსნები შეეიდნენ ვაგონში. იქვე შეიტანა მუშამ ლამაზი ტყავის ჩემოდანი და სხვა და სხვა რჩეული ხილით სავსე კალათი, რომელიც მზეხამ უკან გაადევნა გიორგის.

— რაფერი მოწყობილი ყოფილა!—გაიკვირვა ეფემიამ, როცა თვალი მოავლო ლამაზად მორთულს ვაგონს. ის ხედავდა, რა მოურიდებლად და სასტიკად ეპყრობოდნენ მგზავრებს, რა გაჭირვებას იტანდა ხალხი ვიწროობის გამო. ეფემიამ დაინახა, რომ კონდუქტორმა საფეხურიდან გადმოაგდო ერთი ხურჯინიანი მგზავრი, რადგან ის იმ ვაგონში შესვლას აპირებდა, რომელსაც ისედაც ბევრი ხალხი აწყდებოდა. გიორგი კი თავისუფლად შებრძანდა მშვენივრად მოწყობილ ვაგონში, სადაც საპატიო, რჩეული მგზავრები ისხდნენ. მას წინ არავინ გადაეღობა; პირიქით, სწორედ იმ კონდუქტორმა, რომელმაც ის ბედშავი მგზავრი ძირს დასცა, მორიდებით გაუღო გიორგის კარი. ახლა ეფემიას თვალში გიორგის კი-

დევ უფრო მოემატა ფასი და ყმაწვილმა ქალმა თავი ბედნიერად წარმოიდგინა...

ამასობაში ზარიც დაირეკა და ხალხში ჩოჩქოლი ატყდა. გიორგიმ საჩქაროდ ხელი ჩამოართვა ყველას და ეფემია გადაჰკოცნა. ქალი შეკრთა, დაიბნა და მთლად გაწითლდა. ერთწამს თეკლესაც ეუცხოვა გიორგის მოულოდნელი ქცევა, მაგრამ გაიფიქრა: „უთუოთ ასე იქნება მიღებული განათლებულებაში“-ო და ისევ დამშვიდდა. ჩვენმა მანდილოსნებმა გიორგის კეთილი მგზავრობა უსურვეს და საჩქაროდ ჩაიდნენ ძირს. უკანასკნელად დაირეკა სადგურის ზარი. ორთქმავალმა რამდენჯერმე მძიმედ ამოიხვნეშა. მატარებელი ჯერ ნელნელა დაიძრა, მერე თან და თან უმატა მსვლელობას და თვალის დახამხამებაში გაჰქრა.

ორი კვირის შემდეგ ეფემიამ შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო გიორგისაგან:

„შორიდან ყოველ მინუტში სახსოვარო და საგონებელო, ხოლო ახლოდან თქვენის მალე ნახვით აღუწერელ მხიარულებაში მომყვანელო, ჩემო ეფემია! ყოვლის შემძლებელ ღვთაებას ვთხოვ შენს კეთილ სუფევას. მე დიდი ხანია აღმიტაცა სურვილმა თქვენი ნახვისა, მაგრამ რას ვიზამ, უნდა ვემორჩილო განგების ნებას. როგორც ყოველთვის, ისე ახლაც მოსვენებით და კარგა ვიმოგზაურე. ყველა გამეცნა, ვინც იმ ვაგონში იყო. ტიფლისში ასლამდი მუსაიფში და ხუმრობა-სიცილში გავატარეთ დრო. იქ რომ მსხვილი ღენერალი იჯდა, იმან სადილზე მიმიპატიჟა. დენჩიკებს უბძანა სუფრის გაშლა. სხვა და სხვა საჭმელ-სასმელი, ბევრი კარგი რამეები ჰქონდა წამოღებული. ისე დამიმეგობრდა, რომ სახლშიც ბევრი მეპატიჟა, მაგრამ უარი ვუთხარი, დრო არ მქონდა. ვაგზალზე ყველამ გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს. მე ჩემი მოსამსახურე დამხვდა იქ და რიზინის ფაიტონით წავედი სახლში. აქ საქმეები ბევრი მაქ, რომელიც უჩემოთ გაჩერებული ყოფილა, მაგრამ, იმედი მაქ, დროზე გავათავებ და წამოვალ. შენთვის ბევრი რამეები ზაკაზი მივეცი მოდისტკებს: აბა ნახ-

ვამდის, ჩემო მტრედო! დედა ელენე და ყველა ჩვენები მოგიკითხე.

შენი განუყრელათ გიორგი.“

თუმცა გიორგი სულ ახალ-ახალ რეკლამებს აბეჭდინებდა, მაგრამ მისი საქმე მაინც ცუდად მიდიოდა. ამხანაგი მზარეული გამოადგა. მეტი გზა არ იყო, [გიორგის როგორმე საკუთრად უნდა დაეხსნა სასტუმრო. მაგრამ თავი და თავი საზრუნავი, რომელიც გიორგის მოსვენებას არ აძლევდა, ბანკის ვალის გასწორება და სახლის ქირის გადახდა იყო. სად და როგორ უნდა აღმოეჩინა მას ამ ხელად საჭირო საშუალება,—აი ეს იყო მეტად მწვავე კითხვა...

ამ გარემოებაში სოფელში წასვლა შეუძლებელი იყო. „მდიდარი უნდა იყო და მაგისთანა ცოლი გყავდეს, ცხოვრება მაშინ მითხარი,—ფიქრობდა გიორგი ეფემიას მოგონებაზე:—მაგრამ ყველაფერს ბედი უნდა! ზოგი ისე ადვილად იძენს ქონებას, მილიონის პატრონი ხდება და ჩემს საქმეს საშველი არ მიეცა!... საცდელი არ დამიკლია, ერთ ჩემი ხნის კაცს არ გამოუცდია ჩემდონი დავიდარაბა... ორი გროშით დავიწყე საქმე... ნუ გენაღვლება, ზოგიერთებსავით არაფერი დამრჩენია მამისაგან, ფაცხას არ შორდებოდა, რომ გარეთ გასულიყო და ცოტა რამე ეშოვნა. „წავალ, ჯვარს დავიწერ და მერე რაც იქნება...“—ხან-და-ხან გაუელვებდა გიორგის, მაგრამ, როცა თავის მდგომარეობას წარმოიდგენდა, წელი სწყდებოდა: „ქვეყანაზე კაცს მეძახიან, ახლა რომ ქონება ამიწეროონ და ციხეში ჩამსვან, ხომ საუკუნოთ თავი მოგეჭრა, მაშინ ხომ სამუდამოთ წაგებული იქნება ჩემი საქმე! მარტო ნეუსტროიკას ვინ აუვა. ან ეფემია რალას იტყვის. მე რომ ასეთ ყოფაში ჩავვარდე? მაშინ მისი მოსაწონი ხომ აღარ ვიქნები...“ აი რა ხლონებდა გიორგის.

ნოემბრის დამდეგს გიორგი პინტილიანის ოთახში იჯდა ერთი ტფილისში დაბინავებული ხანში შესული იმერელი.

— სახლი დიდი არაა, მაგრამ 200 საჟენი მიწაა, თავისუფალა, ერთი კაპიკი ვალი არ აქ. 2800 თუმანი უძლევიათ.

ის რომ გალავინსკის პრასპექტზე იყოს, რატომ ნახევარი მილიონი არ ეღირება,—დაიწყო მან ლაპარაკი.

— მაგისთანა საქმეს თუ იზამს კაცი, რამე დიდი სარფა უნდა იყოს. იცი, რა მშვენიერი ქალი მეძლევა მე იქ? მთელ ქალაქში ვერ შეხთები...—შენიშნა გიორგიმ.

— ახლა, შე დალოცვილო!.. იქაური ქალი რა ხეირს დაგაყრის. შენ რომ გინდა, იმას იქ ვერ იშონი, მე ვიცი... შენი ნებაა! როგორც გსურდეს, მე ხომ არ გეხვეწები. მიტომ გეუბნები, რომ შენ მთხოვე და მინდა დაგეხმარო, ჩვენი ქვეყნის შვილი ხარ... შენთვის ძალიან სასიამოვნო თუ არ არის, მე სხვები მეხვეწებიან მაგ საქმის გაკეთებას. მაგას მუშტარი ბევრი ყავს. ბუმრობა ხომ არ არის მაგოდენა ქონება. შეიძლება დაგვეცილონ კიდეც. მე იმისი იმედი მაქ, რომ მოხუცი ჩემსავით სხვას არ ენდობა: მე იმისი ქმრის კარგი ნაცნობი ვიყავი, პირველათ რომ ქალაქს ჩამოვედი, მას აქეთ ვიცნობდი.

— არა, ნუ გეწყინება, ისე ვთქვი. მეც იმიტომ მოგმართე, რომ ჩვენებური ხარ და იმედი მქონდა. ისე უნდა მოეწყოს საქმე, რომ საიმედო იყოს. ჯვარი რომ დავიწერო და მერე ცარიელზე დავრჩე...

— კაცო, რა სათქმელია! ერთი საწყალი დედაკაცია; ვინ იცის, დღეს-ხვალ მოკდეს კიდეც. „ეს ერთი შვილი მყავს, ამის ქმარმა მეც უნდა მიპატრონოს და შემითვისოს. ჩემი ქონებაც მათი იქნება, მე ხომ თან არ წავიღებო.“ ისეთი ადამიანი არ არის, რომ სიძეს აწყეინოს. თუ კარგა შეჯხვედებ თავს, იქნება ამ თავითვე დაგიმტკიცოს.

მეორე დღეს გიორგი წავიდა ქალის სანახავად. ორ-სამ დღეში საქმე გათავდა და ჯვარის წერაც მოხდა.

სიძემ ადრე მოიპოვა სიდედრის ნდობა და სიყვარული. თავაზიანი ქცევით და მოხერხებით გიორგიმ ერთიანად მოინადირა მოხუცის გული, მალე დაიმტკიცა სახლი თავის სახელზე და ბანკშიაც დააგირავა. ამ რიგად, გიორგიმ გაასწორა თავისი საქმეები და წელში კარგა გამაგრდა, მაგრამ ის

ქმაყოფილებას მაინც ვერა გრძნობდა: „რა გასაჩენი იყო მაგ-ნაირი... არა, რა იფიქრეს მაგ სულელებმა... მაგრამ, თუ უკაცრავად დავრჩე მასთან, თავს დააბრალოს. რა ჩემი ბრალია, რომ ის უშნო გაუჩენია ღმერთს! მაგასაც ქალი ჰქვია და ეფემიასაც!.. ახლა რომ თავისუფალი ვიყო, ველარაფერი დამაბრკოლებდა! რომ შეიძლებოდეს, ახლა სულ სხვანაირად მოვაწყობდი საქმეს.. ვითომ რატომ არ შეიძლება? ცოტაა ასე ჯვარ-დაუწერელი კაი ცხოვრების გულისთვის? ტკბილ ცხოვრებას ახლა ყველა აფასებს. ღარიბს არ მიყობაო, ეტყობა ჭკვიანი ქალია, ალბათ ფულის გემო ესმის და იმიტომ არ უნდა სოფელში გათოვება... მისთვის კი არაფერი დამენანება, ყველაფერს შეეუსრულებ, რასაც კი ისურვებს. რაც სიღარიბე გამოუცდია, სულ დავავიწყებ, ისე ვაცხოვრებ, რომ...“

ამისთანა ფიქრები ხშირად მოსდიოდა გიორგის თავში და თითქო რაღაც ივედს აძლევდა მას. ეს ივედი ერთი-ორად გაუძლიერდა გიორგის, როდესაც მას მოუვიდა ცნობები ელენესაგან ეფემიას შესახებ.

VI

თეკლე და ეფემია მოუთმენლად ელოდნენ გიორგის დაბრუნებას. მაგრამ დანიშნული დრო გავიდა და გიორგი მაინც არსად სჩანდა. დედა-შვილი დიდ მოუსვენრობაში იყვნენ. ნოემბრის „აღებაც“ გათავდა და მარხვა დაიწყო. სოფელში ათასნაირი მითქმა-მოთქმა და ჭორი დადიოდა ეფემიაზე. რაღა თქმა უნდა, ვინც წინეთ შურის თვალით უყურებდა მას, ახლა მოურიდებლად და გესლიანად დასკინოდა ახალგაზდა ქალს. აშკარად ავრცელებდნენ ეფემიაზე დაუჯერებელს ხმებს, რომელნიც ელვასავით შემოიელიდნენ სოფელს. ერთი სიტყვით, მთელი გვიმბრიანი იყო და ეს ამბავი. დიდი, პატარა, მოხუცი და ახალგაზდა, ყველა ამაზე ლაპარაკობდა და თავისებურად სჯიდა. ყბადაღებულ ეფემიას ბრაზი ახრჩობდა. ის ხან ვის მიეარდებოდა, ხან ვის, ხან ერთს შეუტევდა, ხან მეორეს. მაგრამ ვერას აწყობდა...

— განათლებულ კაცს კი არა, ღმერთმა უბრალო სოფლის შლუს ნუ დამართოს აი! რა საკადრისია ასე მასხარათ აგდება! ქვეყანაში გამობახება იქნება!—გულმოსულად უთხრა ერთხელ ეფემიამ ელენეს, რომელთანაც ხშირად დადიოდნენ დედა-შვილი ამბის გასაგებად.

— რაცხა დიდი მიზეზი რომ არ იყოს, ასე არ დაიგვიანებდა. ვინ იცის, რამ დააბრკოლა, ათასი საქმე აქ. ღმერთმა ნურაფერი გაუჭიროს და იგი თავს არ შეირცხვენს, —ბოლიში მოჰხადა ელენემ გიორგის.

— გარეთ ველარ გამოვსულვარ სირცხვილით, ქვეყანას მოედვა ჩემი ამბავი! ორი კაცი რომ ერთათ იყოს, ჩემზე ლაპარაკობს, მგონია!..

— ჩემი მტერი ჩავარდა სოფლის პირში! ათასნაირ კუდს გამოაბამენ...— დასძინა შეწუხებულმა თეკლემ.

— თქვენც კარგათ იცით და მეც, ვინ აერცელებს ამ ამბავს,—დაიწყო ისევ ელენემ,—ჩხირაიფხე გულდამწვარი არის და ახლა ამით უნდა ჯინი ამეიყაროს. მარა ისე გავლანძღე გუშლამ სახტარზე, რომ ეყოფა საშუშებლათ. იმას კი ვუთხარი მისი საკადრისი. „ხვალე იქნება თურმე ქორწილი, ყოლიფერი მზათ ყოფილა“ (აქ ელენემ ხმა შეიცვალა, რომ უფრო კარგად გამოეჯავრებინა), დეიწყო ქალებში ლაპარაკი, ვითამ ჩემდა გასაგონათ. შენ ჯალაბო და გადათრეულო მეთქი—ხეო, შენ გელაპარიკები,—აგიშვია, დედაკაცო, ყპაი და რას ბეუტეურობ, არ იცი, ღმერთო კი მომკალი, ვინაა შენი ტოლი მეთქი...

დრო გადიოდა. გიორგისაგან აღარაფერი ისმოდა, თუმცა რამდენჯერმე წერილიც გაუგზავნეს მას. ეფემიას მდგომარეობა აუტანელი შეიქნა და ამიტომ მან გადასწყვიტა ტფილისში წასვლა. თეკლე ამის წინააღმდეგი იყო.

— თუ არ გადირიე შენ! დამიცევი, ღმერთო!—წამოიძახა შეშინებულმა დედამ,—რომ მიხვალ, სად მიხვალ? ვისთან მიხვალ? სიდოფური ნათესავები და ნაცნობები გყავს იქინეი? ჯერ ახლა რას ლაპარაკობენ აგერ და იქინეი რომ წახვიდე, მაშინ რას იტყვის ქვეყანა?

— ჩემი ყურით ნუ გევიგონებ მაინც და რასაც იტყვიან, რა უყო ახლა! აი ქალები სად არ დეიარებიან და მაინც-და-მაინც მე დევიკარგები?.. აქანაი მაინც ალარ მედგომება. ერთი ენახო, რას იტყვის, რაფერ შემხვდავს იგი, თუ პატიოსანი კაცია... ჩემი თავის მოკრას ასე რავა შევარჩენ მე იმას!..— ამბობდა გაწიწმატებული ეფემია.

— დედავ, რაფერ გადირია აი საცოდავი! იმან თუ კი იკადრა და ვარი თქვა, შენ რა გაგივა? ვითამ რას აპირობ? ჯერ იგიც, ვინ იცის, იქინეია, თუ არა, ეგება კიდევაც წევიდა სადმე.

— ჯოჯოხეთში რომ იყოს, იქინეი მიეალ! ვინცხას რავა არ ეცოდინება მისი გზაი და კვალი... უნდა ენახო. ამაზე უარესი რაღა დამემართება ვითამ!..

ეფემია არ იშლიდა. იგი ისე დაჟინებით გაიძახოდა თავისას, რომ ბოლოს თეკლეც შეურიგდა ამ აზრს: „ვინ იცის, ეგება ასე აჯობოს და რამე საშველი მიეცეს, ეგება დასტურ ვერ მოიცალა წამოსასვლელათ. ჩვენ რომ დაგვინახამს მისულს, რამეს იფიქრებს, ან აქეთ წამოგვყობა, ან იქინეი დეიწერს ჯვარს. ღმერთი არ შეიძულებს თლა კაცს!“ — გაიფიქრა დედამ. პირველად ელენეც პირდებოდა წაყოლას, მაგრამ შემდეგ ავადმყოფობა მოიმიზეზა და უარი ეთხრა.

ჩვენი მანდილოსნები მზად იყვნენ წასასვლელად, მაგრამ არ იცოდნენ, ვისთან ეშოვათ ბინა ტფილისში, ვისთან გაჩერებულიყვნენ. ეს გარემოება მეტად აშინებდა მათ. ამის შესახებ დედა-შვილმა რჩევა სთხოვეს ერთ ნაცნობ ვაჭარს და, მიიღეს რა მისგან შესაფერი დარიგება, გზას გაუდგნენ. „ღმერთო, შვიდობით ქენი ჩვენი მგზავრობა.“—ლოცულობდა თეკლე. მან განგებ შეარჩია სამგზავროდ „წარმო“ და „სრული დღე“ ხუთშაბათი.

გულის ფანცქალით უახლოვდებოდა ტფილისს ეფემია. როდესაც ღამის წყვდიადში გამოჩნდა ქალაქის ლამპრები, ახალგაზდა ქალს მღელვარება მოემატა. „რა იქნება ნეტაი

ხვალ, რა გუნებაზე ვიქნები დღეის სწორს. ერთ თვეში ხომ მაინც უნდა გათავდეს ყოლიფერი,"—გაუელვა მას თავში.

ამასობაში მატარებელი სადგურთან გაჩერდა. მგზავრები მიაწყდნენ გასავალ კარებს. თეკლე და ეფემიაც გამოვიდნენ ვაგონიდან სხვებთან ერთად. სადგურის ბაქანზე აუარებელი ხალხი ირეოდა. დედა-შვილი შიშმა შეიპყრო. ისინი დაიბნენ, არ იცოდნენ, საით წასულიყვნენ. „ვინ გეიკლოვს აქანაი რამეს. აი წიგნი კი მაქ, მარა, რომ ვერ მივაგნო და დეევიბნა, რაღა მეშველება, ძაღლის საკმელათ არ დავრჩები! ეის უნდა ვკითხო, ვინაა ქრისტიანი და სანდო, ვინ იცის?"—გაიფიქრა თეკლემ. ამ ყოფაში იყვნენ მანდილოსნები, როდესაც ისინი შენიშნა ახალგაზდა, ძვირფას ქურქიანმა კაცმა.

— ვის ვხედავ ამათ? ეს რა ამბავია? წამოიძახა მან.

მანდილოსნები შეკრთნენ და მიიხედეს. ეფემიამ თითქმის დაიკივლა: მათკენ მიდიოდა მხიარული სახით გიორგი პინტილიანი. ისე მოულოდნელად მოხდა ეს, რომ ჩვენი მანდილოსნები სულმთლად დაიბნენ.

— თქვე დალოცვილებო, თუ წამოსლას აპირებდით, რატომ არ შემატყობინეთ? ასე უნდა?!—ღიმილით უსაყვედურა მათ გიორგიმ მისალმების შემდეგ.

— რა ვიცი, დედავ, აღარ გვკადრულობდი, გვეგონა.— დაიწყო თეკლემ გაუბედავად.

— მადლობა ღმერთს, რომ შემთხვევით გამოსული დავრჩი, თუ არა რას გავიგებდი! სწორეთ სასწაულია ეს!

მანდილოსნებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. ისინი დიდ კმაკოფილებას გრძნობდნენ ამ ჟამად, რადგან დარწმუნდნენ, რომ გიორგის მათი მისვლა ესიამოვნა და ეს ხომ, მათი შეხედულებით, კარგი ნიშანი იყო. მარტო ის რად ღირდა მათთვის, რომ ამისთანა დროს გაუჩნდათ ისეთი მფარველი, როგორიც გიორგი იყო. ეფემიას წინ და წინვე დამზადებული ჰქონდა სიტყვები, რომლებიდაც მას უსათუოდ საყვედური უნდა განეცხადებინა საქმროსათვის. „ერთი ვნახო და რასაც ვეტყვი, მე ვიცი!"—ფიქრობდა წინეთ ეფემია თავის

გუნებაში. მაგრამ ეს მტკიცე გადაწყვეტილება რა ჭკუაში მოსატანი იყო ახლა, როდესაც ახალგაზდა ქალი სულ სიამოვნებას გრძნობდა.

— სამი დღეა, რაც რუსეთიდან დავბრუნდი,—დაიწყო ისევ გიორგიმ,—ორ თვეზე მეტი იქ ვარ, ისეთი საქმე დამირჩა. ამ ერთ კვირეში კიდევაც ვაპირობდი სოფელში წამოსვლას. არა, როგორ გაბედეთ ასე წამოსვლა, რას აპირობდით, რომ არ შეგყროდით? შემთხვევით გამოვედი დღეს აქ. ერთ ნაცნობს ველოდი პარიჟიდან და ბედზე შეგხვდით სწორეთ!..

— ქე გვასტავლეს ვითამ რაცხა ბინა...—სთქვა თეკლემ.

— რა გვიჭირდა ვითამ! სადაც მივიდოდით, ღამეს ყოლგან გევითევდით...—ჩაერია ლაპარაკში ეფემია.

— ჰო, ჰო, ჰოოო! თქვენი მტერი!—გულიანად გაიცინა გიორგიმ.—აბა, რაღას ვუდგიეართ ამ სიცივეში, წავიდეთ, —დაუმატა მან.

დედაშვილმა ერთმანეთს შეხედეს.

— ჩვენ კი ვიშონით დასტურ ბინას... რაფერ შეგაწუხოთ... კი მივაკლოვთ...—წარმოსთქვა თეკლემ დაბნეულად.

— ვინ არის ნეტავი იგი, ჩემზე უკეთესად რომ პატივს გცემს თქვენ აქ?—თავმომწონედ დაიწყო გიორგიმ,—ჯერ ნახეთ და, თუ არ მოგეწონებათ, მერე სხვაგან გადაბძანდით, —ხუმრობით დაასრულა მან.

— დედავ, ღმერთო მომკალი!..

— დაანებეთ თავი ჩვენებურ ცერემონიებს! თქვენ ცალკე სახლში იქნებით, ასობენათ, მოსვენებით, როგორც თავის სახლში. თუ პატივისცემა რიგიანად ვერ შევიძლოთ, უნდა გვაპატიოთ,—ღიმილით დაუმატა გიორგიმ და მიიწვია მანდილოსნები საუკეთესო ფაიტონში.

— აბა, ბიჭო, შენ დაიჭირე ფაიტონი და ეს ბარგი წამოიღე, არაფერი დაკარგო!—მიუბრუნდა ის მსახურს.

ეტლმა მალე გააქროლა ჩვენი მანდილოსნები.

— კი, მარა რა გვიქენი აი, თუ ღმერთი გწამს, ასე

ადვილად შეგირიგდებით, გონია!—შენიშნა გზაში ეფემიამ გიორგის ისეთი კილოთი, რომელშიაც უფრო კმაყოფილება ისახებოდა.

— ეე ჩემი სიკეთე! ქე არ დაიწყო!—გადიხარხარა გიორგიმ.

— ნენავ, ამისთანა ადგილზე ჩვენ რაფერ გავახსენდებოდით ვითამ! — გაიხუმრა თეკლემ, რომელსაც სახეზე სიამოვნების ღიმი უქროდა.

— ახლა უნდა გამამტყუნოთ უსათუოთ რაღა! თავის გამართლების ნება მაინც მომეცით!—განაგრძო მხიარულად გიორგიმ: მინავათი არაფერში ვარ, ისეთი საქმეები შემემთხვა, ამაზე თქვენც დამეთანხმებით, ოღონ ამალამ კარგა მოისვენეთ ნამგზავრზე.

გიორგის ადრევე დაქირავებული ჰქონდა ორი ლამაზად მორთული ოთახი. აქ სტუმრებს მოართვეს ჩინებული ვახშამი.

— აბა, მოისვენეთ აქ კარგათ, თავისუფლათ, როგორც შინ. არხეინათ იყავით, ხვალ გნახავთ. რაც საჭირო იყოს, ამას უთხარით.—მიუთითა გიორგიმ მოსამსახურე ქალზე.

— კი, ნენავ,—დაეთანხმა თეკლე.

გიორგის ასეთმა თავაზიანობამ, სიუხვემ და მასპინძლობამ მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა დედა-შვილზე. ამიტომ ისინი არ ჩქარობდნენ გიორგისთან ჯვარის წერის შესახებ ლაპარაკის ჩამოგდებას, რადგან ახლა სრულიად დამშვიდებულნი იყვნენ და საქმეს გათავებულად სთვლიდნენ. თეკლეს მაინც უნდოდა პირველ დღესვე გადაეკრა სიტყვა ამ საგანზე, მაგრამ მოხერხებული დრო ვერ იშოვა...

მეორე დღეს, დილით, გიორგიმ მისელისთანავე უთხრა მანდილოსნებს: „აბა, ფაიტონი გვიცდის, წავიდეთ, ქალაქი დავათვალიეროთ.“ გიორგიმ საუკეთესო, მოდის ტანისამოსები და ძვირფასი სამკაულები უყიდა ეფემიას. რაღა თქმა უნდა თეკლემაც შესაფერი საჩუქრები მიიღო „სასიძოსაგან.“ საეჭვო აღარ იყო დედა-შვილისთვის, რომ გიორგი ჯვარის

საწერად ემზადებოდა. მათ სიამოვნებას და ტკბილ ოცნებას საზღვარი არ ჰქონდა...

დროც შეუმჩნეველად გადიოდა, რადგან ყოველ დღე სხვა და სხვა სანახაობით ერთობოდნენ. ცირკი, თეატრი, მუზეი, გამოფენა—ყველაფერი ნახეს და დათვალიერეს გიორგის წყალობით ჩვენმა მანდილოსნებმა, რომელთაც ყველაფერი მოსწონდათ, ყველაფერი აკვირვებდათ. საოპერო თეატრით მეტად აღტაცებული იყო ეფემია. ის იჯდა ძვირფას ლოჟაში და აქედან გაუბედავად ათვალიერებდა ყველაფერს. ახალგაზდა ქალის გარეგანი სიმშვენიერე ბევრის ყურადღებას იქცევდა იმ საღამოს. გიორგიმ, რომელიც საზოგადოდ თვალს არ აშორებდა ეფემიას, უკმაყოფილოდ შენიშნა რამდენიმე, მისკენ მიმართული, დურბინდი. გაიმართა ბალეტი. მოთამაშეთა თავისებური ჩაცმულებით და მათი ცეკვით გაოცდნენ დედა-შვილი.

— რა მუანი ხალხია აი, თუ ღმერთი გწამს?—ჩურჩულით ჰკითხა გიორგის განცვიფრებულმა თეკლემ.

— ბალერინები არიან,—აუხსნა გიორგიმ: ეს რა უნდა იყოს, ხანდისხან ისეთები გამოდიან, რომ კაცი გადაირევა ყურებით.

— ბაღნები არიან ასე ჩაცმული?—დაეკითხა ეფემია.

— ბაღნები კი არა, ქალები არიან, ზოგი ფრანცუჟანკაა, ზოგი იტალიანკა...

— ნუ იტყვი, ოჯო! ღმერთო ნუ მიზამ საშინელს!.. ასე რაფერ დიეკარგება ქალს იხტიბარი... რა აცვიან აი უცნაური?—თითქმის წამოიძახა თეკლემ.

— ვცეკვობო, კი ეთქმის ამ ამოსაგდებს! რაფერ დაფრინავენ პეპელასავით...—ჩაილაპარაკა ეფემიამ.

იგი სრულიად მოხიბლა ასეთმა უცხო სანახაობამ: თეატრის მორთულობამ, ელექტრონის სინათლემ, ეფექტებით სავსე სცენებმა, საზოგადოებამ ძლიერი, სასიამოვნო შთაბეჭდილება იქონია ახალგაზდა ქალზე. „ამ ქვეყნიერი სამოთხე აგია სწორეთ. საწყალი სოფლის ქალი სად ნახავს რამეს!

ბმას ვინ აღირსებს... ვერაფერს ვერ ნახავს, ვერაფერს გეიგონებს, რა იცის, რა ამბავია ქვეყანაზე, ქია ისე მის სიცოცხლეში...“ გაიფიქრა ეფემიამ. მის თვალში ახლა მთლად დამცირდა სოფელი: „რა ცხოვრებაა? თუ ხარ, ქე უნდა იყო ამისთანა ადგილზე, თუ არა და არამც ყოფილა იმისთანაი სიცოცხლე!..“

ბედნიერი იყო ამ დროს ეფემია, ბედნიერი, აღფრთოვანებული და განუსაზღვრელი მადლობით აღსავსე იმ კაცისადმი, რომელსაც ამ ბედნიერების მიზეზად სთვლიდა.

VII

მეოთხე დღეს გიორგიმ „ქონდრის კაცის“ და „გველეშაპის“ სანახავად მიიწვია მანდილოსნები.

— სანახავი ჩვენ აღარ დაგვკლებია შენი წყალობით; მგონია, ზოგი იმისთანაიც კი ვნახე, რაც არ უნდა მენახა,— ლიმილით დაიწყო თეკლემ. ამის შემდეგ მან ჯვარის წერაზე ჩამოუგდო ლაპარაკი გიორგის.—ბარალმაი გავათავოთ დროზე, შენც უფრო დაგშვენდება დედაშვილობამ და ჩვენც!

გიორგი ოდნავ შეკრთა. მაგრამ ჩქარა გასწორდა და ალერსიანად წარმოსთქვა დაბალი ხმით:

— მაგაზე რა გაწუხებს, დედი? რა გენაღვლება? შენ იცოცხლე და მხიარულად იყავი, სხვა მე ვიცი. რადგანაც ბედმა მოიტანა და ჩვენ ერთმანეთის სახელი დაგვეთქვა, მე უნდა ვიზრუნო თქვენთვის. ეს ჩემი საქმეა და მე ვიცი... ახლა რაღა გაწუხებს?.. დაჯედი, კარგა ჩაიცვი, დაიხურე, კარგი ჭამე და სვი, თუ რამე არ მოგეწონოს, ან მოგაკლდეს, მხოლოთ თქვი და სხვა არაფერი. დრო მხიარულად ატარე... ვიცოცხლოთ და ნურაფრის დარდი ნუ გაქ. მე თქვენ ვერ გიპატრონებ? რაღა გაწუხებს? საქმე გულია. ჩვენ ერთმანეთისთვის უნდა ვიყოთ და ჯვარის წერა დღეს იქნება თუ ხვალ—სულ ერთია...

— კი, ნენავ, შენი ჭირიმე, შენგან ყოლიფერ სიკეთეს მოველით, მარა მაინც ისე ჯობს საქმე გათავებული; ქვეყნის თვალში მაინც სხვაი იქნება!—შეეეედრა თეკლე.

— ჩვენ კარგათ ვიყოთ და ყველაფერი კეთილათ მოეწ-ყობა, ფიქრი ნუ გაქ! ᲛᲔ კი არ ვჩქარი, გგონიათ, ᲯᲕᲐᲠᲘᲡ წერას? მარა ისე უნდა მოიქცეს კაცი, როგორც ᲯᲝᲑᲘᲐ. ისეთი ᲕᲐᲟᲜᲘ საქმე გამომიჩთა, რომ არ მოველოდი და სიჩქარით რომ გავაფუჭო ისეთი დიდი საქმე—სირცხვილია, რაღა კაცი ვიქნები. საზოგადოებამ განგებ მე მომანდო, იმიტომ რომ მიცნობენ და იმედი აქვთ. ჩემი ᲯᲕᲐᲠᲘᲡ წერა ისე არ შეიძ-ლება, თუ ყველაფერი არ მოეწყო, როგორც მიღებულია. ქვეყანა მიცნობს და ვიცნობ. ისე უნდა მოვიქცე, როგორც შემეფერება; თავს ხომ ვერ შევირცხვენ. ამას თავისუფალი დრო უნდა. ერთი თვე მარტო ვიზიტობას მოვუნდებით და სხვა კიდევ რამდენი. მოვიცადოთ რამდენიმე კიდევ. ამ ოთ-ხუთ თვეში ყველაფერს გავათავებ, იმედია, მოვისვენებ, სახლ-საც მოვაწყობ შესაფერათ, მოდაზე. ხალასტოი კაცის ცხოვ-რება სხვაა... აქამდი არ ვაქცევდი ყურადღებას...

ამ მოულოდნელმა პასუხმა თავ-ზარი დასცა დედა-შვილს.

— დაგვკალი ბარალმაი შენი ხელით და ქია! — მწუხარე-ბით წარმოსთქვა თეკლემ: — ოთხი თვეი კი არა, აქამდი ძვი-ლათაი შევიტანეთ სული: შენ არ გამოგიცთია, დედავ, და არ იცი, რა არის სოფლის პირში ჩავარდნა. სახლში აღარ გვედგომებოდა და იმიზა გამეიქეცით, ბატონო, თვარა აქა-ნაი რა მინდა მე, გენაცვალე, რაღა დროის ჩემი წანწალია ახლა! ჩემი სანახავი შინ დავტიე მე... — ვეღარ დაასრულა მან.

— აქედან ასე წასლას სიკეტილი მირჩონია! მაინც გა-ლანძღული ვარ იქინეი და ახლა თლათ უნდა მომეჭრას თა-ვი!... — ხმის კანკალით წამოიძახა გაფითრებულმა ეფემიამ.

— არა, ეს მართალია... სოფლის ხალხი ბრიყვია, ვე-რაფერს შეასმენ, ვერც დააჯერებ... მაგრამ არ უნდა მიაქციო ყურადღება... შეიძლება სხვანაირათ მოვახერხო საქმე, — დაუ-მატა გიორგიმ.

— რაფერ? — იკითხა თეკლემ.

— თავის შესაწუხებელი სრულებით არაფერი არაა! განათლებულ ხალხში ასეა მიღებული, რომ თუ რამე და-

მაბრკოლებელი არის, ისე ცხოვრობენ, თანხმობით და, როცა მოახერხებენ, მაშინ იწერენ ჯვარს. მაგით თავს არავინ შეივიწროებს. ნდობაზეა ყველაფერი. თუ კაცს არ ენდობი, არც უნდა დაიჭირო მასთან საქმე! კაცს ნამუსი და პატიოსნება სჭირია. რა კაცი ვიქნები, რაღა თავ-მოყვარეობა მექნება მე, თუ თქვენ რამე მოგანატრე! რას ისურვებს ჩემი ცოლი ისეთს, რომ შევუსრულო, რაც კი კაცისგან შესაძლებელია, რავა ვერ შევიძლებ! ერთი ჩემი კარგი ნაცნობი ოჯახია აქ, ძალიან საიმედო, სწორეთ ანგელოზი ხალხია. ახლა იქ დარჩეს. ისე შეინახავენ, როგორც საკუთარ შვილს. ეს დროც ჩქარა გავა და მაშინ რაღა დაგვაბრკოლებს...

— ნუ იტყვი მაგას, დედაშვილობას!—წამოიძახა შეშინებულმა თეკლემ:—რაფერ დარჩეს ასე ჯვარ-დუუწერელი ქალი?!

ეფემია ჭარხალივით გაწითლდა.

— შე დალოცვილო, ჯვარ დაუწერელი კაცი და ქალი ცოტა ცხოვრობს ამ ქალაქში? ნადირი ვინც არ არის, ურიგობას როგორ იკადრებს! ისეთი ოჯახი არ არის, რომ უწესობა შეიძლებოდეს! ან მე კი შევირცხვენ თავს? თქვენი ნებაა! მაინც სოფლურათ უყურებთ საქმეს!.. იქაური შეხედულობა რა მოსატანია, იმის წარმოდგენა აქ სირცხვილია! იქ მუდამ ცუდი რამე უნდა იფიქრონ! მე სიკეთე მსურს თქვენთვის... თუ ასეთი აზრის ხართ ჩემზე და მეტი დაგერია არაა, ვითომ რა... არც ღირებულა ჩვენი საქმე! კაცი ვარ და ქვეყანა პატივს მცემს, ეპვს ვინ შემოიტანს ჩემში... მარტო თქვენ ვერ მენდობით!—წყენით დაასრულა გიორგიმ.

— რავა არ გენდობით, ბატონო, მარა აი ნამეტარი მუუხერხებელი დარჩა... ამისთანაი საშინელი საქმე რაფერ... ქვეყანას ვინ დააჯერებს, ყოლიფერს რომ თავი დავანებო... ისთეი, ჩვენ რომ ცეცხლში ვართ, ღმერთმა მტერი დეიფაროს... შენს ხელში ვართ, დედავ, და რასაც გვიზამ, აგია. კი ხედავ ჩვენს გაჭირვებას, შეხედე ღმერთს!..—მწუხარებით დაუმატა თეკლემ და თვალებზე ცრემლი მოადგა.

დედა-შვილს ტფილისში გამოცდილი სიამოვნება ჩაშ-ხამდათ.

— რა ღმერთი გამიწყრა! ნეტაი ფეხი მომტეხოდა და აქეთ არ მექნა პირი! რაღა წყალს მივცე ახლა თავი! ამისთანაი საარაკო საქმე დამემართა, საღა გავაჭყირო თვალი? რას აპირობ ახლა, ქალბატონო? თუ არ წეველი, არ იქნებაო, რომ დეიჩემე, რას შობი ახლა? მიწას თუ გეითხრი, არ ვიცი, თვარა რაღა გამოსაჩენი პირი გაქ?—მწარედ უსაყვედურა თეკ-ლემ შვილს.

ეფემია ერთხანს ჩუმად იჯდა და ხმას არ სცემდა დედას, რომელიც განუსაზღვრელ სასოწარკვეთილებას ეძლეოდა.

— შინ მაინც ვგდებულიყავი! ავათ ვიქნებოდი თუ კარ-გათ, ჩემ სახლში მერჩია მაინც მე. თუ ჩამოვიდოდა, ივი იყო, თუ არა და საცხა რავა არ გამოჩითებოდა ვინმე ერთი სოფლის კაცი... ასე თავ-მოჭრილი მაინც არ ვიქნებოდი... ახლა ვილან შამოგხედავს...

აქ კი იფეთქა ეფემიამ:

— ნუ დაგლეეია სალაპარაკო!..—შეუტია მან დედას,— ასე იცი შენ!.. თუ დეიწყე, აღარ გაათავებ! იქინეი დაბერ-დი, შე საცოდავო, მარა... არ მივალ იქით მეთქინ, გეიგო-ნე? მე კი მუუარ ჩემ თავს, იმის ჯავრი ნუ გაქ შენ... აფერი მწყესი არ მჭირია!

თეკლე შეშინდა. მან იგრძნო, რომ გაუფრთხილებლად მოიქცა და ამიტომ წყნარად, დაბალი ხმით შენიშნა:

— თლა ნუ გაბდირეეი, ნენა! რას ლაპარაკობ, თუ იცი? მანდამაინც მტერის გასახარელს შობი რავა, ეის ჯინზე ხარ?..— კანკალით დაუმატა მან.

ეფემია ადრე დაწვა. თეკლეს კიდევ უნდოდა მასთან ლა-პარაკი, მაგრამ თავი შეიკავა, რადგან შვილს გულმოსულო-ბა შეატყო. „იქით არ მივალო, რეიზა თქვა? ეგება დასურ აპირობს რამეს?"—სწუხდა თეკლე. მან კარგად იცოდა, რომ ეფემია, თუ რასმე ამოიჩემებდა, აღარ დაიშლიდა.

თეკლეს უყვარდა თავისი ქალი, რამდენადაც შეეძლო,

კიდეც ანებივრებდა მას. იშვიათად ეწინააღმდეგებოდა მის სურვილს და, თუ ხან და ხან აჰყვებოდა ლაპარაკში, ბოლოს მაინც უთმობდა. ასე მოხდა ამ ხელადაც. როდესაც ეფემიამ გადაჭრით გამოაცხადა: „მე აქანაი ვიცთიო“, თეკლე მეტად შეშფოთდა, მაგრამ ვეღარას გახდა და შეწუხებული ფიქრს მიეცა. „ქვეყნის თვალში დასურ ქე ჯობს ეგება ასე, ვინ მიხთება ვითამ... მარა სად უნდა შეიცადოს, რაფერ... რა ვქნა!“—წუწუნებდა თეკლე. ის მიუახლოვდა შვილს და დააცქერდა. ეფემია მძიმედ სუნთქავდა. „შვილო! გალახულია ძალიანი, ბევრი საწყენი შეხთა დღეს! ავათ არ გამიხთეს აქანაი, არ დამიდგეს თვალი!“—მშობლიური მზრუნველობით ჩაილაპარაკა თეკლემ, მერე კუთხეში გაჩერდა და ხელაპყრობილი ლოცვას შეუდგა.

— რაფერ მეცთი ახლა აქანაი მარტუაი?—გაუბედავად შენიშნა თეკლემ შვილს მეორე დღეს.

— იმის ჯავრი ნუ გაქ შენ! ჩემი თავის ამბავი მე უფრო ვიცი. დასურ ახლა არ დუუჭამიან კაცი! სახლში წადი, ოჯახს და იმ ბალანას მიხედე. როიცხა დროი იქნება, მოგწერ და ქე ამოხვალ,—აიმედებდა დედას ეფემია.

თეკლე ყოყმანში იყო.

სადილობაზე გიორგი მოვიდა.

— მართლა რა მავიწყდებოდა! სანდრო უნდა მოვიყვანოთ აქ,—სთქვა მან:—მე მოვამზადებინებ და გემნაზიაში მივცემ აქ. ჩემი ცოლის ძმაი სხვაზე ნაკლები არ უნდა იყოს. შენ ნუ სწუხარ. მე დავასრულებიებ იმას უმაღლეს სწავლას და ზაგრანიცაშიც გავგზანი. ისეთი კაცი გამოვიდეს, რომ ერთი ვერ ჯობდეს.

თეკლეს სახე გაუბრწყინდა.

— ღმერთმა ყოლიფერი სიკეთე და ბედნიერება მოგცეს, ჩემო ნენავ, რომ ობლის პატრონობა გინდა!—გულიანად წამოიძახა მან.

ეფემია კმაყოფილებით დააცქერდა გიორგის. თეკლე დიდად ნასიამოვნები იყო. მისი ერთად-ერთი ვაჟი, რომელიც

უსწავლელი უნდა დარჩენილიყო, ეხლა სრულიად უზრუნ-ველ-ყოფილი ხდებოდა გიორგის წყალობით. დიახ, თეკლე კმაყოფილებას გრძნობდა ამ ჟამად. გიორგი მისი გულითადი კეთილის-მყოფელი შეიქნა ამიერიდან. ეს ცხადი იყო ახლა...

ამ რიგად დამშვიდებული თეკლე მეორე დღესვე წავიდა სახლში.

„ყმაწვილი საჩქაროთ ამოიყვანე, რომ მოგწერო,“ — დაბარა მას გიორგიმ, ამასთანავე მან 20 თუმანი გადასცა თეკლეს და თან დაუმატა: „სახარჯავათ წეიღე ახლა, მერე, თუ სოფელს მოშორდები და ჩვენთან იცხოვრებ, ხომ კარგი, თუ არა და ისე მოვაწყობ საქმეს, რომ იქაც იყო და არა-ფერი გაკლდეს.“

ეფემია გიორგის ნაცნობ ოჯახში დაბინავდა. აქ დიდის ყურადღებით ეპყრობოდნენ ახალგაზდა ქალს. ის ადრე შეე-ჩვია ქალაქის ცხოვრებას.

VIII

იანვრის დილა იყო. ახალ მოსულ თოვლს ბრქყვიალი გაჰქონდა მზის შუქზე. მოკრიალებული ცა საუცხოოდ შვე-ნოდა დედამიწის სპეტაკ მორთულობას. ქუჩებს სულ სხვა ელფერი მისცემოდა. ზამთრის წმინდა სამოსელი თანასწორის სიუხვით მოჰფენოდა ქალაქის ყველა კუთხებს. აღარსად სჩანდა არც მტვერი, არც ჩვეულებრივი უსუფთაობა, წუმპეები. ახლა თვითეული კუნჭულის საუცხოო სისპეტაკე თვალს ახარებდა.

აღარ ისმოდა ქუჩიდან ეტლების მომაბეზრებელი ჩახჩახი. ეფემია ფანჯარას მოადგა. ქუჩაში არაჩვეულებრივი მოძრაო-ბა იყო. მარხილით მოსეირნეთა ჯგუფები ერთმენეთში ირე-ოდნენ. სწრაფად დააკროლებდა მათ ცხენები. „რა ამბავია, აი! ყოლიფერი რომ სხვანაირათ არის აქანაი,“ — გაიფიქრა ეფემიამ ამ უცნობი სურათის დანახვაზე. ამასობაში გიორ-გიც მოვიდა. „ქვეყანა კატაობს და ჩვენ სახლში ვიჯდეთ, რაღა ნაკლები ვართ! მშვენიერი დარია, წავიდეთ, ჩვენც გა-ვისეირნოთ სანკით,“ — მხიარულად მიმართა მან ეფემიას. უკა-ნასკნელი სწრაფად მოემზადა და მალე ქუჩაში გაჩნდნენ.

გიორგიმ დაიქირავა კოტტა მარხილი, ჩასხდნენ და გასწიეს. მშვენიერი გზა იყო. ქალი სიამოვნებით ილიესებოდა და ხარბად სრუტავდა თოვლისაგან გაწმენდილს ცივ ჰაერს. ეფემიას თავის დღეში არ მოსწონებია ასე თოვლი, არას დროს არ ყოფილა იგი ისეთი მშვენიერი, როგორც დღეს. მარხილი მსუბუქად მისრიალებდა. შეუმჩნეველად ქალაქსაც გასცილდნენ.

— თუ არ მოგწყინდა, წავიდეთ კიდო. ამას იქით კიდევ უკეთესი საკატაო ალაგებია!—შენიშნა გიორგიმ.

— აი რავა მოსწყინდება კაცს!—მხიარულად უპასუხა გაბრუყინვებულის სახით ახალგაზდა ქალმა.

მისი სიახლოვე საამოდ აერჭოლებდა გიორგის. მღელვარებით შეჰყურებდა იგი ქალის გაღაჟღაჟებულს სახეს, ლამაზად მოყვანილს გულ-მკერდს და თითქო ესმოდა ამ ახალგაზდა გულის ძგერა... გიორგიმ ნაზად შეხედა ეფემიას, ნელა შეეხო მის ხელს და ჩურჩულით ჩაულაპარაკა:

— ერთმანეთის ვართ ჩვენ აწი...

ეფემია სდუმდა, მხოლოდ მისი აჩქარებული სუნთქვა ლა ისმოდა... გიორგიმ მოხვია ხელი ქალს და გატაცებით დაეკონა მის ტუჩებს...

ეფემიამ ახალი ცხოვრება დაიწყო. ეს როგორღაც შეუმჩნევლად მოხდა. ეს იყო უცხო სიზმარი, რომელმაც ახალგაზდა ქალი ცოტა ხანს გააბრუვა. მაგრამ ხანგრძლივი არ გამოდგა ეს ნეტარება. თავ-დავიწყების ხანა ჩქარა გაჰქრა და ეფემია ნელ-ნელა გამოერკვა. უსიამოვნო გრძნობა, რომელიც მოჰყვა პირველი წუთების გატაცებას, მძიმედ შემოაწვა ახალგაზდა ქალის გულს. რაღა თქმა უნდა, გარეგნობით კარგად იყო მოწყობილი მისი ცხოვრება. შესაფერ ყურადღებას სულაც არ იყო მოკლებული ეფემია. მაგრამ ის ახლა მაინც ვერ კმაყოფილდებოდა ამით და თითქო რაღაც ცვლილებასაც კი ამჩნევდა გიორგის. ქალი ახლა ცხადად გრძნობდა, რამდენად საშიში შეიქნა მისი მდგომარეობა. ის ხედავ-

და, რომ მისი ბედი სხვას ჩაუვარდა ხელში, რომ ის მთლად სხვის ნება-ყოფლობასა-და სულგრძელობაზე იყო დამყარებული. ამ ეს შეგნება მწარე სინანულით ავსებდა ამ ჟამად მის გულს. მთელ თავის სიცოცხლეში ახლა პირველად გრძნობდა იგი თავის თავს უმწეოდ, უიარაღოდ... ამაოდ ცდილობდა ქალი ჩაექრო ის შემაძრწუნებელი ეჭვი, რომელიც თან და თან იზრდებოდა და სწამლავდა მის არსებას...

საღამო იყო. ეფემია ახლად ნაყიდ ტანისამოსს სინჯავდა. ამ დროს ოთახში მსახური ქალი შემოვიდა.

— ვილაც ქალია და თქვენ გკითხულობს, მგონი.

ეფემია უნებლიედ შეკრთა, შეტოკდა. „ვინაა ნეტაი?“ — მოუთმენლად ჩაილაპარაკა მან და კარებისკენ მიბრუნდა. ამასობაში მსახურმა კარი გააღო. გამოჩნდა დაბალი ტანის ფერ-მკრთალი მანდილოსანი, რომელიც მოუსვენრად აცეცებდა თვალს აქეთ-იქით. ეფემიას მოეჩვენა, რომ ახალმოსულმა პირველ დანახვაზე მტრულად შეხედა მას და შემდეგ თავი გვერდზე მიიბრუნა.

— ვინ გნებავს? მობძანდი! — შეეშუხვნით მიიწვია მასპინძელმა. მან ახედ-დახედა სტუმარს. უცნობის გარეგანი შეხედულობა ვერ ახდენდა სასიამოვნო შთაბეჭდილებას. მარცხენა თვალთან პირის კანი მას დანაოჭებული ჰქონდა, რის გამოც ქვედა ქუთუთო რამდენიმედ დაწეული იყო.

— დაბძანდით! — მიიპატიჟა მასპინძელმა.

უცნობმა გაუბედავად მიიხედ-მოიხედა ოთახში, თითქო ვისიმე ეშინიაო და ჩამოჯდა.

— თქვენი ნახვა მინდოდა, გაცნობა!.. — ყრუდ ჩაილაპარაკა მან და ეფემიას დააცქერდა, მაგრამ თითქო შერცხვა და ისევ მოარიდა თვალი.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ეფემიას გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. მას ძლიერი მღელვარება ეტყობოდა. „რა მემართება, რომ არ ვიცი!“ — გაბრაზებით გაიფიქრა მან. აუტანელი იყო მისთვის ეს რამდენიმე წამი.

— ვინ ბძანდებით თქვენ?—ბოლოს მოუთმენლად ჰკითხა ეფემიამ.

— გიორგი პინტილიანს იცნობთ, მგონი, როგორც მითხრეს!—ძალდატანებით წარმოსთქვა სტუმარმა და ერთიანად გაფითრდა.

— რა გნებავს, მერე?—მრისხანედ შენიშნა ეფემიამ, რომელსაც სიბრაზე თან და თან ერეოდა.

— რა მნებავს...

— არ მესმის...

— უნდა გაგაგებინოთ... რა უფლება გაქვთ... ჩემ ქონებას სჯამთ, ჩემი ფულით დროს ატარებთ... მე მინდა... ლმერთი არ შეგარჩენთ!..

— სიდოურს ლაპარაკობ?—შესძახა ბრაზ-მორეულმა ეფემიამ:—აი გადარეულია სტორეთ, ვინცხაა!..

— გეტყვი, გეტყვი, ყველაფერს გეტყვი! გაიგე!.. ეუნამუსოთ... ჩემი ფულით საყვარლები გაიჩინოს... მე ცოლი ვარ პინტილიანის!..—გაკირვებით წარმოსთქვა ეს სიტყვები აღელვებულმა სტუმარმა. სახე მას ერთიანად მოეგრიხა .და ფეხზე წამოდგა.

ეფემია გველ-ნაკბენივით წამოიჯრა ზეზე.

— რაიო?...—შესაზარი ხმით დაიღრიალა მან ხელების მოკუმშვით. ის მთლად აირია, აღარაფერი ესმოდა. ამ საშინელ ყოფაში ეფემია ზეზე იყო მივარდნოდა მოპირდაპირეს და დაეხჩო იგი შეუბრალებლად.

— რა თქვი იგი, რაი?—ჩასძახოდა ქალი გააფთრებით.

— მართალი...

— შენ ცოლი ხარ მისი? შენ?..

— დიახ... კანონიერი, ჯვარდაწერილი...

— აი შამომაკტება დღეს! მომაცილე ვინცხამ!..—სასოწარკვეთილებით წამოიძახა ეფემიამ და ანთებულის თვალებით სტუმარს დააშტერდა, რომლისაგანაც ახლა დაცინვას მოელოდა და მხოლოდ მიზეზს ეძებდა... მაგრამ სტუმარი თავ-ჩაქინდრული იდგა. მას არ ახარებდა ახალგაზდა ქალის განწირუ-

ლება. ამ საცოდავად მოკუნტული ადამიანის მწუხარებით მოცული სახე უსიტყვოდ ამბობდა: „მე რა შუაში ვარ, მეც იმისი მსხვერპლი ვარ, ვინც შენ გაგაუბედურა, შენსავით მოტყუებული.“ მის თვალებში განუსაზღვრელი სიბეჩავე, უსასოება და სრული უღონობა ისახებოდა. ეს კარგად შენიშნა ეფემიამ, ყველაფერს მიხვდა. მან საესებით იგრძნო ჩაგრული ადამიანის გულის კვნესა... „აგი საცოდავიც ჩემსავით განიჭებული ყოფილა, თვარა რაფერ შუატყუა ასე?“ — გაიფიქრა გააფთრებულმა ეფიმიამ.

— მოტყუებით ჩემი ქონება ხელში ჩაიგდო, ფულიც მითვისა... ჩვენთვის არაფერი არ არის... ვეღარას გავხდით მასთან... იქნება იმედი აქვს ადრე მოკდებაო, მაგრამ...— ამბობდა სტუმარი, რომელიც ახლა ცრემლს ვეღარ იმაგრებდა.

— არც ერთი არ ვართ მოსანაღლი! ვინც თავის მიზეზით დეიმტროვა... ქონება გქონდა და ვეღარ მოუარე... იმას ჩუუყარე ხელში... ისე გეკადრება შენ!..— ძლივს წარმოსთქვა ცახცახით გაფითრებულმა ეფემიამ.

— თქვენი ამბავი ყველაფერი გავიგე, როგორც იყო ჩემი ფულით მოაწყო...

— კაი, კაი, კმარა!..—ხელის გაშვერით შეჰკივლა ეფემიამ:—ახლა ყოლიფერი ვიცი... მივხთი! ჩემს მაგიერ, შენ მაგიერ, ყველაის მაგიერ ვიყრი ჯინს!—დაუმატა მან და ტახტზე მიესვენა...

კარგა შებინდებული იყო, როდესაც ეფემია ზეზე წამოვარდა და ფანჯარასთან მიირბინა. „სიზმარში ვიყავი ნეტაი? ბა სად არის აქამდი, რეიზა არ მოვიდა?—აღშფოთებით გაიფიქრა მან:—ვითომ მოტყუებული ვარ? პირველი კონკის გამორებამდი, თუ სამასამდი დათვლა მოვასწარი, კაი ნიშანი იქნება, თუ არა და—ცუდი“,—უცებ გადასწყვიტა და სხაპასხუპითა და გულის ფანცქალით დაიწყო: „ერთი, ორი, სამი... ერთ საათს იატაკს არ უნდა დავხედო, თვარა დასურ დავილუპები, მართალი გამოდგება ყოლიფერი!“ უცნაურმა ფიქრ-

მა გაუელვა ეფემიას და აგერ ის საშინელ ძალას ატანს თავს, რომ ძირს არ დაიხედოს, თითქო მართლაც ამაზე ყოფილიყოს დამყარებული მისი ბედი და უბედობა...

„რა მემართება, რომ არ ვიცი!... კაი რამე რომ იყოს ჩემს თავზე, უნდა მოსულიყო აქამდი, სხომის არ დოუგვიანებია ასე...“ „თქვენი გაცნობა მინდა...“ თითქო შემოესმა მას გაუბედავი ხმა საშინელი სტუმრისა და თვალ წინ წარმოუდგა უიმედო სახე დაჩაგრული ქალისა.

„არა, არა, იგი არ სტყუის, არა! ვის ვენდე, ვის?.. ეფენიავ, სასიკეტილო ეფენიავ! შენი ხელით დეიღუპე ხომ თავი!“ — განწირულებით წამოიკივლა ეფემიამ და ალმურივით აენთო. ერთ წამს მან თავისი თავი ქუჩაში წარმოიდგინა. აგერ სდგას იგი გარეთ და საშინელის ხმით ყვირის: „მიშველეთ! უსვინდისოთ მომატყუა, თლა დამღუპა! ვინ ხარ კაცი?“ და ის იყო გაშმაგებული კიდეც მივარდა ფანჯარას, საიდანაც უნდა გადამხტარიყო, მაგრამ შეჩერდა. „არა, არა, მე თვითონ უნდა... ჩემი ხელით... მე თუ არა, იგიც არ უნდა იყოს...“ გულში მას აღეძრა ბოროტი, ყრუ გრძნობა. ქალი მთლად მოეშვა, მუხლები მოეკვეთა.

IX

საშინელი ღამე გაატარა ეფემიამ. იგი შეშლილს დაემსგავსა. მეორე დღეს, გათენებისას, ქალი სასტუმრო ოთახებში მიიჭრა, რომელნიც. მოსამსახურის სიტყვით, პინტილიანს ეკუთნოდა, მაგრამ იქ გიორგი არ აღმოჩნდა. აუტანელ მდგომარეობას დასასრული არ უჩანდა. ეფემია გრძნობდა, რომ მისი ბედი სამუდამ-დ გადაწყვეტილი იყო და ახლა მხოლოდ შურის ძიებაზე ფიქრობდა. ერთი მანდილოსნის დახმარებით მან გაყიდა გიორგის მიერ საჩუქრად მონატანი ოქროს საათი, ბეჭდები და რევოლვერი შეიძინა. მას შემდეგ ეფემია, არაჩვეულებრივად გადაცმული, ყოველ დღე, შებინდებისას, ბინიდან გამოდიოდა და სასტუმროს მახლობლად მდებარე ქუჩებში თავის დამღუპველს უთვალთვალებდა... ამ ყოფაში გაა-

ტარა ქალმა რამდენიმე დღე, მაგრამ პინტილიანის კვალს მაინც ვერ მიაგნო და ბოლოს იმედიც გადაიწყვიტა...

ბ-ს ქუჩაზე, ერთ საუკეთესო სახლის შესავალ კარებთან წყვილმა ბედაურმა შეუმჩნეველად მიასრიალა მშვენიერი ლანდო... ახოვანი მსახური სწრაფად ჩამოხტა ძირს, მარდად გააღო ეტლის კარი და მოწიწებით ხელები გაიშვირა მისაშველებლად მდიდრულად მორთულ მანდილოსნისკენ, რომელიც ეტლიდან გადმოსვლას ეპირებოდა, მაგრამ უკანასკნელმა ბოუსვენრად გაიქნია მარჯვენა ხელი და აჩქარებით დაეშვა ძირს დაუხმარებლად. შემდეგ ზანტად ჩამოგორდა ეტლიდან ძვირფას ქურქში გახვეული ცილინდრიანი კაცი და ნელის ნაბიჯით გაჰყვა წინ მიმავალ ქალს. კარი გაიღო. ცილინდრიანმა რაღაც ჰკითხა პირმოპარსულს მეკარეს და ქურქი მოიხადა. ამასობაში ქალმა უკვე აირბინა მარმარილოს გაკრიალებული კიბე და მოუთმენლად გაჩერდა.

— რაც უნდა პირობა მისცეს, არ უნდა დათანხმდეს! ახლავე აუწეროს ვალში ყველაფერი, რაც კი გააჩნია და სახლიდგან გააგდოს უსათუოდ... აი ნამდვილათ უნდა იყოს... გეყურება?..—გაანჩხლებით დაიწყო მან და გაფითრებული დააცქერდა ცილინდრიან კაცს, რომელმაც ამ დროს უკანასკნელ საფეხურზე შემოსდგა ფეხი და ქშენით გაჩერდა.

— ჰო, ჰო, ეფენ!..—ღრეჭით დაამშვიდა კაცმა.

— მე თუ რამეთ მიგაჩნივარ, ახლა დეივინახავ, რომ მაგ საქმეს გააკეთებ, რავაც მე მინდა ისე!—დაუმატა ქალმა აკანკალებულის ხმით.

— კარქი! კარქი! უთხრამ...

დარბაზში ხანში შესული მასპინძელი მხიარულად შეხვდა თავის მეგობარს, რომელმაც გააცნო მას ეფემია. ქალმა უგუნებოდ მოავლო თვალი მდიდრულად მორთულ დარბაზს. მას ადარ აკვირვებდა ახლა ეს გადაჭარბებული მოწყობილება. სავარძლებში მედიდურად წამოტყლარჭული მეგობრები მშვიდობიანად მუსაიფობდნენ. მათი გარეგანი შეხედულება და კმაყოფილებით სავსე ქცევა მეტად აბრაზებდა ქალს: „ასე

მადლიერი და კარგ გუნებაზე იმიზა არიან, რომ, რასაც ისურვებენ, იმას ჩაიგდებენ ხელში ფულით, ყოლიფერს შეისრულებენ,—გაბოროტებით გაიფიქრა მან:—ერთი კვირის შემოსავალით ხომ შეუძლია მაგენს თლა იყიდოს იგი უსვინდისო,"—გაიცინა გუნებაში ეფემიამ და რალაც უცნაური სიამოვნება იგრძნო.

— ამან დაითხოვს პინტილიანი...—მიუბრუნდა ეფემიას მისი ქმაგი, რომელიც გაჭირვებით აცოდვილებდა ქართულ სიტყვებს.

— მაგი არ ქმარა!—ანთებულის სახით წამოიძახა ქალმა და ფიცხლავ ფეხზე წამოვარდა:—ყოლიფერი აუწეროს...

— ლისტი აიღებს...

— იგიც ხომ კი შეგიძლიათ თქვენ, ისე მოაწყოთ საქმე, რომ ბანკიდან ფული არ მისცენ, არსად ფეხი არ მოაკიდებიოთ... გაამწაროთ, დალუპოთ... რაც კი შეიძლება, ნურაფერ სიავეს ნუ დააკლებთ!—გააფთრებით იძახოდა ეფემია.

— კარქი, კარქი!...

— არ უნდა გაახაროთ იცოდე... ნურაფრით ნუ დაზოგავთ, ნუ, ნუ! აასრულებ, თუ არა ამას? სიტყვა მომეცი!.. მე ხომ გინდებვარ, ხომ...

სახე ქალს საშინლად შეეცვალა, მთელი სხეულის კანკალი მოუვიდა. ის თან და თან დაეინებით უმატებდა ხმას და ბოლოს ჯოჯოხეთურის ხარხარით გაათავა.

სამი კვირის შემდეგ გაზეთის წვრილ ცნობათა შორის დაბეჭდილი იყო შემდეგი: „გუშინ მ-ე საპოლიციო უბანში, ნაეთის მწარმოებელ №-ს სახლში, თავი მოიწამლა კარბოლის სიმჟავით ახალგაზდა ქალმა ე. გ—მა. ავადმყოფი ქალაქის სამკურნალოში გაიგზავნა. მისი მდგომარეობა უიმედოა."

მშობლები

— ჩემი შავთვალა, ჩემი გოგო! ბევრი იცელქე დღეს, ბაბა, დაიღალე, გენაცვალე?—ოთახში შემოსვლისათანავე მიუალერსა ლევანმა თავის პატარა ქალს, 6 წლის სოფოს.

მამამ აიტაცა შვილი, ჩვეულებრივ ჩაუკოცნა ტუჩები, თვალები და მერე ტკბილეულობით სავსე კოლოფი მისცა მას.

ჩინებული კაცია ლევან ჯოჯგმანიძე! მარად მკვირცხლი, მხიარული, ცოლ-შვილის ერთგული და მოყვარული. თითონაც ხშირად ამბობს, როცა სიტყვა მოიტანს: „ცოლშვილისთვის მინდა, თუ რამე გამაჩნიაო“.

თავის პატარა სოფოსთვის ლევანი არაფერს დაზოგავს. მშობლური ალერსი ბევრი მინახავს და გამიგონია, მაგრამ ლევანის ალერსი განსხვავებული, სამაგალითო რამ არის. ლევანი ერთხელაც არ დაბრუნდება შინ ისე, რომ რამე საჩუქარი არ მოუტანოს შვილს. ერთი სიტყვით, სულ იმის ცდაშია, როგორმე ასიამოვნოს, რითიმე გაახაროს თავისი პატარა ქალი. სამაგიეროდ, სოფოც კარგად აფასებს მამას.

დედაც არა ნაკლებ ზრუნავს შვილისათვის. პატივცემული მაკა დღე და ღამე თავს დასტრიალებს მას, მუდამ ფუსფუსებს, სულ იმის ფიქრშია, არაფერი დააკლდეს, არ მოშივდეს, არ მოსწყურდეს, ან არ შესცივდეს საყვარელს სოფოს. მართალია, დედას, ცოტა არ იყოს, აწუხებს ის გარემოება, რომ შვილი მეტად ჯიუტობს მასთან, მაგრამ რას იზამს, ვერას ახერხებს. მაკა შენატრის ქმარს, რომელსაც არავითარი უსიამოვნება არ მოსდის შვილთან.

მას შემდეგ, რაც ქალაქში დაბინავდნენ, ჯოჯგმანიძეები ოცნებობენ იმ ბედნიერ დღეზე, როდესაც შესაძლებელი იქნება სოფოს მიბარება „ლემნაზიაში.“

— მოგშივდა, გენაცვალე? დედამ არაფერი გაჭამა ხომ? გამოეხუმრა შვილს ლევანი.

სოფომ თავი გაიქნია, კოლოფს თავი მოხადა და ჭამას შეუდგა.

— რაიო, რაიო? კი აღარ ვაჭამე სტორეთ! მოვკალი შიმშილით!—გამოეხმაურა ქმარს მეორე ოთახიდან და კარი შემოაღო.

— მე მშიოდა... არ მომცა,—გაბუტვით ჩაილაპარაკა სოფომ.

— ვაიმე, რაფერ ტყუის, მომკალი ვინცხამ!...—სიამოვნების ღიმილით წამოიძახა მაკამ:—რაფერ ახერხებს ამფერ ტყუილს? შენ კი გენაცვალე სულში!—აღტაცებით დაუყვავა დედამ და რამდენჯერმე ჩაკოცნა ბავშვი.—საკმელს ვილან გჯერდება! შოკოლადი არ იყო, მარა იმაზე უკეთესი გამომართვა ქთამათ. წეიღო ხომ... უქთამოთ ახლა აღარ დგება დილას.

— რა იცოდა, რომ იგი გქონდა შენ?

— რაცხა შემატყო! რავა, ეშმაკობა არა აქ თუ?

— მოატყუე, მამა, დედა-შენი?—კმაყოფილებით ჩაჰკითხა შვილს ლევანმა და მერე ცოლს მიუბრუნდა:—დაგტყუა ჩემმა გოგომ? აა, იგი შენ!—გადიხარხარა ლევანმა.—ო...დო... დო...დოო,—თავისებურად მიუალერსა მან ყმაწვილს და გულში ჩაიკრა.

— კაი ქალია, მარა პირის დაბანა არ უყვარს... რამდენი ვეხვეწე დღეს, ქვეყანა დაიქცა და არასგზით პირი არ დამაბანია!—სთქვა მაკამ.

— იგი შენ არ დაგიჯერა, თვარა აბა მე ვუთხრა, თუ არ გამიგონოს!—ხომ დაიბან პირს, მამა?

— ვეღარა, სტორეთ! აბა ნახე ერთი!—შენიშნა მაკამ:

სოფო ხმას არ იღებდა.

ლევანმა ჩუმად, მაკას შეუმჩნეველად, ვერცხლის ფული აჩვენა შვილს, თვალითაც ანიშნა და თან ღიმილით უთხრა:

— დაიბანე, გენაცვალე, ხომ გაიგონებ?

სოფომ თავი დაიქნია თანხმობის ნიშნად.

— ხომ გითხარი?—მხიარულად გადიხარხარა გამარჯვებულმა მამამ.

— — მაცალოს მაგ საძაგელმა!—ძალდატანებული ღიმილით სთქვა მაკამ.

დასტკბა რა შვილის ალერსით, ლევანი გავიდა მეორე ოთახში. მაკა და სოფო იქვე დარჩნენ. აქ დედას მცირე უსიამოვნება მოუვიდა შვილთან.

თავის-თავად ეს შემთხვევა სრულიად ჩვეულებრივი იყო და უმნიშვნელოდაც ჩაივლიდა იგი, რომ მას, ამ უსიამოვნებას, არ მოჰყოლოდა მეორე, უფრო საგრძნობელი უსიამოვნება, რომელმაც შესამჩნევად ატკინა გული მოსიყვარულე დედას.

სოფო ტკბილეულობას შეექცეოდა.

—კაი, გეყოფა, გენაცვალე, არ გაწყინოს!—მზრუნველობით შენიშნა დედამ.

— აბა! წადი იქით! შენი კი არა, ჩემია!—შეუტია სოფომ.

— ახლა შეინახე, დედა, მერე ჭამე კიდო, ნასადილევს, —ისევ სცადა მაკამ და ხელი წაატანა კოლოფს.

— აბა, მე!..—გაწიწმატდა ბავშვი, კოლოფი კედელს მიახალა, ღრიალით იატაკზე დაეცა და ფეხების ბრაგუნს მოჰყვა.

— ა, ბატონო, წეიღე, შენი ჭირიმე, წეიღე! —შეშინებული ჩასძახოდა მაკა შვილს და ასაყენებლად ეწეოდა მას.

ხმაურობაზე ლევან გამოვარდა.

— რა ამბავია, რაი?—იკითხა მან აღშფოთებით.

— აღარ ანებებს ამას თავს და...

— რაცხას იმისთანას იზამ!.. რავა არ გეშინია, რომ ავათ გახდეს! ვითომ არ იცი, რომ რავაც რამე ეწყინება ყმაწვილს, საშინელ სიცხეს აძლევს და ავათ ხდება! მე მოვუტანე, ისიამოვნოს, გაიხაროს მეთქი და შენ ართმევ...—გაჯავრდა ლევან.

— მეშინია, არ აწყინოს, რა ვიცი!..—ამბობდა გაფითრებული მაკა.

ლევანმა ყმაწვილი აიყვანა, ჩაჰკოცნა და ალერსით უთხრა:

— არა, შენია, მამა, შენი, ვერავინ ვერ წაგართმევს!.. აქ არა ვარ! მოართვით ჩქარა ჩემს გოგონას ყველაფერი!..

— რას იზამს კაცი! დაუშლი რამეს, იგიც სადარდელი შეიქნა და არ დაუშლი—იგიც!—წყენით წარმოსთქვა მაკამ.

— უნდა უფრთხილდე ყმაწვილს! რაცხა უნდა ასიამოვნო, თვარა...

— ოჯო, რომ უფთხილდები, იგი უფრო წყინს მაგას...

სოფომ თვალები მოიწმინდა, გაბუტვით გახედა დედას და ბუზღუნი დაიწყო.

— გულმოსული ხარ, მამა?—ალერსით ჩაჰკითხა შვილს მამამ და თავზე ხელი გადაუსვა, მერე ზევით შეაგდო ყმაწვილი და ისევ დაიჭირა, რადგანაც იცოდა, რომ მას ესიამოვნებოდა ეს.

— მხრები ეტკინება, ოჯო, არ დაგივარდეს! მე რომ მამტყუნებ, შენ რეიზა არ უფთხილდები?—შენიშნა ქმარს მაკამ.

— ნუ გეშინია შენ! მე ამას არაფერს ვატკენ!—მიუგო ლევანმა, სკამზე ჩამოჯდა, ყმაწვილი წინ დაიყენა და ჰკითხა:

— ვინ გირჩონია, გენაცვალე, დედა თუ მამა?

სოფომ ღრეჭით შეხედა მამას.

— ქე იცინი? რა ამბავი იყო, ქვეყანა რომ დააქციე?—შენიშნა მაკამ.

— თქვი, ვინ გირჩონია, ვინ უფრო გიყვარს?—განუმეორა ლევანმა.

— მამა!..—ღიმილით დაიწყო სოფომ და უკან გადიზნიქა.

— ოჰო, ჰოოო...—სიამოვნებით გადიხარხარა ლევანმა;—მამა გირჩონია, გენაცვალე, მამა?..

— რომ დავჭირდები, მაშინ კაი დედა ვარ და ახლა... იგი იქნება, კაბას რომ შეგიკერავ!..—ველარ მოითმინა მაკამ.

— აბა, ახლა მითხარი, სად გიყვარს მამა?—ისევ მიუბრუნდა შვილს ლევან.

სოფომ ყელზე დაიდო ხელი.

— დედა? დედა სად გიყვარს?

— არსად!—მოხუშვით სთქვა ბავშვმა.

— მე რომ რაცხა დაგპირდი, გახსოვს?—მოაგონა მაკამ.

— არ მინდა, დედა ცუდია!

— ხომ ასე? მაცა მე შენ! არ მომეკარო აწი სიახლოვეს!—წყენით შენიშნა მაკამ და ოდნავ წამოწითლდა.

— წადი! მე თითონ... მო, მო, მო!..—დააჯავრა სოფომ.

— როგორ შეიძლება! დედას ასე კი არ უნდა, გენაცვალე!—სიცილით უთხრა შვილს ლევანმა:—მიდი, მიეფერე, ცოდვა არაა დედა?...

— არ მიეალ! არ მინდა, მოკტეს მაგი...

მაკას თვალებზე ცრემლი მოადგა და აჩქარებით მეორე ოთახში გავიდა.

დედას გული ჩაუფუფქა შვილის ასეთმა ქცევამ. „მგონი დასურ არ ვუყვარვარ,—მღელვარებით გაიფიქრა მაკამ:—ჩემი არაფერი ჯერა, არაფერს გამიგონებს, რამდენიც უნდა ვეხვეწო! ვინ იცის, რას არ მიძახის ხანდისხან: მაგინებს, ცემითაც კი არ მზოგავს, რომ შეეძლოს. მამა კი უყვარს, იმას მიაფართქალდება, რავაც დეინახავს; იმის სიტყვას ყოველთვის იგონებს... არა, მე იმას არ უყვარვარ!—აღშფოთებით ამოიკვნესა მაკამ:—იმ უსვინდისომ გადიბირა,—გაბოროტებით გაიფიქრა მან ქმარზე:—ტყუილაი კი არ უზიდავს იგი ნაირ-ნაირ საჩუქრებს! რას მემართლება? აღარ ეყო იმ უნამუსოს, რომ ახალგაზდობა ჩამიშხამა, მომიწამლა?.. ახლა იგიც აღარ მაკმარა და შვილი წამართვა, გულიდან მომტაცა ამ უღმერთომ!“

მაკას გულში დიდი ხნის დაგუბებული ნაღველი შხამად იქცა... შელახული თავმოყვარეობა, ახალგაზდობის შეურაცხყოფილი გრძნობა, დამცირება,—ყველაფერი ეს თვალ წინ ედგა ახლა მას, დროებით მიყუჩებული კვლავ მძვინვარებდა... რისთვის ითმინა აქამდე, რატომ ერთხელ მაინც არ მოსთხოვა პასუხი მის მტანჯველ ლევანს, რომელმაც ამდენი ხანია აგერ მასზედ გული აიყარა და სხვას დაუახლოვდა?

მაგრამ ვერა, ვერ შესძლო ეს მან, ვერ მოახერხა, თუმცა განზრახვა კი ჰქონდა, მაინც ვერ გაბედა. მეტად სუსტი

იყო იგი, იმედი არ ჰქონდა: „ვინ იცის, რა მოხდებაო,“ იფიქრა და ისევ გაჩუმება ამჯობინა. მისი ნუგეში ერთადერთი შვილი იყო. ვინ იცის, იქნებ ამ შვილისთვის დასთმო მან ყველაფერი და ნუთუ აქაც გაუცრუვდა იმედი, ნუთუ შვილმაც უარჰყო, წიხლი ჰკრა მის გრძნობას?.. რა ჰქნას ახლა? ახალგაზრდობა მას მოჰპარეს და ახლა უკანასკნელ იმედსაც ართმევენ! რას ემართლებიან?.. რად უნდა მას ისეთი შვილი, რომელსაც იგი არ ეყვარება, რომელიც მას არ დააფასებს, არაფრად ჩააგდებს! შებრალება, მოწყალება მას აღარავისაგან არ უნდა, არა! ისიც ეყოფა, რასაც აქამდის ითმენს!.. გულწრფელი, წმინდა გრძნობისთვის ის ითხოვს ამგვარსავე გრძნობას!..

მაგრამ ნუთუ მართლა შესაძლებელია, რომ დედა არ უყვარდეს ცქრიალა სონიჩკას, რომლის გულისთვისაც იგი მზად არის ყველაფერი ითმინოს? არა, უსათუოდ უნდა გაიგოს ეს მაკამ, უნდა შეიტყოს, დარწმუნდეს...

მეორე დღეს თავშეხვეული მაკა ლოგინში იწვა, ნახევრად თვალები დაეხუჭა და ხან და ხან კიდეც კვნესოდა.

სოფო იქვე, ტახტზე, დედოფალას ეალერსებოდა.

— დედა, გენაცვალე, მოდი ჩემთან ერთ წამს! — მისუსტებული ხმით მიმართა შვილს მაკამ.

სოფომ ყურადღება არ მიაქცია დედის სიტყვას, თითქო არც-კი გაუგონია მისი ხმაო.

— მოდი, დედა; ავათ ვარ, მნახე ერთი, არ გეცოდები? — განუმეორა მაკამ: — მოდი ელანძე, შენი ჭირიმე, ნახე სიცხე თუ მაქ? მეტი ხათრი და სიყვარული არ გაქ ჩემი? ამას მემართლები? მოდი, შვილო, მოდი, ერთი შენი ხელით ციცი ტილო დამადევი თავზე.

— ოჩ ნუ ენო! — თავისთვის ჩაილაპარაკა სოფომ, ისე რომ დედისკენ არც-კი მიუხედავს.

— რომ მოვკტე, არ გეწყინება? არ იტირებ? — არ ეშვებოდა მაკა.

— არაააა! — დაფანტულად გააგრძელა სოფომ, რომელიც განუწყვეტლივ დედოფალასთან ფუსფუსებდა.

მაკამ ამოიკვნესა, მღელვარება მოემატა.

— არ გცხვენია, ამაზე უფრო არ გეცოდვები? მე დედა არ ვარ შენი?

— რა გინდა, ვა?—გაბრაზდა სოფო.

— შენ რომ მთხოვდი, იმას მოგცემ, თუ მოხვალ ახლა ჩემთან!

— მოიტა ჯერა!

— ახლა სად მოვნახო, დედა, ვერ ავდგები, ავათ ვარ, მერე მოვნახავ და მოგცემ.

— არა, ახლა მომეცი!

— ელანძე აქანაი მოსლას იმადლები... მე თუ იმდონი ნაკტავი მქონდეს შენზე...—ვეღარ დაასრულა გაცხარებულმა მაკამ:

სოფო ყურსაც აღარ უგდებდა ახლა მას.

— ეოი, დედა ღვთისა გაგიწყრა შენ ნულარა!—მიაძახა შვილს დედამ.—ღმერთო, ნუ მიკალონებ ამას!—საჩქაროდ ჩაილაპარაკა თავისთვის გულმოსულმა მაკამ:—რავა გამაცოფა მაინც ამ არ გასაცოფებელმა... აი კარი მაინც მოხურე, რომ გადამიღე აქანაი!—მიმართა შვილს აცახცახებულმა დედამ.

— მიხურე შენა! ეოთ იშჩო!—მკვახედ მოუჭრა სოფომ და მეორე ოთახისკენ მიბრუნდა.

ეს-კი ვეღარ მოითმინა გამწარებულმა მაკამ. სისხლი თავში აუვარდა. როგორღაც, შეშლილივით, წამოიჭრა ზეზე გააფთრებული დედა, სწვდა შვილს და დაუწყო თავ-დავიწყებით, შეუბრალებლად ცემა... მაკა ახლა ვეღარაფერს გრძობდა, სცემდა ბავშვს გამხეცებით, განურჩევლად: თავში, პირში, ზურგზე, მუცელზე... სცემდა, სანამ მუხლმოკვეთილმა იქვე არ ჩაიკეცა. მოსამსახურე ქალის კვილზე შეგროვილმა მეზობლებმა ძლივს მოაბრუნეს გულწასული დედა-შვილი.

მაკას ასეთმა ქცევამ მთელი უბანი აალაპარაკა...

შემთხვევა

საზარელის წეს-წყობილებით სულშეხუთული, ადამიანურ უფლებებს მოკლებული, შეურაცხყოფილი თეატრისკენ მივეშურებოდი. იქ ვფიქრობდი რამდენიმე საათით მაინც დასვენებას, სულის დამშვიდებას. ველოდი გამამხნევებელ შთაბეჭდილებას. მსოფლიო გენიოსის დიადი ნაწარმოები, შეუდარებლად დახატული გმირები, მედგარი, თავგანწირული ბრძოლა საკაცობრიო იდეალებისათვის,—ყველა ამ სურათის ხორცშესხმული გამოხატულება უნდა გადაშლილიყო ჩემ თვალწინ და ეს წინდაწინვე წარმოუდგენელს სიამოვნებას, ამამაღლებელს გრძნობას მიღვიძებდა გულში...

თეატრის შესავალს არაჩვეულებრივი სიცოცხლე ეტყობოდა. ელექტრონით უხვად გაშუქებული კედლები ალერსიანად გამოიყურებოდნენ. ხალხი ფაცა-ფუცში იყო, ბილეთების ყიდვას ჩქარობდა, დარბაზისკენ მიეშურებოდა. ყველას რაღაც აღფრთოვანება, კმაყოფილება და სიამაყე ემჩნეოდა, თითქო ისინი აქ უკვე თავისუფალ მოქალაქეებად გრძნობდნენ თავს. თავდავიწყებამდის მიმეედი ერთ წამს სულ სხვა, უცხო მხარეში წარმოვიდგინე ჩემი თავი, სადაც ადგილი არ ჰქონდა არავითარ ჩაგვრას, ადამიანის დამცირებას, შეურაცხყოფას... თავისუფლად ამოვისუნთქე... გვერდზე მივუხვიე. უკვე გახდილი პალტო მსახურმა ჩამომართვა და ჩანგალზე ჩამოჰკიდა; შემდეგ ქუდსა და ჯოხსაც ალაგი მიუჩინა. ის იყო დარბაზისკენ ვეპირებოდი წასვლას.

— ჩაისთვის რამე გვაჩუქეთ!—გაუბედავად მომმართა მან მოულოდნელად.

მე შევკრთი, უხერხულობა ვიგრძენ.

— როგორ გაჩუქო?.. რა არის დაწესებული თქვენი

შრომის სასყიდლად? რატომ არ აცხადებენ ამის შესახებ, რომ წინდაწინვე იცოდეს კაცმა...—დაბნეულად ვამბობდი მე.

— დაწესებული არაფერიც არ არის... სურვილზეა, ვინც რას გვიწყალობებს, ჩვენც მადლობელი ვრჩებით; უფლება არა გვაქვს უკმაყოფილების... ვერ შევედავებით...

ძლიერ მეწყინა.

— იმისთვის მუშაობ აქ, ჩემო ძმაო, რომ მოწყალება ითხოვო?

— მაშ რა ვქნათ, შე დალოცვილო? ჩვენი ხელობა ეს არის. ღამის ორ-სამ საათამდის აქა ვართ. ჩვენც ადამიანები ვართ, ჩვენც ჭამა გვინდა...—აღელვებით განაგრძო მან.

— სწორედ იმიტომ, რომ ადამიანები ხართ...—გაბრაზებით შევსძახე მე: —სწორედ იმიტომ უნდა გრცხვენოდეთ, რომ თავს იმცირებთ და თქვენი შრომისთვის მოწყალებას ფხოულობთ!... თავმოყვარეობა სრულიად წარეცხილი გქონიათ!..

— მაპატიეთ და,—ჩაერია ჩვენს ლაპარაკში ვილაც უცნობი,—აქ უბრალო გაუგებრობაა: საქმე ის არის, რომ ამათ ჯამაგირი როდი ეძლევათ აქ, ისე არიან... მაგაზე ლაპარაკი არა ღირს, რომ ორი გროში აჩუქოთ... თუ მაინც და მაინც არა გსურთ, რასაკვირველია, ძალას ვერავინ დაგატანთ, ვერავინ მოგთხოვთ...

— საჩუქარი!.. მოწყალება!.. სიმდაბლეა, მოწყალების საბით გადაუხადოთ სამაგიერო იმას, ვინც თქვენთვის შრომა გასწია!.. არ უნდა დაამციროთ ამით შრომა... არ უნდა შეურაცხჰყოთ მუშაკის პიროვნება... მაგათაც განსაზღვრული ჯამაგირი უნდა ჰქონდეთ, რომ მოისპოს ეს საზიზღარი, გამათახსირებელი ჩვეულება... ამისთვის სავალდებულო გადასახადიც რომ დაწესდეს—ეს სულ სხვა საქმე იქნება!..—გაცხარებით ვუპასუხე მე.

— ვინ გაძლევს ჯამაგირს!..—მკვახედ დაიწყო მსახურმა, მაგრამ უცებ შესწყვიტა: ამ დროს შემოვიდა „ბატონი პირი“ და მსახური მაშინვე მისკენ გაექანა. იმ წუთში სა-

შინლად შემეჯავრა იგი... ჩემთან ლაპარაკის დროს ის კიდევ ადამიანი იყო, მაგრამ ახლა სულ ერთიანად შეიცვალა... მეტად აშკარა იყო ის გადამეტებული „პატივისცემა“ და რაღაც პირუტყვული ერთგულება ახალმოსულისადმი, რომლითაც მსახური ერთბაშად გაიმსჭვალა... აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რომ მეტი ყურადღება დაემსახურებინა... მთელი მისი არსება ამ დამამცირებელ გრძნობას შეეპყრო... მსახური მივარდა მდიდრულად გამოწყობილს კაცს, საჩქაროდ გახადა მას კალოშები, ძვირფასი ქურქი და იშვიათის მოკრძალებით გაწმინდა თავისი საკუთარი ტანისამოსის კალთითა და სახელოებით ახალმოსულის შარვალზე შემჩნეული ტალახი, რომელიც მას ეტლიდან გადმოსვლის დროს მოხვედროდა...

— ბარემ ენით ალოკე!..—ვეღარ მოვითმინე მე.

— თქვენ საქმე არ არის, რასაც ვიზამ!..—შემომიტია მსახურმა გაწიწმატებით.

— რა უფლება გაქვთ დაუშალოთ კაცს... საქმე, რომლითაც იგი თავს ინახეს!..—შემომიბღვირა მაღალ-ხარისხოვანმა გვამმა და უმოწყალესად ათ შაურიანი გაუწოდა სახე გაბრწყინებულს მსახურს, რომელმაც მდაბლად თავის დაკვრით ჩამოართვა მას ფული, აღტაცებით გააყოლა თვალი მიმავალს და ახირებულის მედიდურობით, თითქო ნიშნის მოგებით, გადმომხედა. იგი გამარჯვებულად გრძნობდა თავს, მის თვალში ახლა სრულიად განადგურებული, უზომოდ დამცირებული ვიყავი მე... ზიზღით ვუყურებდი ამ კაცს...

— ეს შრომისა და ადამიანის ღირსების შეურაცხყოფაა!..—ძლივს შევნიშნე მე.

— ვიღაცა ხარ, შენ ჯიბე ცარიელი გაქვს, მგონი, და ამიტომ ცხარობ, ის გალაპარაკებს...—დაცინვით მომიგო მან:— აი პატიოსანი, განათლებული კაცი! სწორეთ შენი ტოლია!.. ირონიულად დაუმატა მსახურმა და ხელი იქით გაიშვირა, საითაც მისი „სათაყვანებელი“ პირი წაბრძანდა.

უნებლიედ შეურაცხყოფა ვიგრძენ, მაგრამ თავი შევიკავე.

— მიიხედ-მოიხედე გარშემო... ახლა ყველას ეზიზღება შონური ყოფა... შეიგნეს ადამიანური უფლება, მედგრათ ებრძვიან მჩაგვრელებს უკეთეს მომავლისათვის და დღეს თუ ხვალ კიდეც მიახწევენ სასურველს მიზანს... თქვენ კი...

— დამანებეთ თავი!.. რას ჩამაცივდით?..—მოუმატა ხმას მსახურმა:—არაფერი არ მინდა თქვენი, ოღონდ მომშორდით!.. ტყუილა ყბედობთ!.. თქვენისთანა... მადლობა ღმერთს, რიგიანი ხალხიც ბევრი დადის აქ და მათი წყალობით პურსა ვჭამთ!

— მაგისთანა ჭამა!.. მადრიელიცა ხართ... ბედნიერი... პირუტყვული ყოფით!..—ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოვსთქვი და მოვშორდი. გულმოსული მსახური ბუტბუტს მოჰყვა, მაგრამ მე აღარაფერი მესმოდა იმისი.

აღელვებული შევედი დარბაზში. მოვნახე ჩემი ადგილი, ჩამოვჯექი. მსახიობი რაღაცას ლაპარაკობდა, მაგრამ მე ველარ ვამჩნევდი იმას, რაც სცენაზე ხდებოდა. „აქაც, ამ ხელოვნების ტაძარშიც ეგივეა...—გაბოროტებით გავიფიქრე მე:—თითქო საზოგადოების გრძნობა-გონების განვითარებაზე ზრუნავენ, სცენიდან წარმოთქმულ სიტყვით, ცხოვრების უტყუარად დასურათებით ვითომ ცდილობენ მაყურებლების ამაღლებას, გასპეტაკებას და ამავე დროს იმავე შენობის მეორე კუთხეში ურცხვად სთელავენ მშრომელის ადამიანურ ღირსებას, შეგნებულად ხელს უწყობენ მის დაცემა-გათახსირებას...“

უსიამოვნოდ შევცქეროდი წინა რიგებში ჩამწკრივებულს ნაირ-ნაირად გამოწყობილს „თავმომწონე“ საზოგადოებას და ამასთან თვალ-წინ მეხატებოდნენ ისინიც, ვისაც ამ განებივრებულს ხალხთან ასეთი დამამცირებელი დამოკიდებულება ჰქონდა...

უცებ დარბაზი შეირყა. გამოვერკვიე. რამდენიმე ასი ხელი ტაშს უკრავდა... „სტყუით!.. თქვენ ვერ ‍ბაგიტაცებთ წმინდა გრძნობა, ადამიანის მაღალი მისწრაფება!..—კინაღამ შევსძახე გახელებულმა:—სიყალბე და თვალთმაქცობა! თქვენც

აგაღელვებთ გმირის თავ-განწირვა, სულის კვეთება? არას დროს! თითონ მონობას ჩვეულნი, როცა შემთხვევა გეძლევათ, სიამოვნებით სთელავთ სხვის უფლებას, ურცხვად დასცინით ადამიანის პიროვნებას. საზიზღარნო!... როდის იყო, რომ შეებრძოლეთ მჩაგვრელ ძალას, უსამართლობას? შორს აქედან!.. გარყვნილების მორევში ჩაყურყუმელავებულთ ვერ აგამაღლებთ მშვენიერება, ვერ გაგასწორებთ ცხოველი სიტყვა!"...

მსმენელნი კი ისევ ხმაურობდნენ, დაუსრულებლად იწვევდნენ მოთამაშეთ. უკვე მესამეთ გამოდიოდა ყელმოღერებული მსახიობი, იგი კმაყოფილების ღიმილით იგრიხებოდა, თავს უკრავდა თაყვანის მცემელთ... ნათლად ვგრძნობდი, რომ იმ დიდებული გმირის სახე, რომლის გამომხატველადაც ეს მოთამაშე გამოდიოდა, სულაც არ შეეფერებოდა ამ უკანასკნელის პიროვნებას. მაღალ იდეალებს და მისწრაფებათ არავითარი კავშირი არ ჰქონდა მის კერძო ცხოვრებასთან და ამიტომ მთელი მისი თამაშობაც უბრალო მასხარაობად, ხელოვნების შეურაცხყოფად მეჩვენებოდა...

უზომოდ შემეჯავრა იქაურობა... ვხედავდი, რომ ის საღამო უკვე დაკარგული იყო ჩემთვის...

ბრაზ-მორეული გამოვედი დარბაზიდან და გასავალისაკენ გავეშურე. ნაცნობი მსახური ზანტად დაიძრა, ტანისამოსის მოწოდება დააპირა. „საჭირო არ არის" შევყვირე მე, აჩქარებით ჩამოვგლიჯე პალტო და გარეთ გავვარდი. ჩავყევი განიერ ქუჩას. მძაფრი ქარი მძვინვარებდა; ძლევა მოსილი გაშმაგებით მიაქანებდა შეჯგუფებულს ღრუბლებს. აგერ შეიჭრა იგი უზარმაზარ სახლის ეზოში, მყის ააფორიაქა იქაურობა და აიტაცა ზევით უმოძრაო ჰაერი. უნებლიედ შევაჩერე აქ თვალი. უცბად მომაგონდა ნახული საუცხოვო სურათი: სწორედ ამ სახლის წინ აუარებელი ხალხი, ერთი გრძნობით აღფრთოვანებული, ცხარე სიტყვას ისმენდა.... ახლა ცხოველად მეხატებოდა თვალ-წინ შეუდარებელი სანახაობა... აღტაცებული ვიყავ. მე წარმოვიდგინე მეორე სურა-

თი, შემდეგი განვითარება აღშფოთებული ხალხის მოქმედებისა: აბოპოქრებული ქუჩა, მოზღვავებული ხალხი მრისხანედ ღელავს. ისმის გრგვინვა. იწყება გადამწყვეტი ბრძოლა... აქ ილეწება მონობის ბორკილი, იმსხვრევა საზიზღარი კერპები. თავისუფლების გრიგალი დაუბრკოლებლივ შეიქრება ბრწყინვალედ მორთულ სასახლეებში, ამ გარყვნილების ბუნაგში და ადამიანობამდე აამაღლებს იმ ჩაგრულ-დამცირებულთ, ვინც აქამდე კმაყოფილებით ურიგდებოდა პირუტყულ ყოფას... ქუჩა ქუხს, გრიალებს... მოხიბლული შევყურებ დიდებულს სურათს და ანგარიშ მიუცემლად განვაგრძობ გზას...

„ლამშვიდება“

იანვრის სუსხიანი ღამეა. ტყის მივარდნილ კუნჭულში, საჩქაროდ მოგროვილ ფიჩხზე სხედან ნაფლეთებში გახვეულნი აჩრდილის მსგავსნი პატარა არსებანი. აქა-იქ ხეებზე მიყრდნობილი ქალნი და კაცნი უსულო ქანდაკებას უფრო გვანან, ვიდრე ცოცხალ ადამიანებს... ღრმად აღშფოთებულნი, უზომოდ შეურაცხყოფილნი არიან ისინი... დღეს ამ ხალხზე დაუნდობლად ნადირობდნენ... სისხლითა და მწარე ოფლით მოპოებული სარჩო-საბადებელი ერთიანად გაუნადგურეს. მათთვის თავშესაფარი აღარსად არის... ყველაფერი დაჰკარგეს... მაგრამ არა! უძვირფასესი საუნჯე მაინც ხომ შერჩათ! მას ვეღარ მოსტაცებს მტარვალი! იგი საუნჯე დიდების შარავანდედით შემოსავს მათ სახელს, რომელიც საშვილი-შვილოდ გადაიცემა...

ცხოველმყოფელი ძალა ასულდგმულებს მათ დღეს, განუსაზღვრელად ამხნევებს. შეურყეველად სწამთ მომავალი და მზად არიან ამ რწმენას კიდევ მეტიც უმსხვერპლონ, თუ საჭიროება მოითხოვს, მთელი სიცოცხლე უკანასკნელი სისხლის წვეთამდე...

სიჩუმეა. იშვიათად თუ ვისმე წასცდება ოხვრა, ან სუსტი კვნესა. სწრაფად აიტაცებს მას ცელქი ნიავი და მახლობელ ხეში ახრჩობს. ზამთრის სუსხისგან მთლად გაძარცულ-გაყვლეფილი ხეები სევდიანად დაჰყურებენ დევნილთ და, თითქო თანაგრძნობის ნიშნად, ნელ-ნელა და მწყობრად აქნევენ კენწეროებს...

მაგრამ, აი, სადღაც ღამის წყვდიადში გულის მომწყვლელი გმინვა გაისმა, მრისხანე ხმა... გამწარებული ჭაბუკი აღგზნებული სიტყვებით ფიცს სდებს ვიღაცის გაციებულ გვამის

წინაშე, რომ არ ულალატებს მის სახელს და ღირსეულად შურს იძიებს...

სიცივისაგან მთლად მოკუნტული პატარა სერგო სულგანაბული ყურს უგდებდა... მის დამძიმებულ თავში სხვადასხვა ფიქრი ირეოდა... ამანაც ხომ დაჰკარგა საყვარელი და, მშვენიერი პატარა ნატო... ნატო. მოჰკლეს!.. არც კი ესმის რიგიანად ამ სიტყვის მნიშვნელობა სერგოს. „სადაა ახლა იგი? საცხა მიწაშია... რაფერ მეიცდის იმ ბნელში?..—ძრწოლით გაიფიქრა სერგომ:—იქინეი მარტუაი ცოდვა არაა... რას იზამს, რომ მივიდეს რამე... რაფერ მიერევა... იმას ერთიცახე. წრილი კლავები აქ...“ სერგო ბრთის, გული ეკუმშება, სიბრალულით ივსება... რატომ უფრო არ ეალერსებოდა დას სიცოცხლეში, რად არ უთმობდა... ოჰ, ეხლა რომ შეიძლებოდეს, თავს შემოევლებოდა, თუ კი რითმე ასიამოვნებდა, სულს არ დაიშურებდა მისთვის...

მაგრამ ნუთუ მართალია ყველაფერი?..

მას თვალწინ უდგას ცქრიალა ნატო... აგერ ისინი სახლში ბრუნდებიან, დუქნიდან მარილი მოაქვთ.

— მოვიდნენ ეგერ!—დის შესაშინებლად უცბათ ყვირის სერგო და გარბის.

— დასურ, ბიკო?.. სადაა? მეიცაი, სერგიავ, შე გადარეულო!..—წივილ-კივილით მისდევს ძმას ნატო.

სერგო სიცილით ბრუნდება.

— მაცალე, მივიდე აგერ ნენასთან... თუ არ უთხრა მაი... გული რომ გამიხეთქე დღეს...—ქოშინით ემუქრება ნატო.

— აა შენ! აბა რა იყო, არ მეშინიაო...

— დეიკარგე საცხა... ვითამ რა მიგარბეინებს გადარეულსავით?..

— კაი, აწე აღარ ვიზამ...

— დასურ ქე ვიცოდი, რომ აფერი იყო, მარა რაცხაიზა შაინც...

ნატო მშვიდდება; იგი ისევ მხიარულად ილიმება და

სერგოს გული არ უთმენს, რომ ერთხელ კიდევ არ იცულ-ლუტოს... მაშინ ამისთანა ხუმრობა მეტად სასიამოვნო იყო მისთვის, ეხლა კი ამის მოგონება სწამლავს მას. სერგო მაინც ვერ გამორკვეულა. ის შაებნელი დღე საზარელი სიზმარი ჰგონია... ღრუბლებით დასერილი ცა კუშტად გამოიყურებოდა. ზანტად და უგემურად ცვივოდა თოვლი, მაგრამ ატალახებულ შარა გზაზე იგი დაუყოვნებლივ ცრემლად იღვრებოდა.

ერთბაშად გაისმა ჰეჰა, მას მოჰყვა ჯოჯოხეთური გრიალი, ლაწილუწი; ასტყდა შემზარავი წივილ-კივილი და ყველაფერი აირია...

თავზარდაცემული სერგო უგზო-უკვლოდ გარბოდა... მეტი აღარაფერი ახსოვს მას... ისიც არ იცის, როგორ გაჩნდა აქ.

ნატომ კი ველარ უშველა თავს. როდესაც „წესიერების აღსადგენათ“ მოსულნი სოფლის „დამშვიდებას“ შეუდგნენ, მას წყალი მიჰქონდა შინ დოქით, უკან ჩამორჩა და ველარ მოასწრო გაქცევა... მეორე დღეს იპოვეს საბრალო ბავშვის დასახიჩრებული გვამი... სერგო საშინლად შეძრწუნებულია; მას არ მოაგონდა .მაშინ და არ მიეშველა, მიატოვა უმწეოდ... ყმაწვილს გონებიდან არ შორდება წამებული დის სახე, წამდაუწუმ ელანდება გულსაკლავი სურათი: შიშისაგან სახე შეშლილი ნატო განწირულებით ყვირის... მუხლები ეკვეთება, ღონე ღალატობს; აკანკალებული, ხელებ გაწვდილი იგი ეძახის ვიღაცას, ემუდარება, მაგრამ ვერ ახერხებს, ენა აღარ ემორჩილება... „მარტუაი რომ არ დარჩენილიყო, ისე აღარ მოუსავდებოდა, ქე გადარჩებოდა“, გაიფიქრა აღშფოთებულმა ბავშვმა და გული საშინლად შეეკუმშა, მთელი მისი არსება შეირყა... ვინ იცის, როგორაა ახლა ნატო? ნუთუ ფიქრობს, რომ იგი მიატოვეს, სამუდამოდ დაივიწყეს... როგორ გაიგოს ეს სერგომ, როგორ დარწმუნდეს?.. გუშინ ნატო ქურდულად დაასაფლავეს: ოთხმა ახალგაზდამ ძუნძულით აარბენინა პატარა გვამი სასაფლაოზე. სერგომ ველარაფერი

ნახა, რადგან ყოველ წუთში თავდასხმას ელოდნენ... ბავშვის აღგზნებულ ტვინში ათასი საშინელება იხატება...

ჭაბუკის მრისხანე ხმა კი არა სცხრება... „სად ვიყავი მაშინ, რატომ ვერ გავუპე გული ჯალათს, რომლის ხელმაც... რაცხას რომ იქ გავეჩინე იმ წუთში... მაპატიე, რომ ველარ გიშველე... არ იფიქრო, რომ მაგი შევარჩინო შენს მტარვალებს, არ იფიქრო, როდისმე დაგივიწყო“... მკაფიოდ შემოესმა სერგოს. იგი მთლად გაიტაცა, ერთიანად დაიმონავა გულჩამთუთქველმა სიტყვებმა, ეს სწორედ მისი გულიდან ამოხეთქილი გრძნობა იყო, უსაზღვრო მუქარა ჯალათებისადმი... ბავშვს მღელვარება ემატება. იმასაც უნდა დაამშვიდოს როგორმე ტანჯული და გული იჯეროს... ნატო, ალბად, ისევ სწუხს. ვინ იცის, იქნება ეს ნაღვლიანი სტვენა, რომელიც სერგოს ქარის ზუზუნი ჰგონია, ნატოს კვნესაა, უიმედო ოხვრა.... არა, სერგომ უნდა ნახოს ძვირფასი საფლავი, იგი ხომ კიდეშია, სწორედ იმ კუნჭულში, სადაც ყორე ნახევრად ჩამოშლილია; იქვე ძველი ეკლესიის ნანგრევებია; იქნება ჩაძვრეს შეუმჩნეველად?.. სერგო უთუოდ ასე უნდა მოიქცეს, მას აღარ შეუძლია მეტი... განთიადისას სერგო უკვე ტყის ვიწრო ბილიკზე იყო. მღელვარებით ათვალიერებდა იგი მიდამოს და ფრთხილად მიდიოდა. ტყე გათავდა. ყმაწვილმა გვერდი აუქცია სასოფლო გზას და მეორე მხრიდან წამოვიდა. წყნარი დილა იყო. მხოლოდ აქა-იქ ნისლის ნაფლეთები მოსჩანდა. განადგურებული სოფელი საზარელ სურათს წარმოადგენდა. სერგო შიშმა შეიპყრო. აგერ სახლის ნამწვავი. მახლობელი ხეები ნახევრად ალანცული იყო. ვეებერთელა ნიგოზს ჯერ კიდევ ბოლი ასდიოდა. უეცრად იმის ფულუროდან წვრილი ალი ამოვარდა და ტკაცა-ტკუცით მოედვა ხავსით შემოსილ ტანსა და ტოტებს. იქვე მოსჩანდა დანახშირებული სიმინდის გროვა, ცოტა მოშორებით —დამწვარი საქონლის ლეში. სიცოცხლე სრულიად მიმქრალიყო. გავერანებულ კუთხეში საიდანღაც გლოვის ზარივით გაისმოდა წყლის ჩამურის ხმა. იგი თითქოს დასტიროდა გა-

ტიალებულს ქვეყანას: „ვაااااიმეეე,“ მკაფიოდ ეწვეთებოდა სერგოს ყურში მისი მწარე მოთქმა... გულის ფანცქალით გააყოლა ბავშვმა თვალი სივრცეს; იქ, შორს, ძლივს გაარჩია მან ნაცნობი მარნის „ცრემლები“. საცოდავად, უმწეოდ გამოიყურებოდნენ ისინი ახლა, თითქო შველას ითხოვდნენ... სწორედ იქ, მათ მახლობლად, მოხდა ის საშინელება... ვსთქვათ, ეხლაც იქ არის ნატო; მას ჯალათები სტანჯავენ. მოკვლას უპირებენ... სერგო გაქანებული მიდის საშველად. მტერიც დაიძრა, წამოვიდა მისკენ ყოვლის მხრიდან, მაგრამ სერგომ ხელი ასწია და ყველა გაშეშდა ერთ ადგილზე: ვეღარც თოფი მოიხმარეს, ვეღარც ხმალი, რადგან ყოველ განძრევაზე წარმოუდგენელს ტკივილებს გრძნობდნენ. სერგომ უვნებლად გაიარა შუაში, აიტაცა ნატო და გაჰქრა... ბავშვი გამხნევედა; ერთბაშად მან იგრძნო, რომ თითქოს იგი საშინლად გაიზარდა, როგორღაც საოცარი ძალა შეეძინა... ერთს წამს თავისი თავი უძლეველ საარაკო არსებად წარმოიდგინა... აგერ, ის ღვთის რისხვად მოევლინა მტერს, გაშმაგებით შეუტია, მუსრი გაავლო, გაანადგურა. სანამ თავზარდაცემულნი გონს მოვიდოდნენ, იგი უჩინარი გახდა... ახლა კიდევ სხვაგან იჩინა თავი და კვლავ იწყო მძვინვარება... თავდავიწყებული, ძლევამოსილი სერგო ახლა უკვე გმირულად, მედგრად მიიწევდა წინ. ოცნებით გატაცებული მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როდესაც გალავანს მიადგა... სასაფლაოს დანახვაზე ბავშვი შეკრთა... ცახცახით დაათვალიერა მან იქაურობა და გადაცოცდა... შარშანდელს გამხმარს ბალახში შავად გამოიყურებოდა ახალი, პატარა სამარე. სერგო დაიხარა; აკანკალებულის ხელით შეეხო იგი ამოზიდულს ფხვიერს მიწას. დააცქერდა საფლავს. ნატო იქ არის... სულ რაღაც ერთი ალაბი მიწა ჰყოფს ახლა მათ... სერგოს გულს ბაგა-ბუგი გააქვს... მაინც თვალს არ აშორებს სამარეს, უნდა გამოიცნოს, რა ყოფაშია ნატო... მაგრამ ეს რა ხდება? ღმერთო! საფლავის მიწა ზევით იწევს... თავზარდაცემულს ბავშვს უნდა დაიყვიროს, გაიქცეს, მაგრამ ვერ ახერხებს, გაქვავებულია,

თვალთ უბნელდება, საფლავი კი უფრო და უფრო იწევს... „უუუჰ!“ თითქო შემოესმა კიდეც გულგახეთქილს სერგოს სამარიდგან. ეს ნაცნობი ხმა იყო, გაჭირვების კვნესა... ნატო იტანჯება... სული ეხუთება... უთუოდ იგი აწვება იქიდან, მაგრამ არ უშვებენ... ველარ უძლებს მისი წვრილი მკლავები ამდენს სიმძიმეს, ბევრი ქვაა საფლავზე... გაფითრებული სერგო დასწვდა სამარეს, ეცა ქვებს, გადააგორა ერთი, ორი, სამი...

უეცრად მას რაღაც დგრიალი შემოესმა; მალე ნანგრევების კუთხიდგან თვალებ ჩასისხლიანებული ცხენოსანი გამოჩნდა, „მე შენ გიჩვენებ!“ დასჭყიალა მხედარმა, რომელსაც ბავშვის მოქმედება საეჭვოდ ეჩვენა. „მოდიან!“ წაიჩურჩულა ელდა ნაკრავმა სერგომ; მაგრამ იგი აღარ დასთმობს ახლა, რაც უნდა გახდეს, დაიცავს... ყმაწვილი განწირულებით გადაეფარა სამარეს...

„წესიერების დამცველი“ კი აღარ ხუმრობდა: მან თოფი მოიმარჯვა, გაუსწორა... გაისმა გრიალი...

„ნენაავ!“ გამწარებით დაიკივლა ბავშვმა. წკრიალით გაიფანტა ჰაერში მისი ხმა და მისწყდა... მალე გაეშურნენ ბალახში გაშხლართულ მსხვერპლისაკენ, მაგრამ იგი უკვე გათავებულიყო...

თეატრში

(ეტიუდი)

ლუკა გადაფთიას პატარა მარცხი მოუვიდა. უმნიშვნელო გარემოებამ მეტად უხერხულს მდგომარეობაში ჩააგდო იგი და უზომოდ გაამწარა. განსაკუთრებულს პირობებში შეხვდა ლუკას უსიამოვნება. სადღესასწაულოდ მას ეწვია სოფლიდან ერთი წინანდელი ამხანაგი, ვინმე უხტალაძე. ქალაქში გადმოვსლამდე ლუკა უხტალაძესთან ერთად სადღაც მიყრუებულ დაბაში მსახურებდა.

სტუმარ-მასპინძელს შემთხვევით თეატრში წასვლა მოუხდა. ლუკა, ცოტა არ იყოს, შეაშფოთა ამ მოულოდნელმა შემთხვევამ. მას ერთი ფიქრი აწუხებდა: იგი დღეს პირველად მიდიოდა ქალაქის საუკეთესო თეატრში და სწორედ ამ გარემოების გამომჟღავნებას უფრთხოდა იგი ამ ჟამად... მას არ უნდოდა, რომ ეს სცოდნოდა უხტალაძეს, რომელსაც იგი, როგორც ტლანქ პროვინციელს, ახლა ზემოდან დაჰყურებდა. ლუკას თავი მოჰქონდა, რომ იგი პატარა დაბიდან დიდ ქალაქში გადმოიყვანეს, სადაც ამისთანა განიერი ქუჩები, საუცხოვო შენობები და ათასი სხვა საკვირველება იყო. უხტალაძეს კიდეც აგრძნობინა ლუკამ წერილით, რომ დღეს იგი უკვე სხვა კაცია, სულ სხვაგვარ ცხოვრებაში ჩაბმული... რაღას იტყოდა მისგან ყბადაღებული პროვინციელი, როდესაც გაიგებდა, რომ „განათლებულ“ ცხოვრებით თავმომწონე ლუკას ერთხელაც არ უნახავს თეატრი... საგონებელში ჩავარდა ლუკა: როგორ მოქცეულიყო ამისთანა ალაგას ისე, რომ უხტალაძეს ეჭვიც ვერ აეღო... ამ ფიქრებში იყო წასული გადაფთია, როდესაც უსიამოვნოდ შენიშნა, რომ ისინი უკვე თეატრის შესავალთან მისულიყვნენ. გული აუძგერდა

ლუკას, მაგრამ მაინც მედგრად შეაღო კარი, უმიზნოდ გაიარ-გამოიარა წინა კარიდორში, შემდეგ შეჩერდა და, მღელვარეების დასაფარავად, თავმოწონებით წაიკითხა კედელზე რაღაც წარწერა. ლუკა მედიდურის კილოთი ისროდა სიტყვებს, თითქო ამით ეუბნებოდა უხტალაძეს: ჩემთვის სრულიად მეტია ასეთი განცხადება, რადგან დიდი ხანია ვიცნობ აქაურობასო... კითხულობდა ამ განცხადებას ლუკა და იმავე დროს ჯოჯოხეთურს გეგმას ადგენდა თავის გუნებაში: იგი ფიქრობდა როგორმე შეუმჩნეველად გასხლტომოდა ხელიდან ამხანაგს, რომ ამით დრო მოეგო, დაწინაურებულიყო და ეკითხნა ვისმესთვის, რაც ისე საჭირო იყო მისთვის იმ წუთში. მაგრამ ეს შეუძლებელი შეიქნა, რადგან უხტალაძე, რომელსაც დაბნევისა ეშინოდა, ფხიზლად ადევნებდა თვალს ლუკას მოძრაობას და ფეხდაფეხ მისდევდა მას კუდში.. ხალხი დარბაზისკენ მიეშურებოდა. მეტი ყოყმანი აღარ ვარგოდა.. გაბოროტებით შეუკურთხა ლუკამ გუნებაში უხტალაძეს, რომლის წყალობითაც ასე უხერხულად გრძნობდა თავს და ზანტად მიადგა იმ შესავალს, სადაც ბილეთებს სინჯავდნენ. ხალხი სხვა და სხვა გზით შედიოდა დარბაზში. საით წასულიყო ლუკა? იგი ჰირის ოფლში იწურებოდა, კიბეები, მიხვეულ-მოხვეული მისავალი, განსაკუთრებულ შიშს გვრიდა... მეტი ღონე აღარ იყო და ლუკა ისევ იმათ გაჰყვა, ვინც პირდაპირ მიდიოდა, რადგან ეს გზა მას ნაკლებ სახიფათოდ ეჩვენა. მიდის შემკრთალი ლუკა სხვებთან ერთად სადღაც, როგორც დასაკლავად გამზადებული ხარი, მაგრამ მუხლი არ მისდევს, უსიამოვნო გამოურკვეველობა სტანჯავს. რა მოელის მას იქ, სადაც ახლა უნდა შეიდეს? საძაგლად გრძნობს თავს ლუკა... აქ არაფერი არ იზიდავს მას... იგი გრძნობს, რომ ეს დახატული კედლები და მარმარილოს კიბეებიც კი ამჩნევენ მას უხერხულობას, დამამცირებელს უმწეობას; თითქო ესენიც კი მიმხვდარან მის საიდუმლოებას და „სეირის“ საყურებლად მომზადებულანო... მაგრამ აგერ პარტერში ამოჰყო თავი ლუკამ. ვეებერთელა, ლამაზი დარბაზი საუცხოოდ

იყო განათლებული. რჩეული საზოგადოება ბლომად შეგროვილიყო და კიდევ ემატებოდა. მანდილოსნების სხვა და სხვა ფერი მორთულობა, მხედრების ბრჭყვიალა ეპოლეტები და სამოქალაქო ტანისამოსი ერთმანეთში ირეოდა. ლუკას გუნება შეეცვალა... მას თვალი მოსტაცა უცხო სანახაობამ და ყველაფერი დავიწყა... აქაურობასაც რაღაც გამოუთქმელი მიმზიდველობა ეძლეოდა... მაყურებელნი რიგ-რიგად ჩამწკრივებული ისხდნენ. ბეჯითის ნაბიჯით მიდიოდნენ ახლად შემოსულნი სავარძლებისკენ და დინჯად იჭერდნენ ალაგს; ცხადათ სჩანდა, რომ ამ მხრივ არავითარი დაბრკოლება აქ არ იყო... ახალი სანახაობით აღტაცებულმა ლუკამ შეიგნო თავისი ღირსება... იგი თავ-დავიწყებამდის მივიდა და ანგარიშ მიუცემლად ჩაჯდა მახლობელს სავარძელში; მის მაგალითს უხტალაძემაც წაბაძა და გვერდით მოუჯდა. ლუკა მეტად კმაყოფილია; იგი ახლა აღარც კი ფიქრობს, თუ აქ სხვა რამეცაა საჭირო, საზრუნავი... მართალია, ბილეთში რაღაცები არის აღნიშნული, მაგრამ ეს, ლუკას ფიქრით, ალბად სულ ერთია ახლა აქ... ეს ისეა... მას ხომ გაუშინჯეს ბილეთი წეღან... ალბად საჭირო აღარ არის... ლუკამ უკვე შეიყვარა ახლა ეს ადგილი, ეს ბრწყინვალე დარბაზი, სადაც ასე სასიამოვნოდ მოეწყო მისთვის ყველაფერი თავისთავად... რაღა თქმა უნდა, თავიც ძალიან მოსწონს ლუკას... იგი ამაყობს, რომ დღეს არ შედრკა აქ, არ დაიბნა და განსაცდელისაგან ასე გამარჯვებული გამოვიდა... ასეც უნდა მომხდარიყო, უთუოდ არ შერცხვებოდა ლუკა, იმიტომ რომ იგი... ყოჩაღია, გაბედული... „გამარჯვებამ“ ისე გაიტაცა ლუკა, რომ მას შეურყეველად სწამს ახლა თავისი ძალა... „არა, როგორ მიყურებთ თქვენ?.. როგორ შეიძლება, ვერ მოვახერხო... ჩემი ვერ გავიტანო, სადაც უნდა ვიყო...“ ფიქრობს თავის გუნებაში გამხნევებული ლუკა.

— უკაცრავად! ეს, მგონი, ჩვენი ალაგია! — უცბად შემოესმა ლუკას და ამასთან თავს წამოადგნენ ახოვანი კაცი და მდიდრულად გამოწყობილი ახალგაზდა ქალი, რომელმაც

თვალზე ლორნეტის მიდებით მედიდურად ახედ-დახედა ლუკას და შემდეგ ლოჟებისკენ მიიბრუნა პირი. ამ მოულოდნელმა ამბავმა ლუკას მეხი დასცა, იგი ერთიანად დაიბნა და უაზროდ მიაშტერდა მოსულთ. ამასობაში ფარდაც აიხადა.

— გთხოვთ, დაცალოთ ადგილი!—მტკიცედ გაუმეორა მოსულმა, რომელსაც ახლა ცხადად დაეტყო სიბრაზე და მოუთმენლობა, რამაც ზოგიერთების ყურადღება მიიქცია.

მთლად გაბიაბრუებული ლუკა საშინლად აირია, წამოდგა და სკამებს შუა გაჩერდა.

— დაჯექით, დაჯექით! მოშორდით!.. რა ხალხია, აღარაფერი სჩანს... რა სიბრიყვეა!..—მოისმა აქეთ-იქიდან. ლუკას სისხლი თავში აუვარდა; აღარაფერი ესმის, გრძნობს მხოლოდ, რომ რაღაც საშინელება დაატყდა თავს... დარბაზიდან კი გავიდა სადღაც, თითონაც არ იცის სად და როგორ. მაგრამ ამისთანა გარემოებაში იქ გაჩერებაც არ შეეძლო ლუკას. იგი გრძნობს, რომ მის ძალ-ღონეს აღემატება ახლა უხტალაძისკენ მიხედვა, მისი სახის დანახვა... უზომოდ არეული ლუკა ერთ გასავალთან მიიჭრა, მაგრამ მალე გამოტრიალდა, რადგან ცდა უნაყოფო გამოდგა და ახლა კიდევ სხვა კარებს მიაწყდა, მეორე მხარეს. გაისმა ჯახანი და ბნელ ოთახიდან, სადაც, მგონი, რაღაც ნივთები ელაგა, ვიღაცის ბუზღუნი...

— რა არის... საით...—უნებლიედ აღმოხდა სასოწარკვეთილს ლუკას.

— ბოსელში!—დაცინვით შენიშნა ვიღაცამ და რამდენმამე ახალგაზდამ კიბესთან სიცილი ასტეხა.

ხაფანგში მომწყვდეული ნადირივით შეუბრიალა მათ ლუკამ ანთებული თვალები, მაგრამ ვეღარაფერი მოახერხა და გულამღვრეული შემობრუნდა. აქ მან აღშფოთებით შენიშნა, რომ უხტალაძის სხეული ერთიანად ზანზარებდა, ეტყობოდა, იგიც ვეღარ იმაგრებდა სიცილს.

— სადაურია... შენ... რა...—გაცოფებით წამოიხრიალა ლუკამ, მაგრამ სიტყვა ყელში შერჩა. ვინ იცის, რას ჩაიდენდა იგი, რომ ამ დროს თეატრის მოწესრიგე მსახური

არ გამოჩენილიყო. ის მივიდა ლუკასთან და ბილეთი მოჰკითხა. უკანასკნელმა ხმის ამოუღებლად გადასცა მას ბილეთი და უმწეო ბავშვივით გაჰყვა უკან... მთლად განადგურებული იჯდა ლუკა თავის ადგილზე. იგი აღარაფერს ხედავდა ახლა, მხოლოდ ერთი ფიქრით, ერთი გრძნობით იყო შებოჭილი... თუ რამდენიმე წუთის წინად იგი ისე მოხიბლული იყო თეატრით, ახლა უზომოდ ეჯავრებოდა იგი და თითქმის ყოველივე ბოროტების მიზეზად სთვლიდა... ამ კაცის წარმოდგენით, ხალხი იქნება უფრო ბედნიერიც ყოფილიყო, ქვეყნად რომ თეატრი არ არსებობდეს, ვინ იცის.. აქ არ დადიოდა ლუკა, მაგრამ რით არ იყო ბედნიერი?.. სამსახურის დროს დაწესებულებაში, თუ გარეთ, იგი ყოველთვის ჩინებულად გრძნობდა თავს... მარტო ის რად ღირდა, რომ კვირა-უქმეებზე თავაღებული შეერეოდა მთავარ ქუჩაში მოსეირნე ზღვა ხალხში. რამდენი კმაყოფილება და სიამაყე იხატებოდა მაშინ მის სახეზე! ახლა კი, ამისთანა უმაგალითო გაწბილების შემდეგ...

ჩაშხამდა ყველაფერი ლუკას! მაგრამ ყველაზე უფრო ის უკლავს გულს, რომ უხტალაძემ გაიგო მისი სუსტი მხარე, ყველაფერი დაინახა...

იგი ქვეყანას მოსდებს ამ ამბავს...

დამარცხდა ლუკა!.. ამის შემდეგ მას აღარ ჩაესვლება სოფელში; სწორედ ამ ცოტა ხანში აპირებდა იგი ერთი თვით... დიდის ამბითა და ზეიმით ფიქრობდა მისვლას. მან იცოდა, რა შთაბეჭდილებასაც მოახდენდა მეზობლებზე; ადრევე გრძნობდა სიამოვნებას...

ახლა კი ტყუილი ოცნებაა...

ლუკას ეჭვი არა აქვს, რომ მისმა უბედურებამ უზომოდ გაახარა ეს კაცი; იგი არ დაინდობს მას... უთუოდ ისარგებლებს შემთხვევით, რომ დაამციროს ხალხის თვალში, სახელი გაუტეხოს, რადგან შურით კვდება... ეს კარგად იცის ლუკამ და ბრაზი აღრჩობს, რომ ამისთანა იარაღი ჩაუგდო ხელში... უხტალაძე კი ამ დროს, ოდნავ პირდაღებული, სმენად იყო გადაქცეული; ეტყობოდა, მეტად გატაცებული იყო

მით, რაც სცენაზე ხდებოდა. ფრთხილად მიიბრუნა მისკენ პირი ლუკამ. „ბრიყვი!..“—სიძულვილით გაიფიქრა მან:— ვითომ რამე გაეგებოდეს, ისე... ამაზე კი ფიქრობს ახლა? იმდენი რა გითხრა შენ!.. თავს იკატუნებს, ვითომ არაფერია. გულში კი ცას ეწევა სიხარულით... ცხონდა დღეს, რომ ეს მომივიდა... მეტი აღარაფერი უნდა ახლა ქვეყანაზე... რეგვენი!.. ჩავა და იჯერებს გულს...“ საშინელი ბოღმა აწვება ლუკას; მისთვის აუტანელია ახლა ეს კაცი... „ჩამოეთრია აქ... სად ეჩრება!.. რა მაგის საქმეა ქალაქი!.. ან რად უშვებენ თეატრში მაგისთანა... განა არ ეტყობა... მას აკრძალული უნდა ჰქონდეს, ყველაფერი!.. იგი ხალხში არ უნდა ერეოდეს, რომ ნახოს რამე, გაიგოს... როგორ წაუგძელებია ტუტუცური სახე!.. ერთი კარგა უნდა მიბეგვონ, ამოუნაყონ ის წვეტიანი ცხვირი, რომ ველარ გაბედოს...“—გაიფიქრა ბრაზმორეულმა ლუკამ.

წარმოდგენა გათავდა. სხვებთან ერთად ჩვენი ნაცნობებიც გამოვიდნენ გარეთ. გადაფთია ცოტა დაწინაურდა, მერე ერთბაშად შემოტრიალდა.

— მე საქმე მაქვს, სხვაგან მივდივარ, სახლში არ დავბრუნდები!..—მიახალა მან გაოცებულს უბტალაძეს და თვალის დახამხამებაში მიიმალა...

ბეჟუკას ხვედრი

ის იყო ღამის წყვდიადი რის ვაი-ვაგლახით გაიფანტა და, მოკრიალებული ცა მდუმარე დედამიწას მიესალმა, როდესაც ბეჟუკა ლაჟვერა შვილი ცარიელი ურმით რკინის გზის სადგურზე გამოვიდა. ღამით მას მედუქნის სიმინდი ჩამოეტანა სოფლიდან. ზაფხულში ბეჟუკას „გრილის სულზე“ უყვარდა მგზავრობა, რომ ხარები არ შეეწუხებინა სიცხეს, მაგრამ დღეს ვეღარ მოახერხა ეს. „ეგება წასაღებს შევხვდე რამეს და ორი გროში გამოვრჩეო,“ იფიქრა. რადგან ტვირთი არსად სჩანდა, ისევ მოცდა ამჯობინა და სადგურის გვერდით ლიანდაგთან გაჩერდა.

ბეჟუკა მეტად ღარიბი გლეხი იყო; უმიწა-წყლო, წვრილ-შვილის პატრონს ძალიან უჭირდა თავის შენახვა. ერთხელ ბედმა თითქო გაუღიმა ბეჟუკას: მან სადღაც პატარა მოზვერები შეიძინა და ჩინებული ხარები გამოზარდა. ბეჟუკა ცოტათი წელში გაიმართა; ახლა მისი ოჯახი მჭადით უზრუნველ ყოფილი შეიქნა. ხან და ხან იგი ქირაზედაც დადიოდა ურმით და თითო-ოროლა გროშს შოულობდა. როდესაც კარს გაჭირვება მიადგებოდა, ბეჟუკა გადახედავდა საყვარელ ხარებს. ეს იყო მისი ერთად-ერთი ნუგეში, სიამაყე... ცხოვრებაში დაბეჩავებული ბეჟუკა გამხნევებულად გრძნობდა თავს, როდესაც ურემში შემბულს ლომასა და ნიშას წინ მიუძღოდა; მაშინ მას თავისი ღირსებაც საკმაოდ შეგნებული ჰქონდა... პატრონი თავს ეელებოდა ხარებს, სამაგალითოდ ინახავდა; ზაფხულში ნედლი ბალახი, ზამთარში საგანგებოდ შენახული, აბრეშუმივით ყვითელი ჩალა გამოულეველი იყო მათთვის. „თუ ხარები მაძღარი არ მეგუ-

ლება, ისეი ვერ მეეისვენებ, საქმელი არ შემერგება," იტყო-
და ბეეუკა. „აბა, თქვენ იცით, რამდენ ბალახს მეიტანთ, ხა-
რები მშიერი მოვა," უბარებდა იგი ბავშვებს, როდესაც
სადმე წასვლას დააპირებდა. ზაფხულში ბეეუკას ჯალაბობა
ფაცხის წინ, კაკლის ქვეშ იშლიდა სუფრას; იქვე, შორი-
ახლოს, ზორბა ტანის, ლამაზად ჩარგვალებული გრძელ-რქი-
ანი ხარები შეეჭეოდნენ ყანიდან მოტანილს ბალახს და ნორჩი
სიმინდის ღეროებს. ბეეუკა სტკბებოდა მათი ცქერით და
თითონაც მადიანად ილუკმებოდა მჭადსა და ტყემლიან ლო-
ბიოს. ამ დროს ლაპარაკის საგანიც უმთავრესად ლომა და
ნიშა იყო; ბეეუკას ბავშვები ერთმანეთს ეცილებოდნენ: ყვე-
ლა ცდილობდა სასიამოვნო რამ ეთქვა ხარებზე; თვითეულ
სიტყვაში ისმოდა ალერსი, მზრუნველობა და სიყვარული
პირუტყვებისადმი. ნასიამოვნები ბეეუკა ველარ იკავებდა თავს:
„მაგიორში ბარე ორს რჩება თვალი... გუშლამ იმისთანა ყი-
ამეთი გზაი იყო, რომ სხვაი ხარები ყოფილიყო"... კმაყო-
ფილებით უამბობდა იგი ცოლ-შვილს თავის მგზავრობიდან
რომელსამე შემთხვევას...

სადგურზე ბეეუკას დიდხანს მოუხდა ლოდინი. ბოლოს,
როგორც იყო, იშოვა ტვირთი. ვიღაც მოვაჭრემ ჩააბარა მას
წასაღები საქონელი ყუთებით. „ურემი სხვაიც ბევრია ეგერ,
მარა შენ კაი ხარები გყავს და უფრო იმედი მექნება, რომ
არაფერს გამიფუჭებ" უთხრა საქონლის პატრონმა. „ბატო-
ნი ბრძანდებიო," უპასუხა ბეეუკამ, მოურიგდა ქირაზე,
დატვირთა ურემი და გზას გაუდგა. ამასობაში მზეც კარგა
მაღლა წამოვიდა. ბეეუკას სწყინდა, რომ დღეს ასე დაუგვი-
ანდა გამობრუნება. მისი მშიერი ხარები ახლა ზანტად მიიზ-
ლაზნებოდნენ; პატრონი გულის ტკივილით ხედავდა, რომ
მათ ფერდები ჩავარდნოდათ უპმელობისაგან. სწუხდა ბეეუკა;
მას იმედი ჰქონდა, რომ სადგურზე ბალახს იშოვიდა; სხვა
დროს ახლო-მახლო სოფლებიდან ყმაწვილებს ჩამოჰქონდათ
გასაყიდად, მაგრამ დღეს ვერაფერს შეხვდა. ძლიერ დაცხა.
ბეეუკა ხშირად გადასძახებდა ხარებს გასამხნევებლად. მაგრამ

ცხადად ატყობდა დასუსტებას და მათი ცოდვით იტანჯებოდა. ამასობაში ურემი გამოვიდა გაშლილს ველზე, საიდანაც იწყებოდა თვალუწვდენელი ზღვა სიმინდის ყანებისა. პირდაპირ ბუჩქნარი იყო ატეხილი. ყანებს ერთი მხრით აკრავდა ჭაობიანი ადგილი, რომელზედაც აშლილიყო საამურად მობიბინე მწვანე ბალახი. ბეჟუკას გული გაუნათლდა; უკეთესს ადგილს დასასვენებლად იგი ვერ შეხვდებოდა. მან კარგად იცოდა, რომ ეს ბალახი პატრონს არაფრად გამოადგებოდა: მოლი, რომლისკენაც ახლა ასეთის გაშმაგებით იწევდნენ ლომა და ნიშა, მოსათიბავად არ გამოდგებოდა. ბეჟუკა დარწმუნებული იყო, რომ აქ ხარების გაშვებას არ დაუშლიდნენ მას... გზის პირას, ჩრდილოში, ურემი დააყენა და გამოუშვა მოუთმენელი ხარები, რომელთაც სირბილით მიაშურეს ხშირ ბალახს და ხარბად დაუწყეს გლეჯა. ბეჟუკამ თავისუფლად ამოისუნთქა; იგი დიდხანს კმაყოფილებით შეჰყურებდა მარჩენალ ხარებს; დიდად ნასიამოვნები იყო, რომ მათთვის ასეთი საკვები იშოვა. ბოლოს მან მოქანცულობა იგრძნო და მოსხლეტით დაეშვა ჩრდილოში.

ივნისის მზე უხვად აფრქვევდა სხივებს და ოქროს ფრად აშუქებდა ამწვანებულს მიდამოს. მისი მოყვითალო სხივები აქაიქ ხეების მწვანე სამოსელშიაც შეჭრილიყო, მაგრამ მის წიაღს მაინც ვერ აღწევდა.

თითქო სიყვარულით გადახვევია ერთმანეთს ორი ახალგაზდა რცხილა, ისე გადახლართულა მათი ტოტები. ხშირი ფოთლების ჩრდილი საამურს სიგრილეს ავრცელებს. ლუარჯიცა ალერსიანად დაჰყურებს სადღესასწაულოდ მორთულს დედამიწას. სადღაც, ბუჩქებში, შაშვის ჭახჭახი გაისმა. მოქანცულმა ბეჟუკამ საოცარი შვება იგრძნო; უჩვეულმა გრძნობამ შეიპყრო იგი: ეს კუთხე სამოთხედ ეჩვენებოდა მას ახლა; ყველაფერს, რაც მის გარშემო იყო, მომხიბლველი მიმზიდველობა მიეცა მის თვალში. ბუნებამ თითქოს გული გაუხსნა, ამეტყველდა, რომ მაშვრალს უფრო ღრმად ეგრძნო მისი მომჯადოებელი შვენება... ჰაერში კი მკაფიოდ გაისმოდა ხა-

რების ფშვინვა და ბალახის წყვეტის ხმა. მადლიერი ბეჟუკა აღტაცებული იყო... არა, არც ისე ცუდად არის მოწყობილი ცხოვრება... ბეჟუკა ახლა ხედავს, რომ მასაც აქვს წილი ამ ქვეყნად, მასაც შეუძლია ისიამოვნოს... იმ წუთში მას აღარ ახსოვს ქვეყნის გაუტანელობა. თავის ბედით მუდამ უკმაყოფილოს და გაუხარებელს, ახლა თითქოს დავიწყებოდა ცხოვრებაში გაბატონებული უსამართლობა, ძალმომრეობა, უთანასწორობა... თავდავიწყებამდის მისული ბეჟუკა ახლა გატაცებით შეჰხაროდა სიცოცხლეს... მას თვალწინ ეხატებოდა გაბედნიერებული ქვეყანა, კაცთა შორის უკვე დამყარებული სათნოება, ძმობა, სიყვარული.

ბეჟუკა უძრავად იწვა მწვანეზე და ლაჟვარდ სივრცეს მისჩერებოდა. იგი ახლა გუნებაში დღეევანდელს ქირას ანაწილებდა სახარჯავად; სხვათა შორის მან გადასწყვიტა, დღესვე ეყიდნა ქალაქში ხმელი ფარგა საივანობოთ; მან იცოდა, როგორ გაახარებდა ამით თავის ბავშვებს...

შემდეგ ბეჟუკა იმის ფიქრს მიეცა, თუ როგორ გაიუმჯობესებდა ცხოვრებას ახლო მომავალში. ასჯერ რომ ასე ვიმგზავრო... ტკბილმა ოცნებამ გაიტაცა იგი, დაათრო... ტანში სიამოვნების ჟრუანტელმა დაუარა; ვინ იცის, რა არ წარმოიდგინა მან იმ წუთში, რა იმედებს არ უღვიძებდა მერმისი... ბოლოს მთელი ღამის უძინარი ბეჟუკა მთლად მოეშვა, თვალები მილულა და მალე ხვრინვაც ამოუშვა...

შუადღემ მოატანა. მძინარე ბეჟუკას სახეზე ღიმილი უთამაშებდა; იგი სასიამოვნო სიზმარში იყო, როდესაც რალაც ხმაურობა შემოესმა. ბეჟუკა ფეთიანივით წამოიჭრა ზეზე და იქით გაიქცა, სადაც ხარები ეგულებოდა, მაგრამ შეჩერდა. რადგან ახლა მეორე მხრიდან ისმოდა ყვირილი: „აქედან მოუარე, ბიჭო, აქედან!“ ბეჟუკამ მიიხედა და ელდა ეცა: მან დაინახა, რომ ზევით, კარგა მოშორებით, ვილაც 17—18 წლის ბიჭი, მის ხარებს მიერეკებოდა ბუჩქებისკენ; იქვე მოსჩანდა ორი ცხენოსანი კაცი, რომელთაგან ერთს

მხარზე თოფი ეკიდა. „დასარქე, დასარქე!“ —გასცა ბრძანება თოფიანმა, რომელიც ახლა იცნო ბეჟუკამ.

სიკო ძუძგურაძე არ იყო დიდი შეძლების მემამულე, მაგრამ რაც გააჩნდა, იმითაც საკმაოდ ავიწროვებდა მეზობელ გლეხებს. მას ცუდი სახელი ჰქონდა გავარდნილი. მომხრეები ძლიერ ცოტა ჰყავდა სოფლად; ეს ისეთი პირები იყვნენ, რომელთაც მეზობლები არ სთვლიდნენ „წმინდა წულის“ ადამიანებად. იყო დრო, როდესაც ძუძგურაძეს გაეფიცნენ სოფლელები, შესწყვიტეს მასთან კავშირი და სრულიად ხელი აიღეს მის მამულში მუშაობაზე. სიკოს საქმე გაუქირდა. წელში მოიხარა, თავი მოიკატუნა. მაშინ ის ყველაფერზე თანახმა იყო, პირზე მუდამ ხალხის ერთგულება ეკერა, მაგრამ მისი მაინც არავის არა სჯეროდა.... დრო შეიცვალა, სხვა ქარმა დაჰბერა და ძუძგურაძეც წელში გაიმართა, ფრთები შეისხა... ზურგ-გამაგრებული სიკო ახლა სავსებით სარგებლობდა მდგომარეობით... იგი დაუნდობლად მძვინვარებდა სოფლად, შეუბრალებლად აწიოკებდა ყველას, მის თავხედობას საზღვარი არ გააჩნდა...

ერთხელ ბეჟუკასაც ჰქონდა აღებული ძუძგურაძის მამულში სადღაც ორიოდე ქცევა საყანედ. მეორე წელიწადს, როდესაც ძუძგურაძის დამოკიდებულება გლეხებთან მეტად გამწვავდა, ბეჟუკამაც თავი მიანება მის ადგილს სხვებთან ერთად. მაშინ სიკომ სცადა ზოგიერთ მომუშაველთა გადაბირება და ამ მიზნით წინადადება მისცა უფრო ღარიბ გლეხებს, მათ შორის ბეჟუკასაც, კვლავ აეღოთ მის მამულში საყანეები უფრო ხელ-საყრელ პირობებით. მაგრამ ბეჟუკამ არ უღალატა მოძმეებს.... დღეს ძუძგურაძე ერთი მეგობრის თანხლებით სანავარდოდ გამოვიდა; მან გაიყოლია მოჯამაგირე ბიჭიც, რომელსაც, ვინ იცის, რისთვის, დიდი ქოფაკი მიჰყავდა თოკით. ბეჟუკას ხარების დანახვაზე, სიკო აენთო და მაშინვე ბრძანა მათი დაჭერა. მართალია, ხარები სიმინდში არ გასულან, ისინი უფრო სხვის ადგილში სძოვდნენ, სადაც უკეთესი ბალახი იყო, მაგრამ გააფთრებულ მემამულისათვის

ეს სულ ერთი იყო; მას ბეჟუკას დარბევა უნდოდა და ამისთვის ხომ ისიც საკმაო იყო, რომ ეს უკანასკნელი ახლა აგერ მის ადგილში–ხვრინავდა... არა, სიკოს არ შეეძლო ამის მოთმენა შემთხვევაც მეტად მარჯვე იყო... პასუხს ვერავინ მოსთხოვდა... ბეჟუკას გათელვა მით ღერო ესიამოვნებოდა სიკოს, რომ ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცებდა მისთვის ოდესღაც თავზარდამცემი გრიგალის განადგურებას, იმ ძალთა შემუსრვას, რომელიც ერთ დროს ძუძგურაძისა და მის მსგავსთა თვითნებობის დათრგუნვას ლამობდა... იმ ჟამად ხომ მათი დღესასწაული იყო: ოდესღაც ძლევა მოსილი, მრისხანე მტერი, ახლა სრულიად უძლური, ძალზე შეკრულშებოჭილი მიწაზე იყო დანარცხებული...

— როგორ გაბედე, ყაძახო!..—დასჭყივლა სიკომ, როდესაც გაფითრებულმა ბეჟუკამ ხარებს მიაშურა.

— უკაცრავად, ბატონო!..—დაიწყო უკანასკნელმა დაბნეულად:—ერთს წამს ხარი გამოვუშვი მოსაბალახებლად...

— კაი საბალახო გიშონია!..—დაცინვით შენიშნა მეორე ცხენოსანმა:—უპატრონო თუ გეგონა ყანა...

ამ დროს მოჯამაგირე ხარებს უტრიალებდა დასაჭერად, მაგრამ ვერ ახერხებდა.

— რა ღმერთი გაგიწყრა!—დაუყვირა მას ძუძგურაძემ, გადმოხტა ცხენიდან და თითონ ჩააბა ხარებს თოკი.

— არც კი ამითავდება ზარალში აგი ხარები!..—თვალების ბრიალით დაუმატა მან.

ბეჟუკას სისხლი თავში აუვარდა, ცახცახი დააწყებინა.

— რავა გეკადრებიენ მაი! – აღელვებით წამოიძახა მან,— ყანაში რა უნდოდა ჩემ ხარებს... მე აქანაი გავუშვი აგერ... ამისთანა ბალახს დატიებს მშიერი ხარი და იმ სიშორეზე წავა?.. კიდეც რომ გასულიყო, იმდენს რას გააფუჭებდა..—ერთ წუთში... ელანძე მივდევი თვალი...

— ჩვენ ვსტყუით ალბათ!.. როგორ ბედავ, ყაძახო!—დასჭყივლა სიკომ და მათრახი ასწია დასარტყმელად. ბეჟუკა განზე გაუხტა.

— ღმერთი, რჯული, ჩემი ხარები იქით არ წასულა... თუ განგებაი შედენა ვინმემ—არ ვიცი... ნუ დგებით ჩემ ცოდვაში!... რა იქნა, თქვე ოჯახ-აშენებულებო, ქვეყანა ხომ არ დამიქცევია... ერთი კვირის შემდეგ კიდევ უკეთესი ბალახი გაიზდება აქანაი... რაც შეეამა ჩემმა ხარმა, იგი ერთიორად გადამახდევინეთ... სხვაი არაფერი დანაშაული მაქ თქვენთან, არ დამეხოცოს ცოლ-შვილი...—ბეჟუკამ ამოიღო უბიდან ჩვარში გახვეული მანეთიანი და გაუწოდა სიკოს.

— ა, ბატონო, ღმერთმა შეგარგოს...

— ზარალში ხარები მიმყავს, დანარჩენი მიპატიებია შენთვის...—მიახალა ძუძგურაძემ:—როგორ ბედავ შენ... რა იფიქრე, ყაძახო?.. იგი დროი შეგრჩებოდათ გეგონა...

— აბა, ამიზა მართმევ ახლა ხარებს?..

— ხუთასი მანეთი ღირს ჩემი ყანა... სულს ამოგთხრი კისერში... მიჩივლე ახალთაობასთან!.. გამიკეთეთ ბოიკოტი თქვენებურათ!..—დაცინვით დააბოლოვა სიკომ.

— გასწი, ბიჭო!—გადასძახა მან მოჯამაგირეს და თან მძლავრად დაუშინა მათრახი ხარებს.

ამის დანახვაზე ბეჟუკას სისხლი აემღვრა.

— ხარს ნუ გამილახავ!..—შესძახა სიბრაზისაგან აცახცახებულმა,—ვერ გაგატან! დაუმატა მან, თვალის დახამხამებაში გამოგლიჯა ბიჭს თოკი და განზე გააქანა ხარები.

— აბა, თუ არ გამატან!—დაიღრიალა ძუძგურაძემ და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შიგ სახეში სთხლიშა ბეჟუკას მათრახი. სიმწარისაგან დაიკლაკნა ბეჟუკა და თოკი ხელიდან გაუვარდა.

— ურჯულოები!.. მომიხთენ... ძალადობით მართმევენ...—ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოიძახა მან.

— ენა დაიმოკლე, ყაძახო, თვარა გაგასიებ ცემით!..—დაემუქრა მემამულე და ხარები გარეკა.

ბეჟუკა ძუნძულით აედევნა მათ.

— ქვეყანაზე სადაა სამართალი, ან რამე... ასე თუალ და ხელშუა მომთხარეს, დამაქციეს... ვინაა გამკითხავი!..—

ბუტბუტებდა იგი. ამასობაში ცხენოსნებმა გაიარეს ბუჩქნარი, გავიდნენ ღელეში, შემოუარეს პატარა სერს და შკერის ღობით შემოვლებულს დიდს ეზოში ჩავიდნენ. ხარებიც აქ, ნალიის ბოძზე, მიაბეს. ბეჟუკა კანკალმა აიტანა; მას არ უნდოდა მოშორებოდა იმ ადგილს, მაგრამ მოაგონდა საქონლით დატვირთული ურემი და გულ-ამღვრეული უკან გამოიქცა.

თავ ჩაქინდრული ბეჟუკა გაქვავებულივით იდგა ურემთან.

— გამარჯობა, შენი!—უცებ შემოესმა მას. ბეჟუკა გამოერკვა და მიიხედა. გზა-ტკეცილზე ცარიელი ურემი მოდიოდა, რომელზედაც შუა ხნის კაცი იჯდა.

— სადაა, ძმავ, გამარჯობა!..—ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ბეჟუკამ: —გამარჯობა კი არა, თლა ვიღუპები!..— დაუმატა აკანკალებულის ხმით და უამბო გაკვირვებულს მეურმეს თავისი გაჭირვება.

— რაფერ დაგემართა მაი?..—თანაგრძნობით უთხრა მოსულმა.

— ასე შემკრა რაცხა ეშმაკმა... ნეტაი კისერი მომტეხოდა და აქანაი არ გავჩერებულიყავი!.. მაინც არ მეგონა, იმ შეჩვენებულის თუ იყო... მაგის ადგილი საცხა ზეით მახსოვდა... ჯავრი სჭირდა და დროი მიშონა... გაჭირვებამ წამომიყვანა ამ დასაქცევში... მისი მეზობლები შეეპამა მაგ ღვთის პირიდან გადავარდნილმა და მე რავა დამზოგავდა... რაცხა ცოდვათ საქონელი დამირჩა წამოღებული... რა ვუყო, აღარ ვიცი, ახლა... რადგან იქით მიხვალ, მიქენი სიკეთე, ჩაიტანე წკეპაძის დუქანში, მოსახვევში რომ ვაჭრობს... ისე მადლობელი ვიქნები, გინდამც შენ გეჩუქებიოს იგი ხარები!..— შეეხვეწა ბეჟუკა.

— პაწაი ქე მეზარება, დაღალული ხარები მყავს...—შეყოყმანდა მეურმე, მაგრამ შემდეგ დათანხმდა.

— ქირის საქმე რაფერ იქნება?..—იკითხა მან, როდესაც საქონელი თავის ურემზე დაალაგა.

— მოგცემს, რავაც ჩააბარებ... რვა აბაზათ ვარ გარიგებული; ღმერთმა მოგახმაროს... მე უსიკვდილოთ არ შემიძლია მოშორება...

— პაწაი მარჯვეთ დახთი; ნუ დააბრიყვებიებ თავს!..— გაამხნევა მეურმემ და გზას გაუდგა.

ნაღვლიანად გააყოლა თვალი მიმავალს ბეჟუკამ. მას სევდა მოემატა, თითქო რაღაც მოსწყდა მის გულს ამ კაცის წასვლით...

მზე ძალზე გადიხარა, დედამიწას ჩრდილი მოეფინა. გამწარებული ბეჟუკა ანთებულის თვალებით მისჩერებია იმ გზას, საითაც მისი ხარები გარეკეს; ჯოჯოხეთური ცეცხლი ტრიალებს მის გულში. ვინ იცის, იქნება მართლა წაართვან მას ხარები!... ძუძგურაძე მოახერხებს... სად უნდა წავიდეს ბეჟუკა, ვის მიმართოს? მან კარგად იცის, რომ ჩიეილით აქ ვერას გახდება... ვინ მოუსმენს მას? მათრახით ან თოფის კონდახით გასცემენ პასუხს... ბეჟუკა სასოწარკვეთილებაშია. ეს კუთხე, სადაც მან ორიოდე საათის წინ ასეთი ტკბილი წუთები გამოსცადა, დაწყევლილ მხარედ გადაიქცა ახლა მის თვალში... თითქო ყველაფერმა სახე შეიცვალა მის გარშემო: ამწვანებული მინდორი, გაბარჯღული ხეები პირქუშად გამოიყურებოდნენ ახლა, თითქო ისინიც სამტროდ ამხედრებულიყვნენ ბეჟუკას წინააღმდეგ; თვით ცაც-კი, ის თვალწარმტაცი ლურჯი ცა, რომელიც წელან ისე ნაზად, თითქო განსაკუთრებულის თანაგრძნობით უღიმოდა შრომისაგან დაოსებულს ბეჟუკას და სანეტარო ფიქრებს უშლიდა მას ბედნიერს მომავალზე, ახლა სრულიად გულ-გრილად უყურებდა მის უბედურებას... ბეჟუკას გული აუჩუყდა; ისე გრძნობს თავს, თითქო იგი მარტოდ-მარტო გადაკარგული იყოს სადღაც შორს, ძრიელ შორს, სრულიად უცხო შავ-ბნელს მხარეში, სადაც უსაზღვრო ვერაგობასა და სიბოროტეს დაუბუდებია... შველა არსაიდან არის... რაღაა უხაროდ ბეჟუკა? განა ლომა და ნიშა მარტო მუშა საქონელია მისთვის და მეტი არაფერი?.. თუ დღემდე ბეჟუკა ლაკყორაშვილიც

იხსენებოდა სადმე, ეს ხომ მისი კარგი ხარების წყალობით იყო... არა! ხარებთან ერთად, მას სახელიც მოსტაცეს!..

ბრაზ-მორეულს ბეჟუკას აღშფოთება ემატება... „რეიზა უნდა მეისპოს ჩემდა ყოლიფერი!..—გაბოროტებით გაიფიქრა მან;—რა დავაშავე, რაი?“—გულ-საკლავად ამოიგმინა ჩაგრულმა; იგი გასრისეს, მიწასთან გაასწორეს, მოუსპეს ერთადერთი ნუგეში, იმედი... მას არ შეუძლია თვისს ჯალათს პასუხი მოსთხოვოს, დაკმაყოფილება მიიღოს... ნუთუ მან თავისუფლად ველარ უნდა ამოისუნთქოს სიცოცხლეში? რაღა, რისთვის? ეს კითხვა ახლა მთელი სიგრძე-სიგანით იდგა მის წინაშე და გადაჭრილს პასუხს ითხოვდა... რა მოუვიდა მას დღეს?.. და განა მარტო დღეს? როდის არ იყო იგი დარბეული, შეურაცყოფილი, დამცირებული?.. ბეჟუკას ცხოვლად წარმოუდგა ახლა მთელი მისი გამწარებული ცხოვრება, ტანჯვით და ვაებით განვლილი დღენი... უსიტყვოდ, მოთმინებით ეწეოდა იგი მუდამ შრომის მძიმე უღელს, ადამიანურს სიამოვნებას და სიხარულს მოკლებული... პატარაობიდანვე შესჩვეოდა ამ ყოფას; თითქმის შერიგებოდა იმ აზრს, რომ მას და მისთანებს არც კი შეეფერის უკეთესი ცხოვრება; სჯეროდა, რომ ყველას არ შეუძლია იმის მოთხოვნა, რაც მხოლოდ ზოგიერთების ხვედრს შეადგენსო... „რას იზამ, ძმავ, ღმერთს ასე დაუწესებია... დეიხედე აბა ხელზე, ყველაი თითი ერთნაირი თუა: ზოგი გძელია, ზოგი მოკლე,“ არა ერთხელ უთქვამს ბეჟუკას მეზობლებთან ბაასის დროს, როდესაც ლაპარაკი ჩამოვარდებოდა მშრომელი ხალხის მდგომარეობაზე. მხოლოდ სულ ბოლოს დროს, როდესაც სულის შემხუთავი პირობების წყალობით ცხოვრება მეტის-მეტად გაჭირდა, ბეჟუკას ოოტაოდენი გამოფხიზლება დაეტყო, თუმცა საკმაოდ მაინც ვერ გამორკვეულიყო; მეტად ყრუ და ბრმა იყო იგი, ხსნას სხვისგან ელოდა და ხან-და-ხან თავდავიწყებასაც ეძლეოდა... ახლა კი შორს მისგან ასეთი იმედები, თავის მოტყუება!.. დღეს იგრძნო მან მთელის სიმწვავით თავისი მდგომარეობის საშინელება... ახლა კი ხედავს ნათლად, რომ იგი

მართლა სხვისდა სათელად გამხდარა, რომ მისი ბედი, თვით სიცოცხლეც კი ვილაცეების ნება-სურვილზე ყოფილა დამოკიდებული... ბეჟუკას ბრაზი ახრჩობს. ვინ არის დამნაშავე მის წინაშე, ვის უნდა მოსთხოვოს პასუხი? ცხადია, მარტო ძუძგურაძეებს არ უდევთ წილი მის გაუბედურებაში, და ბეჟუკა ყველა ამათ ემუქრება ახლა, უსაზღვრო რისხვას უთვლის ივ სინამდვილეს, რომელმაც შხამით გააესო მისი ცხოვრება... ბეჟუკას გულში ერთბაშად გაიზარდა რალაც თავშეუკავებელი ძალა, იფეთქა ძლიერმა გრძნობამ... ახლა იგი მზად არის შური იძიოს, შეებრძოლოს თუნდ თვით ჯოჯოხეთს...

დალამდა. ცაზე წყნარად-ამოცურდა მთვარე და თავისი მშვიდი, გულის დამატკბობელი სხივები ცოდვილ ქვეყანას მოჰფინა. ბურუსში გახვეულს დედამიწას უცებ საოცნებო ელფერი მიეცა. მნათობის შუქმა ბეჟუკას გაბურძგნულს სახესაც მიუალერსა, თითქო მის აღშფოთებულ გულის დამშვიდებას შეეცადა, მაგრამ ამაოდ; მეტად შორს იყო წასული ბეჟუკა შავ-ბნელ ფიქრებში. უცებ იგი შეკრთა და სახეზე შიში და სასოწარკვეთილება გამოეხატება. „რა მოუვა ჩემ ხარებს ამელამ,—გაუელვა თავზარდაცემულს და სახე საცოდავად მოეღრიცა,—ვინ იცის, რა განზრახვა აქვს გულქვა ძუძგურაძეს?.. ვინ იცის... ღმერთო!.. ეგება სწორედ ამ წუთში დასაკლავად მიჰყავთ მისი ლომა და ნიშა... იქნება ახლა თქრიალით გადმოსდით სისხლი გამოღადრულ კისრიდან; ან იქნება უკვე გათავდა ყველაფერი და გამხეცებულ ადამიანთა ხროვა მისი ხარების ბეჭებს კიდეც შეექცევა?!“ ამ შემაძრწუნებელმა ფიქრმა მთლად გადარია ბეჟუკა, სისხლი მოუწამლა. მეტის მოთმენა მას აღარ შეეძლო... გაურკვეველის მიზნით გაჰქანდა იგი და მალე ნაცნობ შკერის ღობესთან დაიბადა. ირგელივ სიჩუმე მეფობდა. ბეჟუკა ჩაციებით მიაჩერდა ნალიის ბოძებს: იგი კარგად ვერ არჩევდა, რაც საჭირო იყო მისთვის; მთვარე ახლა უფრო მკრთალად აშუქებდა მიდამოს, რადგან ცაზე საიდანლაც ღრუბელი მოგროვილიყო. ბოლოს გიმოარკვია ყველაფერი: ხარები ისევ

იქ იყვნენ მიბმული; ცოტა მოშორებით, ბეღლის წინ რაღაც შეხვეული მოსჩანდა; ეტყობოდა, აქ ვიღაცას ეძინა.

უცებ ხარის ნელი ზმუილი მოისმა; შეწუხებულმა პირუტყვმა თითქო იგრძნო პატრონის სიახლოვე...

მეტიც ალარ უნდოდა ბეჟუკას; იგი აენთო და გაცოფებით ეძგერა ზღუდეს. იმ ალაგს, სადაც ღობე მიბჯენილი იყო მსხვილ ხეზე, მან შესძლო სარის წაქცევა და ღობეც საკმაოდ დასწია. ბეჟუკა წამსვე მიიჭრა ნალიასთან. მას ალარაფერი ახსოვდა; შიში, განსაცდელი არ არსებობდა მისთვის იმ წუთში, მხოლოდ ერთი აზრით, ერთი სურვილით იყო იგი შეპყრობილი...

ელვის სისწრაფით გასჭრა მან თოკი, გაანთავისუფლა ხარები და წინ გაირეკა. ამ დროს სახლის უკანა მხრიდან ვამოვარდა ორი ძაღლი და ყეფით ვამოუდგა ბეჟუკას. ეზოში ხმაურობა ასტყდა. „რა ამბავია, ბიჭო, ანდრიავ?“—გადმოსძახა ვიღამაც სახლიდან. უკვე ფეხზე იდგა შეშინებული მოჯამაგირე;—„ვერ წავა, არ გაუშვა, არიქა“!—ყვიროდა იგი და უგზო-უკლოდ გარბოდა ძაღლის ყეფაზე. იმ წამსვე ოდიდან ორი კაცი გამოვარდა და უშვერის ლანძღვა-გინებით სერისკენ გაიქცა. ამ დროს ბეჟუკა დაუზოგველად მიარბენინებდა ხარებს შოლტის ტყლაშუნით. იგი კარგა მოშორებით იყო ახლა; აგერ ღელეს მიუახლოვდა კიდეც; საცაა ჭალაშიც ამოყოფს თავს და მერე... უცებ თოფის გრიალმა შეარყია უმოძრავო ჰაერი. ლომამ ჩაიჩოქა; მას თეძოში მოხვდა ტყვია და ძვალი გაუტეხა. შესაზარი გმინვა ალმოხდა გულიდან! გამწარებულს ბეჟუკას; იგი ვეფხვივით შემოტრიალდა, დაჭრილს წაეპოტინა... მაგრამ ისევ იჭექა თოფმა და ახლა პატრონი დაეცა საყვარელ ხარის გვერდით...

სამკურნალოში

(ესკიზი)

დედამიწამ ზამთრის სუდარა მოიხადა. თუმცა არე-მარეს ჯერ კიდევ გაცრეცილი ფერი ადევს, მაგრამ ჰაერში უკვე გაშაფხულის სუნი ტრიალებს. სულიერი და უსულო, ყველაფერი მზეს შეჭხარის, იღიმება. თქვენ გრძნობთ, რომ მალე, სულ მალე სიცოცხლისა და განახლების ძალა თავშეუკავებლად იფეთქებს ყველგან... ბუნება საზეიმოდ ემზადება. დღეს თუ არა, ხვალ იგი დიდებულ მეჯლისს გამართავს, თვალს დაატყვევებს, სულს დაატკბობს... ქალაქსაც არა-ჩვეულებრივი გამოცოცხლება დასტყობია. დიდი მოძრაობა და ფაციფუცია. ქუჩებში მოსეირნე ხალხს კმაყოფილებისაგან სახე ღბრწყინავს... მაგრამ საამისო გუნებაზე ვერ იყო თედო კოტოპაძე. ...ოგერ-ოფრი. კვირაა, რაც მან ხელი აიღო მუშაობაზე. ბოლოს დროს იგი შესაჩნევად გამოიცვალა, შოუსვენრობა დასჩემდა. მისთვის საჭირო შეიქნა სერიოზული ექიმობა; დღეს საავადმყოფოშიაც გაგზავნეს, რადგან მეტი დროის დაკარგვა აღარ შეიძლებოდა.

იმ სამკურნალოს საზოგადო „პალატაში" სადაც თედო შეიყვანეს, სამარისებური სიჩუმე იყო. წამლების სუნით გაჟღენთილი ჰაერი, სახე მიმქრალი, უსიცოცხლო ავადმყოფები მეტად მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდნენ. ყმაწვილმა კაცმა შეუმუხვნით მოავლო თვალი იქაურობას და ტანში უსიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა. „ეს რა ყოფილა!" — ყრუდ ჩაიჩურჩულა შემკრთალმა და გაუბედავად ჩამოჯდა კრაოტის კიდეზე.

უცნობმა სანახაობამ ძლიერ შეაშფოთა თედო: გულს აუტანელი სევდა შეპოაწვა... სამუდამოდ ხომ არ მოსწყდა

ქვეყნიერებას, ტოლ-ამჩანაგებს? ქვეყანა კი ისეთი მშვენიერია, ბუნება წარმტაცი... თედოს თვალში აბლა ყველა უზომოდ ბედნიერია, ვინც ამ საავადმყოფოს კედლებში არაა მომწყვდეული, ვინც თავისუფლად მოძრაობს გარედ. ნეტავი მათ!.. გინდ ის გლეხი, რომელიც წელან დატვირთულ სახედარს მიაჩაჩქებდა ხევში; როგორ მარდად გადახტა კარგა მოზრდილ რუზე და ერთის ხელის დაკვრით გაუსწორა სახედარს გადმოსავარდნად გამზადებული საპალნე! არა, იგი ბედნიერია, რადგან... ჯან-ღონით სავსეა და შეუძლია დასტკბეს სიცოცხლით...

გული უკვნესის თედოს; აქ გამოგზავნეს.. დაარწმუნეს... ალბად საჭირო იყო... მაგრამ ეს რა მოსდის? საზარელი, შავი ფიქრები აეკვიატა... „სისულელეა!—გაბრაზებით შეუტია თავის თავს თედომ; მან გადახედა მისუსტებულს ავადმყოფს.—ესენი არიან ცუდად... მე ხომ სულ უბრალო ავადმყოფობა მაქვს, თითქმის ჯან-საღად ვარ და მალეც გავალ აქედან...“—იმშვიდებდა თავს თედო. იგი ცდილობდა არ შეეხედნა ზოგიერთ ავადმყოფისთვის; განსაკუთრებით თვალს არიდებდა კუთხეში მწოლარეს, თითქმის ჩონჩხად ქცეულს ავადმყოფს, რომელიც მთლად გარინდებული იყო და მარტო ტუჩების მოძრაობაზე ეტყობოდა, რომ ჯერ მას სული კიდევ არ გაჰყროდა. მისმა სანახაობამ პირველ შეხედვასთანავე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა თედოზე, თითქო იმ კაცისთვის მარწუხები მოუჭერიათ სახეზე და საცაა მისი ძვლები ერთიანად დაიშლებაო.

შებინდდა. უცებ ლოგინიდან ჩამოცურდა თედოს გვერდით მწოლარე ავადმყოფი და იატაკზე დაეცა. საცოდავი სანახავი იყო ეს სანთელივით გაყვითლებული, ჩხირივით გამხდარი ადამიანი, როდესაც ის, რაღაც სითხეში ამოგანგლული, უჭეოდ იკლაკნებოდა ცივს იატაკზე. იგი ხმას არ ილებდა; ვინ იცის, იქნება საბრალოს კიდეც რცხვენოდა თავის მდგომარეობის, ან, იქნება, გრძნობაც კი აღარ ჰქონდა... შეშფოთებული თედო ზეზე წამოვარდა.

— ნება მიბოძეთ, ცოცა-ხნობით თქვენთან ჩამოვჯდე!— მიმართა მან კანკალით ჭაღარა-შერთულს ავადმყოფს, რომელიც ხალათ-გაუხდელი წამოწოლილიყო და ჭერს მისჩერებოდა. უკანასკნელი დააშტერდა თედოს. ხმა კი არ გასცა.

— პირველად ვარ აქ... არ შემიძლია ამ სურათის ატანა...

უცნობი მაინც სდუმდა; მერე პირიც მიიბრუნა და ისევ ჭერს შეაცქერდა.

ამ კაცის უცნაურმა ქცევამ კიდევ უფრო გაუტეხა გული თედოს და სევდა გაუძლიერა. ბარბაცით გადავიდა იგი მეორე მხარეზე და კედელს მიეყრდნო.

შემოვიდა მოსამსახურე.

— ეს რა ჩაგიდენია?—წყრომით შენიშნა მან იატაკზე გაშხლართულს ავადმყოფს; წამოსწია, მაგრამ მაშინვე ისევ დააგდო ზიზღით.

— რაღათ მოჰყავთ იმ ობრებს ამისთანა!.. თავიდან იშორებენ... დღე და ღამ... მუდამ... ერთი წამი მოსვენება არ არის!..—ბუტბუტით გაშორდა თავმობეზრებული მოსამსახურე, მაგრამ მალე ისევ შემობრუნდა მეორე მსახურის თანხლებით.

— აბაზს იძლეოდა გუშინ, ღამე მომხედეო,—დაიწყო პირველმა,—ჰამა გიცხონდა... აბაზად შენ... მთელი ღამე... აბა ერთი მიშველე, ავწიოთ...—მიჰმართა მან ამხანაგს.

— ტყუილი შრომაა... სულ ერთი არაა, იატაკზე ამოხდება სული, თუ კრაოტზე?..—იოხუნჯა მეორემ.

— მაინც ისე სჯობს... უფრო რიგიანი იქნება... აი ის კი ეხლავე კვდება, შეხედე!—დაუმატა მოლაპარაკემ და ხელი მარჯვნით გაიშვირა. შემკრთალმა თედომ უნებლიედ მიიხედა საშიშ კუთხისკენ; იმას კი მოჰკრა თვალი, როგორ ამოვარდა გაქვავებულ ავადმყოფის პირიდან რაღაც შეკუმშული ოთქლის მსგავსი, მეტის დანახვა ვეღარ შესძლო და შეძრწუნებულმა პირი მოაბრიდა.

მოსამსახურენი მივიდნენ ახლად გარდაცვლილის კრაოტთან.

— მოისვენა, როგორც იყო...—დაიწყო ერთმა,—სულ შეოთავდა, ყველას რაღაცას შესჩიოდა; როგორც კი დაინახავდა ექიმს, მოჰყვებოდა: „ბატონო, რამე საშველება...“ გუშინ-წინ ძალზე გააბრაზა რეზნიკოვი; ის იყო, შემოჰყო თუ არა თავი კარებში და ჩვეულებრივად დაიძახა: „აქ რა არის?“ რომ ამანაც დაიწყო თავისებურად: „ბატონო, თუ შეიძლება...“ იფეთქა რეზნიკოვმა: „თავი მომაბეზრა ამან, ნერვები ამიშალა!.. სულ წუწუნებს, მუდამ...“ მკაცრად მოუჭრა და მაშინვე გაბრუნდა. მას შემდეგ ამან ხმა გაიკმინდა, ეს ორი დღეა კრინტი აღარ დაუძრავს...

— ეჰ, ვასილ!—სიტყვა გააწყვეტინა მეორემ,—ამაღამ ხომ ყველიერს აცილებს ხალხი, ჩვენ კი... იცი, რა გითხრა? აქ ეხლა ისეთი აღარავინ რჩება... ყველა მშვიდია... ეს გავიტანოთ, იმას კი ფიცრები ჩავუწყოთ, რომ ვეღარ გადმოვარდეს და ჩვენს კუნჭულში მივჯდეთ; საცაა, პეტიაც მოვა, ღვინოს მოიტანს... არავინ დაგვიშლის ახლა...

ნახულმა და გაგონილმა შეაძრწუნა თედო; იგი უიმედობამ მოიცვა; უნდობლად უყურებს ახლა ყველაფერს... აქ ყოველს ჟამს სიკვდილის აჩრდილი ტრიალებს... არაფერი ამის მსგავსი მას არ გამოუცდია არას დროს. თედოს ჰგონია, რომ აქ შემოსვლამდე იგი კარგად იყო ჯანზე. საიმისო მაინც არაფერი ახსოვს და, აი, მზოლოდ აქ იგრძნო თავი ასე ცუდად. რა ამბავია მის თავს? ნუთუ აქ არის მისი დასასრული? იქნება იგი ახლა უკანასკნელს ყოფაშია, იქნება აი ეხლა, ამ წუთში მას სული ხდება კიდეც და თითონ კი ვერ გრძნობს ამას! და თედოს მოეჩვენა, თითქო მას მუხლები მოეკვეთა და თავიც დაუმძიმდა როგორღაც; შიშმა აიტანა და გაფითრებულმა იტაცა ხელი გულზე, მაჯაზე... ამ დროს მახლობელ ოთახიდან, სადაც ავადმყოფს ჭრილობას უხვევდნენ, გულის გამგმირავი ღრიალი გაისმა.

„ჰაა, ეს რა იყო? აწამებენ?“—ცახცახით წამოიძახა თავზარდაცემულმა თედომ და თოფნაკრავივით წატორტმანდა. საზარელი ეჭვი აღეძრა; მას ახლა ათასი საშინელება წარმო-

ულგა. სად მოხვდა იგი?.. იქნება ეს სულ სხვა დაწესებულებაა?.. მას გონება ერევა; ვინ იცის, იქნება სულ სხვა განზრახვით მიიღეს იგი აქ...

ამასობაში მოსამსახურენიც დაბრუნდნენ. თედო მათთან მიიჭრა; სახეზე შეუდრეკელი გადაწყვეტილება ეხატებოდა.

— მომეცით ტანისამოსი! მე უნდა წავიდე აქედან...

ვასილმა თვალები შეანათა თედოს და გაკვირვებით ჰკითხა:

— სად უნდა წახვიდე?

— სახლში!.. ჩქარა მომიტანეთ!..—ცხარობდა თედო.

— ჭკუაზე მოდი! სადაურს ლაპარაკობ?..—ბლეერით შეუტია მსახურმა.

— რა ნება გაქვთ!.. სულ ერთია, მე მაინც წავალ...

— დღეს მიგიღეს და დღესვე მიდიხარ?.. მერე ვინ გაგიშვებს? ეხლა ხომ ზედამხედველი აქ არ არის; წიგნიდან უნდა ამოგწერონ, ისე არ შეიძლება; ხვალ შუადღისას...—ჩაერია მეორე მსახური.

— წასვლა ჩემი ნებაა, თქვენ არ შეგიძლიათ დამაკავოთ!—წამოიძახა თედომ და კარებისკენ გაემართა.

— სად მიდიხარ?—დაიღრიალა ვასილმა და გზა შეუკრა.

დაუძახეს ფერშალს. მორიგე ექიმსაც შეატყობინეს.

— თქვენ რას სჩადიხართ? რა გემართებათ?—შეეკითხა ექიმი თედოს,—ამ დროს წასვლა ვის გაუგონია?

— აქ ვერ დავრჩები...

— რატომ? აქ ბევრი კარგი საქმე კეთდება... მორჩენა არ გინდათ?

— მე ავად არ ვარ... კარგად ვარ...

— მაშ აქ რაღად მოდიოდით?

— შეცდომით მოვხვდი... გაუგებრობით... ჩემთვის საჭირო არ არის...

— თქვენ ავად ხართ, აშკარად გეტყობათ ეს... თქვენ ვერ გრძნობთ...

— მე უკეთ ვიცი ჩემი თავის ამბავი...

— როგორც გნებავთ!.. ყოველს შემთხვევაში ამაღამ ვერ

წახვალთ; ამისაკვის განსაზღვრული დროა დანიშნული; ხვალ, დილის 11 საათზე, თუ მაინცა-და-მაინც ახირდებით... ეხლა კი—გირჩევთ, დაწვეთ, დაიძინოთ.

— არ შემიძლია მოცდა... ეხლავე უნდა წავიდე... აღარაფერი მტკივა... თუ კი არ მინდა დარჩენა, ნება არა გაქვთ ძალად დამაკავოთ...—გაიძახოდა აღშფოთებული თედო.

— მე თქვენ გთხოვთ, დამშვიდდეთ! უნდა დაემორჩილოთ არსებულს წესებს... წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით, სხვა ზომები ვიხმაროთ...—აიმაღლა ხმა ექიმმა. მან რაღაც გადაულაპარაკა ფერშალს, მოსამსახურეები დაარიგა და წავიდა.

უზომო მღელვარებამ შეიპყრო თედო. არ უშვებენ... სჩანს ამასაც უპირებენ...

— რა გინდათ, გამიშვით!..—დაიღრიალა მან და გაშმაგებით ეძგერა კარს, მაგრამ დაიჭირეს. შუაღამე გახდა. თედო არ სცხრება; სცადეს მისი დაწვენა, იქნება დამშვიდდეს, დაიძინოსო.

ძლივს წააქციეს კრაოტზე. ახლა მთლად გამწარდა, არ ნებდებოდა, განწირულებით იბრძოდა. მოსამსახურეებმა მოთმინება დაჰკარგეს. გაბრაზებული ვასილი გამხეცებით აწვებოდა თედოს მუხლებით, ტანს უსრესდა, ხელებს უჭერდა; იგი თითქოს შურს იძიებდა დღევანდელ საღამოს ჩამწარებისთვის... ბოლოს მაინც აუცილებელი შეიქნა ავადმყოფის ცალკე ოთახში მოთავსება. როდესაც თედო წასაყვანად ასწიეს, გულგახეთქილმა შემზარავი ხმით დაიბღავლა: „ვაიმე!.. მიშველეთ!.. დედაააე!..“ ახლა აღარავითარი ეჭვი არ ჰქონდა, რომ იგი სწორედ იქ მიჰყავდათ, საიდანაც ხმა შემოესმა. „ეს არის, თავიდან მიშორებენ!“—გადასწყვიტა მან და უკანასკნელი ძალა მოიკრიფა, გაბრძოლება დააპირა, ჰკაწრავდა მოსამსახურეებს, იკბინებოდა. იგი შეიტანეს ერთს მივარდნილს ოთახში და კრაოტზე დააკრეს.

„მკლავენ!.. მჭრიან!.. გული უნდა წაიღონ!.. ნუ... ვაი!.. უუუ... ვااااا!..“—უკვე უაზროდ ღრიალებდა გონება შერყეული თედო.

კიდევ კარგა ხანს ისმოდა ავადმყოფის კივილი, გმინვა და გულის მომშუვლელი ხრიალი.

გათენებისას იმ ოთახიდან კრაოტით გამოიტანეს ზეწარ-გადაფარებული გვამი...



თ ი ნ ა

I

მოხდენილი, სიცოცხლით სავსე—თინა ლარიბი ოჯახის შვილი იყო. მოსიყვარულე მშობლები მზრუნველობას არ აკლებდნენ მას. თუმცა სულ მცირე შემოსავალი ჰქონდათ, მაგრამ საქმე გაიჭირვეს და, როგორც იყო, შვილს სწავლა მიაღებინეს. თინა თვალსაჩინო ქალი შეიქნა, თავის ტოლ-ამხანაგებში იგი ყველაზე მაღლა იდგა განვითარებით და საღი გრძნობებით.

თინა იმედით შეჰყურებდა მომავალს... მართალია, ამ საგანზე ახალგაზრდა ქალს გარკვეული წარმოდგენა არა ჰქონდა. მაგრამ, მისი შეხედულებით, ბურუსში გახვეულს შერმისს მაინც მიმზიდველი ელფერი ედებოდა...

თინას ცხოვრებაში ახალი ხანა დადგა: იგი—გათხოვდა. მისი ქმარი ილია ფუნცხალაძე თავის წრეში დაწინაურებულ კაცათ ითვლებოდა. რასაკვირველია, იგი საშუალებას არ ზოგავდა, რომ ოჯახი შესაფერად მოეწყო. აბა რა ვიცი, რას არ მოიგონებს ბედისაგან გალაღებული ადამიანი, რომ განცხრომაში გაატაროს თავისი დღენი...

ყმაწვილი ქალის ბედს ბევრი შურით უყურებდა: ძვირფასი, განათლებული ცხოვრება აქვსო, ამბობდნენ. თინას გრძნობა კი ამ დროს გამოურკვეველი იყო; ჯერ კიდევ საესებით ვერ გაეთვალისწინებინა მას აწმყო, ვერ წარმოედგინა ნათლად მომავალი. იგი სრულიად გამოუცდელი იყო ცხოვრებაში, ანგარიშ მიუცემლად ემორჩილებოდა მის მიმდინარეობას.

ქვეყნის აზრით ილია სამაგალითო ქმარია; იგი დიდის ჭკვიანურობით ეპყრობა ცოლს; ამას ვერ უარჰყოფს თინა.

მან უნდა დააფასოს ეს, ვალდებულია ასე მოიქცეს... რაღა თქმა უნდა, იგი საკუთარი გრძნობით ხელმძღვანელობდა, როდესაც თავისი მომავალი ილიას ბედს დაუკავშირა და დღეს ხომ უფრო უნდა გააღვივოს და გააძლიეროს ეს წმინდა გრძნობა. მან უთუოდ ბედნიერად უნდა დაისახოს თავისი თავი. იდუმალი ხმა ჩასჩურჩულებს ასე მოიქცეს, რადგან წინააღმდეგის წარმოდგენა დამღუპველი იქნება მისთვის: ცხოვრებამ უკვე ჩაითრია თინა; ახლა უკან დახევა შეუძლებელია... ~~უფერული, უშინაარსო~~ ცხოვრება კი ზლაზვნით მიდიოდა, სინამდვილე ნელ-ნელა ირკვეოდა, იგი თან და თან უფრო მოსაწყენი და თავ-მომაბეზრებელი ხდებოდა...

აგერ, ახალგაზდა ქალის გულს რაღაც უცნობი სევდა ეპარება შეუმჩნეველად, ქურდულად; გაურკვეველი შიში აშფოთებს მას... ნუთუ ახალგაზდობის იმედები მხოლოდ უნიადაგო ოცნება იყო და ეხლა ყველაფერი ეს გაქრა, როგორც სიზმარი ტკბილი, სამუდამოდ დაიმარხა?.. თავგამოდებით ცდილობს თინა არ მიიკაროს ახლო ეს მძიმე გრძნობა; უნდა დაიჯეროს, რომ მის კეთილ ცხოვრებაში ყველაფერი რიგიანი და მოსაწონია...

მაგრამ ამ დროს თინას ცხოვრებაში თავი იჩინა ერთმა გარემოებამ, რომელმაც ძლიერი გავლენა იქონია ახალგაზრდა ქალის სულიერ განწყობილებაზე. თინამ სცადა თავისი ძალა სამწერლო ასპარეზზე; ცდამ კარგი ნაყოფი მოიტანა: თინას ნიჭი თვალსაჩინო გამოდგა. ამ გარემოებამ მეტად გაამხნევა იგი. თინა ამაღლდა საკუთარს თვალში. ახალგაზრდა ქალში გაიღვიძა ადამიანმა. ცხოვრებას ახლა სულ სხვა აზრი მიეცა... ამ მხრივ სიცოცხლე მეტად მიმზიდველი შეიქნა დღეს თინასთვის, მომავალი იმედებით სავსე... დღეს მის თვალწინ იშლებოდა სულ სხვანაირი, უცხო სურათი, მშვენიერი, დიდებულის მიზნით გაკისკროვნებული ცხოვრება, რომელშიაც იყო რაღაც თავისებური, აქმაღლებელი ბედნიერება...

ფიქრმა გაიტაცა თინა. ტკბილ ოცნებათა გროვაში იგი, ნეტარებას ეძლეოდა, როდესაც ქუჩაში გასასვლელს კარებ-

თან გაჩერდა ეტლი, რომელშიაც ლაზათიანი შეხედულობის კაცი იჯდა; თითქო იმ წუთში გაითვალისწინა თავისი უზრუნველყოფილი მდგომარეობაო, ამაყად გახედა მან ქუჩას, სწრაფად გადმოხტა ძირს და, უცნაურად გადაზნექილი მთელის ტანით, წინ კარებისკენ გაჰქანდა.

თინამ კინაღამ შეჰკივლა, როდესაც მის ოთახში მოულოდნელად ილია გაჩნდა. იმ წუთში ახალგაზრდა ქალმა თითქო მძულვარებაც იგრძნო იმ კაცისადმი, რომელსაც „უფლება“ ჰქონდა თუნდა ყოველს წუთს ასე მოურიდებლად დაერღვია მისი მყუდროება... ილია კმაყოფილებით ილიმებოდა. „მთელი სიცოცხლე უნდა შემომწირო, ამისთანა ცხოვრებეში რომ მყევხარ“, ამოიკითხა ქალმა ილიას განიერ, გაღაჟღაჟებულ სახეზე. რაღაცამ თინას მწვავედ უჩხვლიტა გულში. უეცრად მას უცნაური ფიქრი მოუვიდა: მან წარმოიდგინა ის, თუ რა ცვლილებას მოახდენდა ილიას გარეგნობაში სიკვდილი: „სახე დაუვიწროვდება, ცხვირის ბოლო გაუთხელდება, თვალები...“ გაუელვა ქალს, მაგრამ მალე უსიამოვნო მღელვარება დაეტყო, თითქო რაღაც შიში იგრძნო და აჩქარებით პირი გვერდზე მიიბრუნა.

— თინოჩკა, თინა!—მიიპრა ცოლთან ილია,—რა ვქნა, რა დაგემართა დღეს? უქეიფოდ ხომ არ ხარ, გენაცვალე?—

— სულაც არა!—ძალდატანებით წარმოსთქვა თინამ და ოდნავ წამოწითლდა.

— საწყენი ხომ არაფერი გაიგე? მაშ რა ამბავია, რა მოხდა?...

— არაფერი!

— კარგი ერთი, თუ გიყვარდე! ნუ ხარ მოწყენილი, არ მესიამოვნება... რა გვაქს დასაღონებელი, ჩემო ძვირფასო!..— თავმოწონებით დაიწყო ილიამ,— ოღონდ ჯანმრთელად ვიყოთ, თორემ სხვა ვერაფერი შეგვაწუხებს. მუდამ იმ სიმაღლეზე ვიდგებით ცხოვრებაში, რომ თავისუფლად შეგვიძლია დავსტკბეთ სიცოცხლით... მართლა, დღეს ნიმუშებს მოიტანენ მალაზიიდან, ხვალ მოდისტკა დაიბარე, თუ გინდა... უნდა

ნახო, თინკა, რა ორაგული გამოვგზავნე!.. „მუდამ ამისთანას გაახლებთ, ბატონოვო,“ მითხრა მაღაზიის პატრონმა. ყველა ძალიან მორიდებულია ჩემთან... აბა, ენახოთ როგორი სადილი გვაქვს დღეს!.. ხოხბები ხომ გააკეთა? — მადიანად წამოიძახა ილიამ, ხელი მოხვია თინას და სამზარეულოსკენ გაიტაცა.

— ახალი საზრუნავი რომ გაგვიჩნდება, გენაცვალე, მაშინ ყველარ მოიცლი მოსაწყენად, — სიცილით დაუმატა ილიამ, როდესაც ოთახში შემობრუნდნენ.

თინა გაკვირვებით შეხვდა ქმარს.

— შვილი რომ შეგვეძინება... მოვლით, რასაკვირველია, ძიძა მოუვლის, მაგრამ მაინც თვალწინ გეყოლება... წარმოიდგინე, თინკა, რომ ეხლა კალთაში გიზის ფუნჩულა ბავში... პაწია ხელს გულზე გიცაცუნებს, ფეხებს იქნევს, სასიამოვნოდ ტიტინებს... ხომ კარგი იქნება, გენაცვალე? ჰაა? ჰა, ჰა! — გადიხარხარა ილიამ. — მართლა, არაფერს ატყობ, ჩემო სულიკო? — მხიარულად გადუკრა სიტყვა და მოეხვია ცოლს. თინამ თავი გაინთავისუფლა, წყნარად წამოდგა და მეორე ოთახში გავიდა.

ილიას საზოგადოდ ბედი სწყალობდა, ცხოვრებაში მას წარმატება არ აკლდა. ილია კმაყოფილი იყო თავისი მდგომარეობით და, რაღა თქმა უნდა, თავიც მოსწონდა... „არ შეიძლება, ხელი შემეშალოს სადმე: ყოველთვის, თითქო განგებ, ისე მოეწყობა ყველაფერი, როგორც მე მსურს. ხშირად სულაც არ ვზრუნავ, არ ვფიქრობ საქმეზე, მაგრამ გარემოება ისე მოიტანს, რომ თავის თავად კეთდება...“ კმაყოფილებით ამბობდა ილია.

მაგრამ მას უნდოდა, ფართო საზოგადოებაშიაც ჰქონოდა გავლენა და პატივისცემა და ამიტომ ხანდახან საზოგადო საქმეებშიაც ერეოდა. სხვადასხვა საზოგადოებათა კრებაზე იგი ხშირად პირველ რიგში მოექცეოდა და ბევრსაც ხმაურობდა... ეს ის დრო იყო, როდესაც აბობოქრებული ცხოვრება ისევ ძველ კალაპოტში იჭედებოდა. ცხოვრების ნორჩი ყვავილები

სჭკნებოდა.... მაგრამ ჯერ კიდევ ნათლად გარკვეული არ იყო ზოგიერთებისთვის არსებული მდგომარეობა, იმდენად ძლიერი იყო განვლილი ამბების შთაბეჭდილება... საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ხალხის თვითმოქმედების დროს მთლად გარიყულად გრძნობდა თავს, ეხლა, გუშინდელი გრიგალის მიწყნარების შემდეგ, გაუბედავად რაღაც ფაცა-ფუცს შესდგომოდა, თითქო ამით ცდილობდა, ცოტა რამ მაინც მოეგო ქვეყნის თვალში და თავისი სულისკვეთება გაენაღდებინა... არსდება საზოგადოებანი თუ კავშირები, ინიშნება კრებები, რომლებზედაც იმართება მეტად მწვავე კამათი, შეხლა-შემოხლა, ერთი აურ-ზაური, მაგრამ ყველა ეს ხმაურობა სრულიად უნაყოფო გამოდის და ასეთის ამბით დაარსებული საზოგადოებანი გაჩენის უმალვე ჰქრებიან.

II.

ერთს საღამოს სოფრომ კუდამელიძისას თავს იყრიდა საზოგადოება. კარგა მოზრდილი დარბაზი საკმაოდ მოცოცხლებული იყო, როდესაც ფუნცხალაძენი მოვიდნენ. ჩვეულებისამებრ მისალმების შემდეგ ილიამ დანარჯა რამდენიმე სიტყვა მასპინძლების სასიამოვნოდ, რითაც ერთბაშად მოიგო დიასახლისის კეთილი გული.

— მაპატიეთ, რომ ასე გიახელით,—ხუმრობით დაიწყო ილიამ,—ფრაკს მერე გაახლებთ!..

— მობრძანდით, მობრძანდით!.. გვჯერა...—ღიმილით შენიშნა ნასიამოვნებმა დიასახლისმა.

— რასაკვირველია!..—დაეთანხმა სოფრომიც.

ამასობაში ილიამ ხელი ჩამოართვა სტუმრებს და ოდნავ მოჭუტული თვალი დარბაზს მოავლო; ერთს კუთხეში მან შენიშნა ყმაწვილი კაცი, რომლის დანახვა ილიას როგორღაც არ ესიამოვნა; იმავე დროს თითქო ნაცნობადაც ეჩვენა ამ კაცის სახე, თუმცა სრულიად ვერ მოეგონებინა, სად ენახა იგი, ან რა იყო უსიამოვნების მიზეზი.

— ბ. ზაბელაშვილი!—გააცნო იგი მასპინძელმა ახალ

მოსულებს. მაგრამ ამ გვარის გაგონებამაც ვერაფერი გაურკვია ილიას.

— ძალიან სასიამოვნოა! —უგემურად ჩაილაპარაკა მან, ხელი გაუწოდა უცნობს, მედიდურად ახედ-დახედა და ნაცნობ-მეგობრებს შეუერთდა.

ბიქტორ გაბილაშვილი თინას წინადაც ენახა. მისი წარმოდგენით ეს ახალგაზდა იდეალებით გატაცებული, უანგარო ადამიანი იყო, რომელსაც სულ არ ახსოვდა პირადი კეთილდღეობა. მას შემდეგ, რაც თინამ ცხოვრებით უკმაყოფილება იგრძნო, ამ კაცის სახელი თითქო სინდისის მამხილებელი შეიქნა მისთვის. ეხლაც, გაბილაშვილის დანახვაზე, თინა შეკრთა, რაღაც უხერხულობა იგრძნო, თითქო თავისი მდგომარეობისა შერცხვა.

ბიქტორი აღფრთოვანებით იყურებოდა წინ, უკეთესი მომავლისაკენ. მას უზომოდ აღელვებდა ყველაფერი, რაც ცხოვრების წინმსვლელობას, სასურველი დროის მოახლოვებას აფერხებდა.

გაბილაშვილი დიდად აფასებდა თინას, როგორც მწერალს, მაგრამ სწყინდა, რომ ეს ქალი მეუღლე იყო ილია ფუნცხალაძისა, რომელსაც ბიქტორი ხშირად ხედავდა საზოგადო კრებებზე და პატივს არ სცემდა; მისი შეხედულებით ეს კაცი ძლიერ კარგად გრძნობდა თავს არსებულს პირობებში და ამიტომ სძაგდა ყველაფერი, რაც ცხოვრების განახლებისკენ იყო მიმართული: თავის პირად მისწრაფებას იგი ხშირად იდეიურ სამოსელში ახვევდა, რიდაც შეცდომაში შეჰყავდა ზოგიერთები...

თინა დარბაზის მეორე მხარეზე მოექცა: იგი ვერ იყო გუნებაზე, თითქმის თავისი სურვილის წინააღმდეგ მოხვდა იგი დღეს კუდამელიძისას. ილიას სწამდა, რომ მას ძალა და გავლენა ჰქონდა საზოგადოებაში და ამიტომ შემთხვევას არ კარგავდა, დაენახვებინა ცოლისთვის თავისი ძლევა-მოსილება. აქ პატარა უსიამოვნებაც ელოდა თინას: სტუმრების ის ჯგუფი, სადაც თინა იჯდა, განცალკევებით მასლაათობდა. ალ-

ბად სიტყვამ მოიტანა. და ერთმა დამსწრეთაგანმა, წკიპურ-ტანიძემ, ქება-დიდებით მოიხსენია ერთი ადგილობრივი და-წესებულება, რომელსაც თითქმის მსოფლიო მნიშვნელობა მიაწერა... „ძალიან საამწუხაროა, რომ იქ ისე ცოტაა ჩვენი ქართველობა... სულ ორი კაცი ვართ... მეტად საჭირო იყო ქვეყნისთვის...“ შემდეგ მობაასე მოხელეთა ნივთიერ მდგო-მარეობასაც შეეხო და ახირებულის ყოყოჩობით დასძინა: „ისეთი ჯამაგირები სხვაგან არსად არის; შედარებაც კი არ შეიძლება!... ავილოთ თუნდა...“

— ილია პეტროვიჩი რამდენს იღებს?—მოულოდნელად მიუბრუნდა იგი თინას. ქალი იძულებული გახდა ეთქვა ის, რაც ქმრისაგან გაეგონა.

— აბა, რას ბძანებთ!.. იქ ნაკლებია ჯამაგირი... მაგ-დენი თავის დღეში... შეუძლებელია!..—გესლიანად იღიმე-ბოდა მოლაპარაკე.

— აბა, ივან სიმონიჩ! ვინაა მართალი? თქვენ უთუოდ გეცოდინებათ,—მიმართა მან იქვე მდგომ კაცს, ხომ ეგრეა? აკი გითხარით!..—კმაყოფილებით ხითხითებდა გამარჯვებული წკიპურტანიძე.

თითქო ქურდობაში დაიჭირესო, თინა ჭარხალივით გა-წითლდა; მან საშინელი უხერხულობა, დამცირება იგრძნო.

— შეიძლება... ისე მეგონა...—დაბნეულად ჩაილაპარა-კა მან.

— ჩვენი გამგე გუბერნატორთან იჯდა... ერთს წამს შეე-ყოყმანდი: რომელს მიულოცავ პირველად ახალწელიწადს? ორივე ღიმილით შემოგცქერის; ვის მისცემ უპირატესობას?.. ეს კითხვა თვალის დახამხამებაში უნდა გადამეწყვიტა და გა-დაეწყვიტე კიდეც: ჩვენს გამგესთან მივედი პირველად... აბა, ის ძალიან კარგი... ჩინებული განწყობილება მაქვს მასთან... თუმცა ჩემთან ყველანი კარგად არიან მუდამ...—მოისმა რი-ხიანი ხმა ილიასი.

მისი ჩამჯდარი კისერი ახლა უსიამოვნოდ ეჩხირებოდა თი-ნას თვალში და გული მოსდიოდა იმის გამო, რომ ეს კისერი

უზომოდ მსხვილი იყო: თითქო ეს გარემოება ყოფილიყოს მიზეზი იმ უხერხულობისა, რომელსაც ყმაწვილი ქალი იმ წუთში განიცდიდა...,

III

— ბატონებო! დროა საქმეს შეუდგეთ...—უცბად დაიწყო ხმა-ჩაღლა მხცოვანმა გაბრიელ დიდგულაძემ,—ეჭვი არ არის. ყველას კარგად გვესმის დღევანდელი ვითარება... ამისთანა განსაცდელის დროს, როდესაც ასე დავიქსაქსენით შინაობაში და, ზოგიერთების უკუღმართობის წყალობით, ხალხს გზა-კვალი ავუბნიეთ: ჩვენ მიერ განზრახულს საზოგადოებას დღევანდელს პირობებში შეუძლია თავლსაჩინო როლი ითამაშოს... მის მოლვაწეობას დიდი მნიშვნელობა ეკნება ჩვენი ქვეყნისთვის... საჭიროა თავიდანვე მკვიდრს ნიადაგზე დავაყენოთ საქმე. აქ უნდა სცემდეს ქართველი ერის მთავარი ძარღვი... ჯოველს კეთილს საქმეს ჩვენის დაუდეგრობით ვღუპავთ. ვეცადოთ, უკუ ვაგდოთ ჩვენი შეუწყნარებელი გულგრილობა საზოგადო საქმისადმი. საჭიროა მეტი მხნეობა, მეტი თავგამოდება.. წესდების პროექტი შემუშავებულია. როგორ გნებავთ; ვიქონიოთ მსჯელობა, თუ...

— დაწვრილებით უნდა გავიცნოთ წესდება. მუხლ-მუხლად განვიხილოთ...—შენიშნა ვილამაც.

— აქ ყველანი ბარათებით არიან დღეს მოწვეულნი?—შეეკითხა ილია დიდგულაძეს.

— გამოირკვა, რომ მხოლოდ ზოგიერთებისთვის გაეგზავნათ მისაწვევი ბარათები; კრებაზე ისეთებიც მოსულიყვნენ, ვისი მოწვევაც სულაც არ ყოფილა განზრახული. ეს გარემოება უხერხულობას იწვევდა.

— გადაწყვეტილი იყო... როგორ მოხდა?..—უკმაყოფილოდ გაიძახოდა ილია,— ლაპარაკის უფლება მხოლოდ იმათ უნდა ჰქონდეთ დღეს, ვინც საგანგებოდ არის მოწვეული... —განმარტა მან.

— ეს შემცდარი აზრია: რამდენადაც ნალაპარაკევიდან გამოირკვა, განზრახული საზოგადოება ქვეყნის სამსახურს

ისახავს მიზნად. ქვეყნის სამსახური კი არავის მონოპოლიას აო შეადგენს. ყველას უნდა მიეცეს საშუალება შეძლებისდაგვარად მიიღოს მონაწილეობა საზოგადო საქმეში... სხვა კითხვაა, თუ აქ კერძო, თქვენს შინაურს საქმეებზე გექნებათ ლაპარაკი...—ჩაერია გაბილაშვილი.

— ვინც მოისურვებს, შემდეგ შეუძლია ჩაეწეროს წევრად, როდესაც საზოგადოება მოქმედებას დაიწყებს, ეხლა კი საქმის ინტერესი მოითხოვს და გონიერებაც...—შენიშნა დიდგულაძემ.

— მე კი მგონია, სწორედ ეს გონიერება მოითხოვს, რომ ამ თავიდანვე მივიღოთ მონაწილეობა საქმეში, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს. არ მესმის, რატომ არ უნდა მოვიქცეთ ასე?.. კრებამ უნდა განიხილოს საბოლოოდ შემუშავებული წესდების პროექტი; უამისოდ როგორ უნდა გავითვალისწინოთ, რა მიმართულებას მიიღებს საზოგადოების მოქმედება... რამ გამოიწვია თქვენი შიში?...—არ ეშვებოდა გაბილაშვილი.

დიდგულაძე შეყოყმანდა.

— ღვეს აქ ჩვენ ვერაფერს გადავწყვეტთ, რადგან ძალიან ცოტანი ვართ. აქ არ არიან ზოგიერთი ისეთი პირები, ვინც ამ საქმეს სათავეში უდგას, ვისაც ღვაწლი მიუძღვის... უთუოდ უნდა ვისარგებლოდ მათი გამოცდილებით... ამიტომ აუცილებლად საჭიროა გადავდოთ კრება შემდეგისთვის; მაშინ ყველას შევატყობინოთ...—სთქვა ილიამ.

უმრავლესობა ამ აზრს მიემხრო. აქა-იქ გაისმა პროტესტის ხმა, მაგრამ ვერას გახდნენ. ფუნცხალაძემ თავისი გაიტანა.

IV

სტუმრებმა წასვლა დააპირეს, მაგრამ მასპინძელმა ყველანი ვახშამზე მიიწვია. გაიმართა ნამდვილი ლხინი. ქართველურმა პატრიოტობამ ფრთა გაშალა. გაისმა გულიანი ხარხარი, ოხუნჯობა. მაგრამ ერთმა მოულოდნელმა გარემოებამ შეუ-

ცვალა გუნება სტუმარ-მასპინძელს: ილიამ, რომელიც ჩვეულებრივად თავს ლაღად გრძნობდა, ამ საღამოს ერთობ გადააჭარბა; ეტყობოდა, რომ მას ვილაცეები ათვალწუნებული ჰყავდა და მათი გაბიაბრუება უნდოდა.

— ბიჭო! — უცბად დაიძახა მან.

გაჩნდა მოსამსახურე.

— არა... იმას ვეძახი, — სთქვა ილიამ და ხელით ანიშნა მგორეზე. რომელიც უფრო მოშორებით იდგა. ეს უკანასკნელიც მიუახლოვდა მას. — სწორედ შენ გეძახი!.. მომწონს შენი... სახე... — დაიწყო დაცინვით ილიამ, — როგორ არის საქმე?.. რით გათავდა თქვენი გაფიცვა? როდის მოაწყობთ კიდევ?... ეს დაძერებოდა თურმე ჩემს მზარეულთან, — მიუბრუნდა იგი სტუმრებს, — უნდოდა გაებრიყვებინა, მაგრამ იგი უფრო ჭკვიანი გამოდგა, მგონი...

— თქვენ რა გნებავთ?... რა უფლება გაქვთ, შეურაცხყოფას მაყენებთ?.. — შენიშნა აღელვებულმა მოსამსახურემ, — სამასხარაოდ არ გახლავარ აქ... რაც იყო იგი, ალბათ, საჭირო იყო; ისე მოიტანა გარემოებამ... ახლა რომ იგი დროი იყოს, ვერც ასე დაიწყებდით...

— როგორ ბედავ ასე ლაპარაკს! — მკვახედ გააწყვეტინა მსახურს მასპინძელმა.

— ამისთანა კადნიერება!.. მოსამსახურისაგან ასეთი პასუხი!.. რა დრო დადგა!.. — მოისმა უკმაყოფილო ხმა.

— ჩაზეინო! მე... — დააპირა ლაპარაკი მსახურმა, მაგრამ სოფრომმა აღარ დააცალა.

— ჩუმად!.. ხმა ჩაიწყვიტე ეხლავე!.. გაეთრიე აქედან!..

— მე ვიცი, რის ღირსიც ხარ, მაგრამ შენი ბატონის პატივისცემისთვის... — დაუმატა ილიამ.

— ილიკო, კმარა!.. — უცბად წამოიძახა გაფითრებულმა თინამ აკანკალებულის ხმით.

— რა გემართება, გენაცვალე? — მიუბრუნდა ცოლს ილია. — თავს ხომ არ გავცელი მაგ...

— რის ღირსი ვარ!.. სინჯეთ... ერთი!.. ბატონები!

ვე არ ვიცი პატონები...—ჩაილაპარაკა გულმოსულმა მოსამსახურემ და გარეთ გავიდა.

— რას მოვესწარით!.. ასეთი ქცევა მოსამსახურის!.. ნახეთ?...—ცხარობდა დიდგულაძის მეუღლე.

— იმას ეხლავე ვაჩვენებ, როგორ უნდა კადნიერება! ერთს წუთსაც არ გავაჩერებ ჩემს სახლში!..—სთქვა მასპინძელმა და მეორე ოთახში გავარდა.

— საოცარი გმირობა გამოიჩინეთ თქვენ!.. და გამარჯვებაც ხომ დაგრჩათ!..—შენიშნა ილიას გაბილაშვილმა, რომელსაც სახეზე აღშფოთება ეტყობოდა.

— თქვენთან, მგონი, არაფერი საქმე მაქვს!..—შედიდურად წარმოსთქვა ილიამ,—ან, იქნება, ის..თქვენი „ამხანაგია?" თუ ასეა...

— მაგით ვერავის დაამცირებთ!... თქვენი ამხანაგი რომ არ ვარ, ეს კი ცხადია...

— აჰ!.. თუ ღმერთი გწამთ!.. აგვაშორეთ!..—ძალდატანებულის სიცილით წამოიძახა ილიამ.

— ნუ გეფიქრებათ!..

— ყველას აზრი როდია საინტერესო!.. თურმე ვალდებული ვყოფილვარ მოსამსახურე ამხანაგად გავიხადო, მოვისვა გვერდში და სიტყვაც კი ვერ ვაკადრო.—იოხუნჯა ილიამ.

— თქვენგან მოსალოდნელიც არ იყო სხვანაირი ქცევა!.. მაგრამ მე მხოლოდ მაკვირვებს, რომ ეს ხდება იმ ოჯახში, რომელსაც დიდი ხანია პატივს ვცემდი! ადამიანის სრულიად უმიზეზოდ შეურაცყოფას, მისი პიროვნების გათელვას აქ გულგრილად, თითქმის სიამოვნებით შეხვდნენ; სამაგიეროდ შეურაცყოფილის მეტად თავდაჭერილმა პასუხმა ყველას აღშფოთება და რისხვა გამოიწვია...

— პატონო ბიქტორ! მეორწმუნეთ, ჩვენც ვიცით მოსაქმსახურის ყადრი!.. ჩემზე ვერავინ იტყვის, რომ არ ვზრუნავ მოსაქმსახურისთვის; ჩვენს ოჯახში ყველა ისე გრძნობს თავს, როგორც საკუთარს სახლში; მაგრამ არ არის რიგი, რო-

დესაც მოსამსახურეს მორიდება ავიწყდება... ყველაფერს თავისი წესი აქვს... მოსამსახურე მოსამსახურეს უნდა გვანდეს!..—უპასუხა მასპინძელმა.

— დიდს სიკეთეს კი უშვრებით თქვენ მაგათ ასეთის წაქომაგებით! თქვენგან წაქეზებულნი ეს უბედურნი უზომოდ კადნიერობენ; ამას შედეგად ის მოჰყვება ხოლმე, რომ უკეთესს შემთხვევაში ულუკმაპუროდ რჩებიან ქუჩაში...—შენიშნა გაბილაშვილს დიდგულაძემ.

— წარმოიდგინეთ, სათაკილოდ არ მიმაჩნია იმის თქმა, რასაც ჭეშმარიტებად ვსთვლი. შესაწყნარებელი არ არის ისეთი ყოფა ადამიანისა, როდესაც მას უენო პირუტყვის როლს აკისრებენ. დღეს ყველა სარგებლობს მუშის გაჭირვებით, გროშებით ყიდულობენ მის ძალ-ღონეს, ჯანს, მაგრამ ამას არ კმაროობენ: უზომოდ ავიკრებენ მოსამსახურის ადამიანურს პიროვნებას, შეურაცხყოფენ იმის საუკეთესო გრძნობებს... არა, შეტად უნუგეშოა ასეთი ჰდგომარეობა მოსამსახურისა, მაგრამ მან მაინც უნდა შეინარჩუნოს ადამიანური ღირსების შეგნება, რადგან მხოლოდ ადამიანს შეუძლია იბრძოლოს უკეთესი მომავლისათვის...

— ა, ბატონო!.. ამისთანა ლაპარაკმა აუბნია გზა-ყველი ხალხს!.. რა მოუვიდა ჩვენებურს გულუბრყვილო, პატიოსანს გლეხს? რა არ ჩაადენინეს მას!.. პეერგან ჯერაც ვერ მოვიდოდნენ გონს, რომ ყაზახების მაჯრახს არ ესწავლებინა ჭკუა!..—შენიშნა ვილამაც.

— რა უნდათ, რა უნდათ?..—დაიწყო წუწუნი ერთმა ხანში შესულმა მანდილოსანმა, როდესაც გლეხები ახსენეს,— რამ დააგიჟათ! იმუშავონ კვლავინდებურად, ლამაზადა... შემამულესაც დააკმაყოფილებენ და თითონაც არ გაუწყდებათ ლუკმა...

— რა აკლიათ?.. ნეფეები არიან...—ყეერი დაუკრა მეორემ თავის ქნევით.

— ჰოო, გენაცვა...

— ქვეყანა აოხრებულია... აუარებელი ხალხი გაგზავნეს

ცივს ქვეყნებში; ვინ იცის, რამდენი გამოესალმა წუთის სოფელს!.. საშინელი გაჭირვებაა ახლა სოფლად...—ჩაურთო სოფრომმა.

— ჩვენებურ მეტიჩარა არამზადებისაგან მეტსაც უნდა მოველოდეთ! ჯერ სადა ვართ!—აღელვებით დაიწყო გაბრიელ დიდგულაძემ,—მარტო ჩვენში თუ შეხვდებით ამისთანებს! სამწუხაროდ, ქართველები არიან... ეგენი ღუპავენ ქვეყანას! რა გვინდა, საით მივდივართ?.. უფსკრულისაკენ მივექანებით... იქამდის დავკნინდით, იქამდის დავეცით, რომ ჩვენი ხელითვე ვითხრით სამარეს... თავიანთი ბრიყვული ჟინის მოსაკლავად შეუწყნარებელს უწესოებას ახდენენ... ესღა უნდათ ჩვენს მტრებს!... ქვეყანა არივ-დარიეს, ხალხი გადაშენების გზაზე დააყენეს... ბატონო, შელახეს„ გარყვნეს ყველაფერი, რაც ჩვენთვის ძვირფასი და სათაყვანებელი იყო! ასეთი უკულმართი მიმართულება შეჰქმნა ჩვენმა ბედშავობამ!.. იმის ნაცვლად, რომ ხელი შეუწყონ ეროვნულს საქმეებს. ამ დუხჭირ მიმართულების უვიცი ადეპტები ხალხში ღვარძლს სთესენ... ყოველმა სისაძაგლემ ჩვენში უნდა იჩინოს თავი!.. ქვეყნის ინტერესები. უაღრესი საჭიროებანი მთელი ქართველი ერისა დაუკმაყოფილებელია და ამ დროს ასეთი წინდაუხედავი მოქმედება... რაღა უნდა იფიქრონ ჩვენზე?.. ან რა გასავალი ექნება ამის შემდეგ ჩვენს კანონიერს თხოვნას?.. ვინღა შეგვხედავს, რაკი ასეთი სახელი დავიმსახურეთ!.. არა, ეს შეუძლებელია!.. ჩვენ მოვალენი ვართ. მოვახსენოთ, სადაც ჯერ არს, რომ აქ ქართველობა, თვით ხალხი არაფერს შუაშია, რომ ეს ორიოდე უვიცის საქმეა!.. მე უკვე. გავმართე ამის შესახებ მოლაპარაკება... განზრახვა გვაქვს, შევადგინოთ საპატიო პირთაგან განსაკუთრებული დეპუტაცია, რომელიც წარსდგება...

— ხალხის სახელით ლაპარაკს მოერიდეთ, რადგან შესაძლოა ამან კიდევ მეტი უსიამოვნება მოგვაყენოთ!..—შენიშნა გაბილაშვილმა.

გაბრიელის სახეზე აღშფოთება გამოიხატა.

— ჩვენ თუ ხალხის სახელით რასმეს ვიტყვით, ეს საჭირო და სასარგებლოც იქნება მისთვის! ჩვენთვის უცხო არ არის ხალხის ჭეშმარიტი საჭიროებანი და ისიც ვიცით, თუ რა გზით უნდა მოვლა საქმეს, რომ იგი მართლა სასიკეთო დარჩეს ქვეყნისთვის... თავაშვებულ რეგვენების ფარფაში კი ქვეყანას მუდამ დიდს განსაცდელში აგდებს და სულ მთლად გადაშენებას უქადის!..—გაცხარებით შეუტია მან.

— ერთი ვიკითხოთ, ვინ არიან ეს ახირებული პროტესტანტები, ვინც ხალხის მეთაურობას ჩემულობენ?—დაკინვით იკითხა ილიამ და თვითონვე განაგრძო,—სხვა და სხვა სასწაულებლიდან გამორეკილნი, უმეცარნი, საეკვო ხალხი... ვისაც ფები ვერ მოუკიდნია ცხოვრებაში... აი. ამათ სურთ ყველხფრის გადატრიალება და გათანასწორება... მათ მოატყუეს უვიცი ხალხი, გაავრცელეს ყალბი აზრები, აიყოლიეს და... გადასჩეხეს... წარმოუდგენელი უვიცობა!.. რომელიმე მშიერი, რომელიც, ესთქვათ, დაიქირავეთ. რომელსაც ინახავთ, საშუალებას აძლევთ სიმშილით არ მოკვდეს, დღეს ამისთანა ქუჩის რაინდი თქვენ. თავის მხსნელს, უჩობას გიწევთ, კადნიერობს. რაღაცას გედავებათ... მაწანწალების სურვილია, წაბილწონ და გაათახსირონ ყველათერი; რაც მათზე მაღლა სდგას, წუმპეში ჩაითრიონ... საზოგადოება... მაგრამ ტყუილი ოცნებაა, ვერ შესძლებენ!..

— რასაკვირველია!..—დაემოწმა ერთი დამსწრეთაგანი.

— რა სათქმელია!.. როგორ უნდა გაითანასწოროს ადამიანმა ვიღაცეები... ნაყარ-ნუყარი... როდესაც იცი, გრძნობ, რომ მათზე შეუდარებლად მაღლა დგეხარ ყველაფრით!—გაწიწმატებით წამოიძახა ელენე დიდგულაძისამ.

— დარწმუნებული ვარ, რომ ისინი, ვისი იმედიც აქვთ, პირველ შემთხვევაზედვე ჩამოეცლებიან მათ, როცა სიმშილით კუჭი გაუხმებათ,—განაგრძო ისევ ილიამ,—ამისთანა ხალხს ბევრი არაფერი უნდა; იგი კმაყოფილიც იქნებოდა თავისი მდგომარეობით, რადგან მეტი მოთხოვნილება არა აქვს... აბრიყვებენ მათ, მაგრამ უნიადაგო ოცნების აყოლით

საარსებო ლუკმასაც კარგავენ... წარმოუდგენელია ისეთი ცხოვრება, სადაც მთელი საზოგადოება, ყველა მისი წევრი ერთს დარჯაკში იქნება მოქცეული, სადაც არავისი გარჩევა აღარ იქნება... ეს არასოდეს არ მოხდება! შეუძლებელია!.. ვინც ბრბოზე მაღლა სდგას, იმას მოთხოვნილებაც სულ სხვა აქვს... სიცოცხლესაც კი არ ვინდომებდი იმ თქვენს საზოგადოებაში! — განაგრძო ილიამ. — არა! ეს პიროვნების შეზღუდვაა... მაშინ ხომ ფასი დაეკარგა ნიჭს, ჭკუას, ცოდნას! პროგრესიც შეუძლებელი გახდება და კაცობრიობა გადაშენების გზას დაადგება. ეს სისაძაგლეა, ხალხის გარყვნაა, მისი გზა-კვალის აბნევაა... მე მესმის იდეიური ბრძოლა!.. აქ ჩვენ, რაღა თქმა უნდა, მზადა ვართ... აღვირახსნილ ნაძირალების მოქმედება კი უთუოდ უნდა ამოიფხვრას ძირიანად!..

— იდეური ბრძოლა, ალბად, ის არის, რომელსაც ეწევიან სხვა და სხვა დაწესებულებაში თბილ-თბილი ადგილებისთვის!.. მესმის თქვენი აღშფოთება!.. ცუდი დრო დაგიდგათ: თქვენი მყუდროება შეირყა... ხალხის შეგნება საფრთხეს უქმნიდეს მხოლოდ პარაზიტების განცხრომას და ტყუილად გვარწმუნებთ, თითქო ამით კაცობრიობის პროგრესს რაიმე განსაცდელი მოელოდეს! — დაიწყო გაბილაშვილმა, — პირიქით, საზოგადოებრივი ცხოვრება მხოლოდ მაშინ მოეწყობა ნორმალურად, როდესაც ბოლო მოეღება ამდენს სიყალბეს, სიცრუეს, გარყვნილებას და ადამიანისაგან ადამიანის დამონებას! ნიჭიც მაშინ მიიღებს შესაფერს მიმართულებას და უმწვერვალესად განვითარდება; ღირსეულად პატივცემული, უკვდავების შარავანდედით შემოსილი, იგი მოკაშკაშე ვარსკლავივით იბრწყინებს საზოგადოების საკეთილდღეოდ... ადამიანის გრძნობისთვის მხოლოდ მაშინ გახდება მისაწდომი ჭეშმარიტი მშვენიერება... ეგოისტური ანგარიშები და „გამორჩენის“ სურვილი ადგილს დაუთმობს სულ სხვა გულისთქმას... ეს, რასაკვირველია, გაუგებარია იმათთვის, ვინც მოხერხებულად მოიკალთა ცხოვრებაში...

— გვაპატიეთ, რომ მაწანწალები არა ვართ!..—მედიდურად წარმოსთქვა ილიამ და პირი მიიბრუნა, თითქო გაბილაშვილს სულაც არ ელაპარაკებაო.

— იფ! საუცხოოა!..—უცბად წამოიძახა მან. როდესაც თვალი შეასწრო სტოლზე ხილით სავსე ვაზას, აიღო ხელში მწვანიერი ატამი და, ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ. დაუმატა.—მე მგონია, ამისთანა ხილი მუშისთვის მეტია. მას პირდაპირ რუნის ეგა—ვინც წინააღმდეგს ამტკიცებს. ტყუილი ახირებაა!.. ყველას თავის შესაფერი მოთხოვნილება...

— უთუოდ ამასაც კაცობრიობის პროგრესი მოითხოვს!.. საბრალო კაცი! მუდამ იმის ფიქრშია. რომ გემრიელს ლუკმაში არაფერ ჩაეზიარაოს! აი, სადამდის მიდის მადა-გახსნილი ვაჯბატონების გულახდილობა!.. თქვენი სულის კვეთება ცხადია...—შენიშნა გაბილაშვილმა.

— ჩვენს სულისკვეთებას თავი დაანებეთ, თუ შეიძლება!. რა თქვენი საქმეა!..—წამოიძახა ილიამ და მის ხმაში სიბრაზე მოისმა.

— თქვენი პიროვნება, რასაკვირველია, საინტერესო არ არის, მაგრამ, როდესაც ასე ~~ულაცხად გამოლიხართ~~ და უწმაწური სიტყვებით შეურაცხყოფთ ხალხს, მის წმინდა მისწრაფებას, უტიფრად დასცინით მის გაჭირვებას, მაშინ არ შეიძლია არ შეგოგმახოთ: კმარა! მოწიწებით ილაპარაკეთ მშრომელს ხალხზე, რომლის ზურგზედაც თქვენ და თქვენისთანები სუქდებით!.. ამის შემდეგ თქვენ კიდევ შეგწევთ გამბედაობა, თქვენი თავი ქვეყნის ჭირისუფლად გამოაცხადოთ!..

— რა თავხედობაა!.. არ მსურს თქვენთან ლაპარაკი!.. გესმით?.. ჩორტ ზნაეტ, ჩტო ტაკოე!..—იფეთქა ილიამ,—ახლა. მოაგონდა მას, რომ მისი მოპირდაპირე სწორედ ის ყმაწვილი იყო, რომელმაც მას სასტიკი პასუხი გასცა ოდესღაც ერთ კრებაზე.

— თქვენ, იქნება, ბევრი რამ არ გესურდით, მაგრამ ~~ეგარ~~ გაგივათ დღეს!.. ყუოით გამოგათოვეენ სიხათლეზე, რომ თქვენი ნამდვილი სახე ცხადი გახდეს ყველასთვის!—აუღელვებით უპასუხა გაბილაშვილმა.

ამ სიტყვებმა აღაშფოთა ზოგიერთები.

— ყმაწვილო, ასე არ იქნება!..—შენიშნა დიდგულაძემ გაბილაშვილს.

— რა დროს მოვესწარით, გეთაყვა! სად გაგონილა ასეთი უწესრება!.. ყველაფერი ხომ არ გასწორებულა... არავითარი მორიდება!..—ჩაილაპარაკა ერთმა მანდილოსანმა.

ილია ჭარხალივით გაწითლდა, სიბრაზისაგან აირია და ველარაფერი სთქვა. მალე სტუმრები დაიშალნენ და ფუნცხალაძენიც შინისკენ წავიდნენ.

V

ამ საღამომ ძლიერ ცუდად იმოქმედა თინაზე. ახალგაზდა ქალი სწუხდა; მისი თავმოყვარეობა შელახული იყო: დღეს ილიამ ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა... უწესოდ იქცეოდა... საბაბი მისცა მოპირდაპირეს და ამანაც ისარგებლა... ბოლოს იძულებული გახადეს, გაჩუმებულიყო. ამ გარემოებამ მეტად დაამცირა ილია; იმ წუთში იგი სრული არარაობა იყო, უმწეო პირუტყვი, თითქმის ლეში, რომელსაც ენა ჩავარდნოდა მუცელში... თინა დარწმუნებული იყო, რომ დამსწრენი სწორედ ამ აზრისა იქნებოდნენ ილიაზე და ამის გამო ახალგაზდა ქალი სირცხვილით იწოდა...

იმ საღამოს მან რამდენჯერმე დააპირა ლაპარაკი, მაგრამ როგორღაც ვერ მოახერხა. მასში რაღაც ბრძოლა სწარმოებდა. გაუბედაობა ეტყობოდა. შემდეგ, როდესაც ყველაფერი გათავდა, თინას ძლიერ სწყინდა, რომ მონაწილეობა არ მიიღო ლაპარაკში და ვერ გამოსთქვა თავისი აზრი და შეხედულება საკამათო საგნის შესახებ... იგი ახლა დარწმუნებული იყო, რომ ამით რამდენიმედ მაინც აიცილებდა იმ დამცირებას, რომელიც ილიას ქცევამ მიაყენა...

დიდად აღელვებულია თინა ილიას საქციელით, მაგრამ მის გაბიაბრუებას იგი მთლად მაინც ვერ ურიგდება როგორღაც... ქვეყნისთვის ცუდი ალბად ილიასაც არ უნდა. მისი ქცევა, რასაკვირველია, დასაგმობია, მაგრამ შესაძლოა ყველაფერი ეს გაუგებრობის შედეგი იყოს... თინას ჯერ კი-

დევ სჯერა, რომ ილია შეიცვლის შეხედულებას და გულით მიეშველება იმ მიმართულებას, რომელიც მას მოუპოებს პატივიცემას და ნდობას. ასე ფიქრობდა თინა და ცდილობდა ამ მხრივ გავლენა მოეხდინა ილიაზე, დაემტკიცებინა მისი შეხედულების უმართებულება, მაგრამ ასეთი ცდა ყოველთვის უნაყოფოდ რჩებოდა: ამისთანა შემთხვევაში ილია ამბობდა, რომ მას მაინებლად მიაჩნია „სანტიმენტალური“ გრძნობა და „უნიადაგო ოცნება...“

ახალ საქმეს თინა თავდავიწყებით ეძლეოდა: ბევრს მეცადინეობდა განმარტოებით. ამისთანა წუთებში იგი სინამდვილიდან შორს, ძლიერ შორს იმყოფებოდა, იმ განსაკუთრებულს, უცხო სამეფოში, რომელიც მის ფანტაზიას შეექმნა. მაშინ მას ქვეყანა სულ სხვა სახით ეჩვენებოდა; მას უნდოდა, ადამიანი უმანკო არსებად წარმოედგინა, რომ მის მოქმედებაში რაიმე ბოროტი განზრახვა, სიყალბე და ძალმომრეობა არ დაენახა.

„რატომ ასე გულგრილად უყურებს ქვეყანა ადამიანის ტანჯვას, რატომ ყველა არ იზიარებს უბედურებაში ჩავარდნილის მწუხარებას?“ — გულის ტკივილით ეკითხებოდა თავის თავს თინა: მას სჯეროდა, რომ მხოლოდ ერთმანეთის გაუგებრობა და აქედან წარმომდგარი უსიამოვნება იყო მიზეზი ყოველგვარ უბედურებისა ადამიანთა შორის. მისი წარმოდგენით, შესაძლებელია ცხოვრების გარდაქმნა, ქვეყნად სამართლიანობის დამყარება; ამისთვის საჭიროა მხოლოდ იმ კეთილი გრძნობის განვითარება, რომლის ნასახი თვითეულს ადამიანში მოიპოება და რომელიც აკეთილშობილებს მას და შიმზიდველობას აძლევს ცხოვრებას.

თინა ფიქრობს, რომ იგი შეძლებისამებრ ემსახურება ამ დიად საქმეს, ხელს უწყობს ხალხში ამ გრძნობის გაღვიძებას. სალიტერატურო მოღვაწეობა მას ამხნევებდა; ამით ბედნიერი იყო იგი და ამისთანა წუთებში ხანდახან მას უნდოდა ქმრისთვისაც გაეზიარებინა თავისი გრძნობა; ეშვი არ ჰქონდა, რომ მისი საქმე ილიასთვისაც სასიამოვნო და სასიხარულო

იქმნებოდა: „გაიგებს, იგრძნობს...“ —გულწრფელად ფიქრობდა თინა. სრულიად დარწმუნებული, რომ მისი მეოხებით ილია შესძლებდა ამაღლებას, უფრო მაღალ მისწრაფებათა შეთვისებას, აღფრთოვანებით უკითხავდა ქმარს თავის ახალს ნაწარმოებს და გატაცებით უხსნიდა მომავლის გეგმას. მაგრამ ამისთანა შემთხვევაში ილია ისე იქერდა თავს, რომ ნათლად ეგრძნობებინა ცოლისათვის: არ იფიქრო, მაგას ვაფასებდე: ღირსეული კაცი მე ვარ, რომ ასე მოვაწყე ჩემი ცხოვრება. და შენი ბედნიერებაც სწორედ ის არის, რომ მონაწილეხარ ამ ცხოვრებისაო...

ამ გარემოებამ ისე იმოქმედა თინაზე, რომ იგი თითქმის მთლად ჩამოშორდა ქმარს, ეჩიდებოდა მას, როგორც უცხოს და განცალკევებით კიდევ მეტის გატაცებით განაგრძობდა მუშაობას.

VI

ამბობდნენ, ილიას უყვარდა თინაო; მე კი ვიტყვი, რომ ეს მეტად ახირებული—ხიყვარული იყო. ილია ცდილობდა. თავისი ოჯახური ბედნიერება მკვიდრს ნიადაგზე დაემყარებინა. ამისთვის მას საჭიროდ მიაჩნდა, რომ თინა ხარბად, მთელი არსებით დასწაფებოდა იმ სიტკბოებას, რომლის დაუშრეტელს წყაროს, ამ კაცის აზრით, მის მიერ შექმნილი ოჯახური კეთილდღეობა წარმოადგენდა. იგი ბეჯითად არიდებდა ცოლს ყველაფერს, რაც მას სხვა ინტერესს აღუძრავდა და, ასე თუ ისე, ამ კეთილდღეობის მიმზიდველობას შეასუსტებდა. ვერც იმ აზრს ურიგდებოდა ილია, რომ მისი ცოლი მასზე მაღლა მდგარიყო საზოგადოების თვალში... თინას სამწერლო ასპარეზზე გამოსვლამ უსიამოვნო ფიქრები აუშალა მის ქმარს. თუმცა ილიას შეუფრყეველად სწამდა თავისი თავის ძლევა-მოსილება, იგი მაინც შეშფოთდა როგორღაც... მას უცნაური ეჩვი აღეძრა მომავალზე...

— თინიკო, კიდევ? თუ გიყვარდე, მოიშალე ეს... სადაურია!.. თითქო მგლოვიარეთ იყო, ისე ხარ დაღვრემილი...

არ მესიამოვნება, არა, არა...—ხუმრობის კილოთი უსაყვედურა ერთხელ ილიამ ცოლს.

— გააჭირე საქმე!..—ცივად უპასუხა თინამ.

— ოჰოო!.. გაჯავრდა კიდეც!.. აბა, დავიწყოთ ახლა ბუტიაობა; მიზეზი არა გვაქვს თუ! ხუმბრობა ხომ არ არის: დიდს გაჭირვებას ვითმენთ...

— თავი დამანებე, თუ ღმერთი გწამს!—უსიამოვნოდ შენიშნა თინამ,—მომაბეზრებელია...

— კარგი, თინიკო, ნუ ცხარობ!.. ნუთუ მართლა არ შეიძლება ჩემს ოჯახში კმაყოფილებას ვგრძნობდე!.. ეს მთლად შენზეა დამოკიდებული, გენაცვალე... ჩვენ ყველაფერი ხელს გვიწყობს, რომ დაკმაყოფილებთ სიცოცხლით... არაფერს მოვიკლებ ცხოვრებაში, იმდენი შემიძლია... ქვეყანა შემოგვნატრის... შენ კი... შენც უნდა აფასებდე, ჩემო კარგო... ამ მეცადინეობამ ლამის მთლად შეგიცვალოს ხასიათი... რასაკვირველია, ასეთი უმანკო ვარჯიშობა დასაძრახი არ არის: ვინ ამბობს, ხან და ხან, თავის შესაქცევად... სხვა მნიშვნელობას კი ნუ მივცემთ,—ღიმილით დაუმატა ილიამ,—ამით ქვეყანა არ აშენდება... მაგრამ გადაჭარბება არ ვარგა... უნდა ერიდო ყველაფერს, რაც დაგაბრკოლებს შენი პირდაპირი მოვალეობის შესრულებაში. ყოველი გარეშე საქმე იმდენად უნდა გეინტერესებოდეს, რამდენადაც ეს ხელს შეუწყობს ჩვენი ბედნიერების განმტკიცებას... ამას ითხოვს შენგან ცოლისა და მეგობრის მოვალეობა... მე ვზრუნავ ჩვენს საერთო კეთილდღეობისთვის და, ვფიქრობ, შესაფერი ნაყოფიც მოაქვს... ოჯახში კი სიამოვნებას ველი; ამის უფლება მაქვს, მგონია...

— მეც მექნება, ალბად, რაიმე უფლება!.. თუნდა ის მაინც, რომ ჩემი გრძნობით ვიხელმძღვანელო! ვფიქრობ, სინიდისს არ ვღალატობ ამით!..—გაცხარებით წამოიძახა თინამ.

— კარგი! ახლა დავანებოთ ამას თავი, გეტყობა, როგორღაც ვერა ხარ დღეს გუნებაზე... ეკვი არა მაქვს, კარგად

ოომ დაფიქრდე, ასე აღარ ილაპარაკებ; თითონ დარწმუნდები, რომ ჩვენი ბედნიერებისთვის სხვა გვარი ქცევაა საჭირო...

ილია გაჩუმდა; მას აშკარად დაეტყო უკმაყოფილება. იგი ხედავდა, რომ ცოლთან მისი განწყობილება თან-დათან ისეთს ხასიათს ღებულობდა, რომ ხშირად იძულებულს ხდიდა მას თავი შეეკავებინა... თავისი თავის მუდამ კმაყოფილს, ნებიერობას ჩვეულს, მეტად აბრაზებდა ეს გარემოება. ილია შეეცადა დაეფარა აღელვება, მაგრამ ვერ შესძლო; მას ახლა როგორღაც მისი სხეულიც კი არ ემორჩილებოდა: თვალები აევლვრა, მოშვებული ტუჩები აუთრთოლდა... იმ წუთში თინაზე ისეთს შთაბეჭდილებას ახდენდა ილია, თითქო ამ კაცში ადამიანის ადგილი ვნებით შეპყრობილს ცხოველს დაუჭერიაო.

„შენი ქმარია, შენი!..“ —ჩასწივის თინას ყურში იდუმალი ხმა, და მას აგონდება ახლო წარსულიდან ასეთი შემთხვევა: ახლად ჯვარ-დაწერილნი ის და ილია ერთხელ სასეირნოდ გამოვიდნენ; ხელიხელ გაყრილნი მიდიოდნენ. უცბად ვიღაც ქუჩაში მიმავალი თინამ ერთს თავის ნაცნობს მიამსგავსა და საშინელი უხერხულება იგრძნო, ჭარხალივით გაწითლდა; მაგრამ შეცდომა მალე გამოირკვა და ქალი დამშვიდდა. შემდეგ გულიც გაიმაგრა: „მაინც რა მიშავს, ხომ კანონიერია... კანონიერთან ხომ არ არის სირცხვილი...“ —გაუელვა მაშინ თავში. „სისაძაგლე!“ — ბრაზმორევით გაიფიქრა ახლა თინამ თავის თავზე და უსიამოვნოდ გადახედა ქმარს.

VII

უკანასკნელი დროის დაკვირვებამ დიდი გავლენა იქონია თინაზე. მანამ ილია არ უშლიდა მას განმარტოებით მეცადინეობას, ქალი ხშირად თავდავიწყებას ეძლეოდა. იგი სიყვარულით უყურებდა მთელს ქვეყანას და მხურვალედ სურდა ყველასთვის სრული ბედნიერება... რასაკვირველია, ილიასაც ლმობიერად უყურებდა. ამ დროს თინა თითქო მზად იყო, დაევიწყნა მისი ნაკლულევანებანი... ვინ იცის, ახალგაზდა ქალი იქნება საბოლოოდ შერიგებოდა თავის მდგო-

მარეობას და არ დაეღლია ქმრის მყუდროება... მაგრამ ეხლა, როდესაც იმ ერთად-ერთს თავშესაფარს, რომელშიაც თინა ზნეობრივ კმაყოფილებას ხედავდა, დანგრევას უპირებდნენ; როდესაც იგი დარწმუნდა, რომ მისი ნაშრომის მნიშვნელობას განზრახ ამცირებდა ილია, თინამ მწვავედ იგრძნო თავისი მდგომარეობა, სიდუხჭირე იმ ცხოვრებისა, რომელიც მის შთანთქმას ლამობდა...

ილიას პიროვნებამ ახლა უფრო გარკვეული სახე მიიღო თინას თვალში. ახალგაზდა ქალი თითქო ღრმა ძილისაგან გამოეღვიძა; მახლობელი წარსული ახლა ეჯავრებოდა, როგორც უსიამოვნო, დამამცირებელი მოგონება... მას რცხვენოდა წინანდელი გრძნობის... სასტიკად ჰკიცხავდა თავის ქცევას, გმობდა იმ გაუბედაობას, რომელმაც მას თვალი დაახუჭვინა სინამდვილეზე...

ასეთი იყო თინას სულიერი განწყობილება იმ დროს, როდესაც მან ფეხმძიმობა იგრძნო. ახალგაზდა ქალი შეძრწუნდა. ამ გარემოებას ისე შეხედა თინამ, როგორც მისი დამცირების და შეურაცხყოფის ახალ წყაროს. „ეყვარება კი მას შვილი? რას ითხოვს მისგან ახალი ვითარება?“ ეს კითხვები უსიამოვნოდ აღელვებდა მას ახლა. საზიარო მოვალეობა, საერთო საზრუნავი... ეს ხომ ქმართან დაახლოვებას, წინანდელ დამოკიდებულების განმტკიცებას მოასწავებს; ამას კი გაურბის ახლა თინა... მას არც უნდა გაანდოს ილიას თავისი საიდუმლოება... ილიას ახალი საბუთი ეძლევა... იგი უთუოდ მოინდომებს თავისი მიზნის შესაფერად გამოიყენოს მისი მდგომარეობა... თინა აღელვებულია; სხვა და სხვა დროის შთაბეჭდილება თავს იყრის მის მეხსიერებაში და განსაზღვრულს სურათს იძლევა... თინას გულში განსაკუთრებულის სიძლიერით იფეთქა ახლა ილიას საწინააღმდეგო გრძნობამ; მას აღეძრა სურვილი წინააღმდეგობის, ბრძოლის...

ამას ხელი შეუწყო სხვა გარემოებაც: უკანასკნელ შეტაკების შემდეგ გაბილაშვილი კიდევ უფრო ამხედრდა ილიას წინააღმდეგ. „ნუთუ ამისთანა კაცი მრთლა უყვარს

თინას?“ —ეკითხებოდა თავის თავს განცვიფრებული ბიქტორი, — „შეუძლებელია!.. შემაძრწუნებელი გაუგებრობაა.!. არა! კიდეც რომ უყვარდეს... გაგიჟებითაც რომ უყვარდეს, ჩვენ ვალდებული ვართ თვალი აუხილოთ თინას, დავანახოთ მისი შეუწყნარებელი შეცდომა, ყოველი ღონე ვიხმაროთ და გაუჭარწყლოთ ეს გრძნობა, რომ აღსდგეს, განიკურნოს... ხალხს უნდა დაუბრუნდეს მოღვაწე...“

ბიქტორს უნდოდა, რომ თინას აქტიური მონაწილეობა მიეღო იმ მუშაობაში, რომელიც მას სულიერად დაუკავშირებდა ხალხის ნამდვილს მეგობრებს. გაბილაშვილის რჩევით ჯგუფმა, რომელსაც მიზნად ჰქონდა სახალხო კითხვების, ლექციების და წარმოდგენების მართვა, თინასაც სთხოვა დახმარება. ამასთანავე მას აგრძნობინებს, რომ შეუფერებლად მიაჩნიათ მისთვის ის წრე, რომელშიაც იგი დღეს იმყოფება. „მშრომელი ხალხის ჭეშმარიტი გულშემატკივარი იმ მუშაკთა რიგში უნდა იდგეს, ვინც ამ ხალხის იდეალისთვის იბრძვის“ ო, ეწერა სხვათა შორის იმ ბარათში, რომელიც თინას გაუგზავნეს.

ამ სიტყვებმა მეტად ააღელვა თინა; „სათაკილოდ სთვლიან ჩემს მდგომარეობას... მალე უარესსაც მოვესწრები, თუ არაფერი ვიღონე...“ გაიფიქრა თინამ. მას ძლიერ სწყინდა ახლა, რომ აქამდის თითონ ვერ დაადგა გარკვეულს გზას, სანამ სხვებმა არ მიუთითეს... შეურაცხყოფილ თავმოყვარეობის აღსადგენად, მას უნდა ახლა იყვიროს ხმამაღლა, ქვეყნის გასაგონად, რომ იგი არას დროს არ ყოფილა ილიას თანამოაზრე, სულაც არ ამართლებს მის ქცევას და იოტის ოდენადაც არ იზიარებს მის მისწრაფებათ...

თინა ახლა მხოლოდ შემთხვევას უცდიდა...

VIII

კვირა დღე იყო. ერთს დიდს დარბაზში ხალხი თავს იყრიდა. აქ დანიშნული იყო დამფუძნებელი კრება იმ ახალ საზოგადოებისა, რომლის მოთავეობასაც დიდგულაძე და სხვები ჩემუ-

ლობდნენ. კრება ჯერ არ გახსნილიყო. დამსწრეთა შორის ზოგიერთებს აღელვება ეტყობოდათ. აქა-იქ მოლაპარაკება სწარმოებდა. აგერ მოპირდაპირეთ გაცხარებული კამათი გაუმართავთ: მეორე ჯგუფში უთანხმოება ლამის ხელჩართულ შეტაკებად გადაიქცეს... ფუნცხალაძე მოუსვენრად ტრიალებს.

— უნდა ვეცადოთ, რომ ქუჩის ხალხი არ შეეოგვეპაროს საზოგადოებაში!—გადულაპარაკა ილიამ ერთს თავის მეგობარს,—არ უყურებ, როგორ აწვებიან...

— ქუჩა კი ვერ შემოვა, მაგრამ სიფრთხილე მაინც გვმართებს... რაღა თქმა უნდა, მზად უნდა ვიყვეთ ყოველ შემთხვევისთვის...—უპასუხა იმან. ხალხი ბლომად შეგროვდა და კიდევ ემატებოდა. მალე დარბაზი გაიჭედა, მაგრამ მოთავეები ყოყმანობდნენ, თითქო რაღაც გიუბედაობა ეტყობოდათ. ბოლოს გაისმა ზარის წკრიალი. თავმჯდომარის ალაგი დიდგულაძემ დაიჭირა და შემდეგი სიტყვებით მიმართა დამსწრეთ:

— ბატონებო! დღეს უნდა შესდგეს დამფუძნებელი კრება ჩვენი კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებისა. რომლის წესდება უკვე დამტკიცებულია სათანადო მთავრობისაგან. რადგან წევრთა კანონიერი რიცხვი გამოცხადდა, კრებას გახსნილად ვაცხადებ.

— ავირჩიოდ კრების თავმჯდომარე! —შენიშნა ვილამაც,

— ავირჩიოთ, ავირჩიოთ! —მოისმა რამდენიმე ხმა.

— ჩვენ უკვე გვყავს თავმჯდომარე: გაბრიელ დავითის ძე დიდგულაძე: საზოგადოების წევრები მას ვირჩევთ...—წამოიძახა ილიამ.

— თავმჯდომარეს ირჩევს მთელი კრება და არა ერთი მცირე ჯგუფი! ეს ნუ გავიწყდებათ!..—იყო პასუხი.

— ბატონებო! უნდა მოგაგონოთ, რომ დღევანდელ კრებას შეადგენენ მხოლოდ დამფუძნებელი წევრები: ასეთებათ კი ისინი ითვლებიან, ვისაც ხელი უწერია წესდებასა და ნებართვის თხოვნაზე.—განმარტა დიდგულაძემ.—ეხლა უნდა ავირჩიოთ საზოგადოების გამგეობა და სარევიზიო კო-

ბისია. ვსთხოვ წევრებს, განცალკევებული ადგილი დაიჭირონ წინ, რომ მოხერხებული იყოს...

ამ განცხადებამ უკმაყოფილება გამოიწვია კრების ერთ ნაწილში. გაბილაშვილმა ლაპარაკი მოინდომა, მაგრამ იგი შეაჩერა დიდგულაძემ:

— თქვენ წევრი არ ბრძანდებით, ამიტომ ლაპარაკის ნებას ვერ მოგცემთ! წესდების ძალით...

— გარეშე პირების ჩარევა შეუძლებელია! ეს უწესოებაა...—დაემოწმენ მას მომხრეები.

— აქ გარეშენი არ არიან: ჩვენ საქმისთვის მოვედით... თქვენ საშუალებას გვისპობთ... — მოისმა ხმები.

— საჭიროა გამოვარკვიოთ... —დაიწყო ვილაცამ; მოწინააღმდეგენი შეეცადნენ ჩაეჩუმებინათ იგი, მაგრამ მოლაპარაკემ, რომ დაეფარა ხმაურობა, უფრო ხმა-მაღლა, ყვირილით და მტკიცედ განაგრძო:—არავის არ შეუძლია ლაპარაკი აგვიკრძალოს აქ; ჩვენ ეხლავე შემოვდივართ წევრებათ... ამიტომ უფლება უნდა გვქონდეს...

ამ აზრის მომხრე გამოდგა დამსწრეთა უმრავლესობა, ილია და მისი თანამოაზრენი კი სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ ამას. ასტყდა ხმაურობა, აურზაური. დიდგულაძე კრების დახურვით იმუქრებოდა. ბოლოს, როგორც იყო, შეთანხმდნენ: იმათ, ვინც იმ დღეს წევრად ჩაეწერებოდა, კამათში მონაწილეობის უფლება ეძლეოდა. ამის შემდეგ პირველათ გაბილაშვილმა ილაპარაკა.

— ჩვენ იმ თავიდანვე გულწრფელად გვსურდა მხურვალე მონაწილეობა მიგვეღო ამ საქმეში,—განაცხადა, მან—მაგრამ ყოველი ღონისძიება იხმარეს, ხელი შეეშალათ ჩვენთვის... არა ერთხელ ჩაშალეს კრება, რომელსაც ჩვენ დავესწარით და შემდეგ ფარულად შეადგინეს და დაამტკიცებინეს უგვანო წესდება, რომ თავიდან მოეშორებინათ მათთვის არა სასიამოვნო ხალხი. რისთვის მოიქეცით ასე?—მიუბრუნდა იგი მოპირდაპირეთ,—ეს ხომ თქვენი შინაური, საოჯახო საქმე არ იყო? ამ საზოგადოების დანიშნულება ხომ ხალხის

საჭიროებათა დაკმაყოფილებაა?.. თუ ეს ასეა, თუ თქვენი საზოგადოებისადმი მიმართვა გულწრფელი და მართლა საქმის სიყვარულით არის გამოწვეული, რად შეკრთით, როდესაც ჩვენ თქვენთან მუშაობა განვიზრახეთ? რად ელობებით წინ ჩვენს სურვილს? ამაო ცდაა!.. სახალხო საქმე თვით ხალხის ფართო მონაწილეობით უნდა კეთდებოდეს; ჩვენ კი ამ ხალხთან ვართ და ვიქნებით ყველგან. თქვენ ვერ შესძლებთ ჩვენს გათიშვას!.. აქ დამსწრეთ გვესურს საზოგადოების წევრობა. წინადადებას ვიძლევი: ჯერ მიღებულ იქნენ ახალი წევრები და შემდეგ მათი მონაწილეობით მოხდეს არჩევნები გამგეობისა. როდესაც ასეთს მოთხოვნას ვაყენებთ, ხახეში გვაქვს ის გარემოება, რომ დღეს „საზოგადოებას“ შეუძლია მიიღოს წევრებათ ისეთი პირები, რომლების არჩევა გამგეობაში ფრიად სასარგებლო იქნება; თქვენი განზრახვა კი ამას ელობება წინ.—ამ წინადადების გამო მეტად ცხარე კამათი გაიმართა.

— ეს არ შეიძლება!—შენიშნა დიდგულაძემ,—ახალი წევრების მიღება დღის წეს-რიგში უკანასკნელად არის მოხსენებული...

— მე სწორედ ამ წეს-რიგის შეცვლას მოვითხოვ, —უპასუხა გაბილაშვილმა.

— შეუძლებელია, ბატონო! გამგეობას დამფუძნებელი წევრები ირჩევენ... შემთხვევით მოსულ ხალხს ვერ ჩაუგდებთ ხელში საქმეს... ეს უწესოებაა... საქმის ინტერესი მოითხოვს...

— საკვირველია, რომ ასე უკუღმა გესმით ყველაფერი! როგორ გავიგოთ თქვენი მოწოდება? იმის მაგივრად, რომ ბალხი მიიზიდოთ და საქმეში ჩააბათ, თქვენ მას გარეთ ერეკებით... აქ არიან ისეთი პირები, რომელთაც შეუძლიათ სამსახური გაუწიონ „საზოგადოებას“... ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მათი მონაწილეობა. ვინც ამ საქმეს სათავეში ჩაუდგება, უთუოდ ხალხის ნდობით უნდა იყოს აღჭურვილი. ჩვენ მოვითხოვთ, ებლავე მიიღონ წევრები...

— კარგად ვიცით თქვენი განზრახვა!... საქმე სულაც არ გაინტერესებთ. თქვენი სურვილი სულ სხვაა... აქ შემოდიხართ იმ მიზნით, რომ თქვენებური სული და არევ-დარევა შემოიტანოთ საქმეში, ხელი შეუშალოთ მის განხორციელებას... დემაგოგიური სიტყვებით ცდილობთ ხალხში უკმაყოფილება აღძრათ, გააბრიყვოთ, აიყოლიოთ, როგორც ცხვრის ფარა...—დაიწყო ფუნცხალაძემ, მაგრამ ვერ დაასრულა, რადგან მისმა სიტყვამ ბევრის უკმაყოფილება გამოიწვია. დარბაზში კვლავ ხმაურობა ასტყდა.

— ვინ არის, ასე თავხედურად რომ ლაპარაკობს?..— გაბრაზებით წამოიძახა ვილამაც.—ჩვენ არავის არ მივცემთ ნებას!..

— ბატონო თავმჯდომარე! ნება მიბოძეთ... მეც მსურს ცოტა რომ ვსთქვა...— უცებ მოისმა ქალის ათრთოლებული ხმა.

დიდგულაძემ მედგრად ააწკარუნა ზარი და, როდესაც ცოტაოდენი სიწყნარე ჩამოვარდა, მიმართა მანდილოსანს:

— ბძანეთ!

ყველამ მოიხედა, რომ მოლაპარაკე დაენახათ. უკანა რიგის სკამებს შუა იდგა აღელვებულის სახით თინა ფუნცხალაძისა. მის დანახვაზე ილია უნებლიედ შეკრთა; იგი მთლად დარწმუნებული არ იყო, რომ დღეს გამარჯვება მას დარჩებოდა; ამიტომ ხერხიც იხმარა, რომ თინა არ დასწრებოდა დღევანდელს კრებას. მაგრამ ანგარიში არ გაუმართლდა. ცოლის გაბედულმა ქცევამ ილია დააფიქრა და თან ცნობის მოყვარეობაც აღუძრა; თინა დღეს პირველად ლაპარაკობდა მრავალ-რიცხოვანი კრების წინაშე; რას იტყოდა იგი. როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა საზოგადოებაზე? ეს უსიამოვნოდ აღელვებდა ახლა ილიას... „ჩუმად! მწერალი ქალი ლაპარაკობს!“ „იმის ცოლია. ფუნცხალაძის,“ „ვნახოთ, ეს რალას იტყვის!..“—ერთწამს გაიხმაურეს აქა-იქ და მალე დარბაზი სრულმა სიჩუმემ მოიცვა.

— მე არ შეშიძლია, არ გამოვსთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რაც აქ ხდება,—დაიწყო თინამ და მისი წკრიალა ხმა

ახლა უფრო ჭაფიოდ გაისმა,—ზოგიერთების ქცევა პირდა-
პირ ამცირებს დღევანდელს კრების ღირსებას!.. დიდად საე-
ჭვოა, რომ ამისთანა პირების მოღვაწეობა ხალხს მალამოდ
მოეცხოს... მაგრამ, მაგარი სიტყვების წამოძახება და მოპირ-
დაპირის შეურაცხყოფა იმას კიდევ არ ამტკიცებს, რომ ჩვენ
მართლა წმინდის გულით ვართ მოწადინებულნი, სამსახური
გავუწიოთ ქვეყანას... მაგრამ ჯერ ეს ვიკითხოთ: განა ყვე-
ლას გაახარებს გულწრფელად დაბეჩავებული მოძმის სიკეთე,
მისი ქეშმარიტი წარმატება?.. განა სინანულის მოტრფიალეა
ის, ვინც ხალხს ეუბნება: შენს საქმეს შენ თითონ ნუ მიხე-
დავ, შენი ბედისთვის სხვამ იზრუნოს და მაშინ ჩავარდები
კეთილდღეობაშიო?.. არ მგონია, რომ თვით იმ ბანაკში,
სადაც ამდენს გულშემატკივრობას იჩენენ ხალხისადმი, ბევრს
სჯეროდეს. ვითომც ამ გზით შესაძლებელი იყოს ქვეყნის
გაბედნიერება! აბა, ამისთანა გულუბრყვილობას ბევრს ვერ
დავწამებთ!.. მათ კარგად იციან, რასაც სჩადიან. ხალხის
მსჯავრს მუდამ უფრთხიან ისინი, ვინც მხოლოდ ქვეყნის
მესახედავად ეპოტინება საზოგადო საქმეს. ვისაც იგი სულ
სხვა ანგარიშებისთვის უნდა!.. აქ სურთ სახალხო საქმე ხალ-
ხის დაუკითხავად აწარმოვონ, ისე რომ მათი მოქმედება ბუ-
რუსით დარჩეს მოცული. ჩვენ კარგად ვიცით ამისთანა
მოღვაწეობის ფასი... რისთვის აბის ატეხილი ამდენი ხმაუ-
რობა? ეს მხოლოდ უგვანო თვალთმაქცობაა. სულ სხვა მი-
ზნით მოგონილი. საქმის სიყვარული აქ არაფერს შუაშია...
ცხოვრებით კმაყოფილი, პირადის კეთილდღეობით განებივ-
რებული მუდამ წინააღმდეგი იქნება იმისი, რომ დაჩაგრული
ადამიანი წელში გაიმართოს და ყველაფერში მას გაუთანას-
წორდეს... მაგრამ ხალხი თვით უპატრონებს თავის საქმეს;
იგი აუცილებლად უნდა შეეჩვიოს თვითმოქმედებას, რომ
თვითონვე განაგოს თავის ბედი... ვინც ამას უარყოფს, იგი
სასტიკად შეურაცხყოფს ხალხს, იგი მოსისხლე მტერია მისი!...
როგორც ქალი, როგორც წევრი საზოგადოებისა, ღრმა

აღშფოთებას ვაცხადებ იმის გამო, რომ აქ ასეთის კადნიერებით ცდილობენ თვალი აუბან ხალხს!—

თინამ პირი მიიბრუნა იქით, სადაც ილია და მისი თანამოაზრეები იყვნენ:

— ბატონებო! უნდა იცოდეთ, რომ დღეს ხალხი შეუგნებელი ცხკრის ფარა აღარ არის, როგორც აქ განაცხადეს; იგი უკვე დაინტერესებულია თავისი საქმეებით და ამიტომ თქვენს მოლვაწეობას აღარ ინდომებს! ჩამოეცალეთ საზოგადო საქმეს!... დაე, მთლად ცარიელი დარჩეს ასპარეზი, თუ დღეს არ არიან შესაფერი მოღვაწეები... მე მწამს მშრომელი ~~ხალხის ძალა~~: ადრე თუ გვიან იგი თვით წარმოშობს გმირებს. ნამდვილს უანგარო მოღვაწეთ, ვინც წმინდის გულით და წრფელის განზრახვით თავდადებულ სამსახურს გაუწევს ჩაგრულთა საქმეს...

• ხანგრძლივმა ტაშის ქუხილმა დაჰფარა უკანასკნელი სიტყვები. აქეთ-იქიდან მოწონების ხმა მოისმა. თინას ქცევამ ყველა გააკვირვა. ილია ჰარბალიევით გაწითლდა: ცოლის სიტყვა მეხივით დაეცა მას: იგი გონს ვერ მოდიოდა; მხოლოდ ბუნდოვანად გრძნობდა რაღაც დაწყეველილს გარემოებათა ძალას, რომელმაც მას ცოლი ჩამოაშორა, მოსტაცა; სად, როდის და რა გვარად მომზადდა ეს პირობები, ვინ ან რა იყო მისი უბედურების, შერცხვენის მიზეზი? ეს ნათლად არ ესმოდა მას იმ წუთში...

— კარგს მთქმელს კარგი გამგონიც უნდა! შესძლებთ კი?...—აღტაცებით წამოიძახა გაბილაშვილმა, როდესაც ხმაურობა რამდენადმე მიწყნარდა და თვალი ილიას მიაპყრო.

უკანასკნელს მეტიც აღარ უნდოდა.

— მაწანწალა!.. ავაზაკი!..—უცებ შემარყეველის ხმით დაიღრიალა მთლად აცახცახებულმა ილიამ და სახე-შეშლილი, ერთიანად გაფითრებული ანგარიშ მიუცემლად გაბილაშვილისკენ წამოვიდა.

ვეებერთელა დარბაზი ერთბაშად აბობოქრებულ ზღვას დაემსგავსა. ასტყდა ჩოჩქოლი. სხვადასხვა მხრიდან ცოცხალი

ტალღები დაიძრა... თვალის დახამხამებაში საიდანღაც გაჩნდა ის ახალგაზდა მოსამსახურე, რომელსაც ილიამ კუდამელიძისას შეურაცხყოფა მიაყენა. თავი თუ არ გებრალება, ფეხს გადასდგამ აქედან!—დაიქექა მან და ფუნცხალაძეს გზა მოუჭრა. მაგრამ ამ დროს ილია შეაკავეს მისმა მომხრეებმა: იგი მაინც არ სცხრებოდა, შფოთავდა, იქაჩებოდა. „ნაძირალი!... არამზადა... ქუჩის... მშიერი მაწანწალა“..—ისმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

— გაუშვით!.. რას იჭერთ... გაიყვანეთ!.. ადამიანების კრებაში მხეცებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ!...—ყვიროდა გაბილაშვილი.

საერთო მღელვარებამ უმაღლესს წერტილს მიაღწია. უზომო ხმაურობისაგან შეუძლებელი იყო გაგერჩიათ, ვინ რას ამბობდა. დიდგულაძე და კუდამელიძე შეწუხებულნი ტრიალებდნენ გაწიწმატებულს ხალხში „დამშვიდდით, ბატონებო, არაფერია, დამშვიდდით!... სირცხვილია, თავი მოგვეჭრა...“—აშოშმინებდნენ ისინი ყველას, ვისაც კი მისწვდებოდნენ. ამასობაში პოლიციის მოხელეც გაჩნდა.

— კანონის ძალით მოვითხოვ დაცალოთ დარბაზი!.. აქ კრება აღარ არის...—განაცხადა მან; მაგრამ არც ამან გასჭრა. მოხელემ ხელმეორედ მისცა ხალხს წინადადება და პოლოს მუქარასაც მიმართა...

აღშფოთებული საზოგადოება ნელ-ნელა დაიშალა.

IX

უკანასკნელმა უსიამოვნო შემთხვევამ ცუდ გუნებაზე დააყენა ილია. ასეთი შეურაცყოფა, დამცირება მას ჯერ არ გამოეცადა ცხოვრებაში. მართალია, არა ერთხელ მოსვლია მას შეტაკება მოწინააღმდეგეებთან, რომელთაც ხშირად შეუმკიათ იგი, მაგრამ ამისთანა უსიამოვნებას იგი იმდენად ანგარიშს არ უწევდა: ყოველთვის მედიდურად ეჭირა თავი და მათ აზრსაც თითქო არაფრად აგდებდა; მან კარგად იცოდა, რომ იმათი პასუხი, ვისაც მუდამ „ნაძირალების“ სახე-

ლით იხსენიებდა, პატივისცემას და თანაგრძნობას ვერ დაუკარგავდა იმ წრეში, რომელსაც იგი ეკუთვნოდა. მაგრამ დღევანდელმა მარცხმა ილიაზე ძლიერ იმოქმედა. დღეს ყველამ ცხადად დაინახა, რომ თინამ აშკარად გაილაშქრა ქმრის წინააღმდეგ, სასტიკად დაგმო ის მამართულება, რომელსაც უკანასკნელი ასეთის თავგამოდებით იცავდა. ეს გარემოება კი უხერხულს მდგომარეობაში აყენებდა ილიას...

რადა თქმა უნდა, ილიას მომხრეები ბეჯითად ჰკიცხავდნენ თინას ქცევას, როგორც ყოვლად ურიგო მოქმედებას... ილიას უფრო ის აბრაზებდა, რომ მის მოწინააღმდეგეთა ბანაკში თინას სიტყვა განსაკუთრებულს სიამოვნებას იწვევდა. თუ წინადაც გულგრილად ვერ უყურებდა ილია იმ მიმართულების ხალხს, რომლის მისწრაფებას დიდ უწესოებად აცხადებდა, დღეს პირდაპირ აუტანელი გახდა მისთვის იგი. ცოლის მოქმედებაში ილიამ მტრული განზრახვა დაინახა: უდიდესი შეურაცყოფა სწორედ ამან მიაყენა საქეყნოდ...

ამ მოულოდნელმა შემთხვევამ ისე გააბოროტა ილია, რომ მაშინვე მოინდომა სამაგიეროს გადახდა. მაგრამ შემდეგ დაფიქრდა: ახლა აღარ ჩქარობდა განზრახვის შესრულებას, რადგან არ იცოდა, რა შედეგი მოჰყვებოდა ამას. მომხდარ უსიამოვნების შემდეგ იგი ლაპარაკსაც კი ვერ ახერხებდა თინასთან: არ იცოდა, რომელი სიტყვა ეხმარა, რა ენილოთი დაეწყო...

ილია დაიბნა: აქამდის იგი თავს ლაღად გრძნობდა შინ და გარეთ: დღეს კი თითქო უმტყუნა ბედმა... რად მოხდა ეს? ილიას არ ესმოდა ამის მიზეზი; მას იმდენად მოსწონდა თავი, რომ ვერ წარმოედგინა, თუ იგი თავის მხრივ უკმაყოფილების რაიმე საბაბს აძლევდა თინას: პირიქით, ეს უკანასკნელი, ილიას აზრით, ძლიერ მადლიერიც უნდა ყოფილიყო ბედის... თინას ქცევა შეუძლებლად ხდიდა სასურველს განწყობილებას ცოლ-ქმარს შორის. მაგრამ ილიას სულაც არ უნდოდა ხელი აეღო ოჯახურ სიამოვნებაზე, რომელსაც ხშირად არ არის მოკლებული ზოგი ჩვეულებრივი მომაკვდა-

ვიც; ილია კი დარწმუნებული იყო, რომ მას სხვაზე მეტი უფლება ჰქონდა, ეცხოვრა ბედნიერად და ამიტომ ფიქრადაც არ მოსდიოდა იმის დათმობა, რაც, მისი აზრით, მას ეკუთვნოდა უცილობლად...

ილიას ბრაზი აოჩობდა; იგი ახლა თავის ოჯახში რაღაც უჩვეო შეეიწროებას განიცდიდა; მისთვის აუტანელი იყო ასეთი მდგომარეობა... მეორე დღეს თინა არ გამოვიდა სასადილო ოთახში. ამ გარემოებამ კიდევ ააღელვა ილია. მან გადასწყვიტა ცოლთან მოლაპარაკება.

— რატომ აღარ გამოდიხარ გარეთ? ახლა ხომ კარგ გუნებაზე უნდა იყო... უთუოდ ნასიამოვნები იქნები... გუშინ რომ თავი ისახელე კრებაზე ბრწყინვალე გამოსვლით... ქვეყანა აალაპარაკე...—გესლიანად უთხრა ილიამ ძალდატანებულის სიდინჯით.

— ტყუილად სწუხდები!.. არავითარი სურვილი არ მაქვს, ვიცოდე, რას ლაპარაკობენ...—დაიწყო თინამ.

— ოოო, რასაკვირველია!..—აღარ დააცალა ილიამ,— ნაძირალების ბრბოს ხომ დიდად მოეწონა შენი ქცევა... ოვაციებიც გაგიმართეს და მეტი რაღა გინდა!.. სხვისი შეხედულება რაღად გესაჭიროება ახლა... მარტო ის რად ღირს, რომ ამისთანა ხალხის ყურადღება დაიმსახურე...

— გთხოვ, ამ კილოს თავი დაანებო!..—აღელვებით შენიშნა თინამ...

— არ შემიძლია გაჩუმება, როდესაც შენის მხრით ამისთანა უწესოებას ეხედავ! ასეთი უმაგალითო საქციელი... საქვეყნოდ ქმრის წინააღმდეგ...

— შენს მოქმედებაში ეძიე უსიამოვნების მიზეზი... უნდა იცოდე, რომ სწორედ შენმა ქცევამ მათქმევინა ის, რაც ვსთქვი... კითხვა საზოგადო საქმეს ეხებოდა; როგორც საზოგადოების წევრს, უფლება მქონდა, ვალდებულიც ვიყავი მეთქვა, რასაც ვგრძნობდი. მე ეხლაც ვამბობ და შემდეგშიაც ვიტყვი დაუფარავად, რომ თქვენი მოქმედება არ არის მოსაწონი...

— თინა! სწორეთ მაკვირვებს შენი საქმე ამ ბოლო დროს... ყოველი შენი სიტყვა და მოქმედება შეუწყნარებელი წინდაუხედაობა, წარმოუდგენელი გაუგებრობა და საკუთარი ინტერესების შეუგნებლობაა... როგორ არ გესმის, რომ ამგვარი ქცევით განსაცდელში აგდებ ჩვენს მომავალს... რით ხარ უკმაყოფილო? ნუთუ მე საკმაოდ არ ვზრუნავ შენთვის, ჩვენი საერთო კეთილდღეობისთვის? რად არ აფასებ ამას?.. ჩვენს ოჯახში რატომ მუდმივი სიამოვნება არ უნდა სუფევდეს? განა არ შეიძლება მეტი სიყვარული და პატივისცემა გვქონდეს ერთმანეთის?.. გარეშე საქმის აყოლით, ვილაცეების გულისთვის უსიამოვნება მოგვდის... ვინ უარყოფს პირად სიამოვნებას უნიადაგო აზრების გავლენით?..

— სამარცხვინო არსებობას სჯობია მთლად ხელი აიღოს ადამიანმა იმ კეთილ-დღეობაზე, რომლითაც შენ თავი მოგაქვს... მე მსურს საკუთარი გრძნობებით ვიცხოვრო, ჩემს მოქმედებაში ჩემი აზრით და შეხედულებით ვიხელმძღვანელო ყოველთვის, იმის და მიუხედავად, ეწინააღმდეგება ეს შენს სურვილს, თუ არა...

— შენ როგორლაც ატაცებული ხარ, ჩემო კარგო! გეტყობა, ანგარიშს არ აძლევ შენს სიტყვას... არ გაქვს წარმოდგენილი შედეგი... უკულმა გესმის ყველაფერი... ასე თუ იარე, შესაძლოა მთლად გადაიჩეხო სადმე... ამიტომ მე ვალდებული ვარ, დროზე შეგაჩერო, შესაფერი ზომები მივიღო...— შენიშნა ილიამ და აღელვებული წამოდგა.

— უკაცრავად!.. უმჯობესი იქნება შენს თავს მოუარო!..—მიაყოლა მიმავალს გაფითრებულმა თინამ.

ფუნცხალაძეს იმედი არ გაუმართლდა: ცოლთან მოლაპარაკებამ სასურველი ნაყოფი ვერ მოიტანა. ამ გარემოებამ ძლიერ შეაწუხა ილია: თითქო რაღაც განსაცდელს მოელოდა იგი და ამის შიშით მოთმინება ეკარგებოდა... მუქარის სისრულეში მოყვანას, „ზომების“ მიღებას ახლა აღარ ფიქრობდა; პირიქით, მზად იყო სულაც დაივიწყნა ყველაფერი. ოღონდ წინანდელი დამოკიდებულება აღედგინა თინასთან,

რომელიც ახლა გარეგნულად ღ ფრო მშვენიერიც კი შეიქნა ილიას თვალში; იგი მომხდარი უსიამოვნების ზნიშვნელობასაც კი აფუჩეჩდა ახლა, რომ ცოლი შეერიგებინა როგორმე. ნულარ მოვიგონებთ, უბრალო გაუგებრობა იყოო; მეგობარ-ნაცნობებსაც ასე ეუბნებოდა: „იმ დღეს ჩემს ცოლს სხვაფრივ წარმოედგინა საქმე; შემდეგ გამოირკვა... ახლა კიდეც ნანობსო"

X

გავიდა დრო. ილიამ გაიგო თინას საიდუმლოება და სიხარულით ცას დაეწია.,

— თინკა, გენაცვალე, როგორ არ გრცხვენია!.. მე უნდა დამიმალო ამისთანა საქმე?—ღიმილით უსაყვედურა მან ცოლს და შემდეგ აღტაცებით განაგრძო,—რომ იცოდე, ჩემო ძვირფასო, რა ბედნიერი ვარ... შენც ხომ...

— სულაც არ ვიზიარებ შენს გრძნობებს!...—აღელვებით ჩაიბუტბუტა თინამ და წამოწითლდა.

— დამშვიდდი, გენაცვალე!.. ნურაფრის გეფიქრება... ყველაფერი მშვიდობიანად გათავდება... აღელვება გაწყენს, უნებლიედ უსიამოვნება მოგაყენე ამას წინეთ... მაპატიე, გენაცვალე... გთხოვ ამიერიდან მაინც გაუფრთხილდე თავს, შენი ჭირიმე, შენ შემოგევლე...

— ყური დამიგდე, ილია! გულახდილად ვილაპარაკოთ..— დაიწყო თინამ, მაგრამ ერთბაშად შეკრთა. ხმა აუკანკალდა, თითქო დამნაშავეთ იგრძნო თავი იმ კაცის წინაშე, რომლის კმაყოფილებას იგი აღღვევდა. - ჩვენს მდგომარეობაში რაღაც ბედნიერებაზე ლაპარაკი საძარცხვინო თვალთმაქცობაა... განაგრძო მან;—ჩვენ შორის უსიამოვნების მიზეზი არ მოიისპობა.. დროა შეეგნოთ ეს და ანგარიში გავუწიოთ...

— თინა!.. შენგან მესმის ეს სიტყვები? არა, ჩემო ძვირფასო, შენ არ შეგფერის ასე ლაპარაკი... მოვიგონოთ ჩვენი... ამას ვპირდებოდით ერთმანეთს? ნუ უყურებ პესიმისტურად მომავალს! ჩვენ შეგვიძლია ბედნიერად ვიცხოვროთ, მეტადრე ეხლა, როდესაც ჩვენს ცხოვრებაში ასეთი სასიხარუ-

ლო ხანა იწყება... ჩემს გრძნობებზე ლაპარაკი საჭირო არ უნდა იყოს... მე მსურს, რომ ჩვენს ურთიერთობაში ადგილი არ ჰქონდეს უსიამოვნებას და არც ექნება, თუ შენც მოინდომებ... ჩვენ პირობები ხელს გვიწყობს, ყველაფერი მზად არის იმისთვის, რომ უკლებლივ ვიგემოთ ცხოვრების სიტკბოება. ნუთუ შენ გსურს მაინც-და-მაინც ფუჭად ჩაატარო ყველაფერი... მომიშხამო სიცოცხლე და თავიც გასწირო ასე უაზროდ? არა, მე ეს არ მჯერა! მესმის, შენს ეხლანდელს მდგომარეობაში შესაძლებელია აღელვება, უბრალო შეშფოთების გაზვიადებაც, მაგრამ მწამს, რომ ეს ყოფა დროებითია: შენი დინჯი ჭკუა თავმდებია იმისი, რომ ბოლოს მაინც მიაგნებ ჭეშმარიტებას და ყველაფერს შესაფერად დააფასებ...

— სინამდვილის მიფულჩეჩებით არაფერი გაკეთდება... არ შემიძლია...

— კიდევ გთხოვ, დამშვიდდე, ჩემო ძვირფასო! ოღონდ შენ მშვიდობით იყავი და სხვა არაფერია... ტკბილად ვიცხოვრებთ. ეს ოჯახი შენია; ისიამოვნე, როგორც გსურდეს...

ამ ლაპარაკმა ჩაფიქრა ილია; თუმცა იგი მალავდა თავის სულისკვეთებას, მაგრამ აღშფოთებული იყო, გულს უსიამოვნო გრძნობა უღრღნიდა. ცოლის სიტყვებმა დაადასტურა ის, რის ეშვიც ილიას კარგახანია შეეპარა. ცხადი იყო, რომ თინა აღარ შეურიგდებოდა ცხოვრების წინანდელს პირობებს. ამას ილია მთლად გაბილაშვილის და მის თანამოაზრეების გავლენას აწერდა და ბრაზი აღრჩობდა... მეტი გზა არ იყო და ამ ხელად ილიამ ისევ ყურის მოყრუება ამჯობინა; იმის იმედიც ჰქონდა მას, რომ შვილის ყოლა რამდენიმედ მაინც იმოქმედებდა თინაზე...

ილია ახლა შემთხვევას არ ჰკარგავდა, რომ თინას გული მოეგო, დაემტკიცებინა მისთვის თავისი პატივისცემა და სიყვარული, მაგრამ ქმრის ასეთი ქცევა ახლა უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა თინაზე; მით უფრო მტკიცედ იდგა იგი თავის აზრზე; დათმობა ფიქრადაც არ მოსდითდა: პირიქით,

მას ახლა უნდოდა უფრო მკაფიოდ აღენიშნა თავისი შეუ-
რიგებლობა...

საზოგადო კრებაზე თინას გამოსვლამ დიდად გაახარა
ვაბილაშვილი. იგი ამაში თავის გამარჯვებას ხედავდა. დღემ-
დის ბიქტორს ეგონა, რომ თინას ქმრის ხათრი და პატივის-
ცემა ექნებოდა; იქნება ილიასთან ბედნიერადაც გრძნობდა
თავს. ეს ფიქრი სტანჯავდა ბიქტორს, გულს უღრღნიდა ჩუ-
მი სევდა... იგი განსაკუთრებულის სიმკაცრით ეკამათებოდა
ყოველთვის ილიას, მაგრამ დამშვიდებული არ იყო, რადგან
არ იცოდა, როგორ უყურებდა ამ გარემოებას თინა. დღეს
კი ბიქტორმა ნათლად დაინახა, რომ მისი ეშვი უსაფუძვლო
იყო: ცოლ-ქმარს შორის განხეთქილებამ იჩინა თავი; მოსა-
ლოდნელი იყო, რომ ეს განხეთქილება, ზოგიერთ პირობე-
ბის გაელენით, უფრო და უფრო გაღრმავდებოდა, მალე ისეთ
უფსკრულად გადაიქცეოდა, რომელიც სრულიად გაანთავი-
სუფლებდა თინას...

ამ გარემოებამ აღაფრთოვანა ბიქტორი. ამ ქალს მიმზიდ-
ველობა ერთი-ორად მოემატა ახლა ბიქტორის თვალში; მას
ძლიერად აუტოკდა გული, შესამჩნევად გაიზარდა ის იდუ-
მალი გრძნობა, რომელსაც წინად ანგარიშს არ უწევდა. ამის
შეგნებამ პირველად შეაშფოთა ახალგაზდა კაცი: ნუთუ იგი
პირადმა გულისთქმამ გაიტაცა და ამით ხელმძღვანელობს
საზოგადო საქმეში? არა, შეუძლებელია ეს... მას ერთხელაც
არ უღალატნია იმ მიზნისთვის, რომელიც მისი ცხოვრების
აზრს შეადგენს. მართალია, მას ხშირად უხდება შეტაკება
ფუნცხალაძესთან, მაგრამ ეს ხომ აუცილებელია იმ ტაქტი-
კური მოსაზრებით, რომელიც მოპირდაპირეთა პოზიციის
გაშუქებას ითხოვს. ბიქტორი დიდხანს არ უტყდებოდა თავს:
ეს მხოლოდ მოვალეობაა, პატივისცემა და თანაგრძნობა სიმ-
პატიური მწერლისა და მოღვაწისადმი, — არწმუნებდა იგი თა-
ვის თავს, თუმცა ამავე დროს ხედავდა, რომ ეს არ იყო
მთლათ ასე. რაც დრო გადიოდა, ბიქტორი რწმუნდებოდა,

რომ ის გრძნობა, რომელსაც იგი ებრძოდა, თანდათან უფრო იმორჩილებდა მას.

შემოდგომაზე ფუნცხალაძეებს ვაჟი შეეძინათ. ილიამ დიდის ამბით გადაიხადა ნათლობა. ცოლის დღეობის გამო ილია მუდამ წვეულებას მართავდა; წელს კი მან მოიწადინა ამ დღისთვის არაჩვეულებრივი, საზეიმო ხასიათი მიეცა. წინადაც არ ყოფილა, მაინც და მაინც, სასურველი ასეთი სტუმრობა თინასთვის; მით უფრო უსიამოვნო იყო მისთვის ეწ წვეულება დღეს, მაგრამ ვერაფერს ახერხებდა, რადგან ილიას საგანგებოდ დაპატიჟებული ჰყავდა სტუმრები.

თინას სწყინდა, რომ იმის დღეობაზე თავი უნდა მოეყარა ისეთ ხალხს, რომელთანაც მას არ სურდა დაახლოვება; მან ისიც კარგად იცოდა, რომ სტუმრების დიდი უმრავლესობა მას გულწრფელათ პატივს არ სცემდა. გული სტკიოდა თინას; უნდოდა ნათლად გამოეხატა თავისი დამოკიდებულება ამ ხალხთან და ამ მიზნით ისლა მოახერხა, რომ მორიგი სხდომა იმ წრისა, რომელშიაც თითონ მონაწილეობდა, მის ბინაზე იქმნა დანიშნული სწორედ იმ დღისთვის, როდესაც განზრახული იყო წვეულება.

ფუნცხალაძის სახლში თავი მოეყარა საზოგადოებას. გაჩაღებული იყო ქაღალდის თამაშობა და ლოტო; ზოგიც მუსაიფში იყო გართული. ამ დროს ზარის ხმა მოისმა; მალე მსახურიც შემოვიდა და ჩუმად რაღაც უთხრა თინას. უკანასკნელი თითქო შეკრთა, მაგრამ ჩქარა გასწორდა; „სთხოვე“, დაბალის ხმით უთხრა მსახურს და თითონაც გავიდა სასტუმრო ოთახიდან.

— მობრძანდით, მობრძანდით! — მიესალმა თინა ახალმოსულთ და გულიანად გადაეხვია ახალგაზდა ქალს, რომელიც გამოდგა მისი დიდი ხნის უნახავი მეგობარი, მარო ძიგურაშვილი; მერე ბიქტორ გაბილაშვილს ჩამოართვა ხელი თინამ; მესამე სტუმარი, ვანო გარჯილაძე, მარომ გააცნო. ოთახიდგან ხმა მაღალი ლაპარაკი და სიცილი ისმოდა.

— მგონი, უდროო დროს მოვედით!.. — შენიშნა მარომ.

— ძალიან კარგი დროა... ჩვენ არას დაგვიშლიან!—დამშვიდებით უპასუხა თინამ და ახალმოსულნი ცალკე ოთახში მიიწვია. ბაასმა კარგა ხანს გასტანა. ბოლოს გამოირკვა, რომ აღძრული საკითხის გადასაწყვეტად სხვების მოწვევაც იყო საჭირო.

— იმედია, ხვალაც აქ შეიკრიბებით; მოხარული ვიქნები... ყოველთვის, როცა გენებოთ... ეხლა კი გთხოვთ ჩვენთან დარჩეთ ვახშმად... მაროს არც-კი ვკითხავ, ძალადაც მოვაცდევინებ ამალამ,—სთქვა თინამ და ღიმილით შეხედა ქალს; თქვენ კი გთხოვთ, დამავალოთ... ის საზოგადოება, რომელსაც აქ ნახავთ, ვითომ ჩემდა პატივისაცემლად იყრის თავს. არ დაგიმალავთ, ბევრის გულწრფელობა საეჭვოდ მიმაჩნია ამ შემთხვევაში... ვგრძნობ, რომ ასეთს გარემოებაში ჩემი მდგომარეობაც ყალბია...—მღელვარებით დაუმატა მან,—მე დამნაშავეთ ვთვლი ჩემს თავს, რომ ამისთანა დროს და ამ წრეში... ვიცი შეუწყნარებელია ეს, მაგრამ იმ თავიდანვე ასე იყო შემოღებული და მე იმდენად სუსტი გამოვდექი, რომ ვერ მოვახერხე როგორღაც ჯერჯერობით...

— მე ვფიქრობ, ცუდი არაფერია იმაში, რომ ადამიანმა ხანდახან ნაცნობ-მეგობრებთან ისიამოვნოს...—შენიშნა გარჯილაძემ.

— საქმეც ეგ გახლავთ, რომ აქ მეგობრობასა და სიამოვნებაზე ლაპარაკი მეტია....არა! აუცილებელია, ამ მდგომარეობას თავი უნდა დავახწიო... მაგრამ ეს მომავლის კითხვაა, დღეს კი... გთხოვთ, დარჩეთ.

— არა, ჩვენ წავალთ... სხვა დროს...—დაიწყო ვანომ.

— მერწმუნეთ, თქვენი აქ ყოფნა დღეს, დღეს განსაკუთრებით, სასიამოვნო იქნება ჩემთვის...ილიას, მგონი, თითონაც სწყინს ახლა, რომ იმ დღეს ისე უწესოთ მოიქცა,—მიუბრუნდა თინა გაბილაშვილს,—დღეს, ალბად, ისარგებლებს შემთხვევით, რომ გაასწოროს თავისი შეცდომა... ესეც არ იყოს, თქვენ ხომ საკუთრივ ჩემი სტუმრები იქნებით... ერთი სიტყვით, უნდა დარჩეთ, თქვენი სიამოვნებისთვის არ ვამბობ;

წარმოიდგინეთ, რომ საჭიროა ჩემთვის...—ვედრებით დაბოლოვა თინამ.

— ჩემი ნახვა არ ესიამოვნებათ, მაგრამ, რა ვუყოთ, სულ ერთია... —სთქვა გაბილაშვილმა, რომელიც კმაყოფილი იყო მით, რომ ამისთანა გარემოებაში მათი დარჩენა ერთგვარ დემონსტრაციის ხასიათს ღებულობდა ილიას წინააღმდეგ.

— რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი! —ჩაერია მარო, —ჩვენ დავრჩებით აქ, როგორც თინას პატივის მცემელნი, რადგან მისი დღეობაა... ჩვენ უფრო შეგვფერის, სხვებზე მეტი საბუთი გვაქვს მასთან გავატაროთ ეს საღამო. —ღიმილით დაუშატა მან.

— ყოჩაღ, ჩემო მარო! აგრე უნდა, მაშ!..—სიამოვნებით წამოიძახა გახარებულმა თინამ.

XI

როდესაც ილიამ თინას სტუმრების ვინაობა გაიგო, აენთო, გაწიწმატდა. ეს იმდენად მოულოდნელი იყო ილიასთვის, რომ იგი მთლად დაიბნა და აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. გაბილაშვილის დანახვაზე ილია ერთიანად აკანკალდა; იგი შურისძიების გრძნობამ შეიპყრო; მას უნდოდა, ეს კაცი გაეგდო სახლიდან შეურაცხყოფილი, დამცირებული, მაგრამ იცოდა, რომ ეს დიდს უსიამოვნებას გამოიწვევდა თინასთან და ამიტომ როგორც იყო თავი შეიკავა. ეს სტუმრებმაც შენიშნეს და თავის გუნებაში კიცხავდნენ თინას, რომელიც ამისთანა ხალხთან დაახლოვებას არ თაკილობდა. ერთი სიტყვით, გაბილაშვილის და მისი ამხანაგების მოსვლამ ცუდ გუნებაზე დააყენა ილია და მისი სტუმრები. ყველა უკმაყოფილებას და უხერხულებას გრძნობდა. ცხადი იყო, რომ აქ გროვდებოდა ჭექა-ქუხილის მომასწავებელი ღრუბლები...

ვახშმად დასხდნენ. სოფრომ კუდამელიძემ თამადობა იკისრა; მან პირველად თინა აღღეგრძელა და თან სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც უფრო ილიას ქება-დიდებას შეიცავდა. სხვათა შორის სოფრომმა სთქვა: „ბედნიერია თინათინა

ალექსანდროვნა, რომ მას წილად ხვდა ამისთანა ღირსეული კაცის ამხანაგობა და ყველაფერით შემკული ოჯახი. ვუსურვოთ ხანგრძლივი სიცოცხლე, რომ პირნათლად შეესრულებინოს ბოლომდის წმინდა მოვალეობა ქმარ-შვილისა და ოჯახის წინაშე, რომ ჩვენს საზოგადოებაში მას მოეჩვენოს ისეთივე სახელი და პატივისცემა, როგორიც დამსახურებული აქვს ილიას."

შემდეგ მარო წამოდგა.

მე არ ვეთანხმები ბ. თამადას.— დაიწყო მან.—ჩემი მეგობარი მართლაც ბედნიერია, მაგრამ არა იმ მხრით, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ: იგი თავისთავად იმდენად თვალსაჩინო პიროვნებაა, რომ ამისთანა ღირსეული კაცის ცოლობა ყერას შემატებს მის სახელს. ნივთიერს კეთილდღეობას დაოჯახურს კმაყოფილებას იგი ვერ გაიხდის ცხოვრების მიზნად: მას არ შეუძლია ისიამოვნოს მაშინ, როდესაც გარშემო ძალმომრეობა, უმეცრება და სიღატაკე მეფობს, სადაც ტანჯული ხალხის განუწყვეტელი კვნესა ისმის. არა! მისი იდეალი სულ სხვაა; ამ იდეალისადმი ჭუდმივი მისწრაფება. მისთვის თავდადებული სამსახური,—აი თინას ცხოვრების აზრი. აი, მისი ნამდვილი ბედნიერება! მე მსურს დღეგრძელობა ვუსურვო ამ სიმპატიურს ადამიანს და ძვირფასს მწერალს, რომლის გული სწუხს და იტანჯება ჩაგრული კაცობრიობის ტკივილებით. გაუმარჯოს თინას. გაუმარჯოს მის მადლიან კალამს!

—დააბოლოვა მარომ და გადაეხვია აცრემლებულს თინას.

— დაიწყეს!..—უკმაყოფილოდ შენიშნა ვილამაც.

მაროს სიტყვებმა გააცხარა ილია და მისი მომხრეები: სადღეგრძელო ყველას დაავიწყდა და მეტად მწვავე კამათი გაიმართა.

— ნება მიბოძეთ, სურვილი და შეხედულობა გამოვსთქვა ისე, როგორც მე მინდა... —სთქვა ისევ თამადამ. — თქვენ ხომ სულ იდეალებს ეპოტინებით... ვინ იცის, იქნება ჩვენც გვქონდეს რაიმე იდეალი, თუმცა. შეიძლება, სხვაგვარად ვაზროვნობდეთ... ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ცოლ-ქმარს

შორის თანახმობა სუფევდეს. როგორც უნდა ბძანოთ, ეს აუ-
ცილებელია მათი ბედნიერებისთვის. მოხდება ხოლმე, რომ
ადამიანი ხან და ხან ვერ აფასებს შესაფერად მდგომარეობას,
რომელშიაც იგი ბედს ჩაუგდია. ამგვარს შეცდომას ყოველ-
თვის სამწუხარო შედეგი მოსდევს. მე ვუსურვე თინათინა
ალექსანდროვნას, რომ იგი ასცდეს ამას... ჩვენ ერთობ გვი-
ყვარს პრტყელ-პრტყელი ფრაზები და მაღალ ფარდებში ფრე-
ნა და ის კი გვავიწყდება, რომ შინ ოჯახი გვექცევა და ერთი-
ანად ვიხრწნებით... ეს ასე არ იქნება, რომ ჩვენ ჩვენი მოვა-
ლეობა სისწორით გვესმოდეს. ყველა ჩვენგანი თავის შესა-
ფერ ასპარეზზე უნდა იღვწოდეს. ქალის მოვალეობაა მტკიცე
ნიადაგზე დააყენოს ოჯახი...

— ქუჩის რაინდების მიდრეკილებაზე ლაპარაკი. რასა-
კვირველია, არ ღირს, — დაიწყო ილიამ, რომელსაც აშკარად
ეტყობოდა მოუთმენლობა და გაბრაზება, — ნორმალური ადა-
მიანისთვის კი ცხადი უნდა იყოს, რომ დედაკაცის პირდა-
პირი დანიშნულება სწორედ ოჯახია. არსად, არც ერთ სხვა
ასპარეზზე დედაკაცის ღაწლი არ შეიძლება იყოს ისეთი დი-
დი და ნაყოფიერი, როგორც ოჯახში. ეს მისი ნამდვილი
მოწოდებაა. ყოველი რიგიანი ქალისთვის ოჯახი არის სიამოვ-
ნების და ბედნიერების დაუშრეტელი წყარო. თვითეული
ოჯახის და მისი წევრების კეთილდღეობა ნიშნავს მთელი
საზოგადოების წარმატებას. ცოლი, ქმრის ერთგული მეგო-
ბარი და დედა, საზოგადოების მომავალი წევრების აღმზრდელი,
თავის ვალს იხდის პირნათლად საზოგადოების წინაშე; იგი
ნამდვილი საზოგადო მოღვაწეა; დიახ, საზოგადო მოღვაწე, ამ
სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით... როდესაც დედაკაცი
ოჯახს ივიწყებს და მის გარეშე ეძებს სამოღვაწეო ასპარეზს,
იგი ღალატობს თავის პირდაპირ მოვალეობას... წარმოუ-
დგენელია ისეთი ოჯახი, სადაც დიასახლისს საზრუნავი არა-
ფერი ჰქონდეს... აი, თუნდა ჩვენ პირადათ... ყველაფერს რომ
თავი დავანებოთ... მე და თინას შვილი გვყავს... მე ვუსურვებ

ჩემს თინას, რომ იგი ჭუდამ ოჯახის ნამდვილი ბურჯი იყოს... რომ მას თვალწინ ედგას...

— როგორც სჩანს, ამიერიდან ძალიან ბევრს გაუადვილდება საზოგადო მოღვაწის სახელის მოხვეჭა,—მოისმა მარჯილაძის ხმა,—თვითეულს პარაზიტს, რომელიც, უეჭველია, მისსავე მსგავს არსებას შესძენს ქვეყანას, შეეძლება დამშვიდებული სინიდისით დამსახურებულ მოღვაწეთა გუნდს შეეერთდეს... მაგრამ ჩვენ მაინც ეჭვი გვიპყრობს: ვაი თუ ყველამ არ მიიღოს თქვენი აღმოჩენა ჭეშმარიტებათ; ეს მით უფრო მოსალოდნელია. რომ დღევანდელს პირობებში საუკეთესო, მოსიყვარულე მშობელიც კი შეუფერებელი აღმზრდელია თავისი შვილებისათვის, რადგან უკეთილშობილესს მისწრაფებათა განვითარებას ყოველოვის წინ ეღობება თქვენ მიერ სათაყვანებელი თანამედროვე ოჯახი, რომელიც უკეთეს შემთხვევაშიც კი ერთს დიდ სიყალბეს წარმოადგენს. ამიტომ თქვენ მიერ აღმოჩენილ მოღვაწეობით ვერაოდეს ვერ დაკმაყოფილდება ის, ვისაც ნამდვილი ადამიანის სახე შერჩენია. ვისთვისაც საზოგადოებრივ იდეალისადმი ლტოლვილება სულიერ მოთხოვნილებას შეადგენს... დიდ შეურაცხყოფად მიმაჩნია ქ—ნ თინასთვის ის, რაც ამ წუთში მოვისმინეთ აქ: მას ურჩევენ: დაივიწყოს თავისი ბაღალი მოწოდება, უარჰყოს ყველაფერი, რაც მას ამაღლებს, როგორც ადამიანს, და ძვირფასი მეუღლის სასიამოვნოდ, მეშჩანურ ცხოვრების ჯაობში ჩაეფლას...

ეს სიტყვები ნაპერწკალი იყო. რომელმაც ნამდვილი აფეთქება გამოიწვია.

— გთხოვთ, თავი დაანებოთ!.. —შეჰყვირა მოთმინებიდან გამოსულმა ილიამ.

— ასე ესმით დედაკაცის დანიშნულება მათ, რომელნიც ზოოლოგიური ინსტიქტების დაკმაყოფილებას მოღვაწეობად აღიარებენ...—სცადა მოლაპარაკემ.

— კმარა!.. ქუჩურ სიტყვებს ჩემს სახლში ადგილი არა აქვს!.. ნებას არავის მივცემ!..—ღრიალებდა ილია, რომელიც

ვრძნობდა, რომ ამ მდგომარეობაში მისთვის თავის შეკავება შეუძლებელი იყო.—ან რა უნდა ქუჩის ხალხს აქ?!.—ცახცახით მიუბრუნდა იგი გაბილაშვილს,—როგორ გაბედეთ თქვენ... თქვენ... ჩემ სახლში...

— ესენი მე დავპატიჟე!... ჩემი სტუმრებია... ხომ არ გაგიჟდი!..—შეუტია ქმარს აკანკალებულმა თინამ.

— აქ თქვენ სახსენებელი არ ხარ!—გაცხარებით შენიშნა გაბილაშვილმა ილიას,— ამ სახლში სცხოვრობს პატივცემული მანდილოსანი; თუმცა იგი დღეს, რაღაც ბრმა შემთხვევის წყალობით, თქვენს სახელს ატარებს, მაგრამ ქვეყანა მას იცნობს, როგორც მწერალს და მოღვაწეს. აი, სწორედ ამ მოღვაწესთან მოვედით ჩვენ და ვსარგებლობთ შემთხვევით, რომ ღრმა თანაგრძნობა გამოვუცხადოთ მას...

— დაიკარგეთ აქედან თქვენის თანაგრძნობით!..

— კიდევ ვიმეორებ, რომ არ გცნობთ... თქვენ გსურთ ხალხს მოღვაწე მოსტაცოთ, მაგრამ ამას ველარ შესძლებთ! ფრთები შეეკვეცება თქვენს...

— თავხედო!.. ეხლავე გაეთრიე!..—შეჰყვირა გააფთრებულმა ილიამ და ზეზე წამოვარდა.

სტუმრებიც წამოიშალნენ. ყველას აღშფოთება ეტყობოდა.

— დღეს ჩვენი მიზანი მიღწეულია... შემდეგშიაც ასე იქნება თქვენდა საჭუხაროდ... სანამ ამ სახლში ბინა ექნება იმ ადამიანს, რომელსაც უკვე დამსახურებული აქვს ხალხის ნდობა და სიყვარული, ჩვენ დაუბრკოლებლივ ვინახულებთ მას აქ...

გაბილაშვილმა და მისმა ამხანაგებმა თავი დაუკრეს თინას, და კარებისკენ გაემართნენ.

— გაეთრიე!.. გასწი... ჩქარა!.. აი ეგრე!...—მიაყოლა ილიამ.

— სიმდაბლე!..—თრთოლვით ძლივს წარმოსთქვა გაფითრებულმა თინამ. ამ ამბავმა უზომოდ შეაწუხა იგი: მას უნდოდა, სასტიკი წინააღმდეგობა გაეწია ქმრისთვის, მაგრამ გრძ-

ნობდა, რომ საიმისო ძალა არ შესწევდა იმ წუთში; ჰეტის მღელვარებისაგან გული უღონდებოდა და ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა.

— არაფერია, ჩემო კარგო! ასე არა სჯობს.... ჰაერი გასუფდავდა...—ფრთხილად შენიშნა ილიამ.

ყველა უხერხულობას გრძნობდა.

თამადა შეეცადა გაექარწყლებინა მომხდარი უსიამოვნების შთაბეჭდილება. გარეგნულად თითქო აღდგენილ იქნა კიდეც სიმშვიდე, მაგრამ ერთმა გარემოებამ ყველაფერი ჩაშალა და კიდევ უფრო გაამწვავა საქმე.

— გთხოვთ განაგრძოთ წინანდებურად!—მიმართა თამადამ დამსწრეთ,—საიმისო არაფერი მომხდარა... გთხოვთ. ბატონებო...

— მაგისთანა ხალხთან...—ჩაერია ქ-ნი დიდგულაძისა.

— დავანებოთ, ბატონო, ამას თავი!—გააწყვეტინა სოფრომმა,—აბა, ექსტრა! მე განმეორებით ვსვამ დიასახლისის სადღეგრძელოს: კვლავ ვუსურვოთ პატივცემულ თინა-ჯინა ალექსანდროვნას ხანგრძლივი ბედნიერება. გაუმარჯოს!.. ურა!...

— ურაااა!—გაისმა გრიალი, რომელსაც ზედ დაერთო მწყობრი „მრავალჟამიერი“

— ცოლ-ქმარი განუყრელი მეგობრები არიან,—განაგრძო თამადამ.—მათ შორის თანხმობა, ერთსულოვნება თავმდებია საერთო ბედნიერების...

— ოღონდაც!—დაემოწმა ილია;—მაგრამ აქ მხოლოდ წუთიერი უთანხმობაა. ასე ვსთქვათ, პატარა გატაცება: სერიოზულად მე და თინას უკმაყოფილება არ მოგვივა... იმედი მაქვს... იცოცხლე, ჩემო ძვირფასო, მრავალჟამიერ!...—ღიმილით დაუმატა მან და ღვინით სავსე ჭიქით ხელში ცოლთან მივიდა.

თინა გარინდებული იჯდა, თითქო ყურადღებასაც არ აქცევდა, რაც იქ ხდებოდა.

— კარგი ახლა, გენაცვალე... შეეიგდეთ!—მხიარულად მიმართა მას ილიამ.

— რასაკვირველია!... რა გაქვთ საიმისო... ეხლავ უნდა დაამტკიცოთ, რომ ეჭვი არავის დარჩეს...—ხუმრობით შენიშნა ვიღაცაც.

— რატომაც არა... მართლა ხომ არ ვემდურით ერთმანეთს!—ღიმილით წარმოსთქვა ილიამ, დაიხარა და აკოცა თინას.

თინა ერთბაშად აირია; მან საშინელი დამცირება იგრძნო; სირცხვილისა და სიბრაზისაგან თვალთ დაუბნელდა; გველნაკბენივით წამოიჯრა ზეზე, ანგარიშ-მიუცემლად დაავლო ხელი ღვინიანს ჭიქას და თვალის დახამხამებაში ესროლა ქმარს.

ღვინომ სახე შეუღება ილიას და წურწურით წამოვიდა წვერ-ულვაშიდან.

ილია გაშეშდა და გაბოროტებით შეანათა თვალები თინას.

სტუმრები მისცვივდენ, ილია გაიყვანეს. „რა სისაძაგლეა“, „სადაური ქცევაა.“ „შეუწყნარებელია,“ „ვის გაუგონია ქმართან ასეთი...“—ისმოდა აღშფოთებული ხმები.

— ძალიან ისახელა თავი!.. ქალი რომ ეხტიბარს გაიტეხს და ქუჩის ხალხს გაუამხანაგდება, იმისგან ყველაფერი მოსალოდნელია... ამაზე მეტი თავის შერცხვენა აღარ შეიძლება!..—გაიძახოდა ელენე დიდგულაძისა.

— თავი დამანებეთ!.. მომშორდით!..—უცბად დაიწივლა გამწარებულმა თინამ.

მას მთელი სხეული აუკანკალდა.

— თქვენ წაბილწეთ, დაანაგვიანეთ ცხოვრება!.. მეზიზღებით. მეზიზღები... ი... ი... ით...—ველარ დაასრულა თინამ, ისტერიული ხარხარი აუტყდა და სკამზე მიესვენა.

XII

თინა მეორე დღესაც ძლიერ ცუდად გრძნობდა თავს; უსიამოვნებამ წაუშლელი დაღი დაასვა მის გულს. იგი ცხადად დარწმუნდა, რომ მის სურვილს და მიდრეკილებას ვერა-

სოდეს ვერ შეურიგდებოდა ილია... დღეს თინამ საბოლოოდ გაუსწორა თვალი მთელს სინამდვილეს და აღშფოთებით დაინახა, რომ მის სულიერ მისწრაფებათა დასამარებას აუცილებლად ითხოვდა ილიას გულის თქმა, მისი პირადი სიამოვნება... თინამ შეძრწუნებით იგრძნო, რომ მისი ქმარი, რომელიც მასში მარტო ლამაზ სხეულს აფასებდა, ბეჯითად ცდილობდა მის დაცემას, პირუტყვობამდე ჩამოქვეითებას...

ცოლ-ქმარს შორის გაუვალი უფსკრული აღმოჩნდა. თინას არსება მთლად შეირყა; ახლა მას ხომ აღარაფერი აკავშირებდა ილიასთან; მის სახლში კი მაინც ცხოვრობდა, მისი ქონებით ისევ სარგებლობდა. იგი მაინც კიდევ ცოლი იყო იმ კაცის, რომელსაც დღეს პატივს აღარ სცემდა; კანონიერი ცოლი, უკეთ ვსთქვათ, ხასა... იგი იძულებულია ითმინოს უზომოდ დამამცირებელი მდგომარეობა... თინას ახლა გულით სძაგდა ეს კაცი, რომელმაც მას ცბიერებით ახალგაზდობა მოსტაცა და ახლა მისი მომავალის პატრონობასაც ჩემულობდა... არა! მეტის ბოთმენა შეუძლებელია!.. თინა გრძნობს, რომ მან აუცილებლად უნდა გადასდგას გადამწყვეტი ნაბიჯი; ვალდებულია, თავი დაიხსნოს ამ დგომარეობას და მოშორდეს ქმარს, რადაც უნდა დაუჯდეს ეს...

თინა დარწმუნებულია, რომ ბავშვის ინტერესიც სწორედ ამას მოითხოვს, რომ მისი მომავალი მაშინ შედარებით უფრო საიმედო იქნება. თინას ძალიან უნდოდა ბავშვის წაყვანა, მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ ამაზე ფიქრი მეტი იყო, რადგან ილია შვილს არას გზით არ დაუთმობდა მას. თინა ბოლოს იმ აზრსაც შეურიგდა, რომ ბავშვი მამასთან დარჩენილიყო.

თინას მტკიცედ სჯერა, რომ მისი მხრით მსხვერპლი ამ შემთხვევაში პირდაპირ უაზრო და შეუწყნარებელი იქნება. რა გაკეთდება მით, რომ მან სრულიად უარჰყოს თავისი თავი, საუკუნოდ დაასამაროს ყველაფერი, რაც დღემდი ასე ძვირფასი იყო მისთვის? დედის მოვალეობის ასე გაგება ხომ შეუძლებელია. ჯერ ერთი, თინას არ სწამს ისეთი „მოვალე-

ობა", რომელიც ადამიანური ღირსების უარყოფას გულისხმობს; მაგრამ, კიდეც რომ იწამოს, რა შედეგი მოჰყვება ამას? განა ცხადი არ არის, რომ ის, ვინც თავის პიროვნების გათელვას ურიგდება, ვინც თავის თავს პატივს არ სცემს, იგი ვერ აღზრდის ნორმალურს ადამიანს?

თინა კარგად გრძნობს, რომ ის, რაც სხვა დროს რამდენადმე მაინც მოსახერხებელი იქნებოდა, დღევანდელს პირობებში შეუძლებელია მისთვის. შეურაცხყოფილი, დამცირებული, მუდამ აღშფოთებული და უკმაყოფილო რა მზრუნველობას გაუწევს ბავშვს?.. სად მოიპოვოს ის სიმშვიდე და მოთმინება, რაც ისე საჭიროა ამ შემთხვევაში? ის მოშხამული ატმოსფერა მშობლებს შორის ყოვლად შეუწყნარებელი დამოკიდებულება, რომელიც, ეჭვი არ არის, თანდათან კიდევ უფრო გამწვავდება, მუდმივი ბრძოლა და უსიამოვნო სცენები ხომ პირდაპირ დამღუპველ გავლენას იქონიებს ბავშვზე...

არა, გადაწყვეტილია, თინა დაუყოვნებლივ უნდა წავიდეს ქმრის სახლიდან, სანამ გვიან არ არის!..

XIII

ილია უსაზღვროდ გააბრაზა თინას ქცევამ. დილით იგი მრისხანედ შეხვდა ცოლს.

— მე შენ თავხედობის ნებას არ მოგცემ!.. კარგად იცოდე... განანიებ მაგას... პატივისცემა ვერ შეიფერე... შენი წარსული დაგავიწყდა, ალბად: ლუკმა გენატრებოდა... ტალახიდან ამოგიყვანე... ამისთანა ცხოვრებას სიზმრადაც ვერ ნახავდი... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიახალა ილიამ.

— ჩემთვის ნულარ იწუხებთ თავს!.. მე თქვენგან ამიერიდან არაფერს ვითხოვ... ჩემს წარსულს კი ნუ ეხებით, რადგან ჭასში დასაძრახი არაფერია...—დამშვიდებით შენიშნა თინამ.

მაგრამ ილიას არაფერი ესმოდა; იგი ისეთს გუნებაზე იყო, რომ არც კი უნდოდა მოესმინა ცოლის სიტყვა.

— შენი პატრონი მე ვარ!.. ვიცი, როგორც უნდა მოგექცე ამის შემდეგ!..—წამოიძახა ბრაზ-მორეულმა და მეტის მღელვარებისაგან მძიმედ დაიწყო ქშენა.

მეტად უსიამოვნო სურათს წარმოადგენდა მაშინ თინასთვის რუმბიეთით გასივებული, თვალებ-გადმოკარკლული ილია; იმ წუთში მის ზორბა ტანს ადამიანის ტვინი თითქო აღარ განაგებდა... მის კისერზე უზომოდ ამობერილი ძარღვი თინამ გაწოლილს გოკს შეადარა და მათში საოცარი მსგავსებაც კი აღმოაჩინა. როგორღაც ერთბაშად წარმოიდგინა თინამ უზარმაზარი გროვა სხვა და სხვა სანოვაგისა, მთელი ის მასალა, რაც მისი აზრით ამ კაცის სხეულის აშენებაზე დაიხარჯებოდა. თინას აზრით აუარებელი გოკი, ქათამი, ინდოური და სხვა ამგვარი უნდა ყოფილიყო ჩაქსოვილი ილიას განიერს მხარ-ბეკში. ყველა ეს გოკები, ქათმები და ინდოურები ახლა უკვე ცოცხლებად წარმოუდგა ქალს: იგინი, ალბად, ახლა საცოდავად ჭყვირიან, კაკანებენ და, თითქო ჰარჯვე დრო შეარჩიესო, თავის განთავისუფლებასაც კი ცდილობენ ილიას სხეულისაგან: მისი მსხვილი კისრიდან და ამობერილი ლოყებიდან გადმოკვივნას ლამობენ...

— მე შენ გიკრძალავ!..—უცებ დაიღრიალა ილიამ, თითქო რალაც მოაგონდაო.—გიკრძალავ... იმ ხალხში ტრიალს... არასდროს აღარ მოვითმენ, რომ შენ იმ ავაზაკების საქმეში ერეოდე... მათ უფლება არა აქვთ!..

— მე უკვე გითხარი, რომ თქვენ თავისუფალი ბძანდებით... ჩემთვის ზრუნვა თქვენს მოვალეობას აღარ შეადგენს...—მიუგო თინამ, შემოტრიალდა და თავის ოთახისაკენ გასწია.

— რაო?..—შეუბღვირა ილიამ ცახცახით, — მიფრთხილდი, დედაკაცო!.. ის მე ვიცი... რაც არის ჩემი მოვალეობა... ვნახოთ, როგორ დაესწრები... ავაზაკების კრება აკრძალულია... კარგად იცოდე ეს...

ილიამ იცოდა, რომ იმ დღეს დანიშნული ყო სხდომა, რომელსაც თინაც უნდა დასწრებოდა. ილიამ ეს შემთხვევით შეიტყო: იმ დღესვე იგი ჩვეულებრივზე ადრე ადგა დილით,

რადგან ცუდ გუნებაზე იყო. კიბესთან, ფანჯარაზე, მან იპოვა ბარათი, რომელშიაც მაროს ხელით აღნიშნული იყო დრო და ბინა, სადაც უნდა შეკრებილიყვნენ სათათბიროდ. ფუნცხალაძის მსახურს, რომელსაც თინასთვის უნდა გადაეცა ეს ბარათი, არ ეგონა, თუ ისე ადრე გამოიღვიძებდა ვინმე: მან ბარათი იქვე დააგდო, თითონ კი ქუჩაში გასაველელ კარებთან დადგა და ნაცნობს დაუწყო ლაპარაკი, ისე რომ სულაც არ შეუნიშნავს ილია.

ილია გაცოფებული იყო; იგი უკვე გრძნობდა თავის დამარცხებას; მან იცოდა, რომ თინა თავისას არ დაიშლიდა და გულზე სკდებოდა. რაღა თქმა უნდა, ყველაფერს გაბილაშვილს და მის ამხანაგებს აბრალებდა ილია; დარწმუნებული იყო, რომ სწორედ ეს ხალხი გადაეღობა მას წინ ცხოვრების გზაზე, სწორედ ამათ დაამსხვრიეს მისი ბედნიერება... მას ეკვი არ ჰქონდა, რომ ტკბილად, სიამოვნებით იცხოვრებდა ბოლომდის თინასთან, ეს ხალხი რომ არ ყოფილიყო... ილია მთლად გაიტაცა შურისძიების გრძნობამ... „ისინი ხომ ავაზაკები არიან... მათი წყალობით შეიქნა ცხოვრება მოუსვენარი, მყუდროება დაირღვა, ხალხი აღელდა... არა, მათი არსებობა დიდი ბოროტებაა: ბოროტების მოსპობა კი მოვალეობაა." — გადასწყვიტა მან.

ერთი საათის შემდეგ ილიამ სათანადო უწყების ერთ მობელეს შეატყობინა შემდეგი: „შემთხვევით გავიგე, რომ დღეს, საღამოს 8 საათზე, მ—ს ქუჩაზე, გარჯილაძის ბინაზე № 12 უნდა შესდგეს მთავრობის საწინააღმდეგო კრება, რომელსაც დაესწრებიან ზოგიერთი ხელმძღვანელნი მოძრაობისა... როგორც კანონიერებისა და წეს-წყობილების მომხრენ. საჭიროთ დავინახე მეცნობებინა ეს თქვენთვის."

ილია დარწმუნებული იყო, რომ თინა ამ კრებას ეღარ დაესწრებოდა, რაკი ბარათს არ მიიღებდა: იმედი ჰქონდა, რომ გაბილაშვილის და სხვების დატუსაღება, მათი სამაგალითო დასჯა ჩამოაშორებდა მათ წრეს თინას და ერთობ კარგი გაკვეთილიც იქნებოდა მისთვის... მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდა ილიას.

იმ დღეს საღამოვდის თინა ცნობას ელოდა მაროსაგან, რადგან ვერაფერი მიიღო, მოსამსახურეს გამოჰკითხა და ეხოლოდ მაშინ გაიგო, რაშიაც იყო საქმე. იგი მაშინვე წავიდა მაროსთან. შებინდდა. უსიამოვნო ფიქრებით გარემოცული თინა ისე მიეშურებოდა, რომ გზასაც არ არჩევდა, თუმცა ახალი ნაწვიმარი იყო და გზა იმდენად მოსეველებული, რომ ქუჩაში ფარნის მკრთალს სინათლეზე აქა-იქ ლაპლაპებდა დაგუბებული წყალი.

თინათინა ალექსანდროვნა!— უცებ შემოესმა შემკრთალს ქალს და ქუჩის მეორე მხარეზე ბიქტორ გაბილაშვილი გამოჩნდა.

— მეც თქვენი თანამგზავრი ვარ: ჯერ, ბგონი, ადრეა,— დაუმატა მან და ახლოს მიეიდა.

— მაროსთან მიდივარ; მინდოდა შემეტყო, შევიკრიბებით დღეს, თუ არა...

— ნუთუ არ გაგაგებინეს?..

— ბარათი გამოეგზავნათ, მაგრამ მაინც...—დაბნეულად უპასუხა თინამ.

— ვწუხვართ, რომ ასეთი უსიამოვნება შეგხვედათ ჩვენი ბიზეზით... - დაიწყო ბიქტორმა,—ყველანი სრულს თანაგრძნობას...

— ნულარ მომაგონებთ, გეთაყვა...—გააწყვეტინა თინამ, როშლის სახეზე ტანჯვა აღიბეჭდა.

— წუხელი დიდი ჩხრეკა ყოფილა,—სთქვა ბიქტორმა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ,—ეხლა ყველაფერს სასტიკად დევნიან; უნდათ დასაწყისშივე ჩაჰკლან...

— ეს საქმე ჩვენ უთუოდ უნდა დავაბოლოვოთ, რაც უნდა გახდეს,—მტკიცედ წარმოსთქვა თინამ,—ერთხელ თუ დაინტერესდა ხალხი, მერე აღარა უშავს-რა. ცუდი დროა...

— საჭიროა დიდი ზნეობრივი ძალა...

ისინი ნელა მიდიოდნენ.

— მეტად მძიმე პირობებია მუშაობისთვის საზოგადოთ, მაგრამ ამან გული არ უნდა გაგვიტეხოს... იდეა ბოლოს

მაინც გაიმარჯვებს... მე შეურყეველად მწამს ეს!—გატაცებით წამოიძახა ბიქტორმა, უეჭველად გაიმარჯვებს, ოღონდ იყოს სულიერი აღფრთოვანება, გამამხნევებელი ძალა... ხანდახან მე თვალწინ მეშლება, როგორც მომხიბლავი მოჩვენება, სულის დამატებობელი სურათი: სწორ-უპოვარი წალკოტი, სადაც უხვად იბნევა რაღაც საოცნებო სხივები ნეტარებისა. გამოუთქველი სიხარულითა და უსაზღვრო ბედნიერებით ივსება ჩემი გული და ვფიქრობ, რომ აქ ვიძენ საოცარს ძალას, შეუდრეკელს მხნეობას, საზღაპრო გმირი ვხდები... მე ვგრძნობ, რომ მარტო თქვენ შეგიძლიათ გადასწყვიტოთ, რამდენად შეეხამება სინამდვილეს ჩემი ოცნება.. თქვენი მხრივ ერთი სიტყვა, მხოლოდ ერთი თანაგრძნობის ხმა კმარა, რომ ფრთა შევისხა... მაშინ მთელი ჯოჯოხეთის ტანჯვა-წამებასაც არად მივიჩნევ და მედგრად გავწევ წინ...—ბიქტორი გაჩუმდა: იგი თითონვე შეკრთა, რომ ბოლოს, თუმცა ბუნდოვანად, მაინც სთქვა ის, რის თქმასაც დღემდი ერიდებოდა.

თინა დაიბნა, აღელდა: ბიქტორის მოულოდნელმა სიტყვებმა უხერხულს მდგომარეობაში ჩააგდო იგი.

მაგრამ ამ დროს მან დაინახა მათკენ აჩქარებით მომავალი ნარო; იგი ქაქანით მიუახლოვდა მათ; დაღლილობისაგან ძლივს-ღა სუნთქავდა.

უკან დაბრუნდით!.. წავიდეთ, წავიდეთ!.. ვანოს სახლს ალყა შემოარტყეს... სჩხრეკენ... კარგი, რომ დროზე შევიტყეთ...—ძლივს ჩაილაპარაკა მან.

— დაგვაბეზღეს!..—გაბრაზებით წამოიძახა ბიქტორმა.

თინა შეძრწუნდა და ჭარხალივით გაწითლდა: ის მიხვდა, ვისი საქმეც იყო ეს...

„საზარელი ჯაშუში! იგი არასოდეს არ ყოფილა თანაგრძნობის ღირსი!“—ზიზღით გაიფიქრა მან ილიაზე.

თინა ცალკე ბინაზე გადასვლას ეშურებოდა. ამ გარემოებამ საშინლად გააბოროტა ილია; იგი სასტიკად ეწინააღდეგ ბოდა ამ აზრს და საშუალება არ დაუზოგავს, რომ ხელი შეეშალა ცოლისთვის: ჯერ სცადა, ვაელენა მოეხდინა

იმაზე დიდის მოვალეობის მოგონებით, „სკანდალებსაც“ დაემუქრა, მაგრამ თინა მაინც მტკიცედ ადგა თავის გადაწყვეტილებას.

ღამის პირველი საათი იქნებოდა. ყველას ეძინა. თინა აღელვებული წამოდგა, შეაღო განის კარი და მეორე ოთახში გავიდა. პატარა, ლამაზად მორთულს კრაოტში ხუთი თვის ბავშვი იწვა; იქვე, ტახტზე, ძიძა ხვრინავდა. თინა კანკალით დაჰყურებდა ბავშვს, თითქო მის სახეზე რისღაც ამოკითხვას ცდილობდა. ბავშვს მშვიდად ეძინა. „იქნება არ მიყვარს, რადგან ილიას შვილია?.. ნუთუ უმანკო ბავშვს...“ გაუელვა შეძრწუნებულს თინას და თითქო ამ ფიქრის გასაქარწყლებლად, დაიჩოქა და გრძნობით მიეკრა ბავშვს. რომელმაც დედის შეხებაზე მხოლოდ ტუჩები ააცმაცუნა. „მაპატიე, ჩემო პაწიავ!..“—თრთოლვით წაიჩურჩულა თინამ; კიდევ მხურვალედ ჩაკოცნა იგი და აცრემლებული ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან.

თინა იმ დილასვე მაროს ბინაზე გადავიდა და ქმრისაგან დამოუკიდებელი ცხოვრება იწყო.

ერთს საღამოს თინა ნაცნობ-მეგობრებს (მათ შორის მარო და ბიქტორიც იყვნენ) თავის ახალ ნაწარმოებს უკითხავდა. უცებ ვიღაცამ გარედან მაგრა დააბრახუნა დაკეტილი კარი. შემდეგ ილიას ბრაზიანი ხმა მოისმა: „ეხლავე გააღეთ!.. ვის შეუძლია დამიკეტოს... ჩემს ცოლს ნება არ აქვს... მოვითხოვ!..“

მას ხმა არ გასცეს.

ილიამ რამდენჯერმე მძლავრად სთხლიშა კარს რაღაც მძიმე; კარმა საშინლად დაიტეხა და სახე-შეშლილი ილია ოთახში შემოიჭრა.

--მაშ ეგრეა?..--ხრინწიანის ხმით დაიძახა მან და რევოლვერი იშიშვლა. თინამ თვალი შეასწრო და კიეილით წამოვარდა ზეზე.

თვალის დახამხამებაში მისცვივდნენ ილიას, მაგრამ გვიანღა იყო; მან უკვე მოასწრო და გაისროლა; ტყვია თინას მოხვდა მხარში. ღონე მიხდილი ქალი იქვე წაიქცა. ილია

თავგანწირვით იბრძოდა, რევოლვერის გასროლას კიდეც ცდილობდა.

— ეს მაწანწალაც უნდა... არც მაგას გავუშვებ ცოცხალს... ყველას...—ხრიალებდა იგი.

ბოლოს, როგორც იყო, მას იარაღი წაართვეს და გარეთ გაიყვანეს.

ამ ამბავმა მთელი საზოგადოება ააღელვა და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია...

თინა მძიმედ დაჭრილი აღმოჩნდა, მაგრამ სიკვდილს გადარჩა. იგი კარგა ხანს საავადმყოფოში იწვა, შემდეგ ისევ მაროსთან დაბრუნდა.

XIV

ბოლო დროს გაბილაშვილს სასტიკად სდევნიდნენ, როგორც არა კეთილ-საიმედო პირს. ერთ საღამოს იგი თინას სანახავად მივიდა; ამას ახლა ოთახში სიარული შეეძლო, თუმცა დიდ სისუსტეს გრძნობდა; ავადმყოფობას საოცრად შეეცვალა იგი.

„ბევრი ლაპარაკის თავი არ აქვს... აღელვება აწყენს...“ კარებშივე გააფრთხილა გაბილაშვილი მარომ.

ბიქტორის ნახვა თინას ძლიერ ესიამოვნა.

— ყველაფერი ეს სიზმარი მგონია... გონს ვერ მოვსულვარ...—სთქვა მან.

— იმედია, მალე კარგად გახდებით და უსიამოვნებასაც ბოლო მოეღება.—გაამხნევა ბიქტორმა.

— კარგია, რომ მოსვლა მოახერხეთ...—დაიწყო ისევ თინამ, როდესაც მარტოდ დარჩნენ,—იმ დღეს ვეღარაფერი გითხარით... მე არ მინდა ჩვენ შორის გამოუკვეველი დარჩეს რამე...—იგი შეჩერდა, ღრმად ამოისუნთქა და შემდეგ განაგრძო,—უნდა გამოვტყდე, ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო თქვენი სიტყვები... ნუთუ შესაწყნარებლად მიგაჩნიათ ოჯახური ბორკილები თავდადებულ მებრძოლისთვის?.. მე კი ვფიქრობ, რომ ეს დიდი ბოროტებაა... ამას უნდა გაურბოდეს ის, ვისაც საზოგადო ასპარეზზე მუშაობა სურს. ვინც ოჯახს ეკიდება, იგი ძალაუნებურად იძულებუ-

ლი ხდება ჩამოშორდეს საქმეს. გადაჭარბებული შიში, სიფრთხილე და კომპრომისები აუცილებელია ამ შემთხვევაში. აქედან თავისი რწმენის უარყოფამდეც დიდი მანძილი აღარ არის... თქვენ ხედავთ, როგორი გაკვეთილი მივიღე ცხოვრებისაგან... ეხლა ერთის გრძნობით ვარ შეპყრობილი და არც მსურს სხვა რამეზე ვიფიქრო: მინდა სრულიად თავისუფალი ვიყო, რომ ჩემი სურვილისამებრ მოვიხმარო სიცოცხლე... განსაკუთრებით სამძიმოა დედაკაცის მდგომარეობა... ჩემი მაგალითი, იქნება, მოსატანი არ იყოს, რასაკვირველია, ჩემი შეცდომა არაჩვეულებრივია, მაგრამ უკეთეს პირობებშიაც არ არის მთლად უზრუნველყოფილი ადამიანი... ჯერჯერობით მეტად იშვიათია ისეთი ურთიერთობა დედაკაცსა და მამაკაცს შორის, სადაც პირველი დამცირებული არ იყოს უკანასკნელის წინაშე. რაც უნდა კარგი შეხედულობა და აზრები გვქონდეს, რაგინდ დიადი იყოს ჩვენი იდეალები, ჩვენ ჯერჯერობით მაინც არ ვართ თავისუფალი ერთგვარ ფსიხოლოგიის გავლენისაგან... ეს მხოლოდ შესაფერ პირობებში მოისპობა და მთელი ძალ-ღონე იმას უნდა მოვახმაროთ, რომ მომზადდეს საერთო ნიადაგი თანასწორობისათვის... მე გულწრფელი პატივისმცემელი ვარ თქვენი. არ ვიცი, სხვა დროსა და გარემოებაში რა ხასიათის იქნებოდა ჩემი გრძნობა, მაგრამ დღეს კი მსურს, რომ თქვენ მთელის არსებით ეკუთნოდეთ იმ საქმეს, რომელიც ერთნაირად ძვირფასია ჩვენთვის. მე მინდა მუდამ ამ სიმაღლეზე გხედავდეთ...

თინა გაფითრდა, ხმა დაუსუსტდა და ღონე მიხდილი მუთაქაზე მიესვენა.

— მშვიდობით!...—მცირე დასვენების შემდეგ წარმოსთქვა მან; მერე წამოდგა და შუბლზე აკოცა აღელვებულს ბიქტორს.—განაგრძეთ საქმე თქვენებურის აღფრთოვანებით. მშვენიერია ეს გატაცება...—დაუმატა თინამ. ათრთოლებულის ტუჩებით შეეხო მის ხელს ბიქტორი, მაგრამ იგრძნო, რომ ცრემლით აევსო თვალები და აჩქარებით მოშორდა იქაურობას.

ვაბილაშვილი მალე დაატუსაღეს. იგი კარგა ხანს იჯდა ციხეში; ბოლოს მისი საქმე სასამართლომ განიხილა და ხუთი წლის კატორღა მიუსაჯა, როგორც „წეერს ისეთის ჯგუფისას, რომელსაც არსებული წეს-წყობილების დამხობა ჰქონდა მიზნად დასახული.“

ილია პასუხის გებაში მისცეს; მას ბრალად ედებოდა ცოლის მოკვლის განზრახვა. სასამართლოში ილიამ განაცხადა: მე მსხვერპლი გავხდი იმ ჯგუფის ავაზაკობისა, რომელიც ცნობილია თავისი მავნე მიმართულებით... სიცოცხლე მომიშხამეს... ოჯახში შემომეჭრნენ და მომტაცეს უძვირფასესი საუნჯე. დაუზოგველად მწიწკნიდნენ... ავაზაკურად გამცარცვეს... რა უნდა მექნა? ნაძირალების თავხედობას ხომ ვერ შევურიგდებოდი, ხომ ვერ დავსთმობდი ჩემს უფლებას... რაც მე მეკუთნოდა... ის უფრო მახელებდა, რომ ისეთს ხალხს დაუახლოვდა... მათი შეუწყნარებელი მოძღვრების მონაწილე გახდა ჩემი ცოლი... მე ის მიყვარდა. მოსალაპარაკებლად მივედი. არ მიმიღო. ამან გამაბრაზა. როდესაც მის ოთახში დავინახე ისინი, რომლებმაც ჩემი ბედნიერება გაანადგურეს, უზომოდ აღელდი და აღარ ვიცი, რა ჩავიდინე... ეხლა კი ვხედავ, რომ განზრახვა ვერ შევასრულე. ჩემი მიზანი სულ სხვა იყო...“

სასამართლომ ილიას სამი წლით ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯა, მაგრამ მხედველობაში მიიღო „დანაშაულის შემამსუბუქებელი ზოგიერთი გარემოებანი“ და დაადგინა: აღძრულ იქნას შუამდგომლობა, რომ ფუნცხალაძე სრულიად განთავისუფლებულ იქნას სასჯელისაგან.

თინას ჯან-მრთელობა ვერ დადგა სასურველს დონეზე, მისთვის აუცილებელი შეიქნა სერიოზული, ხანგრძლივი ექიმობა. ნაცნობ-მეგობართა დახმარებით იგი საზღვარ-გარეთ წავიდა.

ეს არის ჩვენი „ბედნიერი“ დღე!

სანდრო ქოჩორაძემ საავადმყოფოში მთელი თვე გაატარა, მაგრამ მაინც ვერ შეეთვისა იქაურობას: მას მუდამ ანელებდა ის გარემოება, რომ არავისაგან თანაგრძნობას არ ხედავდა აქ. საავადმყოფოში ყველა ავადმყოფი ერთნაირს პირობებში არ იყო ჩაყენებული; ამას კარგად ამჩნევდა სანდრო და გული ბოლმით ეესებოდა. ვისაც სახსარი ჰქონდა, იგი ფულით ყიდულობდა საჭირო ყურადღებას; სანდრო კი მოკლებული იყო ამნაირს საშუალებას და ამიტომ დიდს შევიწროებას განიცდიდა. მას მუდამ აბრაზებდა ცხოვრებაში გამეფებული უთანასწორობა, მაგრამ ეხლა, ამ საავადმყოფოს ზღუდეთა შორის, იგი განსაკუთრებულის სიმწვავით გრძნობდა ამას. მხოლოდ რჩეულნ ეპყრობოდნენ აქ ყურადღებით: დანარჩენებისთვის ზრუნვა კი უსიამოვნო მოვალეობად, აუცილებელ ბოროტებად მიაჩნდათ.

დღეს სანდრო რიერაკზე წამოდგა, გაიგრილა წყლით გახურებული შუბლი და ფანჯარას მიეყრდნო. შორს იტაცებდა მას ფიქრი: იქ, ნაცნობი ადგილებისაკენ, ბუნებასთან ახლო უნდოდა მას ყოფნა, იმ ბუნებასთან, რომელიც არავის არჩევს და ერთნაირად უმასპინძლდება ყველას, სადაც გაზაფხულის მზეზე ისე ბოვხიბლელად იცინის ტყე, იღიმება მინდორ-ველი...

ქალაქი საახალწლო სამზადისს შესდგომოდა. სხვა-დასხვა ავადმყოფებთან მოდიოდნენ მათი ნათესავები, ნაცნობ-მეგობრები; მოჰქონდათ საჩუქრები, ცდილობდნენ შეემსუბუქებინათ მათთვის ტანჯვა. სანდროს გული სტკივოდა; მასაც ენატრებოდა გრძნობით გამთბარი სიტყვა... ერთად-ერთი ამხანაგი მოუცლელობის გამო ვერ მოდიოდა მასთან.

„ხვალ ბედნიერ დღეს ეგებებიან,“ —გაიფიქრა სანდრომ, — მაგრამ რით იქნება იგი „ბედნიერი“ მისთვის? ეს ხომ დაცინვაა მისი ბედის; იგი მოკლებულია ყოველგვარს სიამოვნებას: მუდამ ერთგულად, პატიოსნად შრომობდა, მაგრამ სად არის ამის ნაყოფი? რას შესწირა სიცოცხლე? ტანჯვით განვლო ცხოვრების გზა, ბედნიერება ერთხელაც არ მოლანდებია.“ ასეთი იყო წარსული...

სანდრო აივანზე გამოვიდა. თბილი დღე იყო. პირდაპირ ბაღი მოსჩანდა, სადაც ქალ-ვაჟი სეირნობდა. ფიქვის ხეივანში მიდიოდნენ, ცელქობდნენ. ვაჟს ლაღად ეჭირა თავი; ეტყობოდა, ვისი გულის გმირიც იყო იგი, ქალი ნაზად გადიხარა მისკენ; ამანაც ხელი მოხვია და ცქრიალით განაგრძეს გზა. გააყოლა ნაღვლიანად სანდრომ მათ თვალი და შემდეგ საექიმო ოთახისკენ გასწია. შეაღო წინა ოთახის კარი. აქ ფერშლები და მოწყალების დანი ფუსფუსებდნენ. სანდრომ კუთხისაკენ მიიხედა და ელდა-ნაკრავივით გაშეშდა: იქ, საკაცეში, მან დაინახა გასისხლიანებულს ჩვარში შეხვეული ადამიანი. ცხადი იყო ყველაფერი... საკაცეში მდებარე მუშა სულ რამდენიმე დღის წინად ჩამოსულიყო სოფლიდან; იგი სადღაც დღიურ ქირაზე მუშაობდა. კეთილი, პატიოსანი, რაინდული ხასიათის კოტე საკვირველის გულმოდგინეობით ასრულებდა თავის მოვალეობას; იგი ძნელსა და საფათერაკო საქმესაც არ ერიდებოდა. დღეს დილით, სარდაფში მუშაობის დროს, გასკდა საორთქლე ქვაბი და სიცოცხლითა და ჯან-ღონით სავსე ახალგაზდა თვალის დახამხამებაში ერთიანად გაიფუფქა. გაფუქდა კაცი, მაგრამ იმ წუთში მას უფრო სირცხვილი აწუხებდა: როგორ მოუვიდა, რომ ასე უსახელოდ დამარცხდა. ეს ფიქრი უტრიალებდა მას თავში. ვინ იცის, რა მიზეზით გასკდა ქვაბი, მაგრამ კოტე მაინც არავის ამტყუნებდა ამაში; იგი უფრო თავის გაუფრთხილებლობას თუ გამოუცდელობას აბრალებდა: იქნება უხერხულად გავიარე, ან როგორმე შევეხეო... დაშავებულის მკერდი გამალებით ირხეოდა, ძარღვები ძალზე დაჭიმული ჰქონდა

და მთელი სხეულიდან სისხლი ჟღანავდა. ჯოჯოხეთურს ტკივილებს განიცდიდა საწყალი, მაგრამ ხმას არ იღებდა. იგი უკვე გრძნობდა აღსასრულს, მაგრამ არ უნდოდა აქ დაელია სული. თითქო სიკვდილისაც კი სცხვენოდა ამ უცხო ხალხში...

იგი მალე გაიტანეს იქიდგან. ნახევარი საათის შემდეგ სისხლიანი საკაცე დერეფნის ბოლოზე გამოჩნდა.

— საით მიჰყავთ?—კანკალით იკითხა სანდრომ.

— Въ мертвецкую!—მიუგო მსახურმა.

ამ დროს საავადმყოფოს ეზოში შემოიჭრა გაფითრებულის სახით ახალგაზდა კაცი, მას ხელში ორი კვერცხი და პურის ნატეხი ეჭირა; აქ ის გაფოთებული ტრიალებდა და თვალით რაღაცას ეძებდა.

— რას ეძებ, ძმაო?--თანაგრძნობით გადასძახა მას სანდრომ.

— წეღან კაცი წამოიყვანეს ქარხნიდან... მუშაობის დროს დაშავდა... მაჩვენეთ, ღვთის გულისათვის! უპმელი იყო, იქნება...—ქაქანით შეეკვეხა მოსული, რომელსაც თითქო სჯეროდა სასწაულთ-მოქმედი ძალა კვერცხისა და ის მომაკვდავისთვის სულზე მისწრება ეგონა.

— უკვე გათავდა!—მწუხარებით წარმოსთქვა ქოჩორაძემ და თავი ჩაჰკიდა.

მდიდრული სახლის ფანჯარაში ის ბედნიერი ახალგაზდები მოსჩანდნენ. ქალი როიალს უკრავდა, ვაჟი კი გატაცებით მღეროდა. ახლა ეკალივით მოხვდა ეს ხმა სანდროს გულს.

— დაჩუმდით!—ცახცახით შეჰყვირა მან,—ხმა გაკმინდეთ იმ წმინდა მსხვერპლის წინაშე!.. თქვენ მოჰკალით ის! თქვენ, თქვენმა ძმებმა, ნათესავებმა, მეგობრებმა... თქვენ მიითვისეთ ჩვენი წილი ბედნიერება!.. უდარდელად სიამოვნებთ ახალი წლის მოლოდინში... ჩვენი ბედნიერი დღე კი ეს არის!.. დასტკბით, ავაზაკებო, მკარცველებო!.. თქვენ მოგვტაცეთ!..—სიტყვის დასრულება ვეღარ შესძლო სანდრომ; მას გული წაუვიდა. როდესაც გონს მოვიდა, იგი ლოგინში იწვა გავარვარებული და თავზე ყინულიანი ბუშტი ედო.

სარჩევი:

	გვ.
არსენ ანტონის ძე მამულაიშვილი (ბიოგრაფია)	5
ა. მამულაიშვილის მოთხრობები:	
ფირალი დავლაძე	
...ალქვიანა	61
...ეფემიას ოცნება	83
მშობლები	128
შემთხვევა	135
„დამშვიდება“	141
თეატრში	147
...ბეჟუკის ხვედრი	153
სამკურნალოში	165
...ოლინა	172
...ეს არის ჩვენი „ბედნიერი“ დღე!	227